კვირის პალიტრა

მზე

N44 (282) 3/XI.-9/XI.2005.
ფასი 60 თ.

ანრი ჯოხაძეს კიევში ნაშუბის სია მიაქვს...

1168
2005

ლეგენდა „მზიურზე“ და იუბილე, რომელიც 2006 წლამდე გადაიდო...

ილუზიები, იდეალები და... ქაჯები

ანუ სტრატეგია არსებობს, ტაქტიკა დასანერვეწია...

სიზმრები, რომლებმაც სამყარო შეცვალა...

თემა — ფრთხილად
„ნასედკოზისთვის“ ხო
არ გამზადებენ?

63

ახალი ნოემარი

1 ნოემბრიდან



თქვენ ხომ გემოვნებიანი მკითხველი ბრძანდებიო...

№44 (282)
3 – 9 ნოემბერი
2005
ფასი 60 თეთრი

მინიატურები
„დრო რა უეცრად გავიდა, რა უცებ გაიპარაო“ ანუ რევოლუციის ორი წლის იუბილე 3
ერთი კითხვა 4
ჭრელი მსოფლიო 6
ოპოზიცია
დავით გურაბიშვილი: „ხელისუფლება თავად აიძულებს ოპოზიციას, გაერთიანდეს მის წინააღმდეგ“ 7
ლიდერი
ილუზიები, იდიალები და... ქაჯები ანუ სტრატეგია არსებობს, ტაქტიკა – დასახვეწია 8
კრიმინალი
ვანო გოდელავას ვაქიშვილის გატაცების გეგმა ციხეში დაიწერა 11
რეპორტაჟი
„ქალი ამ პოგაშიც მიმგიდველია“ ანუ ხალისიანი რეპორტაჟი ბაგრიდან 15
გზავნილები
„მანჰეტენზე დავდივარ და თავი ჭავჭავაძეზე მგონია“ ანუ ვინ უპირებს მოტაცებას ნინო ბურჯანაძეს 18
ჩემი თაობა
მაშინაც იყვნენ ე.წ. „მამალი“ ქალები, მაგრამ დღევანდელები გაცილებით შორს წავიდნენ... 22
თარიღი
ლეგენდა „მზიურზე“, ქვეყანაში ყველაზე დაგმანული ბავშვები და იუბილე, რომელიც გადაიდო 23
ბანური
ჯაპანა: „მე და დუტას ლოთური სმა გვიყვარს“ ანუ 2 ბოთლი არაყი და ტურისტის თეფშში ჩავარდნილი ჭიქა 27
თემა
ფრთხილად – „ნასედკობისთვის“ ხომ არ გამგადებენ?!. 28
ანტიდეპრესანტი
ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი გოჩა დვალის უბის წიგნაკიდან 30
ჯანმრთელობა
- როცა უშვილობის მიზეზი მამაკაცია 32
- ეს საიდუმლო ჰორმონები 33
საკითხავი ქალებისთვის 34

ფრთხილად – „ნასედკობისთვის“ ხომ არ გამზადებენ?!.

ზოგი სხვისი უბედურების ხარჯზე იწყობს ცხოვრებას, სძულს ეს საქმიანობა, მაგრამ საკუთარი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ყველაფერზე მიდის; ზოგი კი, იმათი მსხვერპლია, რომლებიც ასეთ საქმიანობას ეწევიან. მათთან საუბრის შემდეგ, კიდევ ერთხელ დარწმუნდი იმაში, რომ ფულისთვის ადამიანს სულის გაყიდვაც შეუძლია.

28

ილუზიები, იდეალები და... ქაჯები

„ამას „სადარბაზოების დემოკრატიას“ ვეძახი: ვერ დაალაგებ ქვეყანას, თუ ჯერ სადარბაზო ვერ დაალაგე კარგად. სადარბაზოს დალაგებას კი, მეზობლების ერთიანი ძალა და კეთილი ნება სჭირდება და არა სალომე ზურაბიშვილი. სადარბაზოს დალაგების შემდეგ, უბნის მოწყობაზე გადავალთ“.

8

ლეგენდა „მზიურზე“ და იუბილე, რომელიც გადაიდო

„პირველი კონცერტი 35 წლის წინ, 18 ნოემბერს ჩავატარეთ. იგეგმებოდა პიონერთა სასახლის 30 წლის იუბილე და კონცერტში მონაწილეობდნენ სასახლის აღსაზრდელები: სოლისტები, გუნდები, მოცეკვავეები...

ამ კონცერტზე გოგონებს შარვლები ჩავაცვით. ეს ბევრისთვის შოკის მომგვრელი იყო“...

23

ანრი ჯოხაძეს კიევში ნაშების სია მიაქვს

ანრი ჯოხაძე რამდენიმე დღეში, ფესტივალზე კიევში მიემგზავრება, რის გამოც სმის ჩამწერი სტუდიიდან თითქმის არ გამოდის და ახალ სიმღერებს წერს. მეც შემთხვევით ვისარგებლე და ვიდრე მომღერალი კიევიდან პრიზით ხელდამშვენებული ჩამოვა, ინტერვიუსთვის სტუდიაში ვეწვიე.

58

ტაქარი

რა არის ცნობილი ღვთისმშობლის „მსწრაფლშემსმენელი“ ხატის შესახებ? 36

შთამომავლობა

ღაბრუნება საუკუნე-ნახევრის შემდეგ 37

ვარსკვლავი

ლიანა კრიუგერი იაფფასიანი კაფეს ოფიციანტი თუ ტროის ლეგენდარული ქალი?.. 40

ბომონდი 41

რომანი

რუსულან ბერიძე. თქეში (გაგრძელება) 42

ასპარეზი

მსოფლიო ჩემპიონატზე თამაშის საშუალება კოტრიკაძეს სტაროსტინმა არ მისცა 46

ავტო 49

შეუცნობელი

ნათლისღების ღამის გრძნეული სიგმარი 50

ლიდერი

„ცისფერთვალება ქალბატონი“, „რკინის ლედი“, პირველი... 53

ტესტი

ერთგული მკითხველი 55

მოდა

ტინეიჯერული კაბები ასაკოვანი ქალებისთვის... 56

სცენა

ანრი ჯოხაძეს კიევში ნაშების სია მიაქვს 58

ასტროლოგია

ქალი, მამაკაცი და ზოდიაქო 60

სკანვორდი 61

იუმორი 62

ტესტი

რამდენად კომუნიკაბელური ადამიანი ბრძანდებით? 63

...და ბოლოს 64

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
რედაქტორი: გოჩა ტყეშელაშვილი
მენეჯერი: მათე კბილაძე
მისამართი: თბილისი, აკურის ქ. №8
ტელ: 33-50-32 email: gza@kvirispalitra.com
ჟურნალი იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“

მაშინაც იმვნენ ე.წ. „მამალი“ ქალები, მაგრამ დღევანდელები გაცილებით შორს წავიდნენ...

„როდესაც ქალი თავშეკავებულია და გარკვეულ კრიტერიუმებშია მოქცეული, უფრო მეტად ხიბლავს მამაკაცს. რა თქმა უნდა, იმ აზრისგან შორს ვარ, რომ ქალის საქმე მხოლოდ სამზარეულო, ბავშვები და ლოგინია. მაგრამ ქალი უნდა თხოვდებოდეს, აჩენდეს შვილებს და საზოგადოებაშიც იყოს აქტუალური“...

22

ჯენეტ ჯექსონმა 18 წლის წინ, საიდუმლოდ იმეოზიარა

იდუმალ სიყვარულს, შედეგად უფრო გასაიდუმლოებული ქორწინება მოჰყოლია და ეს კავშირი გოგონას დაბადებით დასრულებულა... ეს სკანდალური განცხადება ჯენეტ ჯექსონის მაზლმა, იანგ დებარჯმა ნიუ-იორკის რადიოსადგურ WQHT-FM-ის ეთერით გააკეთა....

41

როცა უშვილობის მიზეზი მამაკაცია



უშვილობის მიზეზად უმეტესწილად, ქალს მიიჩნევენ. სინამდვილეში, პასუხისმგებლობა ქალსა და მამაკაცზე თანაბრად ნაწილდება – ასეთია სტატისტიკა. მამად გახდომის შესაძლებლობაზე მოწიფულობის ასაკში უამრავი რამ ახდენს გავლენას. მამაკაცის რეპროდუქციული სისტემა ქალისაზე არანაკლებ მგრძნობიარეა.

32

თქეში



– კარგი, კარგი, მაპატიე... – დანებების ნიშნად, ორივე ხელი ასწია ლევანმა. – შენ ნამდვილად არაფერ შუაში ხარ. უბრალოდ, რამდენჯერაც კი გამახსენდება, რომ როცა ვიღაც ახვარი ჩემს ცოლს გულს უხეთქავდა, მე მარტო თბილისში კი არა, სულაც იქვე, პარალელურ ქუჩაზე ვიყავი...

– რა თქვი?!

– რაც გაიგონე! – სახეზე აკანკალებული ხელები ჩამოისვა ლევანმა. – ეს ამბავი ჯერ არავისთვის მითქვამს...

42

„ლომი რა უეცრად გავლა, რა უცებ გაიპარა"

ანუ რევოლუციის ორი წლის იუბილე

ჯიგარი ხალხი ვართ ქართველები, ქეიფი და დღესასწაულების დღესასწაულობა გვიყვარს ნამეტანი. პრეზიდენტიც სწორედ ისეთი მოგვცა ღმერთმა, ამ მოქეიფე ხალხს რომ შეგვეფერება. ჰოდა, ვდღესასწაულობთ ყველაფერს, ახალი წლით დაწყებული და შადრევნის გახსნით დამთავრებული. ერთი სიტყვით, საქართველო ერთ მოზრდილ საბანკეტო დარბაზს ჰგავს, რომელშიც ხან ზარმაცების ხაშის სუფრაა გაშლილი, ხან — დაბადების დღის, ხან — პრეზიდენტის უცხოეთში გაცილების, ხანაც — დახვედრის და ა.შ. თუმცა, როგორც ყველა საბანკეტო დარბაზში, აქაც ხდება ხოლმე ე.წ. „ჩავარდნები".



მაგალითად, მას შემდეგ, რაც თბილისობა ვიზეიმეთ და 40 ტონა ყურძენი დავწურეთ, ერთი ხეირიანი სუფრაც არ გაგვიშლია. არადა, დადუღდა უკვე ის მაჭარი, სადაცაა, დაღვინდება კიდეც და მოუთმენლად ელოდება პირველ ჭაშნიკს. სწორედ ამ საკითხს მიეძღვნა განგაში, რომელიც ჩვენმა მამამარჩენალმა ამჯერად ჯარისკაცებს კი არა, რწმუნებულებს გამოუცხადა. ზოგს მანქანა ჰქონია ქორწილზე გაქირავებული და მართლაც, განგაშზე გაღვიძებული ჯარისკაცივით მოუწია თბილისამდე ფეხით სირბილმა, მაგრამ თათბირის მიზეზი ნამდვილად ღირდა ამ დაღლად: — ვარდების რევოლუციის იუბილე ახლოვდება, ამ ახალ ღვინოსაც ათვისება სჭირდება და რა ვქნათო?!

...და აბა, ამ კითხვაზე პასუხის მოძიებას რა დიდი სამჭკუაშვილობა უნდოდა — ისევ უნდა ვიდღესასწაულოთო, — ერთხმად თქვეს და ტაშიც ერთდროულად შემოჰკრეს. ფუნქციებიც სასწრაფოდ გადაინაწილეს: ერთმა თქვა, ნაღდი სოფლის ქათმები გრიპის გარეშე ჩემზე იყოსო, მეორემ — გაზი და დენი ჩემზეო, მესამემ — სტუმრებთან დაკავშირება ჩემზეო, მეოთხემ — მოცეკვავეების და მომღერლების ჩამოყვანა ჩემზეო; მაგრამ ყველაზე მთავარი — რა მიღწევები უნდა ჩაიდოს თამადა-მარჩენლის სადღეგრძელოში, ჯერ ვერ მოიფიქრეს. ამიტომ, „მამაჩვენმა" პაპაჩვენების ხერხი გაიხსენა და გუბერნატორებს უბრძანა — ინით წვერულვაშშეღებილები ხალხში გასულიყვნენ და დაწვრილებით გაეგოთ, რა მოსწონთ ამ ორი წლის მანძილზე და რა — არა?

ასე რომ, თუ თქვენს ქალაქსა და სოფელში ვინმემ შეპარვით გკითხოთ — ამ მთავრობით კმაყოფილი ხართ თუ არაო? — არაფერი წამოგცდეთ, თორემ შეიძლება, ძონძებში გამოწყობილი ცნობისმოყვარე თანამოსაუბრე, წვერულვაშშეღებილი გუბერნატორი აღმოჩნდეს და რევოლუციის ორი წლისთავს უშიშროების იზოლატორში შეხვდეთ. კარგი და დადებითი რამდენიც გნებავთ, იმდენი ჩამოთვალეთ. რა, ცოტაა სათქმელი თუ რა?! ჯერ მარტო გზების პრობლემა ავიღოთ: წინა მთავრობის ხელში, 20 წლის მანძილზე ერთხელაც არ დაუსხამთ ასლფატი. ამ მთავრობის წყალობით კი, მარტო ვაჟა-ფშაველას გამზირზე კვირაში სამჯერ გააკეთეს გზა: დააგეს არ ივარგა, აყარეს და ა.შ.

ახლა დენზე ვილაპარაკოთ: ადრე შუქი არ გვქონდა, იმიტომ, რომ არ გვქონდა. ახლა იმდენი შუქი შემოგვაქვს, რომ ჩვენი ენერგოსისტემა ვერ უძლებს და იწვება. ამიტომ, ალბათ ისევ სიბნელეში მოგვიწევს გამოზამთრება, მაგრამ მაინც რა შედარებაა, როცა შუქი არა გაქვს და როცა გაქვს, მაგრამ არა გაქვს...

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაზრდაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია: სად ორი წლის წინანდელი ჩვენი ჯარი და სად — დღევანდელი?! მართალია, საქართველო ომს არასოდეს დააპირებს, მაგრამ მერე რა?! ეგრე, კომბლესაც მოჰპარეს ცხვრები, მაგრამ კომბლები რომ არ ეთალა, ხომ უფრო მოჰპარავდნენ?!

აგერ, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი გავიყვანეთ და წელიწადში 50 მლნ დოლარი მოგება დაგვრჩება. მაგრამ ეს რა არის იმ მოგებასთან შედარებით, რაც შეიძლება რეალურად დაგვრჩეს: ახალი ნარკოტიკი რომ შექმნეს, ბენზინზე რომ მზადდება, აი, ისაა ჩვენი ეკონომიკური სიძლიერის გარანტია: ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი, როგორც ნავთობსადენი კი ტოვებს 50 მილიონს, მაგრამ თუ მას, როგორც ნარკოსადენს განვიხილავთ, მოგება მერე ნახეთ თქვენ. ორ წელიწადში კი სად გაკეთებულა იმდენი სასიკეთო ძვრა, რამდენიც ჩვენთან?! ჰოდა, ვაშა რევოლუციის ორი წლისთავს!!!

P.S. მთავრობის სხდომაზე:

— ხალხში უნდა გახვიდეთ, მოუსმინოთ და თუ დაგირეკეს, ტელეფონზეც უპასუხოთ... მე თვითონ შევამოწმე და სხვა ნომრიდან გირეკეთ, მაგრამ არც ერთმა არ მიპასუხეთ... უნდა უპასუხოთ ზარებს.

— ბატონო პრეზიდენტო, ყველას?

— ყველას!

— რომ გვაგინონ?..

— ყველა ხომ არ გაგინებთ... ერთი მაინც ხომ გამოერევა მათ შორის ზრდილობიანი.

პროვოკატორი

„ჯიმას“ მეგრული სახელწოდება ბაგაფშის პროვოკაციაა“

— ბატალიონ „ჯიმას“ შექმნას როგორ შეხვდნენ გალის მცხოვრებნი და რა ელის იმ ოჯახებს, რომლებიც უარს იტყვიან აფხაზურ ჯარში სამსახურზე?

ზურაბ სამუშია, *„თეთრი ლეგიონის“ მეთაური:*

— გალში საგანგებო მიმართვა გავრცელდა, სადაც წერია, რომ ის ოჯახები, რომლებიც თავიანთ შვილებს „ჯიმაში“ გაუშვებენ, ყოველთვიურად 70 ლარს მიიღებენ. წინააღმდეგ შემთხვევაში, მათ ან დახოცავენ, ან გალიდან გამოყრიან. სამწუხაროა: ამ ხელისუფლებამ ვერაფერი გააკეთა იმისათვის, რომ თავისი მოქალაქეების უფლებები დაეცვა გალის ტერიტორიაზე. იმ ახალგაზრდებს, რომლებიც აფხაზურ ჯარში მიდიან, სხვა გამოსავალი არა აქვთ, მათ სიცოცხლის გადარჩენაზე უწევთ ფიქრი. ბაგაფშს ისიც არ ადარდებს, რომ სიტუაციის გამწვავების შემთხვევაში, „ჯიმას“ წევრები ქართველების მხარეზე გადავლენ. ჩვენ საერთაშორისო დონეზე უკვე დავდეთ პირობა, რომ კონფლიქტი აღარ განახლდება, ამიტომ ბაგაფშს ქართული ჯარისაც აღარ ეშინია. რაც შეეხება ბატალიონის სახელწოდებას — „ჯიმა“, მეგრულად „ძმას“ ნიშნავს. ეს შორს გამიზნული პროვოკაციაა. მეგრული სახელწოდება ბაგაფშს შემთხვევით არ მოუფიქრებია. საქართველოს რეგიონები საშინელ დღეშია. განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა სამეგრელოში, რომელიც აფხაზეთის მოსაზღვრე მხარეა. ზუგდიდის მოსახლეობა ხედავს, რომ აფხაზეთის მცხოვრებნი მათზე უკეთ ცხოვრობენ, აქვთ ციტრუსების რუსეთში რეალიზაციის საშუალება. მე მეშინია, რომ ბაგაფშის ეს სატყუარა არ ამოქმედდეს. აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების ლიდერი ძალზე ცბიერი ადამიანია და მისი მხრიდან მომავალში, უფრო მეტ პრობლემებს უნდა ველოდეთ. თუ საქართველოს მთავრობა უსუსურ პოლიტიკას ქმედითი გადაწყვეტილებებით არ შეცვლის, ზემოაღნიშნულ პროცესს მხოლოდ მოსახლეობა ვერ გაუმკლავდება.

■

ესმით თუ არა ოსებს „ადამიანური ენა“?

— როგორ უნდა მიაღწიოს ქართულმა მხარემ იმას, რომ გაჯიუტებულ კოკოითთან ზურაბ ნოღაიდელის შეხვედრა 16 ნოემბრამდე გაიმართოს, როცა ოსური მხარე პრემიერ-მინისტრს ქართულ სოფლებშიც არ უშვებს?

გოგა ხაინდრავა, *სახელმწიფო მინისტრი:*

— საქართველოს პრემიერი ცხინვალის რეგიონში უსათუოდ ჩავა. ყველა შეფერხება ამ გზაზე, არსებული შეთანხმებების უხეშ დარღვევას ნიშნავს. ვინც ამას გააკეთებს, ის ადეკვატურ პასუხს მიიღებს. ეს არის ელემენტარული საბაბი, რომ ჩვენ მოთმინებიდან გამოგვიყვანონ და ხელი შეუშალონ დაწყებულ პროცესს. საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ქვეყნის ნებისმიერ ტერიტორიაზე უსაფრთხოდ გადაადგილებას თავადვე უზრუნველვყოფთ. ამ ეტაპზე მთავარია, მოხერხდეს კოკოითისა და ნოღაიდელის შეხვედრა. მოსკოვში ხელმოწერილ ოქმში მითითებულია, რომ ეს მაქსიმალურად სწრაფად უნდა მოხერხდეს. ადამიანურ ენაზე, „მაქსიმალურად სწრაფად“, 1-2 კვირას ნიშნავს. 16 ნოემბერს, ლუბლიანაში დაგეგმილია შეხვედრა, სადაც დაპირისპირებულ მხარეებთან ერთად, რუსეთისა და ეუთოს წარმომადგენლებიც იქნებიან. ამ შეხვედრაზე



პრეზიდენტის სამშვიდობო ინიციატივის განხორციელებასთან დაკავშირებით კონკრეტული გადაწყვეტილებები იქნება მიღებული. ამიტომ აუცილებელია, 16 ნოემბრამდე კოკოითისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის შეხვედრა. ეს შეთანხმება უკვე არსებობს და ვალდებული არიან, შეასრულონ.

■

მელ გიბსონმა ქარიშხალ „სტენის“ მსხვერპლთა სასარგებლოდ მილიონი დოლარი გაიღო



რეჟისორმა და მსახიობმა, მელ გიბსონმა ქარიშხალ „სტენისგან“ დაზარალებულ მექსიკელებს 1 მლნ დოლარი გადასცა. ამისათვის ჰოლივუდის ვარსკვლავი მექსიკის პრეზიდენტს, ვისენტე ფოქსს პირადად შეხვდა. მექსიკელთა დახმარება გიბსონმა მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც ვერა კრუზის შტატში „სტენის“ დამანგრეველი ძალა თავად იხილა. გიბსონი იქ ახალი ფილმის — „აპოკალიპტოს“ გადასაღებად ჩავიდა. ფილმში მოქმედება 3000 წლის წინ ვითარდება. გიბსონის წინამორბედი სურათის — „ქრისტეს ვნებანის“ მსგავსად, სადაც გმირები არამეულ და ლათინურ ენაზე ლაპარაკობენ, მსახიობებს ამჯერად, მაიას ტომის ენის ათვისება მოუხდათ.

შეგახსენებთ, რომ „სტენის“ შედეგად, ცენტრალურ ამერიკასა და მექსიკაში, 1500 ადამიანი დაიღუპა.

■

„რუსეთის ფანტაზია ყოველთვის უფრო „შორსმჭვრეტელური და მრავლისმომცველია“

— რუსული საინფორმაციო წყაროები ირწმუნებიან, რომ აშშ სვანეთში აშენებს აეროდრომს, რომელსაც ირანზე თავდასხმისთვის გამოიყენებს, აქედან შეუტევენ კონფლიქტის ზონებსაც...

რამაზ კლიმიაშვილი, *პოლიტოლოგი:*

— ჩემი ინფორმაციით, მესტიაში ახალი აეროდრომი ძველის ბაზაზე შენდება და ის ექსპლუატაციაში 2007 წელს უნდა შევიდეს. ვისაც ეს აეროდრომი უნახავს, თავადაც დამეთანხმება, რომ მცირე ზომისაა და ძალზე პატარა ზომის თვითმფრინავის დასაჯდომადაა განკუთვნილი. იმ ტერიტორიის რეკონსტრუქცია აქამდეც უნდა დაწყებულიყო, რადგან მესტია თვეების განმავლობაში მოწყვეტილია გარე სამყაროს. გაუთავებელი სტიქიური უბედურების, წყალდიდობებისა და მეწყერების ფონზე, ხელისუფლება ვალდებულია, გზების ჩახერგვის შემთხვევაში, მზად იყოს სვანეთის დასახმარებლად. მაგრამ რუსეთის ფანტაზია ყოველთვის უფრო „შორსმჭვრეტელური და მრავლისმომცველია“. ამერიკელები ირანზე დარტყმას რომ აპირებენ, ეს არავისთვის წარმოადგენს საიდუმლოს. მაგრამ ამისთვის სვანეთში სამხედრო აეროდრომს რომ აგებენ და სხვა უფრო შესაფერისი ადგილი ვერ მოძებნეს, ეს კი „სიახლეა“. ■

რატომ შეაშინა სამშვიდობო ინიციატივამ რუსეთი?

— ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების ახალ გეგმას რუსეთი განუხორციელებელს უწოდებს. როგორ უნდა გავიგოთ ეს? ჩვენი მეზობელი პროცესში აშშ-ის ჩართვამ შეაშინა?

კოტე გაბაშვილი, *საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი:*

— ამერიკელები სამშვიდობო პროცესში აქტიურად ჩართვას აპირებენ. ეს ჩვენთვის უაღრესად მნიშვნელოვანია, რადგან რუსეთი, რომელიც ერთადერთი შუამავალია, ამ როლს ცუდად ასრულებს. სეპარატისტული ხელისუფლების წარმომადგენლები არღვევენ 24 ოქტომბერს მოსკოვში ხელმოწერილი დოკუმენტის პირობებს, რომლის მიხედვითაც, სეპარატისტები, ჩრდილოეთ ოსეთის ხელისუფლება და რუსეთი ფაქტობრივად, დაეთანხმნენ საქართველოს პრეზიდენტის სამშვიდობო გეგმას, ცხინვალის რეგიონისთვის ფართო ავტონომიური სტატუსის მინიჭების თაობაზე. შესაძლებელია, ისინი რეალობას მოწყვეტილს უწოდებენ ჩვენს გეგმას, მაგრამ კიდევ 30 წელი ლოდინს არ ვაპირებთ. მათ განცხადებას ყურადღება არ უნდა მივაქციოთ. ყველასთვის ცნობილია, რომ სეპარატისტების სული და გული — მოსკოვია. აქედან გამომდინარე, მოსკოვი ყოველთვის ორმაგ თამაშს თამაშობს. რაოდენ მწვავე რეაქციებიც არ უნდა იყოს, ჩვენ ვეცდებით პრეზიდენტის სამშვიდობო გეგმის რეალიზაციას. როცა გეგმას იწონებს მთელი საერთაშორისო საზოგადოება, დასავლეთის ქვეყნები და კონფლიქტის მოგვარების საქმეში საქართველოს დახმარებას ამერიკის შეერთებული შტატები ჰპირდება, სეპარატისტების დაჟინებულ უარს და კვირაში ოცდაათჯერ მოსკოვში სირბილს აზრი არ აქვს. პარლამენტის დადგენილების თანახმად, რუსი სამშვიდობოებიც დატოვებენ კონფლიქტის ზონას, თუ თავიანთ ფუნქციას არ შეასრულებენ. ასე რომ, სეპარატისტებს არჩევანის გაკეთება არ უნდა გაუჭირდეთ. ■

პანამაში ჯორჯ ბუშს სტუდენტები მხურვალედ ეგებებიან...

სულ ცოტა, 3 პოლიციელი დაშავდა სტუდენტებთან შეტაკებისას, რომლებიც ქვეყანაში აშშ-ის პრეზიდენტის დაგეგმილ ვიზიტს აპროტესტებენ. პანამის უნივერსიტეტის სტუდენტებმა დედაქალაქის რამდენიმე ქუჩა გადაკეტეს და ხელისუფლებამ წესრიგის აღსადგენად, პოლიციის სპეციალურ ქვედანაყოფებს უხმო. მანიფესტანტებმა სამართალდამცველებს ქვები დაუშინეს, რის შედეგადაც, 3-მა მათგანმა დაზიანებები მიიღო. საინტერესოა, რომ სტუდენტებს შორის, დაშავებულები არ არიან. პასუხს კითხვაზე — თუ რას აპროტესტებდნენ ახალგაზრდები? — პანამის მთავრობის მეთაურმა თავი აარიდა. „არსებობს დელიკატური თემები, ამიტომ დეტალების გამომზეურებისგან თავს შევიკავებ“, — მრავალმნიშვნელოვნად თქვა მან. ■

რა სიახლეებს გეგმავს განათლების სამინისტრო

— ეროვნული გამოცდების ჩატარების წესებში ცვლილებები შედის. რა სიახლისთვის უნდა მოემზადონ აბიტურიენტები?

მაია მიმინოშვილი, *გამოცდებისა და შეფასების ერთიანი ეროვნული ცენტრი:*

— ყველაზე მნიშვნელოვანი ის გახლავთ, რომ აბიტურიენტს, ნაცვლად 5 სავარაუდო სპეციალობისა და უმაღლესი სასწავლებლის შერჩევისა, საშუალება მიეცემა, 7 ფაკულტეტი და შესაბამისად, 7 უმაღლესი სასწავლებელი შეარჩიოს. აგრეთვე მარტივდება რეგისტრაციის პროცესი. აბიტურიენტები, ნაცვლად სარეგისტრაციო პუნქტებისა, რეგისტრაციას თავ-თავიანთ სკოლებში გაივლიან, ხოლო ისინი, ვისაც სკოლა უკვე დამთავრებული აქვს, რაიონის ერთ-ერთ სასწავლებელში დარეგისტრირდებიან. თითოეულ სკოლაში დაინიშნება რეგისტრაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირი. როგორც წლეულს, გაისადაც სავალდებულო გამოცდები იქნება: ქართული ენა და ლიტერატურა, უცხო ენა და ზოგადი უნარები. რაც შეეხება არჩევით გამოცდებს, ამ შემთხვევაში, აბიტურიენტებს შეეძლებათ, არჩევანი ისტორიას, საზოგადოებრივ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებსა და მათემატიკაზე შეაჩერონ. ტესტირებით გაიმართება, როგორც სავალდებულო, აგრეთვე არჩევითი გამოცდები. საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში კი იგულისხმება: ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია. რაც შეეხება საზოგადოებრივ მეცნიერებებს — ის გააერთიანებს ზოგიერთ საკითხს სამოქალაქო განათლებიდან, მაგალითად — საქართველოს საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება. რაც შეეხება სახელმწიფო გრანტს, ის არ გადაეცემათ იმ აბიტურიენტებს, რომლებიც ვერ გადალახავენ მინიმალური კომპეტენციის ზღვარს ან არ გამოცხადდებიან მათ მიერვე არჩეულ რომელიმე გამოცდაზე. ■

„სადაც კი ინვესტორი მივიდა, ყველგან უკეთაა საქმე“

— როგორც ამბობენ, ეკონომიკის მინისტრი წინანდლის მუზეუმის გასხვისებას შეეწირება. რატომ ფიქრობთ, რომ კულტურულ მემკვიდრეობას სახელმწიფოზე უკეთ ინვესტორი მოუვლის?

ირაკლი ჩოგოვაძე, *ეკონომიკის მინისტრი:*

— საწარმოთა მართვის სააგენტოში მუზეუმის თანამშრომელთა უამრავი წერილია, სადაც ისინი შველას ითხოვენ. იქ არანაირი შემოსავალი არ არის, ბილეთების საფასური ხარჯებს ვერ ფარავს და მუზეუმს ვერ ინახავს. მთელი ეს ტერიტორია ინგრევა და თავზე გვექცევა. სახელმწიფო დოტაციაზე შეგვიძლია დავსვათ ჭავჭავაძეების სახლ-მუზეუმი, გამოვყოთ ბიუჯეტიდან თანხები და დავნიშნოთ დირექტორი, რომელიც ამ ფულს ან სწორად განკარგავს, ან ჯიბეში ჩაიდებს. რატომ უნდა ავირჩიოთ პრობლემების გადაჭრის ეს გზა, როდესაც შესაძლებელია, იქ კერძო ინვესტიცია განხორციელდეს?.. ჩვენმა საზოგადოებამ უკვე დაინახა, რომ სადაც კერძო ინვესტორი მივიდა, ყველგან უკეთაა საქმე, რასაც ვერ ვიტყვით იმ დაწესებულებებზე რომლებიც სახელმწიფო დოტაციაზეა. ძალიან გვინდა, ეს ადგილი გახდეს ელიტური ცენტრი, ჩავიდნენ ტურისტები, ჩატარდეს ბიზნესკონფერენციები. დამთვალიერებლებიც კმაყოფილები იქნებიან და თანამშრომლებსაც ნორმალური ხელფასები დაენიშნებათ. კულტურის სამინისტროს მონაწილეობის გარეშე ჩვენ ერთ ნაბიჯსაც არ გადავდგამთ. კარგად მესმის, რომ ეს არ არის ხელწამოსაკრავი თემა, თუ რაიმე არასწორად გაკეთდება, დარწმუნებული ვარ, ჩემი პასუხისმგებლობის საკითხიც დადგება. მაგრამ ჩემს ოპონენტებს ამის თქმის იოტისოდენა საფუძველიც არ გააჩნიათ. ჩვენ გვინდა, მუზეუმი გადავარჩინოთ. ■

მოამზადა ხათუნა მაღრაძემ

ჭრელი მსოფლიო

ქვის ბიბლიოთეკა ზღვის ფსკერზე

უნიკალური არქეოლოგიური ნადავლი ამოიღეს აზოვის ზღვის ფსკერიდან — იმ ადგილას, სადაც ჩვ.წ.აღ-მდე V საუკუნეში უძველესი ქალაქი ფანაგორია მდებარეობდა. მარმარილოს ფილების ბიბლიოთეკა მეცნიერებს სენსაციურ აღმოჩენებს უქადის. ერთ-ერთ ფილაზე აღმოჩენილი წარწერა ისტორიკოს პლუტარქეს ტექსტს წარმოადგენს. ანტიკური მარმარილოს წყალობით, ხელმისაწვდომი ხდება ბოსპორის სამეფოს მატიანე, რომლის ორი დედაქალაქიდან ერთ-ერთი უბრწყინვალესი, სწორედ ფანაგორია გახლდათ. შემდეგ, ყველაფერი წყალმა დაფარა. წყლის დინება თურმე, საუკუნეების მანძილზე გრძელდებოდა. დღე და ღამე, ქალაქის მცხოვრებნი სანაპიროსთან მარმარილოს ლოდებს ეზიდებოდნენ, რათა ნაპირი გაემაგრებინათ. მაგრამ ამან ფანაგორია ვერ გადაარჩინა. ■

დავით ზურაბიშვილი:
ხელისუფლება თავად აიძულებს ოპოზიციას, გაერთიანდეს მის წინააღმდეგ

მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა ოპოზიციას უნიათო, არაკონსტრუქციული და უმწიფარი უწოდა, თითქოს ამ ბრალდების გასაბათილებლად, პარლამენტში ახალი ოპოზიციური გაერთიანება შეიქმნა — რესპუბლიკელებმა, კონსერვატორებმა და რამდენიმე ყოფილმა ნაციონალმა ხელისუფლებას დემოკრატიული ფრონტი „გაუხსნა“. ერთ დროს ყველანი, ვარდებით ხელში რევოლუციის გამარჯვებას ზეიმობდნენ, თუმცა, მათი „თანაცხოვრების“ სიამტკბილობამ დიდხანს არ გასტანა, დღეს განდგომილები ახალი ლოზუნგით გამოდიან და ხელისუფლების „შევარდნაძის ნარჩენებისაგან“ გაწმენდისთვის იბრძვიან. თან გვარწმუნებენ, რომ ამ ბრძოლაში კონსტრუქციულობას არ უღალატებენ და პირველად საქართველოს ისტორიაში, ხელისუფლებას მშვიდობიანი გზით შეცვლიან. „გზის“ სტუმარია ყოფილი ნაციონალი, ამჟამად კი ოპოზიციური გაერთიანების საპარლამენტო ფრაქციის თავმჯდომარე დავით ზურაბიშვილი.

ნანა ფიცხელაური

— საქართველოს ხელისუფლება კრიზისს განიცდის. ეს მოსალოდნელიც იყო, ვინაიდან პრეზიდენტი, აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელი, ფაქტობრივად, აღარ არის — ის ან ქვეყნის საზღვრებს გარეთაა გასული მივლინებით, ან რთველშია, ან საზეიმო ღონისძიებების გამართვას და ცეკვა-თამაშს უნდება. სახელისუფლებო კრიზისი უფრო ადრე დაიწყო, ვიდრე მოსალოდნელი იყო. სააკაშვილის გუნდის რეიტინგი კატასტროფულად ეცემა. ასეთი ვარდნა თვით შევარდნაძესაც არ ჰქონია.

— შეგიძლიათ თქვათ თუ არა, რომ ხელისუფლებაში ადგილი აქვს კლანურ დაპირისპირებასაც?

— ისევე, როგორც შევარდნაძის დროს, მთავრობაში ახლაც არსებობს კლანები, დაჯგუფებები, მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც ვერც ერთ დაჯგუფებაში ვერ მოხვდნენ. ამის მაგალითია სალომე ზურაბიშვილი, რომელიც გამოეთიშა კიდეც ხელისუფლების შემადგენლობას. არის კიდევ რამდენიმე, რომელიც მის ბედს გაიზიარებს. აღმასრულებელ ორგანოში ხალიჩის ქვეშ ბულდოგების ბრძოლა მიმდინარეობს. ის არ ჩანს, ვიდრე იქიდან მკვდარ ბულდოგს არ გამოიტანენ. დღეს თუ ოქრუაშვილის, მერაბიშვილის, ბოკერიას ან კემულარიას ჯგუფში ანუ გავლენიან ჯგუფში არ ხარ, სალომე ზურაბიშვილის ბედს გაიზიარებ.

— პრეზიდენტი ოპოზიციას ხან უნიათოს უწოდებს, ხან — უმწიფარ პრიმიტივს. გამოდის, რომ ხელისუფლებას კონსტრუქციული და კონკურენტუნარიანი ოპოზიცია არ ჰყავს.

— კონსტრუქციულობაში ისინი სხვა რამეს გულისხმობენ. ვინ უმწიფარია და ვინ — გარდატეხის ასაკში იმყოფება, ყველა ხედავს და თუ ვერ ხედავს, მალე დაინახავს. გავიგეთ, ბატონო, რა კარგია პატრული, გზის დაგება, მაგრამ ეს ხელისუფლების ელემენტარული მოვალეობაა და ამის გამო ყოველდღე აღტაცება არ უნდა გამოვთქვათ. სხვა ისეთი რა კეთდება, რომ გავგიჟდეთ? პატრულის გარდა, ფაქტობრივად, არც ერთი ინსტიტუციონალური სტრუქტურა არ შექმნილა. ჩვენ თვითონ ვიყავით ვარდების რევოლუციის მონაწილენი, მაგრამ დავინახეთ, რომ სააკაშვილმა პრინციპებს უღალატა. არა მგონია, დღეს შადრევანი, პირველი ხარისხის პრობლემა იყოს. სულ რაღაც წელიწად-ნახევარში გაჩნდა სერიოზული პრობლემები, უთანხმოებები მთავრობაში და რაც დრო გავა, უფრო გაღრმავდება. ამბობენ, გაბერილი შტატები შევამცირეთო — არადა, ისინი ახალი პარტიული კადრებით შეიცვალა. ოპოზიციაში ყოფნა ჩვენი თვითმიზანი როდია. ხელისუფლება ისეთ არასწორ ნაბიჯებს დგამს, თავად აიძულებს ოპოზიციას, გაერთიანდეს მის წინააღმდეგ და დაამტკიცოს მისი უნიათობა.

— გასაგებია, თქვენი საბოლოო მიზანია, ხელისუფლებას სერიოზული პრობლემები შეუქმნათ და ჩაანაცვლოთ მას. გაგვიმხილეთ, როგორ აპირებთ ამის მიღწევას?

— პირველ რიგში, რა თქმა უნდა, ხალხის მხარდაჭერის იმედი გვაქვს. დღეს საზოგადოება იმედგაცრუებულია ვარდების რევოლუციით — ჩივიან, იქ რა გვინდოდაო?! როცა ადამიანი იმედგაცრუებულია, ის პასიური ხდება. ჩვენ ვცდილობთ, დროშა ძირს არ დავაგდოთ. თუ აქტიური იქნება საზოგადოება, ხელისუფლება იძულებული გახდება, მას ანგარიში გაუწიოს. რევოლუციამ, სამწუხაროდ, ფიასკო განიცადა. ის საკუთარი ძალაუფლებისათვის გამოიყენეს, თორემ, ხალხისთვის შედეგი არ მოუტანია. ჩვენ, ჩვიდმეტივე, რევოლუციიდან მოვდივართ, მაგრამ დღეს ოპოზიციაში აღმოვჩნდით. ხელისუფლების ჩანაცვლება სხვა ოპოზიციურ ძალებთან ერთობლივი მოქმედებით იქნება შესაძლებელი. ხელისუფლების ცვლა სერიოზულ რყევებს იწვევს და ამას ცალკე ვერავინ მოახერხებს. დღეს სახელმწიფო სტრუქტურა უვიცი ხალხითაა გადატენილი. მათ ეშლებათ ყველაზე ელემენტარულიც კი: მაგალითად ის, რომ სუფრასთან უნდა ჭამდე და არა — იფურთხებოდე...

— მაინც რა მეთოდებით აპირებთ ხელისუფლების შეცვლას?

— ამას მეთოდები და ხერხები არ სჭირდება. მთავარია, იყო კარგად ორგანიზებული, აწარმოო პატიოსანი პოლიტიკა და ობიექტურად აკრიტიკო ხელისუფლება. ხელისუფლებას ჩვენ მშვიდობიანად შევცვლით — არა პუტჩის და რევოლუციის, არამედ არჩევნების გზით. წელიწად-ნახევარში, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ჩატარდება და თუ მასაც ისევ გააყალბებენ, ეს მათთვის ცუდად დამთავრდება. აშკარაა, რომ ამ ხელისუფლების რეიტინგი ძალიან დაბალია და თუ ასე გაგრძელდა, მომავალ არჩევნებამდე ის ნულის ტოლი იქნება.

— ეი. დარწმუნებული ხართ, რომ თქვენი ლოზუნგი — „საქართველო შევარდნაძის ნარჩენების გარეშე“ უეჭველად გაამართლებს...

— ეს ხელისუფლება, შევარდნაძის ხელისუფლების მსგავსად, იმავე წესებით თამაშობს. სააკაშვილი აშკარად იმეორებს წინამორბედის მეთოდებს, ნაცმოძრაობა კი — მოქკავშირივით იქცევა. ესენი წინასწარ წყვეტენ, როგორ უნდა მოიქცეს საპარლამენტო უმრავლესობა. ვითომ ეკონომიკურ პრობლემებს აგვარებენ, სინამდვილეში, პირადი გამიდიდრების გზების ძიებაში ათენ-აღამებენ. ახლაც ისევ ისე ხდება ბიზნესმენთა წილებში ჩაჯდომა და ფულის „შეწერა“, როგორც მაშინ. სწორედ ამიტომ ვთვლით, რომ საქართველო უნდა გაიწმინდოს შევარდნაძის ნარჩენებისგან და როგორც პირველ შემთხვევაში დარჩა საქართველო შევარდნაძის გარეშე, ამ შემთხვევაშიც, დარწმუნებული ვართ, ეს ლოზუნგი გაამართლებს.

■

საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი, სალომე ზურაბიშვილი, მიუხედავად იმისა, რომ მას მინისტრობის მძიმე ტვირთი, საპარლამენტო უმრავლესობის ინიციატივით, პრეზიდენტმა მსუბუქად ჩამოხსნა, დასვენებისთვის ჯერ მაინც ვერიცლის. სადღეისოდ მისი მთავარი ამოცანა, საზოგადოებრივი მოძრაობის შექმნაა. ამისთვის ძალები უკვე მობილიზებულია. შეირჩა სახელწოდებაც — „სალომე ზურაბიშვილის მოძრაობა“. საინტერესოა, სამომავლოდ რა სტატუსით იარსებებს და რას გააკეთებს სამშობლოსთვის ნიკო ნიკოლაძისა და ივანე ზურაბიშვილის შთამომავალი? მისი თქმით, ახალი საზოგადოება ქვეყანაში დემოკრატიის ხარისხს გააუმჯობესებს...

საპარლამენტო უმრავლესობის განცხადება, თანამდებობიდან მისი გათავისუფლების მოთხოვნის შესახებ, სალომე ზურაბიშვილისთვის მოულოდნელი იყო. დღეს იგი ხელისუფლების მიერ გამოთქმულ ბრალდებებსა და „ქათინაურებზე“ აღარ ლაპარაკობს და კიდევ ერთხელ ამბობს, რომ ქაჯების დრო წარსულს უნდა ჩაჰბარდეს. სამაგიეროდ, ხელისუფლებასთან თავისი „ანგარიშები აქვს გასასწორებელი“ მის მეუღლეს, ჯანრი კაშიას. ის მიიჩნევს, რომ თითოეულმა ადამიანმა სხვისი მისამართით გამოთქმულ ბრალდებაზე პასუხი უნდა აგოს...

ილუზიები, იდეალები და... ქაჯები

სტრატეგია არსებობს, ტაქტიკა — დასახგეწია

თამარ როსტიაშვილი

სალომე ზურაბიშვილი:

— ამჟამად ძალზე დაკავებული ვარ. ყოველი წუთი და წამი გათვლილი მაქვს.,მაგრამ შინაგანად უკვე თავისუფალი ვარ. სანამ თანამდებობიდან გამათავისუფლებდნენ, ბოლო პერიოდი ჩემთვის ძალიან დაძაბული იყო. ვგრძნობდი, თუ როგორ იყო განწყობილი ჩემდამი საპარლამენტო უმრავლესობა. მინისტრობის ბოლო პერიოდში, ჩემთვის უფრო მძიმე და რთული ის იყო, რომ ნებისმიერი ჩემი შეცდომა შეიძლებოდა, აგრესიულად განწყობილ ძალებს ჩემს საწინააღმდეგოდ გამოეყენებინათ. ნათლად ვხედავ, თუ დღეს რა უნდა გავაკეთო და სამომავლოდ რა მაქვს გასაკეთებელი.

— რამდენად მოულოდნელი აღმოჩნდა თქვენთვის საპარლამენტო უმრავლესობის თქვენდამი ასეთი დამოკიდებულება?

— პარლამენტის ამგვარი დამოკიდებულება ჩემდამი, ნამდვილად მოულოდნელი იყო. საქართველოში ილუზიებით, იდეალებით და ნათელი მომავლის პერსპექტივით ჩამოვედი. ვფიქრობდი, რომ მექნებოდა აბსოლუტური პირობა იმისა, რომ ჩემი ცოდნის რეალიზება მომეხდინა. ზოგიერთი პიროვნება იმასაც ამბობს, სალომე პროფესიონალი მინისტრი არ ყოფილაო. მათ არც კი იციან, რომ პროფესიონალი მინისტრი არ არსებობს — მინისტრი არის ადამიანი, რომელიც იღებს გადაწყვეტილებებს და პოლიტიკურად ხედავს იმას, რაც გასაკეთებელია. ბოლო დროს, ჩემ გარშემო განვითარებული მოვლენები აღმაშფოთებელიც კი იყო. ვფიქრობ, რომ ეს უკვე წარსულს ჩაჰბარდა და ამაზე აღარ მინდა ვიფიქრო. მომავალში, რომელიმე ისტორიკოსს თუ დაინტერესებს, შეუძლია, ჩაუღრმავდეს, თუ როგორი ურთიერთობა არსებობდა ჩემსა და საპარლამენტო უმრავლესობას შორის, რას წარმოადგენს ყბადაღებული, ელჩების თემა და ა.შ. ის, რაც მხოლოდ წარსულს უკავშირდება, მიმაჩნია, რომ არც მოსახლეობისთვის არის საინტერესო. ჭორების, შეურაცხყოფის და პირად ურთიერთობებში ცხვირის ჩაყოფის დრო წარსულს უნდა მივაბაროთ. დროა, ავირჩიოთ იმ სტილის საზოგადოება, სადაც ყველა ნებისმიერ ადამიანს თავის სახლში არ მიიღებს, ხელს არ ჩამოართმევს, ზუსტად ეცოდინება, ვინ უნდა აირჩიოს მეგობრად, ნაცნობად და ა.შ. ჯობს, ვიფიქროთ იმაზე, სამომავლოდ თუ რა არის გასაკეთებელი.

— თქვენს ერთ დაძახებაზე, იპოდრომზე ათასობით ადამიანმა მოიყარა თავი. როგორ ფიქრობთ — ისინი თქვენი მხარდამჭერები არიან თუ ხელისუფლების მიმართ ნეგატიურად განწყობილი ადამიანები?

— ის ადამიანები, რომლებმაც იპოდრომზე მოიყარეს თავი, რევოლუციის შემდეგ, ხელისუფლებაზე დიდ იმედებს ამყარებდნენ და ამჟამად, გულგატეხილნი არიან. ისინი ხედავენ, რომ ის მიმართულება, რომელიც ხელისუფლებამ მოსვლის პირველ დღეებში აირჩია, უნდა შენარჩუნდეს და სხვა მიმართულებით არ უნდა წავიდნენ. როგორც მე, აგრეთვე იპოდრომზე შეკრებილ საზოგადოების ნაწილს მიგვაჩნია, რომ აუცილებელია, დემოკრატიის ხაზი უფრო გაძლიერდეს.

— საზოგადოებრივი მოძრაობის შექმნის ინიციატივით გამოხვედით. თუ გაქვთ შემუშავებული სამოქმედო გეგმა?

— საზოგადოებრივი მოძრაობა თითქმის ჩამოყალიბებულია. რაც შეეხება სამოქმედო გეგმას — ძირითადი პრინციპები შემუშავებულია, თუმცა, გარკვეულ დახვეწას მოითხოვს. საზოგადოებრივი მოძრაობა არც ერთი პოლიტიკური პარტიისა თუ ორგანიზაციის მსგავსი არ იქნება. მოძრაობა იქნება სრულიად გაშლილი და დეკონცენტრირებული. ნურავინ ელის იმას, რომ მე ვიქნები მოძრაობის ისეთი პრეზიდენტი, რომელიც შექმნის ორგანიზაციის ფილიალებს, გასცემს ბრძანებებსა თუ დავალებებს. ასეთი, საბჭოური ტიპის ორგანიზაციის არსებობის წინააღმდეგი ვარ. გვექნება ოფისი, სადაც ერთმანეთს აზრებს გავუზიარებთ. ის არავითარ შემთხვევაში არ გახდება ცენტრი, საიდანაც ვმართავთ შემდგომში დარგობრივ კომიტეტებს თუ ორგანიზაციებს. მსგავსი საბჭოური გადმონაშთების არსებობა, საზოგადოებრივი მოძრაობის შექმნის მიზანი არ არის. თუ რაიმე ვერ შევძელი სამინისტროში, ეს იყო ის, რომ სამინისტროს ქვედა რგოლებში ინიციატივა და პასუხისმგებლობა ვერ გავაძლიერე. არავის ვეტყვი, რომ ჩემი მოძრაობის ოფიციალური წარმომადგენელია. ნებისმიერ მოქალაქეს, ვისაც დასჭირდება საზოგადოებრივი მოძრაობის მხარდაჭერა, შეეძლება, აიღოს საკუთარ თავზე პასუხისმგებლობა და გააკეთოს ის, რაც მისი აზრით, აუცილებლად გასაკეთებელია. საინტერესო ინიციატივებს აუცილებლად გამოვეხმაურებით და დახმარებას გავუწევთ.

— მოძრაობის მხრიდან ცალკეული პიროვნებებისა თუ ჯგუფების მხარდაჭერა რაში გამოიხატება? მათ მიერ შემოთავაზებულ პროექტებს ლობირებას გაუწევთ?

— ვისაც სურს, რომ რაიმე გააკეთოს, დაწეროს და დაასაბუთოს, რომ ეს ქვეყ-

„ჯეო-სრტმ“ გამარჯვებულები გამოვავლინა

ერთი თვის წინ, კომპანია „ჯეოსელმა“ საზოგადოებას ახალი პროექტი — „ჯეო-არტი“ შესთავაზა. პირველიდან 25 ოქტომბრამდე, „ჯეოსელის“ აბონენტებს შესაძლებლობა ჰქონდათ, გამოეგზავნათ სურათები ნომერზე 555. გამოცხადებული იყო სამი ნომინაცია: „ნეტა გენახა“, „ოცნა“, და „პაპარაცი“. სულ კონკურსში 4000-მა აბონენტმა მიიღო მონაწილეობა. 30 ოქტომბერს, „ჯეოსელმა“, ჟიურის დახმარებით, მხოლოდ 30 გამარჯვებული გამოავლინა. აღსანიშნავია, რომ თითოეულ ნომინაციას ჰყავდა

10 გამარჯვებული. თითოეული ნომინაციის პირველ ადგილზე გასულები კომპანიამ „ნოკიას“ ფირმის ტელეფონებით დაჯილდოვა. მეორე ადგილზე გასულებს „ნოკია მინოლტას“ ფირმის ციფრული კამერები გადასცეს, ხოლო მესამე ადგილზე გასულები დასაჩუქრდნენ კინოთეატრ „ამირანის“ წლიური საშვით ორ კაცზე. ნომინაციის — „ნეტა გენახა“ — მესამე პრიზიორი გახდა გიორგი მიქაბერიძე, რომლის ფოტოც სნოუბორდის თემაზე იყო; როგორც ჟიურის ერთ-ერთმა წევრმა, გიკო დადიანმა აღნიშნა, ის თავადაც არის სნოუბორდით გატაცებული და იცის, თუ რაოდენ რთულია ამ თემაზე ფოტოს გადაღება, სასურველი კადრის დაჭერა. „ნეტა გენახას“ მეორე პრიზიორი გახდა ალექსანდრე კუჭავა, ხოლო პირველი ადგილი ამ ნომინაციაში დაიკავა გიორგი კაპანაძემ, რომლის ფოტომაც დამსწრე საზოგადოებაც კი აალაპარაკა. როგორც გიორგიმ განმარტა, ეს ფოტო შემთხვევით გადაიღო კახეთის გზატკეცილზე; სურათზე ასახულია, თუ როგორ გადაჰყავთ „მოსკვიჩით“ ორი ძროხა და პირუტყვს ავტომობილის ფანჯრიდან თავი აქვს გადმოყოფილი. როგორც ჟიურის წევრებმა ამ ფოტოს კომენტირებისას აღნიშნეს: ასეთი სურათის გადაღებას ყველა პროფესიონალი ფოტოგრაფი ინატრებდა. აქვე მინდა გითხრათ, რომ მეოთხიდან მეათე ადგილამდე გასულ მონაწილეებს „ჯეოსელმა“ 50 და 100-ლარიანი სასაუბრო ბარათები გადასცა. როგორც „ჯეოსელის“ მესვეურებმა გვითხრეს, ყველაზე მეტი ფოტო კონკურსანტებმა გამოგზავნეს ნომინაციისთვის — „ოცნა“. საუკეთესო შეფასება დაიმსახურა სოსო აბუაშვილმა ფოტოსთვის, რომელზეც ასახულია ორი მოზრდილი ლოკოკინას „ოცნის“ ფაქტი. მესამე ნომინაციაში — „პაპარაცი“ მესამე პრიზიორი გახდა გიორგი წამალაშვილი, რომელიც სოფელ ნატახტართან შემთხვევით შეესწრო საპატრულო პოლიციის მიერ დამნაშავის დაკავების ფაქტს და ეს მოვლენა საკუთარი ტელეფონით გადაიღო. დაჯილდოებაზე მყოფი საზოგადოება ღიმილით შეხვდა ეკრანზე „პაპარაცის“ მეორე ადგილზე გასული ფოტოს გამოჩენას. როგორც ამ სურათის ავტორმა, მარიამ გელაშვილმა აღნიშნა, მან გადაიღო ახლობელი მამაკაცი, რომელიც პაპანაქება სიცხეში გასაგრილებლად, ტანის ნახევრით საბავშვო აბაზანაში, ხოლო მეორე ნახევრით — წყლით სავსე ტაშტში ჩაწოლილიყო. „პაპარაცის“ პირველი პრიზიორი გახდა თათა გალოგრე, რომელმაც გადაიღო საკუთარი მასწავლებელი, რომელიც სკამზე შემდგარი ცდილობდა, დაფას მისწვდომოდა. „ჯეოსელის“ მესვეურებმა ყველაზე გაბედული ფოტოს ავტორიც დაასახელეს და მას კინოთეატრ „ამირანის“ წლიური საშვი გადასცეს, თუმცა იმის მიუხედავად, რომ ეს ფოტო დარბაზში სხვა ფოტოებს შორის იყო გამოფენილი, მისი გამოაშკარავებისგან თავი შეიკავეს.

გია ჩხატარაშვილი, „ჯეო-არტის“ კონკურსის ჟიურის წევრი:

— საკმაოდ კარგ და კომფორტულ პირობებში გვიხდებოდა ფოტოების გადარჩევა. საკონკურსო ფოტოების ნახვა საკმაოდ მაღალხარისხიან ეკრანზე გვიხდებოდა, რაც საუკეთესო გამოსახულების მიღების შესაძლებლობას იძლეოდა.

— რამდენი ხანი დაგჭირდათ გადაწყვეტილების მისაღებად?

— ფოტოების გადარჩევა დილის 10 საათზე დავიწყეთ და სადილისთვის გადაწყვეტილება უკვე მიღებული გვქონდა.

— როგორ ფიქრობთ, რამდენად ობიექტური იყო ჟიური?

— ჟიურის წევრებს შორის ნამდვილი პროფესიონალები იყვნენ, ამიტომ მიკერძოებას ადგილი არ ჰქონია.

— ვფიქრობ, ამ კონკურსმა კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმას, რომ ქართველები იუმორით დაჯილდოებული ხალხია, არა?

— იუმორის გრძნობაც გვაქვს და ჩანს, რომ ეს ადამიანები გამოკვეთილ სიუჟეტებს აფიქსირებენ. ძალიან სახასიათო ფოტოა, როდესაც ძროხები გადაჰყავთ მსუბუქი ავტომობილით ან როდესაც ძაღლსა და კატას ერთად სძინავთ. საერთოდ, კონკურსისთვის ნომინაციები ისეთ თემებზე იყო გამოცხადებული, რომლებიც იზიდავს ფოტომოყვარულებს. ბევრი კადრი ისეთი კომპოზიციით გამოირჩეოდა, რომელიც ბევრ პროფესიონალს შეშურდებოდა — მაგალითად, მასწავლებელი, რომელიც სკამზე შემდგარი წერს დაფაზე.

დათო მიზანდარი, კომპანია „ჯეოსელის“ წარმომადგენელი:

— ამ პროექტმა ნამდვილად გაამართლა ჩვენი მოლოდინი, რადგან 25 დღეში 4000-მდე ფოტო მივიღეთ. ფოტოგრაფიის ამ სახეობას ეწოდება მობილოგრაფია. იგი ნელ-ნელა იკიდებს ფეხს საქართველოში. ეს კონკურსი ჩვენთვის საცდელი პროექტი გახლდათ. მომავალში კიდევ გამოვაცხადებთ კონკურსს, გვექნება ახალი ნომინაციები და „ჯეოსელის“ აბონენტებს პრიზების მოგების კიდევ ერთი შანსი მიეცემათ.

■



ნისთვის მნიშვნელოვანი და აუცილებელია. მოგვმართოს და აგვიხსნას, მოძრაობის მხარდაჭერა რაში სჭირდება. განვიხილავთ მის მიერ შემოთავაზებულ წინადადებას, პროექტს და მის განხორციელებაში დავეხმარებით. საზოგადოებრივი მოძრაობა დაეხმარება ყველა ფენისა და პროფესიის ადამიანს, ვისაც კი ნებისმიერი სასიკეთო საქმის გაკეთება სურს.

— აპირებთ თუ არა რაიმე ფორმით ხელისუფლებასთან ურთიერთობას?

— რასაკვირველია. რადგან ინიციატორს რომელიმე საქმის ან პროექტის განსახორციელებლად შესაძლოა, ხელისუფლების დახმარებაც დასჭირდეს. მაგალითად, არსებობს კანონი, რომელიც საზოგადოების ინტერესს ნათლად არ ასახავს და დასახვეწია. ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია, წარმოადგინოს დასაბუთება, თუ რამდენად შესაცვლელია ესა თუ ის კანონი. თუ მივიჩნევთ, რომ მას სათანადო არგუმენტაცია აქვს, დავეხმარებით და კონკრეტულ კანონთან დაკავშირებით მივაწვდენთ ხმას მთავრობას თუ პარლამენტს. დემოკრატიის ხარისხის გასაუმჯობესებლად, აუცილებელია, არსებობდეს საზოგადოება, რომელიც ხელისუფლებას გააკონტროლებს და არა — პირიქით. ხელისუფლებას ჰგონია, რომ პარლამენტისა და მთავრობის თამაში, დემოკრატიაა. ვფიქრობ, რომ მთავარია, საზოგადოებისა და ხელისუფლების ურთიერთობა. გვსურს, მოსახლეობამ გაიგოს, თუ რისთვის და ვისთვის იქმნება საზოგადოებრივი მოძრაობა. მოძრაობა არ იქმნება ერთეულების ან თუნდაც ათეულების თუ ასეულების ინტერესების გათვალისწინებით. საზოგადოებრივ მოძრაობაში მთლიანად ქვეყნის მოსახლეობა უნდა ჩაებას. მოძრაობის მხარდაჭერა ნიშნავს იმას, რომ საზოგადოების ნებისმიერი წევრი დაინტერესდეს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებით, იმით, თუ რა არის გასაკეთებელი და როგორ უნდა გაკეთდეს. ამას „სადარბაზოების დემოკრატიას“ ვეძახი: ვერ დაალაგებ ქვეყანას, თუ ჯერ სადარბაზო ვერ დაალაგე კარგად. სადარბაზოს დალაგებას კი, მეზობლების ერთიანი ძალა და კეთილი ნება სჭირდება და არა სალომე ზურაბიშვილი. სადარბაზოს დალაგების შემდეგ, უბნის მოწყობაზე გადავალთ და ა.შ.

ვიმედოვნებთ, რომ ახალი წამოწყება პროდუქტიული იქნება

— რაგით მოქალაქეს შეეძლება თუ არა, საზოგადოებრივი მოძრაობის წევრი გახდეს?

— რა თქმა უნდა. სწორედ ეს არის მოძრაობის მიზანი — რომ ნებისმიერ მოქალაქეს საშუალება ჰქონდეს, საზოგადოებრივი მოძრაობის დახმარებით, საკუთარი თავის რეალიზება მოახდინოს. მოძრაობაში გაწევრება მოქალაქეს არავითარ უფლებას ან ვალდებულებას არ ანიჭებს. მოძრაობის წევრი რომ გახდე, საქმე აუცილებლად კარგად უნდა გააკეთო... ამგვარი მოძრაობა ქართველებისთვის ძალიან უცხო ხილია, რადგან მსგავსი მოძრაობა არ არსებობს და არც არსებობდა. ამდენად, რთულად გასაგებია, თუ რას ნიშნავს საზოგადოებრივი მოძრაობა და რა არის მისი მიზანი. ვფიქრობთ, რომ მასმედია დაგვეხმარება, საზოგადოების ნებისმიერ ფენამდე მივიდეს ინფორმაცია, თუ რატომ, რისთვის და ვისთვის იქმნება „სალომე ზურაბიშვილის მოძრაობა“. მოძრაობაში ჩაბმა ნებისმიერ ადამიანს შეუძლია.

— საზოგადოებრივი მოძრაობის ჩამოყალიბება პოლიტიკური პარტიის შექმნის წინაპირობა ხომ არ არის?

— არ გამოვრიცხავ, რომ მოძრაობა შემდგომში, პოლიტიკურ პარტიად ჩამოყალიბდეს. თუმცა, დღეს მიმაჩნია, რომ საზოგადოებრივი მოძრაობის ჩამოყალიბება პოლიტიკური პარტიის შექმნაზე მეტად მნიშვნელოვანია. ჯერჯერობით, დაზუსტებით ვერ გეტყვით, პოლიტიკურ პარტიას შევქმნი თუ არა. საზოგადოებრივ მოძრაობაში შემავალი ჯგუფები ეტაპობრივად გამართავენ დისკუსიებს სხვადასხვა თემაზე, თუ რა უნდა გაკეთდეს მეცნიერების, ტურიზმის, სოფლის მეურნეობის და ა.შ. განსავითარებლად. თუ ავიღებთ ე.წ. „მარშრუტკების“ პრობლემას, უნდა ვთქვათ: ეს არ იქნებოდა საზოგადოებისთვის უცნაური და აღმაშფოთებელი, წინასწარ რომ ჩამოყალიბებულიყო ერთიანი საზოგადოებრივი აზრი. ამდენად, საზოგადოების გააქტიურება დღეისათვის ძალზე მნიშვნელოვანია.

— თქვენ ვარაუდით, რამდენად პროდუქტიული იქნება საზოგადოებივი მოძრაობა?

— ეს მხოლოდ მოძრაობის დამფუძნებლებზე არ არის დამოკიდებული. საზოგადოებრივი მოძრაობის პროდუქტიულობა საზოგადოების თითოეული წევრის ინტერესებსა და მათ ინიციატივაზე არის დამოკიდებული. ვიმედოვნებთ, რომ ახალი წამოწყება პროდუქტიული იქნება. საზოგადოებრივი მოძრაობა სერიოზულ მუშაობას ერთ თვეში დაიწყებს. მანამდე, მოძრაობის სამოქმედო გეგმა და პრინციპები დაზუსტდება. თუ ის ძლიერი იქნება, ხელისუფლება იძულებული იქნება, გაითვალისწინოს საზოგადოების წევრების მოთხოვნა და მათ აზრს ანგარიში გაუწიოს, რადგან სწორედ ეს ადამიანები იქნებიან საპრეზიდენტო თუ საპარლამენტო არჩევნებში აქტიური ამომრჩევლები. უკვე ექნებათ იმის შეგრძნება, რომ ეს ქვეყანა მათია და არავის მისცემენ მისი დანგრევის უფლებას.

— საზოგადოებრივი მოძრაობის პროდუქტიულობა დაფინანსებაზეც არის დამოკიდებული. თანხების მოზიდვას უცხოური დონორი ორგანიზაციებიდან ხომ არ გეგმავთ?

— ჯერჯერობით, განსაკუთრებულად დიდი თანხა საჭირო არ არის. როდესაც უკვე გვექნება შემუშავებული ზუსტად, თუ რის გაკეთებას ვგეგმავთ და რა თანხა არის ამისთვის საჭირო, შემდეგ უკვე თანხების მოზიდვაზეც დავიწყებთ ფიქრს. ამაში ვფიქრობ, უმეტესად არასამთავრობო ორგანიზაციები დაგვეხმარებიან, აგრეთვე — საზღვარგარეთ მცხოვრები ქართველები, რომლებიც დაინტერესებული არიან საშობლოში ეკონომიკური მდგომარეობის გამოსწორებით, რათა დაბრუნდნენ და აქ იმუშაონ.

ვანრი კაშია:

— ჩვენი მიზანი ის გახლავთ, რომ საზოგადოება თვითონ იყოს შემოქმედი იმ პროგრამის, რომლითაც მოძრაობას სურს, იხელმძღვანელოს. ამ მოძრაობის მიზანია, ნებისმიერ ადამიანს დაეხმაროს ქვეყნის მოვლასა და განვითარებაში. საქართველოში დღეს, 184 პოლიტიკური პარტია და ამავე რაოდენობის ლოზუნგია. არც ერთ მათგანში დემოკრატია შინაარსობრივად არ დევს. გვსურს, რომ თავად ხალხმა შექმნას საზოგადოება. მოძრაობა გეგმავს, სიტყვა — „ჩვენ“ აღადგინოს, რისთვისაც 150 წლის წინ, ილია ჭავჭავაძე „ტიროდა“: დავივიწყოთ „მე“ და ხშირად ვიფიქროთ „ჩვენზე“.

— როგორ ფიქრობთ — ჩაებმება თუ არა საზოგადოებრივი მოძრაობის ფერხულში თავად საზოგადოება?

— ამაში დარწმუნებული ვარ, რადგან მიმაჩნია, რომ დღეს, სწორედ საზოგადოებრივი მოძრაობის გააქტიურების დრო მოვიდა. ჩვენ ვართ ქვეყანა, რომელიც ადგას დემოკრატიის გზას. აქედან გამომდინარე მიმაჩნია, რომ საქმე ერთად უნდა ვაკეთოდ. თუ ერთმანეთის მიმართ ყურადღებით არ ვიქნებით, ქვეყანას ვერ ავაშენებთ. ხელისუფლება კი ვალდებული იქნება, გაკეთოს ის, რასაც საზოგადოება ითხოვს. მოძრაობა არავის წინააღმდეგი არ არის. თუმცა მიმაჩნია, რომ ქვეყანაში უზრდელობის თარეში უნდა დამთავრდეს. ჩემთვის აღმაშფოთებელი იყო ის ბრალდებები, რომლებიც სალომეს მისამართით მოვისმინეთ. ზოგ-ზოგებთან ანგარიში მაქვს გასასწორებელი... თითოეულმა ადამიანმა სხვისი მისამართით გამოთქმული ბრალდებებისთვის პასუხი უნდა აგოს. ის არგუმენტაცია, რომელიც სალომეს მოსახსნელად გამოიყენეს, უბრალოდ, სასაცილოა. ვფიქრობთ, რომ ამისთვის სასამართლოს მივმართავთ. თუ ქართული სასამართლო მიკერძოებული იქნება, შემდეგ, ქვეყნის მასშტაბებს გავცდებით...

■

ვანო ზოდელავას ვაჟიშვილის გატაცების გვიან ცისფერი დანაშაული

მსჯავრდებულები და ადვოკატები ბანდის არსებობას უარყოფენ

თბილისში მოქმედი, შეიარაღებული და კარგად ორგანიზებული, ადამიანების გამტაცებელთა შვიდკაციანი ბანდა, როგორც მას სამართალდამცავები უწოდებენ, საბოლოო განაჩენს ელის. პროკურატურამ ჯგუფს არაერთ გახმაურებულ დანაშაულში დასდო ბრალი, მათ შორის — თბილისის ყოფილი მერის, ვანო ზოდელავას არასრულწლოვანი ვაჟიშვილის გატაცების მცდელობაშიც. სამართალდამცავთა თქმით, ჯგუფის წევრებს ზოდელავას შვილამდე ხელი არ მიუწვდათ, სამაგიეროდ, მისი მეგობრები გაიტაცეს და მათი თავისუფლების სანაცვლოდ, სოლიდური თანხა მოითხოვეს.

მეგი ცანავა

ამ დანაშაულის გარდა, საბრალდებო დასკვნაში დედა-შვილის — ელზა კაჭიურისა და მისი მცირეწლოვანი შვილის გატაცების ფაქტებიც ფიქსირდება. პროკურატურის ბრალდება თბილისის საოლქო სასამართლომ დაადასტურა და შვიდივე განსასჯელი დამნაშავედ ცნო. მათ საკმაოდ მკაცრი სასჯელი შეეფარდათ. განაჩენით უკმაყოფილო მსჯავრდებულებმა საჩივრით უზენაეს სასამართლოს მიმართეს. საქმეზე საბოლოო სიტყვას სისხლის სამართლის საკასაციო პალატა ამ დღეებში იტყვის.

მსჯავრდებულთაგან ერთ-ერთი, ქალბატონია. მაგრამ, როგორც საქმის მასალებშია აღნიშნული, ბანდის დანაშაულებრივი გეგმების განხორციელებაში სხვა პირებიც, მათ შორის, კიდევ ერთი ქალი მონაწილეობდა. მსჯავრდებულთა უმეტესობა, წარსულში არაერთგზის იყო ნასამართლევი. საბრალდებო დასკვნისა და განაჩენის მიხედვით, ბანდის ლიდერი — 1978 წელს დაბადებული, ხონელი გიგა ბალავაძე გახლდათ. სამართალდამცავთა თქმით, ჯგუფს ის ციხიდან ხელმძღვანელობდა. ოფიციალური მონაცემებით, ბალავაძე საშუალო განათლების, ცოლშვილიანი და წარსულში ოთხჯერ ნასამართლევი იყო. პირველად ის 1993 წელს, ხონის რაიონის სასამართლომ გაასამართლა და ერთი წელი მიუსაჯა. 1994 წელს, იმავე რაიონის სასამართლომ 152-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის ბალავაძეს 8 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდა. 1995 წელს, ციხეში ჩადენილი დანაშაულისთვის, ის თბილისის გლდანის რაიონის სასამართლომ გაასამართლა ექვსი სხვადასხვა მუხლით და 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. უზენაესი სასამართლოს მიერ 2003 წლის 10 ნოემბერს გამოტანილი განაჩენით, ბალავაძე შვიდი სხვადასხვა მუხლით ცნეს დამნაშავედ და 23 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდეს. ბოლოს, ის სასამართლოს წინაშე ადამიანების გატაცებისა და დანაშაულებრივი ჯგუფის ორგანიზების ბრალდებით წარდგა.

1970 წელს დაბადებული ზაზა წვერავა, ასევე ხონელი, ცოლშვილიანი, წარსულში სამჯერ იყო ნასამართლევი. 1986 წელს, ხონის რაიონის სასამართლომ 150-ე მუხლით ცნო დამნაშავედ და 2 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. 1993 წელს, იმავე რაიონის სასამართლომ 17/151-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის 6 წელი შეუფარდა, 1995 წელს კი, რუსთავის სასამართლომ სამი სხვადასხვა მუხლით ცნო დამნაშავედ და სასჯელის ზომად 8 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა. 1999 წლის პირველ ოქტომბერს, ის საქართველოს პრეზიდენტმა შეიწყალა, რის საფუძველზეც მოუხდელი სასჯელი გაუნახევრდა.

რაც შეეხება მესამე მსჯავრდებულს — თბილისელ, 1971 წელს დაბადებულ ვახტანგ ინაურს: ჯერ კიდევ 1990 წელს, ის ქარელის რაიონის შს განყოფილების თანამშრომლებმა 150-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის დააკავეს, მაგრამ იმავე წლის 17 დეკემბრის ამნისტიის საფუძველზე, სასამართლომ ის მოსალოდნელი სასჯელისგან გაათავისუფლა. 1995 წელს, თბილისის რეგიონის სამხედრო სასამართლომ ინაური 152-ე და 243-ე მუხლებით ცნო დამნაშავედ და სასჯელის ზომად 12 წლით თავისუფლების აღკვეთა განუსაზღვრა. 2003 წლის აგვისტოში, ინაური ციხიდან პირობით, ვადამდე გათავისუფლდა.

1976 წელს დაბადებული ზაზა კალატოზი, ასევე ხონელი, წარსულში სამჯერ იყო ნასამართლევი. 1993 წელს, ხონის რაიონულმა სასამართლომ 2 წელი მიუსაჯა, მეორედ, 2001 წლის აგვისტოში, თბილისის, მთაწმინდა-კრწანისის რაიონულმა სასამართლომ 177-ე მუხლით ცნო დამნაშავედ და ჯარიმა 300 ლარის ოდენობით შეუფარდა. მესამედ, 2002 წელს, მას თბილისის ისანი-სამგორის რაიონის სასამართლომ 177-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის 6 წელი მიუსაჯა. 2003 წლის დეკემბერში, სასჯელი პირობით, 2-წლიანი გამოსაცდელი ვადით შეეცვალა.

დანარჩენი მსჯავრდებულები — თბილისელი, 1970 წელს დაბადებული შოთა წითლანაძე, ხონელი, 1978 წელს დაბადებული მამუკა ჩიმაკაძე და 1967 წელს დაბადებული ირმა ტყეშელაშვილი ადრე ნასამართლევები არ ყოფილან. ტყეშელაშვილი ორი შვილის დედაა. წარმოშობით გალის რაიონის სოფელ პირველი გალიდან გახლავთ, დაკავებამდე კი, ქუთაისში ცხოვრობდა.

როგორც საქმის მასალებშია აღნიშნული, გიგა ბალავაძე ადამიანების გატაცების გეგმებს საპყრობილეში ადგენდა, შემდეგ, მობილური ტელეფონის საშუალებით უკავშირდებოდა გარეთ, თავისუფლებაზე მყოფ თანამზრახველებს, ფუნქციებს ანაწილებდა მათ შორის და გეგმის განხორციელებას ავალებდა. განაჩენის მიხედვით, 2003 წლის აპრილში, ბალავაძე ზუგდიდის №4 საპყრობილეში იყო მოთავსებული. სწორედ იქ გაიცნო ბრალდებული ალეკო გვილავა. მალე ბალავაძე, ჯანმრთელობის გაუარესების გამო, პატიმართა და მსჯავრდებულთა სამკურნალო დაწესებულებაში გადაიყვანეს. იქ ყოფნისას მან გადაწყვიტა, ალეკო გვილავას ოჯახის წევრებისთვის ფული გამოეძალა. მიზნის მისაღწევად შეადგინა გეგმა, რომლის თანახმადაც, მძევლად უნდა აეყვანა გვილავას მეუღლე ელზა კაჭიური და მისი მცირეწლოვანი ვაჟიშვილი. მათი გათავისუფლების პირობით, ბალავაძე აპირებდა, ეიძულებინა გვილავა, მისთვის 3 ათასი

განსასჯელები (მარცხნიდან): ვახტანგ ინაური, მამუკა ჩიმაკაძე, ზაზა წვერავა, შოთა წითლანაძე, ირმა ტყეშელაშვილი

დოლარი გადაეხადა.

განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, ბალავაძე მობილურით დაუკავშირდა თბილისში მცხოვრებ ნაცნობებს — შოთა წითლანაძესა და წარსულში ნასამართლევ ნინო საღარეიშვილს (თბილისის გლდანის რაიონის სასამართლომ 151-ე და 152-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულისთვის მას 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა, მაგრამ 1999 წელს, საღარეიშვილი პრეზიდენტმა შეიწყალა და შეფარდებული სასჯელი მას 4 წლითა და 6 თვით პირობითი სასჯელით შეეცვალა). საღარეიშვილს ბალავაძემ მძევლების მოსათავსებლად ბინის დაქირავება დაავალა. 2003 წლის 12 მაისს საღარეიშვილმა მითითება შეასრულა და ბინა ვარკეთილის მასივში დაიქირავა. ორი დღის შემდეგ, ბალავაძე კაჭიურს დაუკავშირდა და დაითანხმა, მისულიყო სამკურნალო დაწესებულებაში მის სანახავად. პარალელურად დაურეკა წითლანაძესა და საღარეიშვილს და უთხრა მათ, რომ კაჭიურს გენპროკურატურის მიმდებარე ტერიტორიაზე დახვედროდნენ. დანაშაულის ჩადენის გაადვილების მიზნით, ბალავაძე თავის ნაცნობს — დავით კალანდაძესაც დაუკავშირდა და მას მანქანით მომსახურება სთხოვა, თუმცა, ჩანაფიქრი მისთვის არ გაუმხელია. ბალავაძემ კალანდაძეს უთხრა, რომ საღარეიშვილი, წითლანაძე და კაჭიური, ბავშვთან ერთად, მას თავისი ცოლის სანახავად უნდა წაეყვანა. ასევე მოატყუა მან კაჭიური.

2003 წლის 14 მაისს, დღის პირველი საათისთვის, წითლანაძე და საღარეიშვილი უკვე გენპროკურატურასთან იმყოფებოდნენ. ქუჩის მოპირდაპირე მხარეს მათ კაჭიური შენიშნეს. თავისი ავტომანქანით გამოჩნდა კალანდაძეც და ამის შემდეგ, განაჩენის მიხედვით, ყველაფერი ისე განვითარდა, როგორც ბალავაძეს ჰქონდა ჩაფიქრებული.

სპეციალურად ნაქირავები ბინა მე-4 სართულზე მდებარეობდა. ბინაში შესვლისთანავე, წითლანაძემ შიგნიდან ჩაკეტა კარი, შემდეგ კაჭიურს პირზე ხელი ააფარა და უბრძანა, მას დამორჩილებოდა. უთხრა, რომ ბავშვთან ერთად ის ამ ბინაში უნდა დარჩენილიყო მანამ, სანამ მას წასვლის ნებას არ მისცემდნენ.

ელზა კაჭიურის ჩვენებიდან:

„ბალავაძემ დამირეკა და მითხრა, რომ მისი შვილი უნდა მომენათლა... საღარეიშვილი გამეცნო, როგორც ბალავაძის მეუღლის დეიდაშვილი, მითხრა, თამუნა მქვიაო. მასთან ერთად მყოფი ახალგაზრდა ბიჭი, როგორც მოგვიანებით შევიტყვე — შოთა წითლანაძე — მამუკას სახელით გამეცნო. მანქანაში ნებაყოფლობით ჩავჯექი. მანქანიდან გადასვლისას, თამუნამ შემომთავაზა — ყავა დავლიოთო. მეც დავთანხმდი. ბინაში შევედით თუ არა, მამუკამ პირზე ხელები ამაფარა და გამაფრთხილა — წინააღმდეგობა არ გამიწიოო. შემდეგ მითხრეს — შენს ქმარს 12 წლის ბიჭი ჰყავს მოტაცებული და მანამდე, ვიდრე მას არ გაუშვებს, არც შენ და არც შენს ბავშვს არ გაგათავისუფლებთო... მეორე დღეს, ბინის გასაღები შემთხვევით ჩავიგდე ხელში და გაქცევა ვცადე, მაგრამ წითლანაძე მიხვდა და ამის საშუალება არ მომცა...“

განაჩენის მიხედვით, მას შემდეგ რაც ბალავაძე დარწმუნდა, რომ გეგმა განხორციელდა, მან მობილურით დაურეკა ზუგდიდის №4 საპყრობილეში მყოფ გვილავას, აცნობა, რომ მისი ცოლ-შვილი მძევლებად იყვნენ აყვანილები და მათ გასათავისუფლებლად 3.000 დოლარი მოსთხოვა. გვილავამ მაშინვე თბილისში მცხოვრებ თავის დას დაურეკა. უთხრა, რაშიც იყო საქმე და თან სთხოვა, მოლაპარაკებები ეწარმოებინა ბალავაძესთან. გვილავას დამ, ძმისგან დამოუკიდებლად, მომხდარის შესახებ პოლიციას შეატყობინა. ბალავაძემ, რომელმაც არ იცოდა, რომ ოპერატიული სამძებრო ღონისძიება ხორციელდებოდა და მისი სატელეფონო საუბრები ისმინებოდა, 2003 წლის 15 და 16 მაისს, რამდენჯერმე დაურეკა ვ. გვილავას და მძევლების გამოსახსნელი თანხა, თავდაპირველად — 200, შემდეგ 2.800 დოლარი მოსთხოვა. დაემუქრა, რომ ფულის გადაუხდელობის შემთხვევაში, მისი მცირეწლოვანი ძმისშვილის სიცოცხლეს საფრთხე შეექმნებოდა.

16 მაისს, ბოროტმოქმედებმა შეიტყვეს, რომ პოლიცია საქმის კურსში იყო. წითლანაძე და საღარეიშვილი ბინიდან ისე გაუჩინარდნენ, რომ მძევალი კაჭიურისთვის არაფერი უთქვამთ. მარტოდ დარჩენილმა კაჭიურმა ბინიდან გასვლა მოახერხა და ბავშვთან ერთად საჩქაროდ დატოვა იქაურობა. წითლანაძე სამართალდამცავებმა 2003 წლის 29 მაისს დააკავეს, საღარეიშვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმე ცალკე წარმოებად გამოეყო.

ამის შემდეგ, ბალავაძე №5 საპყრობილეში გადაიყვანეს. როგორც განაჩენშია აღნიშნული, იქ მან მორიგ დანაშაულზე დაიწყო ფიქრი. ამჯერად, თავისი ნაცნობების — აური კაპანაძისა და თემურ გეგენავას გატაცებისა და მათი მძევლად ხელში ჩაგდების გეგმა შეადგინა. გეგმის თანახმად, კაპანაძის ოჯახის წევრებს ის 15 ათას დოლარს, ხოლო გეგენავას ოჯახის წევრებს — 50 ათას დოლარს მოსთხოვდა.

ჩანაფიქრის განსახორციელებლად, ბალავაძემ ციხიდან მობილურით ზაზა წვერავას დაურეკა. წვერავა, თავის მხრივ, გამოძიებით დაუდგენელ ორ პირს დაუკავშირდა. ამასობაში, ბალავაძემ აური კაპანაძესაც დაურეკა და მოატყუა ის — უთხრა, თითქოს მისი დახმარება სჭირდებოდა; ციხეში ერთ-ერთ პატიმართან თამაშის დროს ვითომ 10 ათასი ლარი წააგო და თუ ამ ფულს დათქმულ ვადაში არ გადაიხდიდა, მის სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრებოდა. კაპანაძეს სთხოვა, როგორც ნაცნობს, გაეწია მისთვის დახმარება და შეხვედროდა მის მიერ მიგზავნილ პირს. ბალავაძის თქმით, ის კაპანაძეს რუსთავში წაიყვანდა და მათ საერთო ნაცნობს — ნინო საღარეიშვილს შეახვედრებდა. საღარეიშვილი მას ფულს ან რაიმე ძვირად ღირებულ ნივთს მისცემდა, რომელსაც ბალავაძეს ციხეში მიუტანდა. ზემოთ ნახსენებ პირს კაპანაძე თბილისში, სიონის საკათედრო ტაძრის მიმდებარე ტერიტორიაზე უნდა შეხვედროდა.

„მიგზავნილი პირი“, ზაზა წვერავა იყო. ის კაპანაძეს გოჩად გაეცნო. რუსთავისკენ სამარშრუტო ტაქსით გაემგზავრნენ. როგორც განაჩენში წერია, გზაში, მგზავრებისგან შეუმჩნევლად, წვერავამ ჩანთიდან „პოუერალარმის“ 380-კალიბრიანი ე.წ. გაზის პისტოლეტი ამოიღო და კაპანაძეს სხეულზე მიაბჯინა. თან უბრძანა, ყველა მისი მითითება უპირობოდ შეესრულებინა. კაპანაძე მას არ შესწინააღმდეგებია. წვერავამ, კვლავ მგზავრებისთვის შეუმჩნევლად, ძალადობის მუქარით, აიძულა კაპანაძე, მასთან ერთად ჩასულიყო რუსთავში, მე-19 კვარტალში მდებარე ერთ-ერთ გაჩერებაზე.

აური კაპანაძის ჩვენებიდან:

„...როცა „მარშრუტკიდან“ ჩავედით, იქ ორი უცნობი მამაკაცი (ძიებით დაუდგენელი პირები. — ავტ.) *დაგვხვდა. დაახლოებით 10 მეტრში გოჩამ ჩანთიდან მუქი სვიტერი ამოიღო და თავზე ჩამომაცვა. შემდეგ ხელებიც შემიკრეს და თავზე იარაღის ლულა მომადეს. დაახლოებით 10 წუთის შემდეგ, მომხსნეს სვიტერი და გიგა ბალავაძეს დამაკავშირეს. ბალავაძემ მითხრა — შენ მე მიღალატე და ამისთვის პასუხი უნდა აგოო. მომთხოვა 15 ათასი დოლარის გადახდა. ამ საუბრის შემდეგ, რაღაც ავარიულ კორპუსში ამიყვანეს. იქ ხელ-ფეხი სკოჩით შემიკრეს. ბალავაძემ რამდენჯერმე დარეკა. მთხოვდა, მამაჩემს დავლაპარაკებოდი ტელეფონით და დამერწმუნებინა როგორმე, რომ ფულის გადახდა აუცილებელი იყო. მამაჩემთან საუბრის დროს, გამტაცებლები მაიძულებდნენ, მეტირა. წვერავა და ვინმე გია მცემდნენ ხან ხელით, ხან ფეხით, რითიც მოხვდებოდათ...“*

აური კაპანაძის მამას — იური კაპანაძეს თავად ბალავაძეც ურეკავდა ციხიდან. ვინაობა არ გაუმხელია, ისე აცნობა მას შვილის მძევლად აყვანის ფაქტი და მისი თავისუფლების სანაცვლოდ, ფულის გადახდა ურჩია. მამამ საქმეში პოლიცია ჩართო. შემდეგ ის ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიების — მიყურადების პირობებში აწარმოებდა მოლაპარაკებებს ბალავაძესთან. როგორც განაჩენშია აღნიშნული, ერთ-ერთი ასეთი სატელეფონო საუბრის დროს, ბალავაძე, თანხის გადაუხდელობის შემთხვევაში, იური კაპანაძეს მისი შვილისთვის ჯერ თითის, შემდეგ — ხელის, ბოლოს კი — თავის მოჭრით დაემუქრა.

ამავე განაჩენის თანახმად, წვერავა ჩაქუჩით ახდენდა მძევალზე ზემოქმედებას: ჩაქუჩს ის აური კაპანაძეს სხეულის სხვადასხვა ადგილებში ურტყამდა. სასამართლო-სამედიცინო ექპერტიზის დასკვნის თანახმად, ამის შედეგად, კაპანაძემ გულ-

მკერდის რბილი ქსოვილების დაჟეჟილობა მიიღო და მარჯვენა თვალბუდისა და საფეთქლის არეში სისხლნაჟღენთები აღენიშნებოდა. დაზიანებები მსუბუქი ხარისხის იყო და მათ ჯანმრთელობის მოშლა არ მოჰყოლია.

2003 წლის 31 აგვისტოს, წვერავამ პოლიციის მხრიდან მოსალოდნელი საფრთხის თავიდან აცილების მიზნით, გამოძიებით დაუდგენელ პირთან ერთად, სკოჩით მიაბა კაპანაძე ბეტონის დიდ ფილაზე და თავად, შემთხვევის ადგილიდან გაუჩინარდა. კაპანაძემ შეძლო თავის დახსნა და გათავისუფლდა თუ არა, მაშინვე რუსთავის შს სამმართველოში გამოცხადდა.

ამის შემდეგ ბალავაძემ წვერავას შესთავაზა, მძევლად აეყვანათ მისი ნაცნობი, თემურ გეგენავა და მისი ოჯახისთვის 50 ათასი დოლარი გამოეძალათ. ამ მიზნით დაუკავშირდა გეგენავას და მოტყუებით შეახვედრა ის წვერავას. წვერავამ, თავის მხრივ, საქმეში ჩართო მეგობარი — წარსულში ნასამართლევი ინაური. დათქმულ ადგილზე, გეგენავა მეგობართან — შს სამმართველოს თანამშრომელთან, ნოდარ ჩაგუნავასთან ერთად მივიდა. ინაური მათ გიად გაეცნო. ამის შემდეგ ყველანი ერთად წავიდნენ თემქაზე, წვერავას მიერ სპეციალურად დაქირავებულ ბინაში. გეგენავა ბინაში მოტყუებით აიყვანეს, ჩაგუნავა კი კორპუსთან დარჩა, თავისსავე ავტომანქანაში. ბინაში შესვლისთანავე წვერავამ და მასთან მყოფმა ბ. ბარამაძემ სკოჩით გაკოჭეს გეგენავა და თან იარაღითაც დაემუქრნენ. როცა შეიტყვეს, რომ ჩაგუნავა პოლიციელი იყო, გადაწყვიტეს, ისიც დაეტყვევებინათ.

ძირს ჩასულმა ინაურმა ჩაგუნავას უხთრა, თითქოს გეგენავა ცუდად გახდა და მისი დახმარება სჭირდებოდა. ჩაგუნავა დაუყოვნებლივ გაჰყვა მას ბინაში. იქ შესვლისთანავე, მას თავს დაესხნენ, წააქციეს, წაართვეს ციფრული დიქტოფონი, მობილური ტელეფონი, ოქროს ბეჭედი, ფული, მანქანისა და ხელბორკილების გასაღები. წაართვეს ასევე, სამსახურებრივი მოვალეობისთვის მასზე გაცემული ტაბელური იარაღი.

გეგენავა და ჩაგუნავა გამტაცებლებმა ერთ ოთახში გამოკეტეს, პერიოდულად მათ აყენებდნენ სხეულის დაზიანებებს. მას შემდეგ, რაც გამტაცებლები მიხვდნენ, რომ ვერც ერთი მათგანისგან ვერ მიიღებდნენ თანხას, თან შეიტყვეს, რომ გეგენავას მეუღლემ საქმეში პოლიცია ჩართო, შემთხვევის ადგილიდან გაუჩინარდნენ, მძევლები კი იქვე დატოვეს. გეგენავამ და ჩაგუნავამ თავის დაღწევა და გათავისუფლება შეძლეს.

განაჩენის მიხედვით, გიგა ბალავაძის მიერ დაგეგმილი მორიგი დანაშაული, დედაქალაქის იმდროინდელი მერის, ვანო ზოდელავას ვაჟის — არასრულწლოვანი ნიკოლოზ ზოდელავას გატაცების მცდელობა იყო. ამ მიზნით, სამართალდამცავთა თქმით, ბალავაძემ ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი ჩამოაყალიბა. ჯგუფში მამუკა ჩიმაკაძე, ირმა ტყეშელაშვილი, შოთა წითლანაძე და გამოძიებით დაუდგენელი სხვა პირებიც შედიოდნენ. გადაწყვიტეს, ნიკოლოზ ზოდელავას სამეგობრო წრიდან შეერჩიათ ვინმე, ვისაც გეგმის განსახორციელებლად გამოიყენებდნენ. შოთა წითლანაძის დახმარებით, ასეთ პიროვნება-სატყუარად შეარჩიეს დავით შავდია. ვინაიდან გატაცებულის დასამალად ბინაც სჭირდებოდათ, ბალავაძემ ამ ფუნქციის შესრულება ზაზა კალატოზს დაავალა. მისგან უარი მიიღო. მაშინ იგივე დავალება მან კალატოზის მეგობარს — ირმა ტყეშელაშვილს მისცა. თან, განაჩენის მიხედვით, საქმის რეალური ვითარებაც აუხსნა. ტყეშელაშვილმა ნაქირავები ბინის გასაღები ჩიმაკაძეს გადასცა.

2004 წლის 19 იანვარს, საღამოს 10 საათისთვის, თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზირზე მდებარე „ინტერნეტ-კლუბში“ მყოფ დავით შავდიას ჯგუფის ერთ-ერთი წევრი ტელეფონით დაუკავშირდა და გოჩად გაეცნო. სთხოვა, მას გაჩერებასთან შეხვედროდა. შავდია შეხვედრაზე მეგობრებთან — ავთანდილ წითლანაძესთან (შოთა წითლანაძის ბიძაშვილი) და ოთარ ბარნაბიშვილთან ერთად წავიდა. დათქმულ ადგილას მათ ჩიმაკაძე დახვდათ. ამ უკანასკნელმა ბიჭები მოტყუებით, ვითომდა რაღაც საქმეზე სალაპარაკოდ, ნაქირავებ ბინაში აიყვანა, სადაც მათ დახვდათ გამოძიებით დაუდგენელი პირი. სწორედ მისი დახმარებით, ჩიმაკაძემ სამივეს ხელ-ფეხი შეუკრა და თან, „მაკაროვის“ იარაღითაც დაემუქრა. შავდიას სთხოვდნენ, დაჰკავშირებოდა ნიკოლოზ ზოდელავას და იმ მიზეზით, თითქოს მან ცოლი შეირთო და დახმარება სჭირდებოდა, შეხვედროდა ვაჟა-ფშაველას ძეგლთან.

განაჩენის მიხედვით, შავდია მართლაც, არაერთხელ დაუკავშირდა ტელეფონით ზოდელავას ოჯახის წევრებს, მაგრამ მიუხედავად მცდელობებისა, პირადად ნიკოლოზ ზოდელავასთან საუბარი მაინც ვერ მოახერხა. სამართალდამცავთა თქმით, როცა გამტაცებლები მიხვდნენ, რომ გეგმის განხორციელება სულ უფრო შეუძლებელი ხდებოდა, გადაწყვიტეს, მძევლები გაეთავისუფლებინათ. იმ პირობით, რომ პოლიციას არ შეატყობინებდნენ, მათ შავდია, წითლანაძე და ბარნაბიშვილი გაუშვეს.

მომხდარის შესახებ პოლიციისთვის მაინც გახდა ცნობილი. ჩიმაკაძე, ტყეშელაშვილი და კალატოზი ერთიმეორის მიყოლებით დააკავეს. წინასწარმა გამოძიებამ მათგან აღიარებითი ჩვენებები მიიღო. სასამართლო პროცესზე მათ, ისევე, როგორც წითლანაძემ და ინაურმა, კატეგორიულად უარყვეს გამოძიებისთვის მიცემული ჩვენებების სისწორე და სამართალდამცავთა მხრიდან ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ზეწოლაზე ალაპარაკდნენ. განსასჯელები, გიგა ბალავაძესთან კონტაქტს ადასტურებდნენ, მაგრამ აღნიშნავდნენ, რომ მას უბრალოდ ეხმარებოდნენ და არ იცოდნენ, თუ რაიმე დანაშაულში მონაწილეობდნენ.

შოთა წითლანაძემ მხოლოდ ელზა კაჭიურისა და მისი მცირეწლოვანი შვილის მძევლად აყვანაში მონაწილეობა აღიარა. რაც შეეხება შავდიას, წითლანაძისა და ბარნაბიშვილის დატყვევების ფაქტს, ამ დანაშაულთან კავშირი კატეგორიულად უარყო. თუმცა, ელზა კაჭიურისა და მისი შვილის გატაცების ეპიზოდთან დაკავშირებითაც აღნიშნა, რომ ბალავაძემ ის შეცდომაში შეიყვანა.

შოთა წითლანაძის ჩვენებიდან:

„არ ვიცოდი, თუ რაიმე დანაშაულში ვმონაწილეობდი. ბალავაძემ დამირეკა და მითხრა — ჩემი ახლობლის ოჯახი განსაცდელშია და უნდა მიმიხედოო. აქედან გამომდინარე, ჩავთვალე, რომ კაჭიურის ოჯახს ელოდა საფრთხე და ვიცავდი მას ვიღაცისგან, კონკრეტულად ვისგან, არ ვიცოდი... არც ის ვიცოდი, თუ მის ქმარს ბალავაძე 3 ათას დოლარს სთხოვდა... ბინაში რომ შევედით, კაჭიურს პირზე ხელი ავაფარე და ვუთხარი, რომ უსაფრთხოების მიზნით, დროებით იქ უნდა დარჩენილიყო... როცა გიგასგან შევიტყვეთ, რომ ყველაფერი დამთავრდა, დავტოვე შემთხვევის ადგილი და წავედი სოფელში დასთან. იქ ტელევიზიით შევიტყვე, რომ ე. კაჭიურის და მისი შვილის გატაცების ფაქტზე ვიძებნებოდი“.

ზაზა წვერავას ჩვენებიდან:

„2003 წლის 25 აგვისტოს, ციხიდან ტელეფონით დამირეკა უცნობმა პირმა. შეიძლება, ის გიგა ბალავაძეც ყოფილიყო. მითხრა, რომ დიდი რაოდენობით ფული ჰქონდა წაგებული და დახმარება მთხოვა. ფული არ მქონდა და უარი ვუთხარი. მერე მითხრა — ერთ საქმეში დამეხმარეო. დიდი ხვეწნის შემდეგ დავთანხმდი. ჩემი ფუნქცია იყო, რომ აური კაპანაძეს გავყოლოდი რუსთავში ვინმე ნინოსთან, იქიდან კაპანაძე წამოიღებდა ოქროს და ბრილიანტს, მე კაპანაძისთვის ეს ძვირფასეულობა უნდა წამერთმია, საფასურის გადახდა კი მისთვის დამეკისრებინა. რაც შეეხება ნივთებს, ისინი ისევ ნინოსთვის უნდა დამებრუნებინა...“

ირმა ტყეშელაშვილის ჩვენებიდან:

„შპს „დარიაში“ ოპერატორად ვმუშაობდი. სამსახურში უცნობმა მამაკაცმა დამირეკა და ზაზას სახელით გამეცნო. მამაკაცებისთვის პირადი ნომრის მიცემა აკრძალული გვქონდა, მაგრამ ზაზას ჩემი ტელეფონის ნომერი მაინც მივეცი. ამის შემდეგ, ზაზა კალატოზი ხშირად მირეკავდა. ისიც მითხრა, რომ პატიმარი იყო და სასჯელს ქსნის კოლონიაში იხდიდა. გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ მივხვდი, რომ ის შემიყვარდა. ერთმანეთთან ახლო ურთიერთობა გვქონდა. მისი გათავისუფლების შემდეგ, გადავწყვიტეთ, ერთად საცხოვრებლად ბინა დაგვექირავებინა. ზაზამ მითხრა, რომ ბინის ქირა მე უნდა გადამეხადა. ამაზე არ დავთანხმდი,

რის გამოც უთანხმოება მოგვიხდა. ამის შემდეგ ის წავიდა და აღარ გამოჩენილა. მისი გაუჩინარებიდან მესამე თუ მეოთხე დღეს, ვიღაცამ დამირეკა, როგორც შემდეგ გავარკვიე — ბალავაძემ და ზაზას კოორდინატები მკითხა. ბალავაძეს ხშირად ვუკავშირდებოდი, რადგან იმედი მქონდა, რომ მისი დახმარებით ზაზას ვიპოვიდი. 2003 წლის დასაწყისში, ბალავაძემ დამირეკა და მთხოვა — ფულს მოგცემ და ბინა დამიქირავეო. თავდაპირველად უარი ვუთხარი, მაგრამ შემდეგ დავთანხმდი. მითხრა, რომ ბინა სჭირდებოდა მეგობრისთვის, რომელიც მოსკოვიდან აპირებდა ჩამოსვლას. ახალგაზრდა ბიჭის ხელით მან ბინის ქირის საფასური — 210 ლარი გადმომცა. ბინა შევარჩიე, ფული პატრონს გადავუხადე და გასაღებიც გამოვართვი. გარკვეული პერიოდის შემდეგ, ბინის პატრონმა პრეტენზიები გამოთქვა. მე მაშინვე ბალავაძეს დავურეკე და ვაცნობე, რომ ბინის პატრონი ფულს ან გასაღებს ითხოვდა. ბალავაძემ მითხრა — გასაღებს გამოვატან ვიღაცასო. სწორედ ამ მიზეზით დამიკავშირდა უცნობი გოგონა. შევთანხმდით ცენტრალურ ფოსტასთან შეხვედრაზე. იქ კი, სრულიად მოულოდნელად, პოლიციამ დამაკავა“...

ზაზა კალატოზის ჩვენებიდან:

„ტყეშელაშვილი „ნდობის ტელეფონით“ გავიცანი. მასთან დაახლოებით 8-9 თვის ნაცნობობა მაკავშირებდა. რაც შეეხება გიგა ბალავაძეს, ის ჩემი კლასელი იყო. სხვა განსასჯელებს სასამართლო პროცესების დაწყებამდე არ ვიცნობდი. ბინის დაქირავება ტყეშელაშვილთან ერთად საცხოვრებლად მინდოდა და ბალავაძისგან ამის შესახებ არანაირი მითითება არ მიმიღია“.

თუმცა, განსასჯელთა მიერ პროცესზე ნათქვამი სიტყვები სასამართლომ არადამაჯერებლად მიიჩნია და არ გაიზიარა. სამაგიეროდ, სავსებით სარწმუნოდ ჩათვალეს წინასწარი გამოძიებისთვის მიცემული ჩვენებები. სხვათა შორის, აღსანიშნავია, რომ პროკურატურაში ჩვენებების მიცემის დროს, დარღვევებზე დაზარალებულებიც ლაპარაკობდნენ. მაგალითად, დაზარალებულების — შავდიას, წითლანაძისა და ბარნაბიშვილის თქმით, პროკურატურაში მათ ხელი მოაწერეს რაღაც ფურცლებს ისე, რომ ტექსტი არც წაუკითხავთ. ისინი აცხადებენ, რომ მათ წინასწარი გამოძიებისთვის რეალურად არანაირი ჩვენება არ მიუციათ.

ირმა ტყეშელაშვილი სამართალდამცავთა მიერ ჩადენილ სასტიკ წამებაზე ლაპარაკობს:

„...როცა დამაკავეს, წარმოდგენაც არ მქონდა, რაში იყო საქმე. სამოქალაქო ტანსაცმელში გადაცმულ პოლიციელებს მანქანაში ვეკითხებოდი — რა დანაშაულში მიმიძღვის ბრალი-მეთქი? — შენ მიერ ნაქირავები ბინის შესახებ გვაქვს დეტალები გასარკვევიო. მაშინვე სიმართლე ვთქვი, მაგრამ არც დამამთავრებინეს. ერთ-ერთმა გვერდით მჯდომმა იდაყვი ჩამარტყა გვერდში. პროტესტის ნიშნად გავჩუმდი და მათ კითხვებს აღარ ვპასუხობდი. მიმიყვანეს ქალაქის სამმართველოში. მეთერთმეტე სართულზე ამიყვანეს, აგრესიულად შემხვდნენ... ვთხოვე, ბალავაძეს დაურეკეთ და გაარკვიეთ-მეთქი. ბალავაძემ არ უნდა გაიგოს, დაკავებული რომ ხარო. ერთადერთი იმედი, კალატოზი იყო, მას შეეძლო, აეხსნა ყველაფერი და ვთხოვე, მისთვის დაერეკათ. ზაზას მობილური გამორთული ჰქონდა. გადაწყვიტეს, ისიც აეყვანათ. სანამ ოპერატიული ჯგუფი მის მოსაყვანად წავიდა, მე სხვა ოთახში გამიყვანეს. შემოვიდა მამაკაცი, რომელსაც ხელში მაკრატელი ეჭირა, მეორე ხელი თმაში ჩამავლო და მითხრა — დაკავებული ხარ ვანო ზოდელავას შვილის გატაცების მცდელობასთან დაკავშირებით და თუ არ აღიარებ იმ ფაქტს, რომ ბინა სწორედ ამ საქმისთვის დაიქირავე, თმას გადაგპარსავო. გავოგნდი და უარი ვთქვი, რადგან ასეთ ფაქტს ადგილი არ ჰქონია. დამემუქრა — ფრჩხილებს დაგაძროშ და დენზე შეგაერთებო. ჩემგან ისევ კატეგორიული უარი რომ მიიღო, წამომაგდო სკამიდან, მიმიყვანა აივანთან და მითხრა — მეთერთმეტე სართულიდან გადაგაგდებ და თანამშრომლებს ვეტყვი, რომ თვითონ გადახტიო. შემდეგ ვიღაც ბიჭები შემოიყვანეს და ძალით დამადასტურებინეს, რომ სწორედ ისინი იყვნენ გატაცებულები. სინამდვილეში, ისინი ადრე არასდროს მინახავს“.

ირმა ტყეშელაშვილის თქმით, პროკურატურის თანამშრომლებმა ის სასტიკად სცემეს და დიდი ხნით სეიფზე მიაბეს. როგორც მსჯავრდებული აღნიშნავს, ერთ-ერთი თანამშრომელი მის გაუპატიურებასაც ეცადა და ამ სცენას ოთახში სხვებიც ესწრებოდნენ, მათ შორის — გამომძიებელიც. მსჯავრდებულის თქმით, მან ამის თაობაზე არაერთი საჩივარი დაწერა, სადაც აღნიშნა, რომ იქ მყოფი თითოეული თანამშრომლის ამოცნობა შეეძლო და მათი სახელებიც დაფიქსირა. ტყეშელაშვილის ადვოკატის — იასონ ბესელიას თქმით, ყოველივე ამის შესახებ დაწვრილებით ეცნობა, როგორც გენპროკურორსა და შს მინისტრს, ასევე პარლამენტსაც, მაგრამ ტყეშელაშვილის წამების ფაქტს სათანადო რეაგირება არ მოჰყოლია და დამნაშავეების გამოსავლენად და მათი პასუხისმგებლობის საკითხის დასაყენებლად, რეალურად არაფერი გაკეთებულა.

იასონ ბესელია:

„მიუხედავად იმისა, რომ დამნაშავე პირთა გამოვლენა არ მოხერხდა (და არა ვერ მოხერხდა), სასამართლოს შეეძლო, შინაგანი რწმენით მისულიყო სწორ დასკვნამდე და ობიექტური განაჩენი გამოეტანა. ფაქტია, რომ ტყეშელაშვილი სრულიად შემთხვევით აღმოჩნდა ამ საქმეში და ერთადერთი დანაშაული, რაც მას მიუძღვის (თუკი ეს დანაშაულია), არის ის, რომ ტელეფონით რამდენჯერმე ესაუბრა ბალავაძეს და მას ბინის დაქირავებაში დაეხმარა. რისთვის სჭირდებოდა ბინა ბალავაძეს, ტყეშელაშვილს წარმოდგენა არ ჰქონდა. საწინააღმდეგოზე კი, საქმის მასალები და გამოძიების მიერ წარმოდგენილი ვერც ერთი ე.წ. მტკიცებულება ვერ მეტყველებს“.

საოლქო სასამართლომ სავსებით გაიზიარა პროკურორის პოზიცია იმის შესახებ, რომ განსასჯელებმა პროცესზე ჩვენებები მხოლოდ და მხოლოდ პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით შეცვალეს. პროკურატურა ხაზს უსვამს საქმის მასალებში არსებულ სატელეფონო საუბრების აუდიოჩანაწერებს და მათ ბანდის დანაშაულებრივი ქმედებების ძირითად მტკიცებულებად ასახელებს. თუმცა, ადვოკატებს სატელეფონო საუბრების ჩანაწერების არსებობაში ეჭვი შეაქვთ. მათი თქმით, პროკურატურას არანაირი ჩანაწერი არ წარმოუდგენია. როგორც ჩანს, ისინი არც არსებობს და შესაბამისად, მტკიცებულებად ვერ გამოდგება. სასამართლომ, რომელმაც ასე არ ჩათვალა, შვიდივე განსასჯელი დამნაშავედ ცნო. გიგა ბალავაძეს 23 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა, აქედან 5 წელი, განაჩენის თანახმად, მან საპყრობილეში უნდა მოიხადოს; შოთა წითლანაძეს — 10 წელი, ზაზა წვერავას — 16, ვახტანგ ინაურს — 11, მამუკა ჩიმაკაძეს — 8, ზაზა კალატოზს — 6, ხოლო ირმა ტყეშელაშვილს — 5 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

უზენაეს სასამართლოში სისხლის სამართლის საქმეთა საკასაციო პალატის სხდომაზე, მსჯავრდებულებმა და ადვოკატებმა ზემოთ აღნიშნული განაჩენის გაუქმება მოითხოვეს. ბალავაძე სასამართლო პროცესს არ ესწრება. აღსანიშნავია, რომ ის არც საოლქო სასამართლოში დასწრებია საქმის განხილვას, რადგან წესის დარღვევის გამო, თავმჯდომარემ ის დარბაზიდან გააძევა. მოსამართლის თქმით, მან უპატივცემულობა გამოიჩინა სასამართლოს მიმართ და ასეთი გადაწყვეტილებაც ამიტომ მიიღო. წითლანაძემ და წვერავამ სასჯელის შემსუბუქება, დანარჩენებმა კი, განაჩენის გაუქმება და მათ მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა მოითხოვეს. ადვოკატები იმასაც ვარაუდობენ, რომ ზემოთ აღნიშნული პირები ბალავაძემ დაუსახელა გამოძიებას, პირობა — მისთვის პასუხისმგებლობის შემსუბუქება იყო. მათივე თქმით, ბალავაძეს თავის დროზე, ვანო ზოდელავას შვილის გატაცებაც ამავე მიზეზით უნდოდა. გეგმის განხორციელების შემთხვევაში, როგორც ამბობენ, ბალავაძე თანამდებობის პირებზე ზეგავლენის მოხდენას აპირებდა. ჩანაფიქრის მიხედვით, მერის შვილის თავისუფლების სანაცვლოდ, ის ციხიდან ვადამდე გათავისუფლებას მოითხოვდა.

■

რეპორტაჟის „ასპარეზად“ ამჯერად, საკოლმეურნეო (სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის ბაზრის ეს სახელწოდება, კომუნისტების წყალობით, ძვალ-რბილში გვაქვს გამჯდარი, თორემ, სადღაა კოლმეურნეობა?!.) ბაზარი ავირჩიე. ბებიაჩემი ცოცხალი რომ ყოფილიყო, აუცილებლად მეტყოდა — ბოშო, ჩემი კუკური ბაზარში რომ ჩავიდოდა, ორ ინდაურზე ნაკლებს არაფრით ამოიტანდა და შენ ამ ჩამწერით რომ მიჩანჩალებ, ტყუილად მაინც დაიჭირე „პრავიზიონკა“ ხელშიო... „პრავიზიონკა“ — არა, მაგრამ ერთი მოზრდილი კალათა მართლაც, მოვიმარჯვე, მუშტრის ანუ, როგორც ახლა ამბობენ, პოტენციური მყიდველის იერი მოვირგე და თბილისის ერთ-ერთ ბაზარს მივაშურე...

„ქალი ამ ქოზაშიც მიმზიდველია“ ანუ ხალისიანი ჩეკოჩტაჟი ბაზრიდან

ემა ტუხიაშვილი

— ტაქსი თუ დაგჭირდეს, გენაცვალე, იაფად წაგიყვან, — როგორც ჩანს, ბაზრის შესასვლელთან მდგარი ტაქსის მძღოლმა ჩემი კალათის გაბარიტები შეაფასა.

— აბა, პარკი შევიძინოთ! — მომაძახა ქალბატონმა, რომელსაც ნატვრის ხესავით, აესხა ორივე ხელზე ფერად-ფერადი პოლიეთილენის პარკები.

— თბილი წინდა, სუფთა მატყლის და ზამთარი ვერაფერს დაგაკლებთ! — იქვე სახელდახელოდ მოწყობილ დახლთან წინდებით მოვაჭრე ქალბატონი კიდევ ერთ წყვილ ჭრელ წინდას ქსოვდა.

— ლიმონი, ლიმონი არ დაგვავიწყდეს!

...მართალია, არ მოსწონდა ბებიას თანამედროვე წყობა, მაგრამ ყველაფერს აქვს დადებითი მხარე. ახლა ბაზარში „შპარგალკით“ სიარული ალარ არის საჭირო, რადგან დარიგებულივით, ყველა იმ პროდუქციის სახელს ყვირის, რომლითაც თავად ვაჭრობს.

— ახალთახალი ძეხვი, უსუნეთ და დარწმუნდებით! — ამას ჰქვია ნამდვილი რეკლამა: სულ რომ არ აპირებდე ყიდვას! მაინც წაგიცდება ხელი.

— ბანანი, ქორფა, მწიფე ბანანი! — მეგონა, იტყოდა — ჩემი ბაღის არისო, მაგრამ ინამუსა მოვაჭრემ და თავისი პროდუქციის მოკრძალებული რეკლამით შემოიფარგლა.

— ხახვი შევიძინოთ, გოგოებო! კარგი წითელი ხახუნი არ გინდათ? — კნინობითი სახელით სცადა ხახვით მოვაჭრე ახალგაზრდა მამაკაცმა, გამვლელთა ყურადღება მიექცია.

— უყურე ერთი, ამ თავხედს — ხახუნი მოუნდა!.. ჩემი ჩანთის წონა რომ იგემო, არ გინდა?! — ამის თქმა იყო და ახალგაზრდა ქალბატონმა ხახვის გამყიდველს მოზრდილი ჩანთა პირდაპირ თავში უთავაზა. როგორც ჩემი საყვარელი გადაცემის გმირი ამბობს, ეს იყო ნამდვილი სკანდალი, ხოლო ინტრიგა ჯერ კიდევ წინ მელოდა...

— გათახსირებული და მატყუარა ვაჭარი ხარ შენ! გამოიჭირე ბავშვი და მოატყუე — აქაოდა, არიფიაო, არა?! — მივხვდი, რომ რეპორტაჟი „ცხვებოდა“ და ჩემი ცარიელი კალათით იქით გავეშურე, საიდანაც ჩხუბის ხმა ისმოდა.

— გუშინ ხომ იყიდა ამ გოგომ შენგან ერთი ვედრო ჟოლო?

— იყიდა.

— ხომ შეაპარე დამპალი?

— ...

— დამიბრუნე ახლავე ფული!

— 5 ლარზე მეტს არ მოგცემ.

— რას ჰქვია, არ მომცემ! ჩემს შვილს 10 ლარი გადაახდევინე და ახლა ნახევარს გვიბრუნებ?!

— ნახევარი ვედრო შეგიჭამიათ, თქვენი ჭირიმე და მაგის გადახდაც არ გინდათ?!

— რამდენიმე ჟოლო გასინჯა ბავშვმა და მაგას ამადლი?! — მხოლოდ ახლა შევათვალიერე კარგად ნაკვები, ასე 25-30 წლის „ბავშვი“, თავი დამნაშავესავით რომ ჩაქინდრა და აშკარა იყო, შექმული ჟოლოს გამო, სახლში მისულს, კარგი დღე არ დასდგომოდა...

მაგრამ ინტრიგა სულ სხვა მიმართულებით უნდა მეპოვა...

— აბა, სანდრას სტაფილო, აქეთ შევიძინოთ! — ინტრიგასაც მივაგენი და გადავწყვიტე, პირველი შენაძენიც გამეკეთებინა.

— საიდან არის ეს სტაფილო? — მივხვდი, რომ გამოუცდელობით მომივიდა და გამყიდველისთვის ჯერ სტაფილოს ფასი უნდა მეკითხა.

— კასპის სტაფილოა, საუკეთესო ხარისხის.

ლოგიკური იქნებოდა, ძიაკაცისთვის მეთქვა — რაც კარგები ვართ, კასპელები ვართ-მეთქი (მართლა იქაური ვარ წარმოშობით), მაგრამ ინტრიგა სულ სხვა მიმართულებით უნდა მეპოვა.

— აბა, წელან რომ ამბობდით — სანდრას სტაფილოაო!..

კაცმა ისეთი გამომეტყველება მიიღო, რომ აშკარა იყო, ასეთ კითხვას ნაკლებად ელოდა და უკვე სტაფილოს მეპატრონე სანდრას ძებნას დავიწყებდი, ღიმილით რომ არ ეთქვა:

ამბობენ, ამ ბაზარში ბრაზილიურ ხორცს ყიდიანო, მართალია? — ვკითხე და ყოველი შემთხვევისთვის უკან დავიხიე

— ჰოლანდიური თესლით გვყავს მოყვანილი ეს სტაფილო და ამიტომაც ვეძახით „სანდრას სტაფილოს“.

— ჰოლანდიური — არა, ის კიდევ! ვერ ხედავ, სასუქით აქვს მოყვანილი, იმიტომაც არიან სტაფილოები პატრონივით დაბერილები. — ეს უკვე, დახლს მომდგარი სხვა კლიენტი იყო, რომელიც უნებურად შეესწრო ჩვენს დიალოგს.

— რა ღირს ლობიო? — ისევ მაყურებლის ამპლუა ვარჩიე და ლობიოს გამყიდველის დახლთან ჩამწკრივებულ რიგს შევუერთდი.

— 2 ლარი, გენაცვალე... ცოტასაც დავაკლებ.

— ამიწონე 2 კილოგრამი. წონაში ალბათ, შენც სხვებივით იტყუები... — მიუგო მუშტარმა.

— რატომ კადრულობთ, ქალბატონო?.. აგერ, თქვენი 2 კილოგრამი. ბოლო ფასი — 1 ლარი და 80 თეთრია.

— რა იყო, ლობიოა თუ დეკეული?! ნამუსი აღარ გაქვთ, აღარც გლეხობის გეტყობათ რამე.

— ქალბატონო, თუ არ გინდოდათ, რაღას ამაწონინეთ?! — ლობიოს გამყიდველი გაკვირვებული უყურებდა ქალს, რომელიც ჩხუბის დამთავრებას არც აპირებდა. კარგა ხნის შემდეგ, გლეხმა ქალს ლობიოს პარკი გამოართვა და ისეთი ძალით დაანარცხა ძირს, რომ მარცვლები ირგვლივ მიმოეფანტა.

— მიდი ერთი, სცადე და აკრიფე ძირიდან სათითაოდ მარცვალი. ჩვენ კი, ჯერ მიწას ვამუშავებთ, შემდეგ — ვთესავთ, მერე — ვთოხნით, მერე კიდევ, ვგლეჯთ გამხმარ ლობიოს, შემდეგ ვცეხვავთ, ვანიავებთ... — ნერვიულობისგან ხმა ჩაეხლიჩა ლობიოს გამყიდველს...

— სიმინდის ფქვილი, ნაღდი იმერული! — უზარმაზარ ფქვილის „გორაკებს“ ამოფარებული ქალები საცრით ფქვილს ცრიდნენ. მაგრამ ყველაზე უცნაური ის იყო, რომ ერთ-ერთს ხელოვნური წითელი ვარდი ამშვენებდა.

— ეს ვარდი რას ნიშნავს? — ისევ უადგილოდ დავსვი კითხვა...

— ჩვენი პრეზიდენტი რომ გვიყვარს და ყველგან გვახსოვს, ბატონო...

— მეხი შენც დაგეცა და შენს პრეზიდენტსაც! ადრე სკოლაში ასწავლიდი, ახლა კი ამ გაყინულ ბაზარში გძვრება სული... ისე, რა გინდა, ადრე თუ ცარცისგან გითეთრდებოდა ხელები, ახლა ფქვილში ხარ ამოგანგლული. — ეს კი, მეზობელი ფქვილის გორის მეპატრონე იყო, აშკარად ოპოზიციურად განწყობილი ხელისუფლების მიმართ. ჩემ მიერ ბაზარში დასმულმა კითხვამ ისეთი პოლიტიკური დებატები გამოიწვია, რომ სასწრაფოდ გავეცალე იქაურობას და მორიგი სკანდალის ძიებაში, ქათმებით მოვაჭრეთა რიგს მივაშურე.

— მუხრანის ქათამი, ჯანმრთელი, ვირუსის გარეშე!.. მოდი, ნახე, რა ფერი აქვს! როდის იყო, ჭირიან ქათამს ასეთი ქარვისფერი ედო?! ფრთა ნახე, რა ქორფა აქვს!.. უიმე ემას ვენაცვალე, შენა ხარ?.. ისევ ჟურნალისტობ, გოგო?.. რატომ აღარ ჩამოდიხარ მუხრანში, ბაბოსთანა?

მოვლენების ასეთ განვითარებას კი მართლაც, არ ველოდი. ერთმანეთის მოკითხვის შემდეგ, ნინელი დეიდა გულახდილად სასაუბროდ გამოვიხმე და ბაზრის შიდასამზარეულოს გავეცანი.

— გლეხებს ბაზარში იშვიათად ნახავ. ეს საქმე ლტოლვილებმა ჩაიგდეს ხელში. დილაადრიანად ჩამოსულ გლეხებს ბაზართან ხვდებიან, პროდუქტს მათგან ყიდულობენ და თან, წონაში მათაც ატყუებენ. რამდენიმე ხერხი აქვთ: მაგალითად, ტომარას ქვემოდან ფეხს ამოუდებენ და მისი წონაც შემსუბუქდება. არც ბაზრის ხელმძღვანელობა გვინდობს, უამრავი ჩეკისა და ტალონის ფულს ხომ ვიხდით. დღის ბოლოს კი, თავად ბაზრის დირექტორი ჩამოივლის ხოლმე ქაღალდის ტომრით და ვისაც რა ემეტება, უნდა ჩაუგდოს... ახლა, სულ ცუდ ამბებს კი ნუ მომაყოლებ, ბაზარში სახალისოც ბევრი ხდება. ხშირია შემთხვევა, როდესაც აქ დაბადების დღეებს ვიხდით, თან ვვაჭრობთ და თან ვქეიფობთ. ცნობილი ადამიანებიც ხშირად დადიან ამ ბაზარში. მახსოვს ერთხელ, ვახტანგ ტატიშვილი შემოვიდა და ჩვენი დახლისკენ გამოემართა. ჩემ გვერდით მდგომი ქალბატონი უხერხულად იყო წაკუზული და ჩანთიდან რაღაცას იღებდა. მივუბრუნდი და ვეუბნები — ქალო, გასწორდი, ტატიშვილი მოდის-მეთქი. გაიგონა ჩემი ნათქვამი ბატონმა ვახტანგმა და ღიმილით მითხრა — ნუ წუხდებით, ქალბატონო, ქალი ამ პოზაშიც მიმზიდველიაო... ბევრი ძველი მსახიობიც შემოდის ხოლმე. ზოგს ისე უჭირს, გული დაგეწვება. ამიტომ ზოგი გამყიდველი უფასოდ ატანს ხოლმე პროდუქტს, ზოგი კი — ნახევარ ფასში... ბაზარში ცოტა გლეხებიც ცუღლუტობენ, არც მთლად უმაგისობაა. არის შემთხვევები, როდესაც ქალაქელები ტყუვდებიან და გლეხისგან ინდაურად გასაღებულ მსუქან დედალს ყიდულობენ. ისეთი შემთხვევებიც არის, როდესაც გორის რაიონიდან ჩამოსულ გლეხებს უაქციზო სიგარეტი ჩამოაქვთ გასაყიდად. მაგალითად, ვედროში სიგარეტის კოლოფებს ჩააწყობენ, ზემოდან ხილს მოაყრიან და პატრული ვერაფერს ხვდება. მახსოვს, ამ ზაფხულს გადამყიდველები ერთ გლეხის ქალს დასდევდნენ — ეგ ნამყენი ალუბალი მოგვყიდეო; ძლივს მოიცილა თავიდან, ვერც უმხელდა, რომ სინამდვილეში, უაქციზო სიგარეტი ჰქონდა ვედროში. ხშირია შემთხვევა, როდესაც თბილისელებს გლეხის დიალექტი არ ესმით. მაგალითად, ერთ გორელს ეკითხებოდნენ — სადაურია ეს ვაშლიო? იმანაც უპასუხა — გრძელასიო. თურმე, თავისი ნაკვეთის სახელს ამბობდა. ამის გამო ისეთი ამბავი ატყდა ბაზარში, ძლივს მოახერხეს, გაერიდებინათ საწყალი გლეხი აქაურობისთვის... რა გინდა ახლა? რაც ვიცოდი, ყველაფერი მოგიყევი. ახლა ყასბებთან მიდი და ჰკითხე ერთი — გავიგე, ბრაზილიური ხორცით ვაჭრობთ-თქო. მაგრამ ფრთხილად იყავი — სკანდალის ძიებაში, თვითონ არ გახდე სკანდალის მსხვერპლი... — ასე დამარიგა ნინელი დეიდამ და ხორცის რიგისკენ მიმითითა.

— რა ღირს ღორის ხორცი? — მუშტრის თვალი შევავლე ჩემ წინ ჩამოკიდებულ ბარკალს.

— 7 ლარი. დილას დავკალი, — მეტისმეტად დამაჯერებლად კი ჟღერდა.

— ამბობენ, ამ ბაზარში ბრაზილიურ ხორცს ყიდიანო, მართალია? — ვკითხე და ყოველი შემთხვევისთვის უკან დავიხიე.

— რას ერჩით ნეტა, ამ ბრაზილიურ ხორცს! სერიალებს ხომ კარგად უყურებთ. ბრაზილიური ხორცი რას დაგაკლებთ?! არ მაქვს, ბატონო, მე ბრაზილიური ხორცი. რუსული ხორცია ეს. თუ გინდა, იყიდე, თუ არა და — გაიარე.

გავიარე. თაფლით მოვაჭრეები ვნახე, მეტი დამაჯერებლობისთვის ფუტკრები რომ უყრიათ თაფლით სავსე ქილაში... ვაშლის გამყიდველებიც შევათვალიერე, საკუთარი პერანგის სახელოთი რომ აპრიალებენ ლოყებლაჟღაჟა „სტარტს“. თევზით მოვაჭრეებსაც შევუარე, იქვე, კასრის თავზე რომ შეექცევიან ფოთის „მოივას“... მოკლედ, ჩემი დიდი კალათი „ამბებით გავავსე“ და ეს რეპორტაჟიც „გამოვაცხვე“...

■

ბაზარში ცოტა გლეხებიც ცუღლუტობენ, არის შემთხვევები, როდესაც ქალაქელები ტყუვდებიან და გლეხისგან ინდაურად გასაღებულ მსუქან დედალს ყიდულობენ

ამრჩევენ თუ არა საძლოებს „მარიონელას“ მეფლობელი „სტანდარტებით“?!

ქართულ სამოდელო ბიზნესში სადედოფლო კაბებით სახელგანთქმულ კომპანია „მარიონელას“ სულ მალე კაბა თავად დასჭირდება.

საქმე ის არის, რომ „მარიონელას“ ერთ-ერთი მფლობელის – მარინა უგულავას ვაჟი ქორწინდება.

წყვილი ამჟამად გერმანიაში ცხოვრობს. სიძე, გაგა ცირეკიძე ესენის უნივერსიტეტის ეკონომიკური მართვის ფაკულტეტის სტუდენტია, ხოლო პატარძალი, მედეა გლოველი დიუსელდორფში ხელოვნებათმცოდნეობას ეუფლება. ორივე მათგანისთვის ეს პირველი ქორწინებაა. ჯვრისწერა ბელგიაში შედგება, ანტვერპენში, მართლმადიდებლურ ეკლესიაში. სწორედ იქ, სადაც ერთმანეთი აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულზე გაიცნეს.

ბუნებრივია, ყველას აინტერესებს, როგორი კაბით დაიწერს ჯვარს „მარიონელას რძალი“, რომელსაც ოცნების რეალობად ქცევის ყველა შანსი ხელთ უპყრია.

ჩვენ, ოფისში ვესტუმრეთ „მარიონელას“ ხელმძღვანელებს — **ლელა ტურძელაძეს** და **მარინა უგულავას**. აღმოჩნდა, რომ დედამთილობას ორივე ერთნაირად იჩემებდა, რადგან 15 წელია, განუყრელი მეგობრები არიან და ერთმანეთის შვილებსაც დიდად არ არჩევენ.

– ქალბატონო მარინა, თქვენ ძალიან ხშირად გაქვთ ურთიერთობა სტანდარტული პარამეტრების მქონე გოგონებთან და მოდელებთან, რძალსაც მათ შორის ეძებდით?

– რძალს მხოლოდ ფოტოებით ვიცნობ ჯერჯერობით, თუმცა ფოტოდანაც აშკარად ჩანს, რომ სიძე „პარამეტრებში“ ჩვენზე არანაკლებად გარკვეულა. საერთოდ კი, სილამაზე ჯერ კიდევ არ ნიშნავს მშვენიერებას. „სილამაზეა ნიჭი მხოლოდ ხორციელების“ – ხომ გაგიგონიათ? ხოლო „მშვენიერება ნათელია, ზეცით მოსილი“. სარძლოებს ჩვენ მხოლოდ ამ პარამეტრით ვირჩევდით და ავარჩევთ კიდეც მომავალში.

- მაინც როგორი იქნება თქვენი „საკუთარი“ პატარძლის კაბა?

– ყველა გოგონას წარმოსახვაში აქვს შერჩეული თავისი „ოცნების კაბა“. შევეცდებით, მედეას გემოვნებაში არ ჩავერიოთ ზედმეტად („დედამთილური“ რომ არ გამოვიდეს), გვინდა, მივცეთ თავისუფლება და სწორედ ის კაბა ჩავუტანოთ, რომელზეც ოცნებობს.

– რომ არ მოგეწონოთ მისი არჩევანი, მაინც არაფერს იტყვით?

– ხომ გითხარით, სარძლოებს მხოლოდ მშვენიერ გოგონებს შორის ვეძებდით-მეთქი, მშვენიერი გოგონა კი, თანაც ხელოვნებათმცოდნე, არ შეიძლება უგემოვნო იყოს.

„მარიონელას“ მფლობელები ოჯახის წევრებთან ერთად უკვე ემზადებიან გერმანიაში გასამგზავრებლად. სავარაუდოდ, კაბაზე მუშაობაც დაწყებულია (თუმცა, ამ ფაქტს მკაცრად ასაიდუმლოებენ), ხოლო ფოტოებს ჯვრისწერის შემდეგ დაგვპირდნენ, რომელიც 26 ნოემბერსაა დაგეგმილი.

მარიკა ტვილდიანი

ჩვენ ვილოცავთ წყვილს ბედნიერებას და მყარი ოჯახის შექმნას ვუსურვებთ!

23667

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭორის მსხვერპლი

„მანჰეტენზე დავდივარ და თავი ჭავჭავაძეზე მგონია“ ანუ ვინ უპირებს მოტაცებას ნინო ბურჯანაძეს

„ჭორი ჭკუის ჭვალია — ჭორიკანების ჭრელაჭრუალა ჭორია ჭეშმარიტი ჭირი...“ ეს ენის გასატეხია. მართალია, მასში ბევრ „ჭ“-ა, მაგრამ მისი რაოდენობა ახლოსაც ვერ მოვა იმ ჭორების რაოდენობასთან, რომელიც თბილისში დადის. მკითხველების წყალობით, რა თქმა უნდა, ნებისმიერი ახალი ჭორი ჩემთვის ცნობილი ხდება. ხანდახან სიამოვნებით „ჩავჭორავდები“ რომელიმე „მესიჯომანთან“.

„ჯაფარ, გინდა, გეჭორაო?“ „ჯაფარ, თუ ამ მესიჯს დამიბეჭდავ, ახლა, მაგრამ ჭორს გეტყვი“ — და ა.შ. როგორც წესი, ასე იწყებენ ისინი გზავნილს და მერე მოაყოლებენ ტყუილ-მართალს. როგორც ამბობენ, კვამლი უცეცხლოდ არ ჩნდება და ნებისმიერ ჭორს საფუძვლად რაღაც სიმართლის მარცვალი მაინც უდევს...

მაინც, რომელი ასაკიდან იწყებს ადამიანი ჭორებისთვის ყურის გდებას? თუ ჩვენს პირველ რესპონდენტს დავუჯერებთ, ის 7 წლის ასაკში გამხდარა ჭორისა და... თავისი დიდმკერდიანი, მუსიკის მასწავლებლის ტრფიალის მსხვერპლი.

მარი ჯაფარიძე

თვითმფრინავის პაგარა გამტაცებლები

„ვიზრდებოდი ძალიან მკაცრ ოჯახში. დედა და ბებია პედაგოგები მყავდნენ. შესაბამისად, ჩემს აღზრდას დიდი ყურადღება ექცეოდა. მეორე კლასში ვიყავი, როცა მუსიკაზე მიმიყვანეს. მასწავლებელი მყავდაა!.. — და-ცე-მა! უზარმაზარმკერდიანი ახალგაზრდა ქალი იყო. მართალია, სულ 7 წლის ვიყავი, მაგრამ მშვენივრად მქონდა განვითარებული ფანტაზიის უნარი და ძალზე მკაფიოდ მქონდა წარმოდგენილი, როგორ გამოიყურებოდა ჩემი მასწავლებელი ტანისამოსის გარეშე. ყოველი გაკვეთილის შემდეგ, განუმეორებელი შთაბეჭდილებებით ვბრუნდებოდი შინ. ერთხელ, დედა და ბებია რაიონში გაემგზავრნენ რამდენიმე დღით. შინ მხოლოდ მამაკაცები — მე, მამა და ბაბუა დავრჩით. ამის გამო, ჩემი სკოლაში თუ მუსიკაზე წაყვანაც მათ დაეკისათ. იმ დღეს მუსიკაზე ბაბუამ წამიყვანა და, რაღა თქმა უნდა, ჩემი მასწავლებელი გაიცნო. მთელი გაკვეთილის მანძილზე, იქვე ივჯდა და ხარბად მისჩერებოდა მაკა მასწავლებელს. ქვეცნობიერად საფრთხე ვიგრძენი. შემეშინდა, მაკა ბაბუას არ წაერთმია ჩემთვის... იმ ღამით, დასაძინებლად რომ დავწექი, მეორე ოთახიდან მამაჩემისა და ბაბუაჩემის საუბარს მოვკარი ყური. ბაბუა აღფრთოვანებული უყვებოდა, როგორი გარეგნობა ჰქონდა ჩემს მასწავლებელს და თან — იფ, იფო, — გაიძახოდა... მომდევნო გაკვეთილზე უკვე მამა გამომყვა. მისი აღტაცებული მზერა რომ შევნიშნე, ცხვირი ჩამოვუშვი და ტირილი დავაპირე, მაგრამ ვაუკაცურად შევიკავე თავი. იმ საღამოს, ისევ მესმოდა, როგორ ჭორაობდნენ მამა და ბაბუა ჩემს საყვარელ ქალზე... გვიანობამდე არ დამეძინა. გეგმას ვაწყობდი, როგორ უნდა მოვქცეულიყავი მეორე დღეს. ჩემი გეგმა ჩემს კლასელს გავუმეღავნე და შევთავაზე, ორივეს ერთად მოგვეპარა თვითმფრინავი, რომელიც სკოლის გვერდით მდებარე კომისარიატის ეზოში იდგა (როგორც ძეგლი), გავფრენილიყავით და თან წაგვეყვანა ჩემი მაკა მასწავლებელი, თავისი როიალით... ასეთი წინადადების მოსმენამ ჩემი მეგობარი, როგორც ჩანს, გააოგნა, გაოცება ვერ დაფარა და შინ მისულმა, ყველაფერი დედამისს უამბო, დედამისმა კი — დედაჩემს... დედას მთელი კვირა „პრესის“ ქვეშ ვყავდი და დაჟინებით მეკითხებოდა ჩემი შორს მიმავალი გეგმის შესახებ: — რატომ? რისთვის? როიალი რაღად გინდოდაო? — და ა.შ. თავიდან არ ვამხელდი და კატეგორიულად ვდუმდი, მაგრამ შემდეგ კანფეტმა თავისი საქმე გააკეთა და ავლაპარაკდი. ყველაფერი დაწვრილებით ჩავუკაკლე დედაჩემს. რა თქმა უნდა, არც ის დამვიწყნია, რომ მაკას მოტაცების ნამდვილი მიზეზი იყო შიში იმისა, რომ მამას და ბაბუას არ წაერთმიათ ჩემთვის. მათი ჭორაობის ამბებიც სიტყვა-სიტყვით მოვუყევი... იქ ამბავი ატყდაააა! ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, რომ დედა და ბებია კივილში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. მამაც და ბაბუაც ყურებზე ხელებაფარებულები დადიოდნენ და ამტკიცებდნენ, რომ ეს ჩემი ფანტაზიის ნაყოფი იყო. მე კიდევ, მიხაროდა, რომ დედამ ყველაფერი გაიგო. ახლა მაკა მასწავლებელს ვერავინ წამართმევდა. თუ წამართმევდნენ, ისევ დავასმენდი და მწარედ გაილახებოდა ორივე... ახლა უკვე 30 წლის ვარ. მაკა მასწავლებლის მოტაცება გადავიფიქრე და ჯერ კიდევ უცოლოდ დავდივარ. დედა და მამა ხშირად მსაყვედურობენ ამის გამო და ამ ამბავს მახსენებენ. ბავშვობიდან ასეთი მუსუსი იყავი და ახლა ცოლი ვერ მოგიყვანიაო, — მეუბნებიან ხოლმე. ეჰ, მაშინ უნდა მომეტაცებინა ჩემი მაკა... პატივისცემით, დათო“.

გეთანხმებით, ბატონო დათო, ახლა უკვე მართლაც, დაგვიანებულია. მაკა მასწავლებელი ალბათ უკვე ბებიაა, ის თვითმფრინავიც ჯართში იქნება ჩაბარებული... როიალი? როიალი ალბათ ისედაც ზედმეტი იყო, თვითმფრინავში მაინც არ შეეტეოდა...

კაცმა არ იცის, შეიძლება თუ არა, მკურნალობის არატრადიციულ მეთოდად ჩავთვალოთ კომბლეს მიერ ბატონის გაროზგვა. ფაქტია, რომ ბატონს წამალმა არგო, მაგრამ განიკურნა თუ არა ჩვენი მკითხველი არატრადიციული, ოღონდ — სულ სხვაგვარი მეთოდით, ამას ახლა შევიტყობთ.

მეორე „დიხანიე“ და ყინულის პროცედურები შერცხვენილ ქმარს

„მე ვარ ჭორის მსხვერპლი, უფრო სწორად, ჭორაობის მსხვერპლი. ქალი არ გეგონოთ, სრულფასოვანი მამაკაცი ვარ. ამას ხაზს რატომ ვუსვამ, ბოლოს მიხვდებით. უკვე 40 წლის ვარ. ცოლი 20 წლის ასაკში მოვიყვანე. ამ ზაფხულს მეორე სამსახური ვიშოვე და დასასვენებლად წასვლა ვერ მოვახერხე. ჩემი ცოლიც ქალაქში, ჩემთან ერთად დარჩა. ბავშვები კი (რაღა ბავშვები არიან) სოფელში წავიდნენ. მე და ლია მარტო რომ დავრჩით, ახალგაზრდობის წლები გავიხსენეთ: ვსეირნობდით, კინოში დავდიოდით, ერთმანეთს პაემანს ვუნიშნავდით... ძალზე ვიღლებოდი ორ სამსახ-

ურში, მაგრამ მაინც ვპოულობდი დროს საიმისოდ, ლიას „თხოვნები“ რომ შემესრულებინა. იმას კიდევ, არ ვიცი, მეორე „დიხანიე“ გაეხსნა თუ რა ჯანდაბა ეტაკა, მაგრამ არც დღე მასვენებდა და არც ღამე...

ქალი მაინც სხვაა, მე კი სად შემეძლო ამდენი?!. თანაც სამსახურში ისე ვიღლებოდი... ჰოდა, ერთ მშვენიერ ღამეს არაფერიც არ გამომივიდა. გადაირია ლია, იტირა, საყვედურებით ამავსო. რა იყო, ქალო, გუშინ ხომ ყველაფერი რიგზე იყო, ერთი-ორი დღე მაცალე, დავისვენებ და პრობლემაც მოიხსნება-მეთქი, — ვუთხარი, მაგრამ არაფრის გაგონება არ სურდა. მეორე ღამით, ცოტა ადრე დავწექი დასაძინებლად. უეცრად, რაღაც კოშმარულმა შეგრძნებამ გამაღვიძა. შეშინებული წამოვხტი. ვხედავ, ლია გაღიმებული დგას და მიყურებს, მე კი ტრუსში ყინულის ნატეხები მიყრია. ერთიანად ავფეთქდი... როდესაც დავწყნარდი, ვკითხე — ასე რატომ მოიქეცი-მეთქი? აღმოჩნდა, რომ იმ დღეს, თავისი დაქალი მოუნახულებია. რა თქმა უნდა, ქმრებზე უჭორავიათ. ამ ჩერჩეტს წინა ღამის ამბები მოუყოლია. დაქალს დაუმშვიდებია და უთქვამს — მაგას ტემპერატურის მკვეთრი ცვლა შველისო და უსწავლებია, როგორ უნდა მოქცეულიყო. ამანაც ზუსტად შეასრულა მისი მითითება... აი, ასე გავხდი ჭორის მსხვერპლი. ამის შემდეგ, ლიას ჩემზე ჭორაობა ავუკრძალე“.

მინდა გითხრათ, რომ ძალზე გაგმართლებიათ. „მკვეთრი ტემპერატურული ცვლილებებით“ მკურნალობის მეთოდის მიმდევრები ცივი პროცედურის შემდეგ, ცხელს იყენებენ. ჰოდა, მადლობა გადაუხადეთ ლიას, რომ უთო არ ჩართო საქმეში...

ახლა შემდეგ მკითხველს მოვუსმინოთ. ის ისრაელიდან სულ რამდენიმე დღით ჩამოსულა და გადაუწყვეტია, თავისი ამბავი ჩვენთვის მოეყოლა.

ჭორის გამო მიტოვებული ცოლი და გასხვისებული შვილი

„გამარჯობა, მარი. მე ისრაელის მოქალაქე ვარ და იქ ვცხოვრობ. თბილისში პირველად ერთი წლის წინ ჩამოვედი. ახლა მეორედ, სულ რამდენიმე დღით ვარ ჩამოსული. თქვენი ჟურნალი შემთხვევით ჩამივარდა ხელში. „გზავნილები“ ძალიან მომეწონა და გადავწყვიტე, ჩემი ამბავი მოგიყვეთ. ვფიქრობ, უინტერესო არ იქნება. როცა ჩემი მშობლები ისრაელში წავიდნენ საცხოვრებლად, 4 წლის ვიყავი. კარგად მახსოვს ჩვენი მგზავრობა თვითმფრინავით, ახალი სახლი, ახალი გარემო და ენა, რომელზეც ყველა გარშემო მყოფი ლაპარაკობდა, მე კი არაფერი მესმოდა. მას შემდეგ 22 წელი გავიდა. ოჯახში დღესაც ქართულად ვლაპარაკობთ. ჩემი მშობლებისგან ძალზე განვსხვავდები გარეგნულად, დედისერთა ვარ. რაც წამოვიზარდე, იმის შემდეგ სულ მქონდა ეჭვი, რომ ნაშვილები ვიყავი. ამ რამდენიმე წლის წინ, დედას დაჟინებით ვთხოვე, სიმართლე ეთქვა. მართლაც, მომიყვა ჩემი თავგადასავალი. თურმე, დედას სამშობიაროში მივუტოვებივარ თუ გავუშვილებივარ, ხოლო მიზეზი, რის გამოც ჩემზე უარი უთქვამს, არავინ იცოდა. ეს ჩემთვის ძალზე მძიმე მოსასმენი იყო. გადავწყვიტე, დედა მომეძებნა. ჩემმა გამზრდელმა ამის შესახებ რომ შეიტყო, ამოიოხრა. ამიტომ არ მინდოდა, შენთვის სიმართლე გამემხილაო, — მითხრა. მოსვენება დავკარგე. სულ იმ ქალზე ვფიქრობდი, ვინც მიმატოვა. ძალიან მინდოდა, მისთვის თვალებში ჩამეხედა და მეთქვა — აი, უკვე რამხელა ბიჭი ვარ-მეთქი! ვცდილობდი, წარმომედგინა, როგორ სახეს მიიღებდა ამ დროს... მშობლებს დიდი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ ჩემთვის, როცა თბილისში წამოსვლა გადავწყვიტე. 3 თვის განმავლობაში ვეძებდი ქალს, რომლის მხოლოდ სახელი, გვარი და ასაკი ვიცოდი. კარდაკარ დავდიოდი და ვკითხულობდი — უკაცრავად, ნანა აქ ცხოვრობს-მეთქი? ბოლოს მის ერთ-ერთ ყოფილ ბინას მივაკვლიე. იქ მიპასუხეს, — აქ ცხოვრობდა, მაგრამ სხვაგან გადავიდაო და მისი მისამართი მომცეს. ამის შემდეგ, სადაც მივედი, ყველგან იმავეს მეუბნებოდნენ და მის ახალ მისამართს მაძლევდნენ. მისი გამოცვლილი ბინების სიდიდისა და კომფორტულობის მიხედვით, მივხვდი, რომ ჩემი მშობლის ცხოვრება თანდათანობით სულ უკან-უკან წასულა. ბოლოს, ნახევარსარდაფში, ერთოთახიან ბინას მივადექი. დავაკაკუნე. კარი მოხუცმა ქალმა გამიღო. ცოტა ხანში კი, მის უკან 4 წლის ბუთხუზა ბიჭუნა გამოჩნდა. როდესაც ნანა ვიკითხე, ქალმა თავით მანიშნა, — შემოდიო. ეს ქალი ბებიაჩემი აღმოჩნდა, ბავშვი — ჩემი ძმა, დედა კი მასზე მშობიარობას გადაჰყოლია... ბებიას ძალიან გაუკვირდა, როცა ჩემი ვინაობა შეიტყო, თუმცა აღფრთოვანებისა მისთვის არაფერი შემინიშნავს. შემდეგ ჩემი მშობლების ამბავი მიამბო. მამაჩემი დედაჩემისთვის მეორე ქმარი ყოფილა, მათ ერთმანეთი ძალიან ჰყვარებიათ. დედას, ფეხმძიმობისას, მამა თან ჰყვებოდა თურმე. როცა ჩემი დაბადებით გახარებული მამა მეგობრებთან ერთად ქეიფობდა და ჩემს სადღეგრძელოს სვამდა, სუფრასთან მყოფთაგან ერთ-ერთს უთქვამს, — კარგად გაიკითხე, იქნებ, ბავშვი შენი არ არის, შენს ცოლზე ჭორები დადიოდა, რომ სხვა კაცს ხვდებოდაო. ის ქეიფი ჩხუბითა და შეხლა-შემოხლით დამთავრებულა, მაგრამ მამას იმ კაცის ნათქვამი მაინც დაუჯერებია და ახალმოლოგინებული ცოლისთვის შეუთვლია, — თუ მაგ ნაბიჭვარს არ მიატოვებ, მაშინ მე მიგატოვებო. დედას უცდია, მისთვის თავისი უდანაშაულობა დაემტკიცებინა, მაგრამ განრისხებულ ქმარს თურმე, არაფრის გაგონება არ უნდოდა. დედაც ამდგარა და მე გავუწირივარ... მამაჩემს ამის შემდეგ დედა ღვთის ანაბარად მიუტოვებია, თვითონ კი უგზო-უკვლოდ გადაკარგულა. დედა საარსებო წყაროს გარეშე დარჩენილა, ამიტომ ბინას ყიდდა და ნაკლებფართიან ბინაში გადადიოდა საცხოვრებლად, დარჩენილი ფულით კი თავი გაჰქონდა. ბოლოს, შვილის გაჩენა მაინც გადაუწყვეტია და საყვარელი კაცისგან დაფეხმძიმებულა. ამ დროს, ის 45 წლის ყოფილა. მშობიარობა გართულებია და გარდაცვლილა. პატარა გიუნას აღზრდა ბებიას უთავია. ეს იყო სულ, რაც ბებიისგან მოვისმინე. ის და გიუნა ნესტიან ოთახში ცხოვრობდნენ, მხოლოდ ერთი საწოლი ჰქონდათ, სადაც ალბათ, ორივენი ერთად იძინებდნენ. კედელზე დედაჩემის გადიდებული სურათი ეკიდა. იმ ოთახში დედას სიკვდილამდე 4 წელი გაუტარებია. მიუხედავად იმისა, რომ დასაწოლი ადგილი არ ჰქონდათ, სასტუმროში აღარ წავედი და იმ ღამით იქ დავრჩი. ბებიამ და გიუნამ დაიძინეს, მე კი პატარა ძმის მშურდა, რომ დედის დედასთან ასე ჩახუტებულს ეძინა. მთელი ღამე ოთახში დავბორიალებდი და დედის ხელშენახებ ნივთებს ვეფერებოდი. კედელზე მისი ჩანთა ეკიდა, შევეხე, ჩამოვხსენი საკიდრიდან და შიგ ჩავიხედე. ათასი უსარგებლო ნივთი ეწყო: გატეხილი სარკე, თმის სამაგრი, მაკრატელი... გვერდით ჯიბეში ხელი ჩავყავი. იქიდან ხელს რაღაც ამოჰყვა. ეს გახლდათ სამაჯური, რომელსაც სამშობიაროში ბავშვებს მაჯაზე უკეთებენ. ზედ ჩემი სახელი, დაბადების თარიღი და ზუსტი წონა ეწერა. წარმოვიდგინე, როგორ შემხსნა დედამ ეს სამაჯური, ვიდრე მისგან წამიყვანდნენ. კედელზე დაკიდებულ სურათს შევხედე. ჩანთა ადგილზე დავაბრუნე, კარი უხმაუროდ გამოვიხურე და წამოვედი... ეს ამბავი ერთი წლის წინ მოხდა. ახლა ისევ ჩამოვედი, რომ ჩემი ძმა თან წავიყვანო, მაგრამ ბებია უარზეა. მასაც ვთხოვე, ჩვენთან წამოვიდეს, ჩემი გამზრდელი მშობლების წერილიც წავაკითხე, სადაც სწერენ, რომ სულით და გულით ეპატიჟებიან, მაგრამ ბებია შეუვალია — არც ძმას მატანს, არც თვითონ მოდის. როგორ მინდა, რომ ჩემმა ძმამ კარგ პირობებში იცხოვროს, კარგი განათლება მიიღოს, მაგრამ ვერ ვახერხებ... ახლა იძულებული ვარ, ბინა ვუყიდო მათ, მე კი კვლავ ისრაელში დავბრუნდე და იქიდან მოვაწოდო საჭირო თანხა ყოველთვიურად. მეც ხშირად ჩამოვალ მათ სანახავად. იქნებ, მივაღწიო იმას, რომ ჩემი ძმის ოფიციალურ „აპეკუნად“ მაღიაროს სასამართლომ... აი, ეს იყო სულ, რაც უნდა მომეყოლა. ჭორის მსხვერპლი ვარ, აბა, არ ვარ?!. ნახვამდის. მარი, თუ დახმარება დამჭირდება, დაგიკავშირდები. შენი თანადგომის იმედი მაქვს. ლევანი“.

ეს სწორედ ის შემთხვევაა, როცა კომენტარი ზედმეტია. თავს აღარ შეგაწყენთ და პირდაპირ შემდეგი მკითხველის გზავნილს შემოგთავაზებთ.

გეი თუ სუპერკაცი?

„პრივეტ,“ მე ლულუ ვარ, 25 წლის. ახლა უნდა გიამბოთ, როგორ გავხდი ჭორის მსხვერპლი და როგორ დადგა ჩემი ცხოვრება თავდაყირა მას შემდეგ. დავიბადე და გავიზარდე იმ კორპუსში, სადაც ახლა ვცხოვრობ. მეზობლად ჩემი ასაკის 5-6 ბავშვი ცხოვრობდა. ეზოში ერთად ვთამაშობდით, ერთ სკოლაში დავდიოდით და ვმეგობრობდით. ჩვენ შორის იყო ერთი ფერმკრთალი, სუსტი აღნაგობის ბიჭი და სახელიც შესაფერისი ერქვა — ნუკრი. რომ წამოვიზარდეთ,

ბიჭები მასთან აღარ მეგობრობდნენ. სტუდენტები რომ გავხდით, მასზე ჭორაობდნენ — გეიაო. მე ძალზე მეცოდებოდა და თანავუგრძნობდი. ნუკრიმ სამხედრო სამსახური მოიარა და იქიდან სულ შეცვლილი დაბრუნდა. აღარ ჰქონდა ის სუსტი აღნაგობა, დავაჟკაცებულიყო, კუნთები დასტყობოდა... უნივერსიტეტში ჩაირიცხა და როცა სხვა ბიჭები ქალებში დაძვრებოდნენ, ის წიგნებს კითხულობდა, მეცადინეობდა და ერთ-ერთ საუკეთესო სტუდენტადაც ითვლებოდა. მასზე ჭორები კი ისევ ვრცელდებოდა. მიუხედავად იმისა, რომ მე და ნუკრი ძალზე ახლო მეგობრები ვიყავით, ვერასოდეს ვბედავდი, მისთვის ამ თემაზე ჩამომეგდო სიტყვა. თან ვგრძნობდი, რომ უკვე მიყვარდა კიდეც. მშობლები მასთან ურთიერთობას არ მიშლიდნენ, რადგან დარწმუნებული იყვნენ, რომ ჭორი, რომელიც მათ ყურამდეც იყო მისული, სიმართლეს შეეფერებოდა და ნუკრის ჩემს „დაქალად“ თვლიდნენ. ამიტომ, არც კი შეუცხადებიათ, როცა ერთ საღამოს ვუთხარი — ამაღამ ნუკრისთან დავრჩები-მეთქი. შინ მარტონი ვიყავით. დიდხანს ვისაუბრეთ, ტელევიზორს ვუყურეთ, ვიჭორავეთ. უეცრად ნუკრიმ მოფერება დამიწყო. წინათ არავინ შემხებია და არც არავის უკოცნია. მისთვის წინააღმდეგობა არ გამიწევია და ისე აღმოვჩნდი მის ლოგინში, რომ აზრზე მოსვლა ვერც მოვასწარი. გონს რომ მოვეგე, ამის შემდეგ ვუთხარი — შენზე ამბობენ, რომ გეი ხარ, შენ კი თურმე, სუპერმამაკაცი ყოფილხარ-მეთქი. გაეცინა — ამიტომ გაბედე ჩემთან ღამის გათევაო? — მკითხა... ამის შემდეგ მე და ნუკრი ერთი წლის განმავლობაში ვხვდებოდით ერთმანეთს. მეგონა, ვუყვარდი. მან კი ერთ საღამოს მითხრა — ჩემს მეგობარს მოსწონხარ, ამაღამ ჩემთან სტუმრად მოვა, შენც მოდი და გაგაცნობო. ღამის გადავირიე, მაგრამ მაინც მივედი. ნუკრიმ სუფრა გაშალა. 1-2 ჭიქა კონიაკიც დავლიეთ. შემდეგ მითხრა — თუ თანახმა ხარ, ამაღამ დათოსთან დაწექი, ჩემგან არანაირი პრობლემა არ გექნებაო. ჯიბრზე დავწექი მის მეგობართან. მეგონა, იეჭვიანებდა, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ... ამის შემდეგ, თითქმის ყველა მისი ნაცნობის ლოგინი მოვიარე. ახლა უკვე ამ საქმით ფულსაც ვშოულობ — მხოლოდ მდიდარ მამაკაცებს ვემსახურები. ჩემი თავი ჭორის მსხვერპლად მიმაჩნია. მინდა, რომ ერთხელ და სამუდამოდ დავანებო თავი ამ საქმეს, მაგრამ ვერ ვახერხებ. როდემდე უნდა ვიყო სხვისი სხეულის მსახური? პატივისცემით, ლულუ“.

აბა, ასეთ გოგონაზე ვინ იტყვის, გასულია მომსახურების ზონიდანო?!. მხოლოდ ის, ვინც მას არ იცნობს, მაგალითად, ქალი, რომელიც ჩვენს „მობილურში ზის“ და როცა ის გამორთულია, ჩვენ მაგივრად პასუხობს — „გასულია მომსახურების ზონიდან!“... მობილურზე გამახსენდა — თურმე ეს ნივთიც შეიძლება ჭორაობის ობიექტად ან საბაბად იქცეს. გვიამბობს 25 წლის ელენე.

სად იმალება ოჯახის დანგრევის ნამდვილი მიზეზი?

„როდესაც სულ პირველად გამოჩნდა მობილური ტელეფონი და ის ახლოდან ვნახე, ლამის ჭკუა გადამეკეტა, ისე მომინდა, მეც მქონოდა. მაგრამ მაშინ ტელეფონი ძალზე ძვირი ღირდა და ვერ შევწვდებოდი. 2 წლის შემდეგ, უკვე შესაძლებელი გახდა, რომ ეს საოცნებო ნივთი ხელში ჩამეგდო. ჩემს ქმარს ვთხოვე, მიყიდე-მეთქი. ქვა ააგდო და თავი შეუშვირა: მობილური რა ქალის საქმეა? არც იოცნებო, ვერასოდეს ეღირსებიო. ხან აქედან მოვუარე, ხან — იქიდან, ვეხვეწე, ვემუდარე, მაგრამ ვერაფერი შევასმინე. ავდექი და მისგან მალულად შევიძინე. თუ ის შინ არ იყო ან მე ვიყავი შინიდან გასული, ტელეფონი ჩართული მქონდა. თუ არა და, გამოვრთავდი და ჩანთაში ვტოვებდი. მთელი წელი ისე გავიდა, რომ ეს ამბავი არ გაუგია. ერთ დღეს, სტუმრად მისულა თავის ძმაკაცთან, რომლის ცოლსაც კარგად ვიცნობდი. იმან ჩემი მობილურის შესახებ არაფერი იცოდა, მაგრამ საერთო ნაცნობთან უჭორავია და მას უთქვამს — ელენეს მობილური აქვს, მაგრამ მისმა ქმარმა ამის შესახებ არაფერი იცისო. ამ ქალბატონს თავისი ქმრისთვის ჩაუკაკლავს ყველაფერი, იმას — ჩემი ქმრისთვის. ისეთი განრისხებული დაბრუნდა შინ ჩემი ძვირფასი მეუღლე, თითქოს ღალატზე წამასწრო! შემოვიდა თუ არა, მაშინვე ცალკე გამიხმო და მითხრა — აბა, მაჩვენე შენი მობილური ტელეფონიო. მივხვდი, რომ ყველაფერი იცოდა და დამალვას აზრი არ ჰქონდა. ვუჩვენე. ხელიდან გამომგლიჯა და მთელი ძალით მიანარცხა კედელს. თან ყვიროდა — წესიერ ქალს მობილური არ სჭირდებაო! — უშვერი სიტყვებით მლანძღავდა. მობილური ტელეფონი გახდა ჩემი ოჯახის დანგრევის მიზეზი, რადგან ჩემი ქმარი თვლიდა, რომ მობილური მარტო მსუბუქი ყოფაქცევის ქალებს ჰქონდათ... ახლა ჩემს შვილთან ერთად ცალკე ვცხოვრობ და ყველაზე მაღალი დონის მობილური მაქვს. ჩემმა ქმარმა ეს რომ იცოდეს, ალბათ იფიქრებს, რომ მაღალი დონის ბოზი ვარ. რა უნდოდა, იმ ჩემი ცოდვით სავსე ვახოს? რას ეჭორავებოდა ჩემს ქმარს?.. ახლა წამხდარ საქმეს უკვე აღარაფერი ეშველება. ახლა ის მაინტერესებს, როგორ ეგუება ჩემი ქმარი იმას, რომ მის დასაც და დედასაც აქვთ მობილურები... პატივისცემით, ელენე“.

ახლა კი საჩივრის სვეტისა და მოკლე მესიჯების ჯერი დადგა.

„მას არ ეყო ვაჟკაცობა, რომ სიყვარული დაეცვა“

„ჭორის მსხვერპლი — არა, მაგრამ რაღაც ამდაგვარი კი ვარ. მე ისინი ერთმანეთს გავაცანი... თუმცა, მოდი, თავიდან მოგიყვებით. მყავდა 2 შეყვარებული. ისინი ერთმანეთს გავაცანი. ჰოდა, ადგნენ ეგ იდიოტები და ერთმანეთს არ „ჩაუბრატდნენ“? „ტოჟე მნე“, ძმაკაცები! ერთმა მეორეს უთხრა, რომ მე მასზე ცუდს ვლაპარაკობდი. ის კრეტინი კიდევ „დაიგრუზა“. რა უნდოდათ? ვერ შემიფერეს? ჰოდა, იყვნენ ახლა ასე... თამო“.

„მინდა, ქუთასიელ დათო ლ-ს ვუთხრა, რომ ძალიან მიყვარს. ნურავის ლაპარაკს ყურს ნუ დაუგდებს. დათო, ნუ მტანჯავ!“

„პარაზიტო, ჩვენი ურთიერთობა ასე უკუღმა რომ წარიმართა, მეგონა, მართლაც, ჭორების ბრალი იქნებოდა... ძალიან განვიცდიდი, არ მინდოდა ასეთი ურთიერთობის დანგრევა. თურმე, დედაშენის შეთხზული ჭორების ბრალი ყოფილა ყველაფერი. „გზავნილებში“ წავიკითხე, როგორ ეუბნები ზურიკოს, მიყვარხარო. მე გჭირდებოდი, საჩუქრებით მანებივრებდი და ზურიკოზე ფიქრობდი?! ორი კურდღლის მადევარივით დაგემართება. ცინიკოსი შენ ყოფილხარ, მე კი მჯეროდა შენი, რომ მეფიცებოდი, — მიყვარხარო. მე ზურგში დანა ჩამარტყი და ახლა სხვებს მიადექი? ყოჩაღ, კოლექციონერო!“

„არ მახსოვს, როდის გავიცანი ნატა. ერთმანეთს ბავშვობიდან ვიცნობთ. ის ჩემს მეზობლად დასასვენებლად ჩამოდიოდა ხოლმე. დიდი ხნის წინ მივხვდი, რომ ის მიყვარდა. თვითონაც სიყვარულით მიპასუხა. ერთხელ დასასვენებლად მხოლოდ მისი და ჩამოვიდა. როცა ნატას ამბავი ვიკითხე, მიპასუხა: ნატა არ ჩამოვა, რადგან არ უნდა, რომ ხელი შეგიშალოსო. აღმოჩნდა, რომ ნატასთვის უთქვამთ — ლევანს 2 წლის ტყუპი ჰყავს ვიღაც ქალთან და შენ მხოლოდ გასართობად უნდიხარო. ამის შემდეგ, ნატამ მოიბილურის ნომერი შეცვალა, საცხოვრებლად სხვაგან გადავიდა და სწავლა მიატოვა... მარი, შენი იმედი მაქვს. გთხოვ, ნატა მაპოვნინე...“

„ერთი თვის წინ, მეგობარს ვეჩხუბე. არც არასოდეს შევურიგდები. საქმე ის არის, რომ თვითონ მეჭორავა ჩვენს საერთო მეგობარზე. სინამდვილეში მასთან ჩემზეც უჭორავია. ყველაფერი გავარკვიეთ და ეს ენატანია მაგრად გამოვლანძღეთ. ახლა ყველა ჩამოშორდა და დადის მარტო. კოკო“.

„ჭორის გამო შეიძლებოდა ჩემი სიყვარული დამეკარგა, მაგრამ საბედნიეროდ, ყველაფერი გაირკვა და მე და ანი კვლავ ერთად ვართ. გ.ნ.“

„ჭორები რომ არა, ახლა მე და ჩემი შეყვარებული ერთად ვიქნებოდით, მაგრამ მან დედას დაუჯერა. დედა სხვამ გაბერა ჭორებით და ყველაზე მეტად გული იმის გამო მტკივა, რომ ეს „სხვა“ — ჩემი ახლობელი გახლდათ. მინდა, ჩემს სიყვარულს ვუთხრა, რომ ცუდი არაფერი გამიკეთებია და მთელი გულით მიყვარს. ვიცი, ის ისევ ფიქრობს ჩემზე, მაგრამ მე ის ჭკვიანი გოგო აღარ ვარ, ყველაფერზე რომ ვჩუმდებოდი და თავს ვუქნევდი. მას არ ეყო ვაჟკაცობა, რომ სიყვარული დაეცვა. ასე წინ ვერ წახვალ, ცუგა!“

„სულ იმას გაიძახიან, ქალები ჭორიკანები არიანო. მაგრამ მინდა დაგარწმუნოთ, რომ მამაკაცები გვჯობნიან ამ საქმეში. ჩემს თავზე ჭორი პირველად მოვისმინე

და კინაღამ გავაფრინე. არა, ქარაფშუტა კი ვარ, მაგრამ ასეთი სისულელის ჩამდენი?!. თანაც, ისეთმა ადამიანმა თქვა, რომელსაც მხოლოდ ქუჩაში ვხდებოდი და გამარჯობასაც არ ვეუბნებოდი, რადგან არ ვიცნობ. ვინ იყო?.. — რა თქმა უნდა, ბიჭი. ჰოდა, ჩემო „ტკბილო“ მეზობელო, თუ კიდევ გამეორდება მსგავსი შემთხვევა და შენს ფანტაზიებს შენთვის არ შეინახავ, „გადმოგილებ“ მამიკოს მანქანიდან და ვინ გახდება ჭორის მსხვერპლი, მერე გავარკვიოთ. გკოცნით, ჭორის ობიექტი, ნინი“.

„მე და უშანგის ერთმანეთი 4 წელი გვიყვარდა. გოგი კი ჩვენ შორის ჩადგა, ჩემგან უარი ვერ აიტანა და შემპირდა, — გაგამწარებო. შეასრულა კიდეც. უშანგის უთხრა, რომ მასთან ვუღალატე. იმანაც დაიჯერა და ერთმანეთს დავშორდით. მე კი ის სიგიჟემდე მიყვარს“.

„ყველა ბიჭი მეზიზღება, რომელსაც მუხლამდე უბეჩამოწეული „ჩაჩი“ აცვია და ჭკუაზე არ არის, ისე მოსწონს საკუთარი თავი. 2PAC“

„ქუთაისელო ნინო ბურჯანაძევ, ტყუილად ემზადები აშშ-ში წასასვლელად, რადგან მე მოგიტაცებ. ჯერ პატარა ხარ, მაგრამ მე ვარ დიდი ბიჭი. თანაც, ნახევარ ქუთაისს უყვარხარ და...“

„ჩემმა უახლოესმა დაქალმა ჭორი მომიტანა, თითქოს ჩემმა შეყვარებულმა ცოლი მოიყვანა. დავუჯერე და შეყვარებული დავკარგე. სოფო, ამას არ გაპატიებ. გამომიქვეყნეთ, თორემ თავს ვიკლავ. მამუკა, მაპატიე და დამიბრუნდი. ნანაკა“.

„მეგონა, მაგარი დაქალი მყავდა. მან კი ჩემს შეყვარებულთან რომანი გააბა, ჩემს ზურგს უკან. მაგარი დაბოღმილი ვარ. მხოლოდ „გზავნილებითღა“ ვერთობი!“

„ძალიან შურიანი მეგობრები მყავს. ჩვენს კურსზე ახალი ბიჭი გადმოვიდა. ყველა მასზე „იფერთხება“. მე კი მისი მეგობარი ვარ. გოგოებმა იკას უთხრეს, რომ მიყვარს. ეს ასე არ არის. იქნებ, ეს მესიჯი წაიკითხონ და მიხვდნენ თავიანთ შეცდომას“.

„მე ჭორის მსხვერპლი ჯერ არ გავმხდარვარ, მაგრამ მინდა გითხრათ, რომ ჩვენს უბანში დედამთილები რძლებზე გამუდმებით ჭორაობენ, მერე ეს ამბები რძლებამდე მიდის. ვერც ვერაფერს ვამბობთ და დაბოღმილები დავდივართ. იმათ ის კი არ იციან, რომ ჭორაობა ჩვენც გვეხერხება... ნინი“.

„ლაშა ტელეფონით გავიცანი, ნახევარი წელი ვმესიჯობდით. 17 სექტემბერს შევხვდით. ლაშა ჩემზე დაბალი აღმოჩნდა, მაგრამ საოცარი თვალები ჰქონდა. ერთმანეთი მოგვეწონა. ის დღე არასოდეს დამავიწყდება. ლაშა მეფერებოდა, შემდეგ მაკოცა კიდეც. ეს ყველაფერი ისე გააკეთა, რომ ვერც შევეწინააღმდეგე. ჩემი ბოიფრენდი ძალზე ნაკითხი აღმოჩნდა, რაც მის მიმართ სიმპათიას მიასმაგებდა. შემდეგ ჩვენს ურთიერთობაში ჩემი მამიდაშვილი ჩაერია, ჩემსავე ინიციატივით. ლაშას უზრდელად მოექცა და გაამწარა. მიუხედავად იმისა, რომ განაწყენდა, ლაშა ჩემთან განშორებას არ აპირებდა, მაგრამ მას ჩემი მამიდაშვილი ვარჩიე და წუხელ საბოლოოდ დავემშვიდობეთ ერთმანეთს. ასე სულელურად დავკარგე ჩემი ოცნების მამაკაცი, რომელიც უზომოდ მიყვარს და მის სითბოს ვერ ვივიწყებ. ვიცი, ჩემი მესიჯის გამოქვეყნების შანსი თითქმის არ არსებობს, რადგან თემას არ შეესაბამება, მაგრამ გთხოვ, ნუ გამწირავ და ნუ დატოვებ უყურადღებოდ ჩემს საწუხარს, რომელიც მხოლოდ შენ გაგიმხილე. ლიკუნა“.

„2 წლის წინ გავიცანი ჩემი ახლობლის ძმაკაცი. თავიდან ძალიან კარგად აეწყო ჩვენი ურთიერთობა. დავმეგობრდით, მშვენივრად ვუგებდით ერთმანეთს, მაგრამ ხმები დაგვიყარეს, რომ ერთმანეთი გვიყვარდა. ამან საშინლად იმოქმედა ჩვენს ურთიერთობაზე. თითქოს არ ვიმჩნევდით, მაგრამ თვალებში ვერ ვუყურებდი. ასე მეგონა, ჩემზე შთაბეჭდილება შეეცვალა. ძალიან მინდა დაველაპარაკო და ავუხსნა, რომ ეს ყველაფერი ჭორია...“

„ადრე ჭორების არ მჯეროდა. მაგრამ დავიჯერე, როცა ჭორმა საყვარელი ადამიანი დამაკარგვინა. ამ ზაფხულს მე და გიოს უერთმანეთოდ სიცოცხლე ვერ წარმოგვედგინა. მთელი ზაფხული ჩუმად ვხვდებოდით. მეგონა, დედაჩემი თუ შეიტყობდა, მომკლავდა. მაგრამ დედამ გამიგო. სამაგიეროდ, გიოს დედასთან მიჰქონდათ ჩემზე ათასგვარი ჭორი. ბიცოლაჩემი ცდილობდა, ჩემზე და გიოზე ყველაფერი შეეტყო, შემდეგ კი, როგორც თვითონ აძლევდა ხელს, ისე მიეტანა დედამისთან ამბები. მერე იძულებული გავხდით, რომ ისევ მალულად შევხვედროდით ერთმანეთს. გიოს აიძულებდნენ, რომ დამშორებოდა. ასეც მოხდა მამამისის წყალობით.“

„ჩემს მეზობლებს ყველაფერი უკვირთ. ჭორაობენ, ახალი მეზობელი ბიჭებს ფანჯრიდან „აბამსო“. მეზობლებო, დამიწყნარდით! თამუნა“.

„ახლა მე საქართველოდან ძალიან შორს, ამერიკაში ვარ. მომაკვდავს რომ სიცოცხლე მოენატრება, ისე მენატრება ჩემი თბილისი, თბილისური ჰაერი. გეხვეევით მთელ საქართველოს. მინდა გითხრათ, რომ მსოფლიოში ყველაზე მაგრები ქართველები ვართ. მანჰეტენზე დავდივარ და თავი ჭავჭავაძეზე მგონია...“

„მე მართლაც, ჭორის მსხვერპლი ვარ. მამასთან ერთად ვცხოვრობდი მდგმურად. დედა 10 წლის ასაკში მომიკვდა. დედინაცვალს ვერ შევეგუე, მამა მზრდიდა. მეზობლად კახელი ქალი ცხოვრობდა, ჩვილ ბავშვთან ერთად. მასთან ხშირად მოდიოდა მისი ძმისშვილი, ბესიკი. მე პატარა ვიყავი, ის კი — სტუდენტი. მილიციის აკადემიაში სწავლობდა. ძალიან მომწონდა ბესიკი. ისიც თავს მევლებოდა. გვიხაროდა ერთად ყოფნა. ჩემზე დიდი იყო და მანებივრებდა. მხოლოდ მკოცნიდა, მეტის უფლებას თავს არ აძლევდა. არ ვიცი, საიდან ააგორეს ჭორი, მაგრამ ჩვენზე ყველა ალაპარაკდა. მე შემეშინდა და სასწრაფოდ დავშორდი. მე დღესაც მიყვარს. რომ არა ეს ჭორი, დღეს სხვაგვარი ცხოვრება მექნებოდა“.

„მე და ნოდარიკო სწორედ ჭორმა დაგვაშორა, მაგრამ დღეს ძალზე მადლობელი ვარ იმ ჭორიკანების, რადგან მათ იცოდნენ, სინამდვილეში რა ნაძირალაც იყო. თუმცა, ის მაინც ჩემი პირველი და ნამდვილი სიყვარელი იყო... ნ. ქუთაისი“.

„მარი, რა მაგარი თემა გაჩითე! სად მალავდი?.. სამწუხაროდ, ჭორს ვერც მე გავექეცი და მისი მსხვერპლი გავხდი. ამ ჭორებით მაგრად ვერთობი ხოლმე. ხან მიტაცებენ, ხან — მათხოვებენ, ხან — რა, ხან — რა... იჭორაონ, მაგრამ — „შავ“ ჭორებს ვერ ვიტან. ქრისტინე“.

„სანდრო, მართლა მაგრად მიყვარხარ. სამწუხაროდ, დღეს ცუდი ამბავი გავიგე — სხვა გიყვარს! მიუხედავად ამისა, მუდამ მეყვარები“.

„წრიპა, ხომ გახსოვს, ჭორების აყოლამ ერთხელ სანთელივით ჩამოგადნო!.. ახლა გირჩევნია, დროზე მოხვიდე აზრზე, თორემ სამუდამოდ ინანებ“.

საჩივრის სვეტი

„ვუჩივი სიყვარულს, რომ მიმატოვა და გამშორდა საუკუნოდ. ვუჩივი სიცოცხლეს, ჩემში რომ ჩასახლდა და მაწვალებს. ვუჩივი ბედნიერებას, რომ მიმატოვა და ზურგი მაქცია. ვუჩივი სიკვდილს, რომ დამივიწყა. თითქოს არ ვიყო და არც არასოდეს ვარსებობდი. 200 წლის პაწაწუნა“.

„ვუჩივი დედაჩემს: სახლი თავზე რომ ჩამოგვენგრეს ან გაზი აგვიფეთქდეს, კომპიუტერს თავს მაინც არ დაანებებს. ჩემი ძმა კი მის გარშემო დარბის და დამსვიო, ეხვეწება. ეს ყველაფერი ჩემს ნერვებზე საშინლად მოქმედებს. დეეე! კარგი, რააა! დასვი გიო კომპიუტერთან თორემ, მართლა გიჩივლებ! ნინია“.

„გვინდა, ჩვენს დაქალს, ნინოს ვუჩივლოთ, რადგან მთელი დღე სწავლობს და ჩვენთვის ვერ იცლის. იმედია, ამ საჩივარს წაიკითხავს და გაგვიხსენებს. ნათია, მარი და ხატია“.

„ვუჩივი მარი ჯაფარიძეს. მარი, რატომ დაივიწყე რუბრიკა — „სასიძო-საპატარძლო“? რესპონდენტები გამოგელია? ჩვეულებრივი, არაპოპულარული ადამიანები არ გაინტერესებს?..“

„ვუჩივი ჩემს ძმას, დაჩის, რომელიც უკვე 2 კვირაა, არ მელაპარაკება. ვირივით ჯიუტია. არადა, ყველაფერში დამნაშავე თვითონ არის, საძაგელი... ხატია“.

„მინდა, ჩემს დაქალს ვუჩივლო. „გოტიკისა“ და ჰარდროკის მოსმენით სულ გამოშტერდა. კიდევ, ჩემს ძმას ვუჩივი. მინდა შეიგნოს, რომ აზრი არა აქვს მინიკაბების ჩაცმის დაშლას. მისგან მალულად მაინც მაცვია. თანაც, აკრძალული ხილი უფრო გემრიელია. ლიზა“.

დღეს „გზავნილებს“ ამით ვამთავრებთ. მომდევნო ნომრის თემად გთავაზობთ — ცხოვრებაში რა არ ხდება!.. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8(77) 45.68.61. გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე.

ყველა დროსა და ყველა თაობას საკუთარი თავისებურებები აქვს. როგორც ამბობენ, წლებს თავისი მოაქვს, ამიტომ ადამიანებთან ერთად, მსოფლაღქმაც იცვლება. საკუთარი თაობის ყველაზე დამახასიათებელ ნიშნებზე სასაუბროდ, ცნობილ ბიზნესმენს, გოგი თოფჩაძეს ვესტუმრეთ და დღევანდელობასთან რამდენიმე პარალელის გავლებაც ვცადეთ.

ამჟამად იყვნენ ე.წ. „მამალი" ქალები, მაგრამ დღევანდელები გაცილებით შორს წავიდნენ...

ემა ტუხიაშვილი

— ეს ისეთი თემაა, რომელიც ნოსტალგიას გგვრის კაცს. თბილისი საკმაოდ ლამაზი და კომპაქტურად დასახლებული ქალაქი იყო იმ პერიოდში, როდესაც ახალგაზრდა ვიყავი. სამწუხაროა, რომ ამ პოლიტიკური კატაკლიზმების შედეგად, თბილისმა იერი იცვალა და ვფიქრობ, ამის გამო ბევრი რამ დააკლდა ქალაქს. შეიცვალა საოცრად კეთილგანწყობილი ურთიერთობის ფორმები, რომლებიც ძველი თბილისელებისთვის იყო დამახასიათებელი, თანამედროვე საზოგადოებამ კი თითქოს დაივიწყა. შესაძლოა, ადამიანის შეფასების კრიტერიუმებიც შეიცვალა: დღეს უკვე აღარავის სჭირდება თუნდაც, ის ღვაწლმოსილი მეცნიერები, გამოცდილი სპორტსმენები... ჩემი თაობის წარმომადგენელი, ჩემი სკოლელი გახლავთ ცნობილი რეჟისორი რობერტ სტურუა, რომელმაც თავისი ნიჭის წყალობით, ინგლისელებს შექსპირი სხვა თვალით დაანახვა.

— ხშირად ადარებთ ერთმანეთს ძველ და ახალ თაობებს?

— ზოგჯერ ვფიქრობ, რომ ამ თაობას კოსმოპოლიტური ხედვა აქვს ყველაფრის მიმართ. რა თქმა უნდა, რაღაც-რაღაცები დღევანდელობას უნდა მოვარგოთ, მაგრამ ხელაღებით ყველაფერი უცხოურის დამკვიდრება ქართული ტრადიციების ხარჯზე არასწორია. თუნდაც, ახალგაზრდების ჩაცმულობის სტილი ავიღოთ, მათი ცხოვრების წესი... უმჯობესი იქნება, სწორად შევაფასოთ და მოვეფეროთ ქართულ ტრადიციებს. ჩვენ თავად ვართ უდიდესი კულტურის მქონე ერი, ბევრი რამ ჩვენგან აქვთ სასწავლი, გნებავთ, ფრანგებს და გნებავთ, ამერიკელებს. მოხუცებულთა სახლში რომ ჩააბარებენ მშობლებს, ამით კმაყოფილები არიან. ჩვენთან, ღმერთის წყალობით, ჯერ კიდევ შემორჩენილია სიყვარული მშობლების მიმართ და ეს არ უნდა დაკარგოთ. ახლანდელ ახალგაზრდებს მოსწონთ შიშვლად სიარული, ბიჭებს — საყურის გაკეთება...

— თქვენს ახალგაზრდობაში საყურიანი ვაჟის დანახვა სრულიად წარმოუდგენელი იყო...

— საყურით მართლაც, არავინ მინახავს ჩემი ახალგაზრდობის პერიოდის თბილისში. თუმცა სექსუალური გადახრები მამაკაცებში მაშინაც გვხვდებოდა, მაგრამ ამის ესირცხვილებოდათ და მალავდნენ. დღეს კი, ღამის რეკლამირება გაუწიონ პედერასტობას. მესმის, რომ დასავლეთში ასეთი ორიენტაციის ადამიანები მაღალ თანამდებობებზეც ინიშნებიან, მაგრამ არა მგონია, მათი მაგალითი ჩვენ გამოგვადგეს. სწორედ აღვირახსნილი ცხოვრების შედეგია, რომ უკანასკნელ წლებში, მნიშვნელოვნად გაიზარდა ნარკომანთა რაოდენობა, მომძლავრდა კრიმინალური სამყარო...

— თუმცა, „კაი ბიჭები" თქვენს ახალგაზრდობაშიც სარგებლობდნენ პოპულარობით...

— ომის შემდგომ პერიოდში მათი პოპულარობა და გავლენა განსაკუთრებით გაიზარდა. თუმცა, ისეთი პერიოდებიც დგებოდა, როდესაც შედარებით სუსტდებოდა „შავი ბიჭების" სამყაროს გავლენა. ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ უყურებს ამ საკითხს სახელმწიფო: თუ ამას ებრძვის — ამის აღკვეთა ძალიან ადვილია, მაგრამ როდესაც ქვეყანაში ახალგაზრდობა დაუსაქმებელია, ძალიან იოლია მათი ჩათრევა ქურდულ სამყაროში. სწორედ უმუშევრობაა, გამწვავებული კრიმინალური ფონის საფუძველი... ჩემი თაობის ახალგაზრდები საკმაოდ უზრუნველად ცხოვრობდნენ. მართალია, იმ დროს, საქართველო რუსეთის კოლონიად ითვლებოდა, მაგრამ ჩვენ რუსებზე გაცილებით უკეთ ვცხოვრობდით.

— ალბათ, ქალთან ურთიერთობაც ძალზე განსხვავებული იყო მაშინ, არა?

— ძალზე ამაყები იყვნენ ქართველი ქალები. ძნელი იყო მათი სადმე დაპატიჟება, შებმა. ძალიან დახვეწილი მამაკაცი უნდა ყოფილიყავი, სასურველი შედეგისთვის რომ მიგეღწია. თუმცა, ყველა ქალს აქვს თავისი სისუსტე. ჩვენს დროს, ქალბატონებს ძალიან ხიბლავდათ მამაკაცის მხრიდან ჩადენილი რაინდული საქციელი. ახლა კი, ქალი უფრო ემანსიპირებული და დამოუკიდებელი გახდა.

— თქვენ მოგწონთ ასეთი ქალები?

— ეს ცოტა რთული თემაა. თუმცა შემიძლია ვთქვა: როდესაც ქალი თავშეკავებულია და გარკვეულ კრიტერიუმებშია მოქცეული, უფრო მეტად ხიბლავს მამაკაცს. რა თქმა უნდა, იმ აზრისგან შორს ვარ, რომ ქალის საქმე მხოლოდ სამზარეულო, ბავშვები და ლოგინია. მაგრამ ქალი უნდა თხოვდებოდეს, აჩენდეს შვილებს და საზოგადოებაშიც იყოს აქტუალური... ჩემს ახალგაზრდობაშიც იყვნენ ე.წ. „მამალი" ქალები, ძირითადად — პარტიული მუშაკები, მაგრამ დღევანდელი ქალები გაცილებით შორს წავიდნენ... ნამდვილად არ მინდა, რომ ქართულ ოჯახებში მატრიარქატი დამკვიდრდეს. საქართველოში მამაკაცია წამყვანი ძალა, ასე იყო ოდითგანვე. მართალია, თამარ მეფე ქალი იყო, მაგრამ ასეთები ერთეულები არიან.

— ყველა დროში არიან სილამაზით განთქმული ქალები. თქვენი თაობა ვის ეტრფოდა?

— მე ყოველთვის ქართველი ქალები უფრო მხიბლავდა. ბევრი უცხოელი თუ რუსი ვარსკვლავი მინახავს, მაგრამ ქართველი ქალის ეშხს რა შეედრება?!. სხვათა შორის, მგონია, რომ ქართველი ქალები უფრო სექსუალურებიც არიან, ვიდრე უცხოელი ტყლარჭიები...

— თქვენ მეწარმე ბრძანდებით, წლების წინ, რამდენად პოპულარული იყო ბიზნესი საქართველოში?

— ქართველი კაცი ბუნებით მეწარმეა. ის ყოველთვის ცდილობს, სხვაგან ნანახი თითოეული სიახლე თავის ქვეყანაში დანერგოს. წლების წინ, ჩვენი ქვეყნისთვის ბაზარი რუსეთი იყო. უფსკრულივით იყო ეს ქვეყანა: რასაც ჩაყრიდი, ყველაფერი იყიდებოდა. ამიტომ, ხან ჩვენებური კონსერვებით ვწამლავდით, ხან — ხილის წვენებით... დღევანდელ საქართველოში კი, საკმაოდ რთულია, წარმატებული ბიზნესი გქონდეს. ქართული კომპანიების მიღმა ძირითადად, უცხოური კაპიტალი დგას, ეს კი ქართული ბიზნესის წინსვლას ვერ შეუწყობს ხელს... ■

გოგონათა ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი „მზიური“ 35 წლის გახდა. ამ თარიღის აღსანიშნავად, აწ. ოქტომბერში დაგეგმილი იყო ვარსკვლავის გახსნა და საიუბილეო კონცერტის გამართვა, მაგრამ ღონისძიება მომავალი წლის მაისისთვის გადაიდო. ეს სულაც არ გვიშლის ხელს იმაში, რომ ყოფილი „მზიურელები“ მოვინახულოთ და წარსულის გახსენება ვთხოვოთ. თავდაპირველად, ანსამბლის ხელმძღვანელს, ბატონ გურამ ჯაიანს ვესტუმრე. როგორც ჩანს, მასაც ნოსტალგია მოსძალებია და პირველი თაობის „მზიურელების“ ჰიტად ქცეული სიმღერის — „დაჰკარით დაფდაფებს“ — მელოდია მობილურ ტელეფონზე ზარად გამოუყენებია...

ლეგენდა „მზიურზე“

ქვეყანაში ყველაზე დაზმანული ბავშვები და იუბილე, რომელიც გადაიდო

მარი ჯაფარიძე

გურამ ჯაიანი:

— ჯერ კიდევ კონსერვატორიის სტუდენტი ვიყავი, როდესაც გურამ ბზვანელმა (პიონერთა სასახლის მუსიკალური ხელმძღვანელი) მე და რაფიკ კაზარიანს შემოგვთავაზა, ჩამოგვყალიბებინა ბავშვთა ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი. თავდაპირველად, ავიყვანეთ მე-8, მე-9 კლასელი ბიჭები. წლის ბოლოს ჩავატარეთ კონცერტი. ერთ დღეს,



მანამდე გოგონათა საესტრადო ანსამბლი არავის ენახა. ამ კონცერტზე გოგონებს შარვლები ჩავაცვეთ. ეს ბევრისთვის შოკის მომგვრელი იყო

რეპეტიციის დროს, შესვენება გამოვაცხადეთ, ბიჭები გავიდნენ, პედაგოგები კი დარბაზში ვისხედით და მომავალ კონცერტს ვგეგმავდით. ამ დროს საიდანღაც გამოჩნდნენ ასე, 7-8 წლის გოგონები, რომლებმაც დარბაზში შემოიხედეს, დაინახეს სცენაზე ინსტრუმენტები და ახლოს მივიდნენ. თავიდან უნდა დამეყვირა — არ მიეკაროთ-მეთქი, — მაგრამ მერე გადავიფიქრე. ერთმა გოგონამ გიტარა აიღო და მოირგო, მეორე — დასარტყამ ინსტრუმენტებს მიუჯდა, მესამე — პიანინოს. აუღარუნებდნენ ინსტრუმენტებს და არამუსიკალურ ხმებს გამოსცემდნენ, მაგრამ ამ სანახაობამ ყველა დაგვაყენა ერთ აზრზე — რომ ბიჭების მაგივრად, პატარა გოგონები მოგვესინჯა... იმ ზაფხულს, დუშეთში, პიონერთა ბანაკში მოვაგროვეთ გოგონები. თავიდან ჩვენ ვეხვეწებოდით — მოდით, ინსტრუმენტზე დაკვრას გასწავლით-თქო. შემდეგ უკვე თვითონ მოდიოდნენ. ლია ხორბალაძე იმავე ბანაკში ისვენებდა. საღამოობით, როდესაც ბავშვები კონცერტს მართავდნენ, ის სკეტჩებით გამოდიოდა და ცეკვავდა, რადგან ცეკვის წრეზე დადიოდა. ამ ყველაფერს ისე კარგად აკეთებდა, რომ აღტაცებული დავრჩი. ჩაკიდე ხელი, ჩვენი ანსამბლის სარეპეტიციო დარბაზში მივიყვანე, „ბარაბანი“ დავანახვე და ვკითხე — გინდა, ამ ინსტრუმენტზე დაკვრა ისწავლო-მეთქი? — თავი დამიქნია და იმ დღიდან შეუდგა მეცადინეობას. ცეკვასაც თავი დაანება და უზომოდ შეიყვარა თავისი დასარტყამი ინსტრუმენტები.

პირველი კონცერტი 35 წლის წინ, 18 ნოემბერს ჩავატარეთ. იგეგმებოდა პიონერთა სასახლის 30 წლის იუბილე და კონცერტში მონაწილეობდნენ სასახლის აღსაზრდელები: სოლისტები, გუნდები, მოცეკვავეები... „მზიურის“ მონაწილეობა სასახლის ხელმძღვანელობას უნდა გადაეწყვიტა. მოსმენის შემდეგ გადაწყდა, რომ კონცერტს „მზიური“ დახურავდა 3 სიმღერით. საღამოს ესწრებოდნენ მთავრობის წარმომადგენლები, მაღალი რანგის სტუმრები, განათლების სამინისტრო... მანამდე გოგონათა საესტრადო ანსამბლი არავის ენახა. ამ კონცერტზე გოგონებს შარვლები ჩავაცვით. ეს ბევრისთვის შოკის მომგვრელი იყო: მოგეხსენებათ, მაშინ მოსწავლე გოგონასთვის შარვლის ჩაცმა წარმოუდგენელ სითამამედ აღიქმებოდა. ეს შარვლიანი გოგონები ოსტატურად უკრავდნენ გიტარაზე, დასარტყამ ინსტრუმენტებზე. ხალხი გაოგნებული იყო... გამოსვლა რომ დაამთავრეს, დარბაზი ცოტა ხანს დუმდა. მერე ისეთმა ტაშმა იქუხა, რომ მივხვდით — გამოსვლამ წარმატებით ჩაიარა.

— თქვენ წლების განმავლობაში ხელმძღვანელობთ „მზიურის“ სხვადასხვა თაობას, მაგრამ ყველაზე დიდი აღიარება სწორედ ამ გოგონებს ხვდათ წილად. რა არის ამის მიზეზი?

— იცით, პირველი, მაინც პირველია. ამიტომაც დარჩა ლეგენდად. უამრავი გასტროლი გვქონდა უცხოეთში, მაგრამ ალბათ 5-ჯერ მეტ გამგზავრებაზე მოგვიწია უარის თქმამ, რადგან არც დრო გვქონდა და არც ასე იოლად გვიშვებდნენ საზღვარგარეთ. ჩაგვშალა გასტროლები მექსიკაში, კანადაში, სან-რემოს ფესტივალზე. სოციალისტურ ქვეყნებში უპრობლემოდ მივდიოდით.

— დღემდე ურთიერთობთ თქვენს აღსაზრდელებთან?

— რა თქმა უნდა! უნდა ნახოთ, აქ რომ შეიკრიბებიან, როგორი რია-რია იწყება ხოლმე. ყველა ერთად ლაპარაკობს, 16-18 ქალი ერთმანეთს სიტყვის თქმას არ აცლის... ამას წინათ, თამრიკო გვერდწითელი იყო ჩამოსული და სტუდიაში შეიკრიბნენ. ვიჯექი, ვუყურებდი და მიკვირდა, როგორ იგებდნენ ერთმანეთის ლაპარაკს.

ბატონი გურამის სიტყვების ჭეშმარიტებაში თავად დავრწმუნდი, როდესაც სამ „მზიურელს“ — მარინა მასხულიას, მაია ჩიქვინიძესა და ეკა გოდერძიშვილს ერთად შევხვდი. ისინი ერთმანეთს ლაპარაკს არ აცლიდნენ, საინტერესო ამბებს იხსენებდნენ, სურათებს ათვალიერებდნენ და ისევე, როგორც ყველა „მზიურელი“, აღნიშნავდნენ, რომ ამ ანსამბლიდან წამოსვლის შემდეგ მათ ცხოვრებაში გაჩენილი სიცარიელე ვერაფერმა შეავსო...

მაია ჩიქვინიძე:

— დღეს რომ წარსულს ვიხსენებთ, გვიკვირს — ნუთუ, მართლა ჩვენ გავიარეთ ეს ყველაფერი?!. „მზიური“ ჩემი ბავშვობაა და ყველაზე ნათელი მოგონება. იყო პერიოდი, როცა ჩვენზე გადაღებულ ფილმს ვერ ვუყურებდი, რადგან გულამოსკვნით ვტიროდი ხოლმე. მარინა მასხულია იყო ბას-გიტარა, ხათუნა დონდუა — სოლო გიტარა. მეც გიტარისტი გახლდით. ძალზე დიდი პასუხისმგებლობით ვეკიდებოდით ჩვენს საქმეს. მახსოვს, ლენინგრადში იყო ძალზე პრესტიჟული დარბაზი — „ოქტიაბრსკი“, სადაც უამრავ ცნობილ მუსიკოსს ჩაუტარებია კონცერტი. ჩვენი კონცერტის ბილეთები გაიყიდა, მაგრამ უბილეთოდ დარჩენილი ხალხი გარეთ მოგროვდა. ცხენოსანი მილიცია გამოიძახეს საი-

პირველი კონცერტი 35 წლის წინ, 18 ნოემბერს ჩავატარეთ. იუბილეს 30 წლის იუბილე... (მარცხნიდან: სათუნა დონდუა, მარინა მასხულია, მაია ჩიქვინიძე)

მისოდ, რომ ხალხს კარი არ შემოემტვრია. ადმინისტრატორი ამბობდა, ასეთი ამბავი მხოლოდ დიუკ ელინგტონის გასტროლის დროს მახსოვსო. სადაც მივდიოდით, ყველგან კვალს ვტოვებდით. „მზიური“ რომ დამთავრდა, არ ვიცოდი, რა უნდა მეკეთებინა. საშინელ სიცარიელეს ვგრძნობდი.

მარინა მასხულია:

— მიუხედავად ასეთი წარმატებისა, არასოდეს შეგვყრია ვარსკვლავური სენი. ძალზე თავმდაბლები ვიყავით, სულ ვცდილობდით, „გამარჯობის“ თქმა არ დაესწრო ვინმეს ან სწავლაში არ ჩამოვრჩენილიყავით. მე უკვე 4 წელია, ამერიკაში ვცხოვრობ ჩემი ოჯახით. ჩამოვედი იმის გამო, რომ ოქტომბერში ჩვენი ვარსკვლავის გახსნა იყო დაგეგმილი. არ ვიცი, გაზაფხულზე მოვახერხებ თუ არა ჩამოსვლას, რადგან ნიუ-იორკი არც ისე ახლოსაა თბილისთან, რომ წარამარა ვიფრინო... იცით, „მზიურს“ ამერიკაშიც კი იცნობენ. რუსები, რომლებიც წინათ საბჭოთა კავშირში ცხოვრობდნენ, ახლა კი — ამერიკაში, როდესაც იგებენ, რომ „მზიურელი“ ვარ, მაშინვე კარგად განეწყობიან ხოლმე ჩემ მიმართ. მაია ჯაბუამ „მზიურგამოვლილები“ დაგვარქვა. წარმოიდგინეთ, ხშირად დღეში სამ კონცერტს ვმართავდით ცოცხლად!..

ეკა გოდერძიშვილი:

— გოგოებო, გახსოვთ, მატარებლით რომ მოვდიოდით გასტროლებიდან და ქეთინო დეკანოსიძეს 5 ყუთი ზეფირი რომ მოჰქონდა?! არ გვაჭმევდა და მოვპარეთ...

მაია:

— თქვენ ის თუ იცით, თბილისში ოსკარ ლაფონტენი რომ შემხვდა (მე მომიბრუნდა)? ოსკარი იყო გერმანიის ზაარის მიწის პრემიერ-მინისტრი. როცა იქ გასტროლებზე ვიყავით, მიღება მოგვიწყო და სათითაოდ ყველა გაგვიცნო. ამის შემდეგ ერთი წელი იყო გასული, მე კურსის სტუდენტი ვიყავი და რუსთაველზე, მეგობრებთან ერთად მოვდიოდი. ის კი თავის მხლებლებთან ერთად გახლდათ. მე კი ვიცანი, მაგრამ არ მეგონა, თვითონაც თუ ვემახსოვრებოდი. უცებ, შეჩერდა, — „მზიური!“ — იყვირა და თბილად გადამეხვია... მომიკითხა და ყველას უსნიდა, ვინ ვიყავი...

ეკა:

— გოგოებო, ალა პუგაჩოვა გახსოვთ? კონცერტის პირველი განყოფილება ჩვენ რომ ჩავატარეთ, მეორე — მან და ჩვენ უფრო მოვეწონეთ მაყურებელს...

მაია:

— მოსკოვში „ცოცხალი“ პლისეცკაია ვნახე და სიხარულისგან დავფრინავდი...

მარინა:

— ნიკო ნადირაშვილს სალამურებს ვპარავდით და ვუმალავდით... ძალიან ვჩაგრავდით ერთადერთ ბიჭს, რომელიც ჩვენს ანსამბლში იყო, თანაც, ჩვენზე გაცილებით უფროსი გახლდათ... ახლა ნიკო კალიფორნიაში ცხოვრობს. ნიუ-იორკში რომ იყო, დამირეკა, მომიკითხა... მინდა გითხრათ, რომ „მზიურმა“ განსაკუთრებული ჩვევები გამომიმუშავა. წარმოიდგინეთ, ბავშვი ასეთ პატარა ასაკში დღეში 3 კონცერტს მართავს, იცის, რომ უნდა ეცვას თეთრი წინდები და არ უნდა დასვაროს... თან დაგვქონდა სასკოლო სახელმძღვანელოები, ზოგჯერ კონცერტსა და კონცერტს შორის, შესვენების დროს, იატაკზე ვისხედით და ვმეცადინეობდით, რომ სკოლის პროგრამას არ ჩამოვრჩენოდით.

ეკა:

— ისე ჯაიანი მაგრად მამწარებდა ხოლმე. დღესაც მწარედ მახსოვს: შემაგდებდა ოთახში და მეტყოდა — ერთ თვეში საქსოფონზე დაკვრა უნდა ისწავლოო... კიკეთში, პიონერთა ბანაკში რომ ვისვენებდით, ვითომ დასვენება იყო, თორემ, ყოველ დილით რეპეტიციები გვქონდა, საღამოს — კონცერტი. სწორედ ამ პერიოდში, ჯაიანმა მითხრა — ბას-გიტარაზე დაკვრა უნდა ისწავლოო. ჩამკეტა მეორე სართულზე ოთახში და ვმეცადინეობდი. დრო რომ არ დამეკარგა, საჭმელს კალათით მაწვდიდა ქვემოდან. თამრიკო გვერდწითელს ძალზე უყვარდა ტკბილეული. როდესაც მშობლები მოინახულებდნენ ხოლმე, ბევრი შოკოლადი მოჰქონდათ მისთვის. ღამე დასაძინებლად რომ დავწვებოდით და შუქს ჩავაქრობდით, ქაღალდის შრაშუნის ხმა გვესმოდა ხოლმე... ერთხელ, ეკა კახიანს ვუთხარი — რაღაც, ამ შრაშუნს „ცუდი სუნი“ უდისმეთქი... დილით, თამრიკო ოთახიდან რომ გავიდა, მისი საწოლი გავჩხრიკეთ და აღმოვაჩინეთ, ლეიბის ქვეშ, ერთ ფენად ჩაწყობილი 2-3 კილო კანფეტი „დათუნია“. რა თქმა უნდა, მოვპარეთ... ამჟამად თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, ისტორიის კათედრაზე ვმუშაობ. სადაც არ უნდა მივიდე, ყველგან მეუბნებიან — თქვენ „მზიურში“ რომ მღეროდით, ის ხომ არ ხართო? არ ვიცი, ნუთუ არ შევიცვალე და სახე, გარეგნობა იგივე დამრჩა?!.

მარინა:

— თმის ფერი, გოგო, თმის ფერი, გადარიე პრაფესორები: — ბავშვობიდან ასეთი საოცარი ფერის თმა ჰქონდა ეკას.

ეკა:

— „მზიური“ — ჩვენი თილისმაა, ღვთისგან გვერგო წილად „მზიურელობა“. ერთ-ერთი ჩემი სტუდენტის მშობელს, შვილისთვის ფილმ „მზიურის“ ყურებისას უთქვამს — აი, ეს არის შენი მასწავლებელიო. — ამას ხომ „ტრუსიკი“ უჩანს, ჩემი მასწავლებელი როგორ იქნებაო? — გაჰკვირვებია ბავშვს... ახლანდელ თაობას — არა, მაგრამ მათ მშობლებს კი ნამდვილად ვახსოვართ.

მარინა:

— ჩვენ გადავრჩით იმით, რომ ზაალ კაკაბაძემ ეს არაჩვეულებრივი ფილმი გადაიღო.

ეკა:

— როდესაც სკოლა დავამთავრეთ და „მზიურიდან“ წამოვედით, თითქოს გზააბნეული დავრჩით. მერე იყო საუბარი იმაზე, რომ ანსამბლს უნივერსიტეტშიც გაეგრძელებინა არსებობა, მაგრამ რატომღაც ყველამ უარი ვთქვით. ეს აღარ იქნებოდა ის „მზიური“, რომელიც წინათ იყო. სტუდენტურმა ცხოვრებამ ვერ შეავსო ის სიცარიელე. ღმერთო, მაპატიე, მაგრამ ის ადგილი ვერც შვილებმა და ოჯახმა დაიკავა. ის არის რაღაც სხვა...

მარინა:

— ჩვენი მეგობრობა ნათესაურ კავშირშიც გადაიზარდა: ერთმანეთის შვილები მოვნათლეთ. მე, მაია ჯაბუამ და მაია ჩიქვინიძემ თითქმის ერთდროულად ვიმშობიარეთ. სწორედ მათ აჭამეს ძუძუ ჩემს გიორგის. შემდეგ ჯაბუამ ჩემი შვილი მონათლა კიდეც.

ეკა:

— ის თუ გახსოვთ, ჰოლანდიიდან რომ უნდა გამოვფრენილიყავით და ამერიკის სალჩომ ფილმის გადასაღებად 4 დღით რომ დაგვტოვა? თვითმფრინავის ბილეთები უკვე აღებული გვქონდა. ის თვითმფრინავი, რომლითაც უნდა ჩამოვსულიყავით, აფეთქდა და არც ერთი ადამიანი არ გადარჩენილა. მაშინ კავშირი ისე იოლად არ მყარდებოდა, როგორც დღეს. ჩვენი მშობლები იმ რეისზე გველოდნენ და ტრაგედიის შესახებ რომ გაიგეს, ლამის გაგიჟდნენ. მერე გაირკვა, რომ შემთხვევის წყალობით გადავრჩით.

მაია:

— კონცერტებთან ერთად, გასტროლებ-

ახლანდელ თაობას — არა, მაგრამ მათ მშობლებს კი ნამდვილად ვახსოვართ (მარცხნიდან მაია ჩიქვინიძე, მარინა მასხულია, ეკა გოდერძიშვილი)

იცით, პირველი, მაინც პირველია. ამიგომაც დარჩა ლეგენდად

ის დროს, აუცილებლად გეგმაში გვქონდა ექსკურსიებიც. უამრავი საჩუქრით გვანებივრებდნენ ხოლმე. სასახლეში თეთრი როიალი რომ დგას, ის გერმანიიდან ჩამოვიტანეთ — გვაჩუქეს. ისეთი აპარატურა და ინსტრუმენტები გვქონდა, რომ „ივერიას“ და „ორერას“ წევრები ამბობდნენ ხოლმე — ნეტავ, ჩვენ მოგვცაო!

ეკა:

— ახლა ტანისამოსს არ იკითხავთ? ისეთი რაღაცები გვეცვა, რომ აქაურ ბავშვებს არც დაესიზმრებოდათ. მახსოვს, ჯინსის ბრიჯი და ზოლიანი წინდა მეცვა, გოგოები კინოთეატრ „რუსთაველთან“ ვიკრიბებოდით, ერთიმეორეზე უკეთესად „დაზმანულები“ ვიყავით. უეცრად, მანქანა გაჩერდა და ერთმა იკითხა — ვინ არიან ეს ბავშვებიო? — მეორემ უპასუხა — ვინ იქნებიან, „მზიურელების“ გარდაო?..

მარინა:

— უკვე სტუდენტი ვიყავი და ისევ უცხოეთიდან ჩამოტანილი ტანისამოსით დავდიოდი. მახსოვს, „გეპეის“ სტუდენტები მოდიოდნენ უნივერსიტეტში — მარინა მასხ-

რამდენჯერმე მქონდა მცდელობა, რომ „მზიურში“ მივსულიყავი, მაგრამ მამა შეუვალი აღმოჩნდა

ულიას მაგარი ბრიჯები აცვია და ვნახოთო... კონცერტებში ფულსაც გვიხდიდნენ, საჩუქრებსაც გვიძღვნიდნენ. ამბობდნენ — „მზიური“ უცხოეთიდან ერთი თვითმფრინავით ჩამოდის, მეორე თვითმფრინავით კი საჩუქრები ჩამოაქვთო...

ეკა:

— იმდენ წერილს ვიღებდით, რომ შინ ტევა აღარ იყო. ყველა რეპეტიცია წერილების დარიგებით იწყებოდა, ტომრებით მივათრევდით ხოლმე შინ. გურამ ჯაიანი კარადას რომ გამოაღებდა, კონვერტები ძირს ცვიოდა. მერე ჩვენი მშობლები დასხდებოდნენ და ამ წერილებზე პასუხებს სცემდნენ. ყველაზე მეტი წერილი ლია ხორბალაძეს მოსდიოდა...

ყოფილი „მზიურელი“, ***თამარიკო ჟოჟოლიძე*** *მის სტუდიაში მოვინახულე, სადაც პატარა მოსწავლეებს მუსიკის საიდუმლოს აზიარებს.*

— 4 წლის ასაკიდან, სასახლეში ვოკალის წრეზე, ქალბატონ ციცინო ციცქიშვილთან დავდიოდი. 6 წლის ვიყავი, როდესაც „მზიური“ ჩამოყალიბდა. მამაჩემი წინააღმდეგი იყო, რომ მუსიკისთვის ბევრი დრო დამეთმო. ამ საქმიანობას ტაშ-ფანდურას ეძახდა და ყოველთვის აღნიშნავდა, რომ ჯობდა, უმეტესი დრო სწავლისთვის დამეთმო. რას ელოდა 6 წლის ბავშვისგან, არ ვიცი... რამდენჯერმე მქონდა მცდელობა, რომ „მზიურში“ მივსულიყავი, მაგრამ მამა შეუვალი აღმოჩნდა. როდესაც ფილმის გადაღება დაიწყეს, კომპოზიტორმა გურამ ბზვანელმა, რომელიც მამაჩემის მეგობარი იყო, სთხოვა, რომ მხოლოდ ერთი კვირით გაეშვი გემზე. თანხმობა მივიღეთ. გოგონები უკვე ერთმანეთს შეჩვეული იყვნენ, მშვენივრად ფლობდნენ ინსტრუმენტებს, მღეროდნენ და ძალზე კარგი სანახავები იყვნენ. თუ დაეკვირდებით, შენიშნავთ, რომ ფილმში საერთო კადრებში არსად ვჩანვარ, ჩემი ნომრებია ცალკე გადაღებული... ლენინგრადში გასტროლების დროსაც ერთი კვირით გამიშვა მამამ, შემდეგ — ჰოლანდიაში და ასე „თითო კვირით“, ბოლომდე შემოვრჩი „მზიურს“. ეს გახლავთ ყველაზე სასიამოვნოდ გასახსენებელი წლები. „მზიურმა“ შემძინა მეგობრები, გვასწავლა ერთმანეთის გატანა, სცენასთან და მაყურებელთან კონტაქტი. ხაზგასმით აღვნიშნავ იმას, რომ ჩვენი პოპულარობა დიდი შრომის შედეგად მოვიდა. ცოცხლად ვმღეროდით, ხანდახან დღეში 3 კონცერტს ვატარებდით, მაგრამ რაც მთავარია, ჯანსაღი ფსიქიკა შემოგვრჩა და ვარსკვლავური სენი არ შეგვეყარა. ისეთივენი ვიყავით სკოლაში, ეზოში, მეგობრებთან ურთიერთობისას, როგორიც — სხვები. განსაკუთრებულად არავინ გვანებივრებდა და ამიტომ იყო, რომ გასტროლებზე სასკოლო სახელმძღვანელოები დაგვქონდა თან, რომ პროგრამას არ ჩამოვრჩენოდით. ხათუნა დონდუა, ლია ხორბალაძე — სამაგალითო მოსწავლეები იყვნენ...

ჩვენი მეგობრობა დღემდე გრძელდება. ერთმანეთთან მირონი გვაკავშირებს: მე ნინი ბადურაშვილის ნათლია ვარ, მე და მაია ჯაბუა — ეკას მეჯვარეები ვართ; ქეთი ფირცხალავა, რომელსაც „ანტოშკას“ ვეძახით, ჩემი შვილის ნათლიაა. მარინა მასხულია რამდენიმე წელია, ამერიკაშია და თითქოს რაღაც მაკლია. ჩვენი გულების ნაწილი ხათუნა დონდუამ და ხათუნა საბაშვილმა თან გაიყოლეს იმ ქვეყნად...

— **ფილმში თქვენი ხელმძღვანელის როლს გოგა ფიფია ასრულებს...**

— გოგა კარგად არ მახსოვს, რადგან მე ძალზე პატარა ვიყავი, ის კი უკვე სამედიცინო ინსტიტუტის მესამე კურსის სტუდენტი გახლდათ. მახსოვს ის, რომ ბევრს მეფერებოდა. ახლა ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს. როცა ამ ფილმს ვუყურებ, მეცინება — თურმე, როგორი სასაცილო ბავშვი ვყოფილვარ!..

თითოეული „მზიურელისთვის“ ანსამბლთან დაკავშირებული მოგონებები იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ამ თემაზე სასაუბროდ, ბოლო დროს, ჟურნალისტებისთვის მიუწვდომელი ***მაია ჯაბუაც*** *კი დავითანხმე.*

— მე თავდაპირველად, სასახლეში, შურა ჯანელიძის ვოკალურ ჯგუფში დავდიოდი. შემასწავლეს ნუნუ გაბუნიას „სიმღერა თბილისზე“. მერე მითხრეს, რომ რომელიღაც ანსამბლთან ერთად უნდა შემესრულებინა ეს სიმღერა. იმ ზაფხულს, სასახლის კუთვნილ დუშეთის პიონერთა ბანაკში შექმნილა „მზიური“. ოთახში შემიყვანეს, სადაც ჩემი ასაკის გოგონები ისხდნენ

ვერ წარმოვიდგენდი, თუ ასე გამიჭირდებოდა „მზიურის“ გარეშე. მარგო ვიყავი სულიერად და ფიზიკურად, თითქოს არც მეპყრობოდა

როგორც ჩანს, გარემომაც იმოქმედა და ყველანი ავტირდით. ალბათ მაიას ასეთი გრძნობით „ავე მარია“ არასოდეს უმღერია

და ჩემი თავი გააცნეს...

— გოგოებმა მითხრეს, რომ ვარსკვლავის გახსნის ღონისძიების ორგანიზებაში აქტიურად ხართ ჩაბმული. რატომ გადაიდო გაზაფხულისთვის?

— იმიტომ, რომ საჭირო თანხის მხოლოდ ნაწილი მოვიძიეთ. ძალზე ბევრი ხალხი ელის ამ იუბილეს. ამიტომ დიდი პასუხისმგებლობაა, როგორ მოვაწყობთ მას. ზერელედ ვერ მოვეკიდებით. მხოლოდ იმისთვის, რომ ჩაგვეთვალოს, არ ღირს გაკეთება. შესაძლოა, ისეთი ფორმებიც კი შევიკეროთ, რომლებიც მაშინ გვეცვა. რეპერტუარი, რა თქმა უნდა, ძველი იქნება. ხალხს ჩვენგან სწორედ ამის მოსმენა სურს. „მზიური“ ჩემი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილია. მასთან ერთად დამთავრდა ჩემთვის სკოლის პერიოდი და დაიწყო სტუდენტობა. თითქოს ცხოვრების ახალი ეტაპი დაიწყო, მაგრამ ჩემთვის ძალზე მტკივნეული იყო. ვერ წარმოვიდგენდი, თუ ასე გამიჭირდებოდა „მზიურის“ გარეშე. ამიტომ ჩემს ცხოვრებაში ყველაზე ცუდი პერიოდი სწორედ სტუდენტობა გახლდათ, რადგან ჩემი ადგილი ვერსად ვიპოვე. სიცარიელემ დაისადგურა. ვერაფერმა შეავსო „მზიურის“ ადგილი, მიუხედავად იმისა, რომ სიმღერისთვის თავი არ დამინებებია. სულ ვმღეროდი, ვმუშაობდი, სცენაზე ვიდექი... მარტო ვიყავი სულიერად და ფიზიკურად. თითქოს არც მემღერებოდა. დღესაც, „მზიურისთვის“ და ჩემი გოგონებისთვის თითქოს ცალკე გული მაქვს.

— გოგონებმა მიამბეს, მაია რომ მღეროდა, დარბაზი ქვითინებდაო. თქვენ თუ გახსოვთ ხალხის ასეთი რეაქცია?

— *(იცინის)* კი, როგორ არა. რუსებს „გულყრა“ ემართებოდათ, როცა ვმღეროდი „Гляжу в озёра“-ს. „საერთაშორისო“ ტირილი კი, „ავე მარიას“ დროს იყო ხოლმე.... მე კი საერთოდ ვერ ვიგებდი, რატომ ტიროდნენ — უბრალოდ, ვხვდებოდი, რომ ეს იყო ჩემი სიმღერის ყველაზე დიდი შეფასება.

— თქვენ რომელ ინსტრუმენტზე უკრავდით?

— ეს იყო პატარა ფლეიტა, რომელსაც პიკოლო ჰქვია. ამ ინსტრუმენტზე „Весёлый ветер“-ს ვასრულებდი. საშინელი თავბრუსხვევა მქონდა, რადგან სასულე ინსტრუმენტზე დაკვრას ვერ ვიტანდი. ფლეიტაში რომ ვუბერავდი, მერე ბარბაცით დავდიოდი ხოლმე...

ლია ნორგალაძე *ანსამბლის ერთ-ერთი გამორჩეული წევრი გახლდათ. მხიარული გოგონა მთელი მონდომებით უკრავდა დასარტყამ ინსტრუმენტებზე და ყველა მნახველის გულს იოლად იპყრობდა. ის ახლა 3 შვილის დედაა, მუშაობს უნივერსიტეტში, ახალი ქართული ლიტერატურის კათედრაზე და ხელმძღვანელობს ბავშვთა მუსიკალურ სტუდიას — „ბომბორა“.*

— „მზიური“ — ეს არის საუკეთესო წლები და საუკეთესო მოგონებები. ძალზე ბევრს ვმოგზაურობდით, წინასწარ გვაფრთხილებდნენ ხოლმე, რომ ამა თუ იმ ქვეყანაში ყოფნის დროს არ გამოგვეხატა გაოცება, არ დაგვესვა ბევრი კითხვა და ა.შ. მახსოვს, ჰოლანდიაში პირველად ჩასვლისას, ვიყავით ძალზე პაწია ქალაქში, რომელსაც ეპენი ჰქვია. ისეთი პატარა ქალაქი იყო, რომ 20 წუთში ფეხით მოივლიდით. მთელ ქალაქში ერთი მანქანა დადიოდა, ისიც — ნაგვის. მაგრამ ვერც კი მივხვდით, რადგან ისეთი ლამაზი იყო, რომ ვერ წარმოვიდგენდით, ასეთი მანქანით ნაგავს თუ დაატარებდნენ. კონკერტი მიწისქვეშა ქალაქში გავმართეთ. ქვის სცენაზე ვიდექით და ინსტრუმენტების გარეშე ვმღეროდით. მერე პროტესტანტულ ეკლესიაში შევედით. გოგონებმა ორგანი აღმოაჩინეს. თამრიკო გვერდნითელმა დაუკრა, მაია ჯაბუამ კი „ავე მარი“ იმღერა. არასოდეს დამავიწყდება ეს მომენტი. როგორც ჩანს, გარემომაც იმოქმედა და ყველანი ავტირდით. ალბათ მაიას ასეთი გრძნობით „ავე მარია“ არასოდეს უმღერია.

— „ბარაბანი“ ისევ გაქვთ?

— რომ გავთხოვდი, მეუღლის ოჯახში მზითვთან ერთად „მივაბრძანეთ“ და როიალის გვერდით დავაბრძანეთ. ჩემი მეორე მშობლები დიდი მოთმინებით იტანდნენ მას. მერე ეს „ბარაბანი“ ბავშვთა სტუდიაში მოვიტანე და მოიპარეს. ძალზე დამწყდა გული.. „მზიურელობა“ ღვთის წყალობაა. ჩვენ ბედნიერ ვარსკვლავზე დავიბადეთ. ძალზე მინდა, ჩვენს იუბილეზე გოგონებთან ერთად დავუკრა. ის კი არა, ვთქვი, ვიცეკვებ და ცერებზეც შევდგები-მეთქი. გაუკვირდათ...

— ფილმში რომ ცეკვავთ, ისე აპირებთ ცერზე შედგომას?

— კი, სწორედ ისე. არავინ იჯერებდა, რომ გოგო ამას შეძლებდა, მაგრამ ძალიან მოვიწადინე და მაინც გავაკეთე...

ბუნებრივია, ოცივე „მზიურელს“ ერთ ინტერვიუში თავს ვერ მოვუყრიდი. ამიტომ ანსამბლის წევრებთან საუბარი ლიასთან შეხვედრით დავასრულე და ბატონ **გოგა ფიფიას** *ვეწვიე, რომელიც ფილმში მათი ხელმძღვანელის როლს თამაშობს. ბატონი გოგა, ერთ-ერთი კლინიკის კათედრის გამგე, პროფესორი გახლავთ. სიამოვნებით გაიხსენა 35 წლის წინანდელი ამბები:*

— მე ექიმების ოჯახში გავიზარდე და ბავშვობიდანვე ჩაგონებული მქონდა, რომ მეც ექიმი უნდა გამოვსულიყავი. მიუხედავად ამისა, მაინც მომიხდა 3 ფილმში თამაში: პირველად, ლანა ღოღობერიძემ მიმიწვია სურათში — „როცა აყვავდა ნუში“, ეს ფილმი რუს რეჟისორს უნახავს და მივიღე მიწვევა ოდესის კინოსტუდიიდან, ფილმში — „Про Витю, про Машу и про морскую пехоту“ — სათამაშოდ. ოდესიდან სულ ერთი კვირის ჩამოსული ვიყავი, როდესაც დამიკავშირდა ზაალ კაკაბაძე და „მზიურში“ მონაწილეობა შემომთავაზა. ვინც ამ როლზე იყო დამტკიცებული, მას რაღაც შემთხვევია და ვერ ახერხებდა წასვლას. — უნდა გვიშველოო, — მეუბნებოდა ზაალი. მე კი ახალი ჩამოსული ვიყავი ოდესიდან, სადაც 3 თვე გავატარე და ახლა ისევ უნდა წავსულიყავი სახლიდან მთელი თვით. ამ დროს, უკვე ცოლიც მყავდა და ბუნებრივია, არ გაუხარდებოდა ჩემი გამგზავრება. ამიტომ ზაალს ვთხოვე — მოდი, ჩემს ცოლს დაელაპარაკე და თუ გამომიშვებს, წამოვალ-მეთქი. ზაალმა დაითანხმა ჩემი მეუღლე. ასე აღმოვჩნდი გემზე იმ გოგონებთან ერთად, რომლებიც მანამდე, მხოლოდ ეკრანზე მყავდა ნანახი. ისიც ვიცოდი, რომ მთელი მსოფლიო ჰყავდათ გაგიჟებული. ჩავედით ბათუმში, მერე იქიდან გემით — კრუიზში, რომლის მარშრუტიც ბათუმი-ოდესა იყო და ერთი კვირა გრძელდებოდა, მაგრამ ჩვენ 4 კვირა დავყავით გემზე და მთელი თვე ვიღებდით ფილმს. მე ამ გოგონებზე 10-11 წლით უფროსი ვიყავი. ძალზე საყვარელი გოგონები იყვნენ. მთელი გემი გადარიეს. ყოველ საღამოს კონცერტს აწყობდნენ, ხალხი მათ სიმღერებზე ტიროდა და ტაშით ანგრევდა დარბაზს. ყველანი დატყვევებული იყვნენ მათი ნიჭით. ახლაც კი, როცა ფილმი ტელევიზიით გადის, უამრავი ადამიანი მირეკავს — ხომ უყურებთო?!.

„მზიურელებთან“ საუბრისას, გამაოცა იმ ფაქტმა, რომ თითოეული მათგანი ერთხმად აღნიშნავს — მას შემდეგ, რაც „მზიური“ დამთავრდა, ჩვენს გულებში სიცარიელემ დაისადგურაო. როგორც ჩანს, ეს ის უიშვიათესი შემთხვევაა, როდესაც ადამიანი ერთ დიდ ცხოვრებას ბავშვობაშივე გადის... წლების მანძილზე „მზიური“ მსმენელისთვის ლეგენდად იყო ქცეული. ამ ლეგენდის გმირებისთვის კი ის ნამდვილ, რეალურ ზღაპრად იქცა, რომლის ადგილსაც ვერაფერი ცვლის. ■



აღმოჩნდი გემზე იმ გოგონებთან ერთად, რომლებიც მანამდე მხოლოდ ეკრანზე მყავდა ნანახი...



ნინო ჯავახიშვილი

ჯაპანა ძალიან ნერვიულობს, რომ ამ ბოლო დროს, ნაღველმა შეაწუხა. ამასთან, ბევრი სამუშაოც აქვს და ხშირად დალევას ვეღარ ახერხებს. სმა კი კარგი განწყობილების შექმნაში ეხმარება. ამიტომაც არ ესმის მათი, ვინც სიმთვრალეში „იგრუზება“ და ჩხუბობს. ჩხუბით თვითონაც უჩხუბია — კიდეც გალახულა და თავადაც გაულახავს სხვა, თუმცა, აყალმაყალი ყოველთვის სხვისი მიზეზით მომხდარა, თვითონ კი, სიმთვრალეში გულღია და ხალასი ხასიათი ჰქონია...

ჯაპანა: „მე და დუტას ლოთური სმა გვიყვარს“

ანუ 2 ბოთლი არაყი და ტურისტის თეფშში ჩავარდნილი ჭიქა

— საერთოდ, თამადობა არ მიყვარს და ამიტომ ყოველთვის ვცდილობ, თავიდან ავიცილო. უფროსობას, სუფრის წევრობა მირჩევნია: ასე უფრო მეტ სიამოვნებას ვანიჭებ დამსწრე საზოგადოებას, ვიდრე თამადის ამპლუაში. თამადას ბევრი ვალდებულება აკისრია, რისი შესრულებაც არ მხიბლავს. თავისუფლება ყველაფერს სჯობს. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ სუფრის ამრევი ვიყო...

— და მაინც, თუ გიწევთ თამადობა, სიმკაცრეს იჩენთ ხოლმე თანამეინახეების მიმართ?

— არა, ლოიალური და მიმტევებელი, დემოკრატი თამადა ვარ. თუმცა ვაღიარებ, რომ თამადას ცოტა სიმკაცრეც შვენის — სხვანაირად, სუფრაზე წესრიგს ვერ დაამყარებ.

— ღვინოსაც არ აძალებთ ხოლმე სუფრის წევრებს?

— რას ლაპარაკობთ, როგორ გეკადრებათ?! ვისაც რამდენი სურს, იმდენი დალიოს. სად არის დასაძალებელი ღვინო?! თუ კარგ ღვინოს ვინმე არ დალევს, მოუკვდა პატრონი, როგორ დავაძალებ?!.

— თვითონ დაძალება არ გჭირდებათ, არა? კარგი მსმელი ხართ?

— რაში მჭირდება დაძალება? თანაც, თუ აღარ მინდა დალევა, რაც არ უნდა დამაძალონ, მაინც არ დავლევ. ვერ ვიტყვი, 18-ბოთლიანი ვარ-მეთქი, ასე, 4 ბოთლს ვსვამ. ჩემი სიმამრი 18 ბოთლს სვამდა. მე მაგარი მსმელი არ ვარ, თუმცა, ჩემზე სუსტი მსმელებიც არსებობენ. არაყი 2 ბოთლიც დამილევია. დუტას (სხირტლაძეს) და მე ლოთური სმა გვიყვარს — არაყი, მისატანებელი და მიდი, იქეიფე... სხვათა შორის, დუტა უკვე 6 წელია, რაც აღარ ეკარება სასმელს — „გეგმა“ შესრულებული აქვს წინა წლებში. ამას წინათ, თელავში სრულიად ფხიზელმა ისე უთამადა სუფრას, თქვენი მოწონებული.

— უგონოდ მთვრალი ხშირად ყოფილხართ?

— არ მახსოვს, იმდენად უგონოდ ვყოფილიყავი, რომ მეორე დღეს, შემრცხვენოდა ჩემი საქციელის. კარგი სიმთვრალე მაქვს. დალევა X-X კლასიდან დავიწყე, 25 წელი გავიდა მას შემდეგ და რა ვიცი, ჯერ არავის უთქვამს, შეგვაწუხე შენი სიმთვრალეთო. პირიქით, ქეიფის მეორე დღეს, ყველა აღნიშნავს ხოლმე — გუშინ რა კარგი დრო გაგვატარებინეო!.. იმიტომ ვსვამ, რომ ცუდი რამეები დამავიწყდეს და კარგ ხასიათზე დავდგე. ზოგს კი სიმთვრალეში ახსენდება ყველაფერი ცუდი და ჩხუბობს. „პახმელიაზე“ უხასიათო და გაღიზიანებული ვარ მანამდე, სანამ ისევ არ დავლევ ხოლმე. არ მესმის, რატომ სვამენ, თუ ვერ ისიამოვნებენ და ცემა-ტყეპაში ამოხდებათ სული. როგორც კი მეც ასეთი რამ დამეწყება, პირობას ვდებ — პირველ რიგში, მეუღლისა და მერე საზოგადოების წინაშე, — რომ აღარასდროს გავუსინჯავ გემოს სასმელს! ეს ამბავი ჩემს მეუღლეს ალბათ, ძალიან გაუხარდება.

— რატომ? ხშირად გეჩხუბებათ ხოლმე?

— ჩხუბით როგორ არ მეჩხუბება?.. ჰქონდა მცდელობები, რომ ხშირად და ბევრი არ მესვა, მაგრამ ფეხი არ ჩაუვიდა... მერე, ნელ-ნელა დამანება თავი. თუმცა, ზოგჯერ ახლაც აქვს „გამონათებები“ — რატომ სვამ ამდენსო?! ხვდება, ვერ მერევა და ხომ იცით, დათვს რომ ვერ მოერევი, ბაბაია უნდა დაუძახოო, — ნათქვამია. ისიც მეძახის ბაბაიას და არის თავისთვის. სიმართლე გითხრათ, ამით ბევრსაც იგებს.

— მისთვისაც გესწავლებინათ სმა და აღარ გეჩხუბებათ ხოლმე...

— დალევით კი დაულევია, მაგრამ არ უყვარს. ჩემი მეუღლე მწეველი უფროა, ვიდრე მსმელი. სამაგიეროდ, მე სიგარეტს მხოლოდ მაშინ ვეწევი, როცა ნასვამი ვარ.

— ცუდი „პახმელია“ ვიცი, — მითხარით. ნაბახუსევზე რას მიირთმევთ ხოლმე?

— „პახმელიაზე“ აბაზანას და ჭამას გამოვყავარ. მიყვარს ხაში ან ჩიხირთმა. როდესაც ან რეპეტიცია მაქვს, ან სპექტაკლი, მაშინ არ ვსვამ. ამჟამად ბევრი სამუშაო მაქვს და ძალიან მწყდება გული, რომ ვერ დავლევ.

— სამაგიეროდ, თქვენი მეუღლე იქნება ამით გახარებული...

— *(იცინის)* მის ბედნიერებას ალბათ, საზღვარი არ ექნება. მაგრამ რამდენ ხანს გაგრძელდება ეს ბედნიერება, არ ვიცი...

— ახალგაზრდობაში ალბათ, ხშირად მოგსვლიათ ჩხუბი სიმთვრალეში — მიუხედავად იმისა, რომ შარიანი არ ხართ...

— იმდენჯერ მიჩხუბია, რომ არ ვიცი, რომელი ერთი გავიხსენო... ხშირად ამშარებიან სუფრაზე. ერთი ჯგუფელი მყავდა — მიშა ტომარაძე, ვინც ჯაპანა დამარქვა. ის ჩემს ცოლს ეკითხებოდა — მე მთელი ახალგაზრდობა ქალებში დავდიოდი, შენი ქმარი კი — ჩხუბებში და რომელი სჯობს — ქალებში სიარული თუ ჩხუბებშიო?.. ისეთ ვინმეს გავყოლივარ საჩხუბრად, რომ არც კი ვიცნობდი მანამდე... დაჭრილიც ყოფილვარ და ნაცემიც. მაგრამ ჩემი მიზეზით არასდროს ამტყდარა ჩხუბი. კიდევ კარგი, მაშინ სხვა დრო იყო და სხვა თუ არაფერი, ჩხუბი მაინც ვიცოდით — იარაღს არავინ იხმარდა. ერთხელ, ერთ ჩეჩენს, ვინმე რაზბიჩას ვეჩხუბე და თეატრალური ინსტიტუტიდან გამრიცხეს. ერთი ამბავი ატყდა. რექტორმა კი იმიტომ გამრიცხა, რომ თურმე, ინტერნაციონალური გრძნობა არ გამაჩნდა... მერე, იმ ჩეჩენმა სტუდქალაქში ვიღაცას თვალი გამოსთხარა. მიხვდნენ, რომ დამნაშავე არ ვიყავი და აღმადგინეს... კიდევ ერთ ამბავს გავიხსენებ: თვითმფრინავის გამტაცებლები რომ დახვრიტეს, მაშინ პირველი კურსის სტუდენტი გახლდით. ბიჭები რესტორანში წავედით. იმ სამწუხარო სუფრაზე თამადა ვიყავი. რა თქმა უნდა, ვთქვით იმ ბიჭების შესანდობარი. დარბაზში უცებ გაჩნდნენ მილიციელები და რუხკოსტიუმიანი ადამიანები, მოვიდნენ ჩვენს სუფრასთან. ვიღაცამ სადღეგრძელო თქვა და ჭიქა მოისროლა. ჭიქა ვიღაც გერმანელს ჩაუვარდა თეფშში. ატყდა ერთი ამბავი. ახლაც ძალიან ცუდად მახსენდება ის ჩხუბი და აყალმაყალი...

— თქვენი საყვარელი სადღეგრძელო რომელია?

— ერთი სადღეგრძელო მაქვს ამოჩემებული, სვანეთში მოვისმინე და მომეწონა: ჩვენი მტრების კარგად ყოფნა იყოს და ყოველთვის ჩვენ ვყოფილიყავით მათზე გამარჯვებულნი! ეს არის ჩემი საყვარელი სადღეგრძელო და თითქმის ყველა სუფრაზე ვამბობ...

ადამიანთა დიდი ნაწილი თავისი შრომით ირჩენს თავს (ამიტომაც, მათი უმეტესობა ძალზე ღარიბია), ზოგი — ქურდობით, ან თაღლითობით, ან კიდევ, სხვა ადამიანების ჩაშვებით — ე.წ. „ნასედკობით“. მოკლედ, როგორც ცნობილია, ფულის შოვნის ათასგვარი მეთოდი არსებობს. ჩემი რესპონდენტების ნაწილი, სწორედ ადამიანთა იმ კატეგორიას მიეკუთვნება, ვინც სხვისი უბედურების ხარჯზე იწყობს ცხოვრებას და ამით თავს ბედნიერად გრძნობს, ან სულაც არ განიცდის ნეტარებას, პირიქით — სძულს ეს საქმიანობა, მაგრამ საკუთარი მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ყველაფერზე მიდის; ზოგი კი, იმ ადამიანთა მსხვერპლია, რომლებიც ასეთ საქმიანობას ეწევიან. მათთან საუბარს შემდეგ, კიდევ ერთხელ დავრწმუნდი იმაში, რომ ფული ჯოჯოხეთს ანათებს და მისი გულისთვის ადამიანს სულის გაყიდვაც შეუძლია.

ფრთხილად

– „ნასედკობისთვის“ ხომ არ გამზადებენ?!..

ლიკა ქაჯაია

„ძმაკაცების ჩაშვება არ მინდოდა, მაგრამ მაიძულეს“...

ზურა, *38 წლის:*

— ბავშვობის წლები ქუჩაში გავატარე. მამა ლოთი მყავდა, დედა კი, სხვა მამაკაცებს უჟუჟუნებდა თვალებს. უბნის ბიჭებს შევეკედლე, სკოლაში არ დავდიოდი, სახლში მხოლოდ დასაძინებლად შევდიოდი და მაშინაც მამაჩემის მრავალსართულიანი გინების მოსმენა მიწევდა. ჩემთვის მოფერება, კეთილი სიტყვები არავის ემეტებოდა, მხოლოდ ქუჩის მეგობრები მეუბნებოდნენ სიტყვას „ყოჩაღ“, როცა მათ დავალებას შევასრულებდი... 15 წლის ვიყავი, როცა პირველ საქმეზე გავყევი ბიჭებს — მაღაზია გავტეხეთ. მაყუთი და ძვირად ღირებული ნივთები გამოვიტანეთ. წილი მეც მომცეს. იმ დღეს, ჩემზე ბედნიერი არავინ იყო, რადგან შემეძლო, ჩემ მიერვე ნაშოვნი ფულით ის მეყიდა, რაც მინდოდა... მოკლედ, თქვენებურად — ანუ პატიოსანი ადამიანების სიტყვებით რომ ვთქვათ — ხელმრუდობას მივეჩვიე. ორი თითის ჯიბეში ჩაცურებაც ვისწავლე. ამ საქმეში საკმაოდ კარგად გავიწაფე. მეგობრები უჩემოდ არც ერთ საქმეზე აღარ მიდიოდნენ. ვისწავლე ცხოვრების ფასი, ვიგრძენი ფულის სუნი, მისი გემო. ბიჭების უმეტესობა ნარკომანი იყო, მე კი რატომღაც ნარკოტიკის გასინჯვის სურვილიც კი არასდროს მქონია. ფულს ღვინის სმაში, ქალებში, „შმოტკებში“ — ერთი სიტყვით, კარგ ცხოვრებაში ვხარჯავდი. 20 წლის ისე გავხდი, რომ მილიციასთან საქმე არც ერთხელ არ მქონია. მიკვირდა, როგორ იჭერდნენ ისინი ჩემნაირებს. თუმცა, მილიციის მაგარი ხელი და ციხის კედლების სუნიც მალევე შევიგრძენი... ერთ ოჯახს ვაყაჩაღებდით, როცა მილიცია თავზე წამოგვადგა. მაშინ ვერც ფულმა და ვერც ადვოკატმა ვერ მიშველა... ციხეში ჩემს გაფუჭებას ბევრი ცდილობდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა... იმ დროისთვის, როცა ციხიდან გამოვედი, მეგობრების უმეტესობა სუფთა ჰაერს ვერ სუნთქავდა, ციხის კედლებს ხეხავდნენ. სახლში მისულს, მამა მკვდარი დამხვდა, დედა კი — სულ მთლად ხელიდან წასული: ჩემს მეგობართან ერთად შევუსწარი. იმდენი ვურტყი, რომ სახე გასივებულ გოგრას დავუმსგავსე. იმ დღიდან გადავწყვიტე, მეგობარზე შური მეძია (დედა სამუდამოდ დავკარგე), მაგრამ როგორ — ამას ვერ ვხვდებოდი... ამ ამბიდან რამდენიმე კვირის შემდეგ, პოლიციამ დამაკავა. ამჯერად, ჩემთვის გაურკვეველი ბრალდებით. კარგად დამალილავეს და გამომიშვეს. რამდენიმე დღის შემდეგ, იგივე გამეორდა, ოღონდ გამაფრთხილეს: — თუ გავიგეთ, რომ ქურდობას არ შეეშვი, მთელი ცხოვრება ციხეს გახეხვინებთ; კარგად ყოფნა და სუფთა ჰაერი თუ გინდა, ეგრევე, საქმეზე კი ნუ წახვალ, პირიქით — როცა ამის დაპირებთ, ჩვენ შეგვატყობინე, გარეთაც იქნები და მაყუთსაც ჩვენ მოგცემთო... ეს ერთ ყურში შევუშვი და მეორიდან გამოვუშვი. ერთხელ ბიჭებმა დამირეკეს: მაგარი პონტი ავაგდეთ, თუ შეძლებ, ამა და ამ დროს მოდი, ჩვენ სამნი ვიქნებითო. — ვინ სამნი-მეთქი? — ვკითხე. მან დასახელებულ პირებს შორის ისიც დაასახელა. ვისაც დედაჩემთან ერთად შევუსწარი. კარგი-მეთქი, — ვუთხარი. დიდხანს ვფიქრობდი, როგორ გადამეხადა იმისთვის სამაგიერო, ვინც ასე გამამწარა. უცებ, არ ვიცი, რა მომივიდა, გამახსენდა პოლიცია, მათი ნათქვამი. ვიფიქრე: კაცი არ ვიყო, თუ ციხე არ გახეხვინო და დედაშენსაც იგივე არ გავუკეთო-მეთქი! — და განზრახული, გავაკეთე კიდეც — ერთი სიტყვით, ქურდები პოლიციაში ჩავუშვი. ისინი დააკავეს. იმავე დღეს, ბიჭებმა შემომითვალეს — ასე და ასე მოხდა, კიდევ კარგი, შენც იქ არ იყავი, „ასიანი“ ვიღაცამ ჩაგვიშვაო (ჩემზე ვერც კი იფიქრეს). მეორე დღეს, პოლიციამ პირობა არ დაარღვია და მაყუთი გამომიგზავნა... რამდენიმე კვირის შემდეგ, ისევ დამაკავეს და მომთხოვეს, ვინმე ჩამეშვა. მე „ნასედკა“ არ ვარ-მეთქი, — რომ ვუთხარი, გაიცინეს: აბა, ის ბიჭები ვინ ჩაუშვა? თუ არ გინდა, ეს ამბავი ბიჭების ყურამდე მივიდეს, გაინძერიო. მიმბეგვეს და გამომიშვეს. დიდი ხანი ვიჭყლეტდი ტვინს. ბიჭებს ბირჟაზე ჩავაკითხე. ახალი ამბები გავიგე, მათთან ძველებური ურთიერთობა აღვადგინე და ჩუმ-ჩუმად პოლიციასთანაც ვთანამშრომლობდი. ყოველი „ნაკოლის“ მიცემაზე, პოლიცია საკმაოდ სოლიდური თანხით მაჯილდოებდა. ასე უზრუნველად მიღებული თანხა ისე გამიტკბა, რომ „მეგობრებს“ უფრო ხშირად ვთხოვდი საქმეზე წასვლას. მე ყოველთვის სუფთად გამოვდიოდი, მათ კი, ჩემი დამსახურებით, ხშირად უწევდათ პოლიციაში ფულის ჩაყრა. დღესაც ვეწევი ამ ორმხრივ თამაშს და ამას არც ვნანობ, რადგან ვფიქრობ, რომ ამ ცხოვრებაში დანდობის ღირსი არავინაა... დანდობაზე გამახსენდა: მუქარა შევასრულე და ყოფილი მეგობრის დედას ნამუსი ავხადე. მეგონა, მიჩივლებდა, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, პირიქით — ხშირად მირეკავს და შეხვედრას მთხოვს... მეგობრებში ნაღდი კარგი ბიჭის სახელით ვსარგებლობ, ე.ი. კარგი მსახიობი ვარ, არა *(იცინის)*?.. იცით, „ნასედკობა“, ჩაშვება ძვალ-რბილში გამიჯდა. ადრე მეგობრების ჩაშვებას ვერავინ მიხსენებდა, დღეს კი...

„მე პოლიციას ვეხმარები, პოლიცია – მე“...

ნელი, *52 წლის:*

— ერთი უბრალო ქალი გახლავართ, რომელიც ოჯახის რჩენისთვის ყველაფერზე მოაწერს ხელს. ასეთი ცხოვრებამ გამხადა, თორემ... ყველაფერი მაშინ დაიწყო, როცა ქვეყანა აირია. ჩემს ოჯახს ძალიან უჭირდა — ხშირად პურიც კი გვენატრებოდა. მეუღლეს ვეხვეწებოდი, ხელი გაანძრიე-მეთქი, მაგრამ უსწავლელ კაცს, რა უნდა ექნა, როცა ნახევარი საქართველო უმუშევარი იყო, როცა აკადემიკოსებს შიმშილისგან კუჭები უხმებოდათ, როცა ქვეყანას თაღლითები მართავდნენ?!. სწორედ თაღლითობის მსხვერპლი აღმოვჩნდი. მეგობარმა ქალმა — ნათელამ მითხრა: ყველა უცხოეთში მიდის, მოდი, ჩვენც წავიდეთ, ხელს მოვიმართავთ და ოჯახიც შიმშილით არ ამოგვეხოცებაო. კარგა ხანს ვარწმუნებდი ქმარს, შენს ნათესავებთან მიდი, ფული იშოვე, ვალს მალე გავისტუმრებთ-მეთქი. ამასობაში, ნათელამ მოძებნა კაცი, რომელიც შეგვპირდა: ბელგიაში გადაგიყვანთ, თუ 1.000 დოლარს მომცემთო. ფული ვერ ვიშოვეთ, ამიტომ ბინა დავაგირავეთ. აღებული თანხით, რაღა სოროში ვიგირავეთ ერთოთახიანი ბინა. 1.000 დოლარი უცხო კაცს ჩავუთვალეთ და საზღვარგარეთ წასასვლელად დავიწყე მზადება. დრო გადიოდა, მაგრამ ჩვენს წასვლას საშველი არ დაადგა. ნათელას ყოველდღე ვაკითხავდი: რას შვრება ის კაცი, არ მივყავართ-მეთქი? ის მპასუხობდა: ცოტა ხანი უნდა მოვითმინოთ, ეტყობა, ჯერ არ შეუძლია, თორემ, აუცილებლად წაგვიყვანდაო. ფულის მიცემის დღიდან 1 თვე რომ გავიდა, შევშფოთდი. ის კაცი თავად ვნახე და ფული მოვთხოვე. 2 კვირაში ბელგიაში იქნებითო — შემპირდა. 2 კვირაც გავიდა, მაგრამ... მე და ნათელამ მას ისევ მივაკითხეთ, მაგრამ ბინაში აღარავინ დაგვხვდა. ტელეფონზეც არავინ პასუხობდა. ახლა უკვე ნათელაც აფორიაქდა. სად არ ვეძებეთ ეს კაცი, მაგრამ ვერსად ვიპოვეთ. ზურას მივაკითხე (ვინც ნათელა ამ კაცს დააკავშირა). მეც ზუსტად თქვენს მდგომარეობაში ვარო — შემოგვჩივლა. ერთხელაც თაღლითის ბინაში მისულებს, უცხო ოჯახი დაგვხვდა: ეს ბინა 1 კვირის წინ შევიძინეთო. მოკლედ, ის კაცი ცამ ჩაყლაპა თუ მიწამ, ვერ გავიგეთ. პოლიციას მივაკითხეთ. მათ შეიცხადეს: უი, ეს რა გიქნიათ, მისი ნამდვილი სახელი და გვარი მაინც თუ იცითო? დაიწყო გამოძიება, მაგრამ მის ასავალ-დასავალს პოლიციამაც ვერ მიაგნო. რა უნდა მეთქვა ჩემი ოჯახის წევრებისთვის, რომლებიც იმედიანი თვალებით შემომყურებდნენ? მათ ვუთხარი: იმ კაცს ფული გამოვართვი, საქმეში ჩავდე და მალე შემოსავალიც გვექნება-მეთქი. დილიდან საღამომდე ქუჩაში დავდიოდი, იქნებ, რაიმე სამუშაო ვიპოვო-მეთქი. ნათელას ნათესავმა შემოგვთავაზა: ჩემთან წამოდით და ვივაჭროთო. ვაჭრობაში გამიმართლა. რაც მეტს ვშოულობდი, მით მეტი მინდოდა. ნელ-ნელა დაგროვებული ვალებიც გავისტუმრე... 3 წლის წინ, იმ ქალმა, ვინც ვაჭრობა დაგვაწყებინა, შემომთავაზა: მოდი, ერგნეთიდან უაქციზო სიგარეტი ჩამოვიტანოთ და კარგ ფულს ვიშოვითო. დავიწყეთ სიარული ერგნეთში. თავიდან, მხოლოდ რამდენიმე ბლოკი სიგარეტი ჩამოგვქონდა. მერე ნელ-ნელა გავთამამდით. ბოლოს, სესხი ავიღეთ და იმდენი ყუთი სიგარეტი მოგვქონდა, რომ მისი გასაღების მერე სესხსაც დავფარავდით და ფულიც ბლომად დაგვრჩებოდა. თბილისში შემოსულები, პოლიციამ გაგვაჩერა (დიღმიდან ტაქსით მოვდიოდით), კონტრაბანდის დანახვაზე თვალები აუციმციმდათ. ფული შევთავაზეთ. მართალია, კარგა ბლომად გამოგვართვეს ფული, მაგრამ დროებით მაინც დაგვაკავეს და შემოგვთავაზეს: თუ ვინმეს ჩაუშვებთ და ამით მაყუთს გვაშოვნინებთ, გაგიშვებთ და ნებას მოგცემთ, რამდენიც გინდათ, იმდენი ყუთი სიგარეტი ჩამოიტანოთ, თუ არა და, ციხეში ამოგალპობთო. ვინ უნდა ჩაგვშვა? არავის ვიცნობდით; შევპირდით: 1 თვეში ინფორმაციას მოგაწვდით-თქო. ამ დაპირების შემდეგ გამოგვიშვეს. თუმცა, საქონლის ყოველი ჩამოტანისას გვახსენებდნენ, მაყუთს გვართმევდნენ. 1 თვე რომ გავიდა, ისევ დაგვიჭირეს და გვითხრეს: ან სასამართლოს წინაშე წარდგებით, ან ახლავე დაგვისახელეთ ვინმეო... უკვე აღარ ვიცოდით, რა გვექნა. ციხეში ჯდომა ასე ადვილი საქმე ხომ არ არის და ჩვენც გავუმხილეთ პოლიციას, რომ ამა და ამ დღეს, ამა და ამ დროს, უაქციზო სიგარეტით დატვირთული ტაქსი შემოვიდოდა... ვისაც ეს სიგარეტი ჩამოჰქონდა, ის ქალი ერგნეთში გავიცანით. ის ცდილობდა, ხელი შეეწყო ჩვენთვის, ახალი მისულები დაგვაკვალიანა, თან ისე სუფთად აკეთებდა ყველაფერს, რომ პოლიცია მის არსებობას ვერც კი ამჩნევდა... პოლიციამ მართლაც დააკავა ეს ქალი თავისი საქონლით და იმ დღესვე, ჩვენც გაგვიშვეს. ამის შემდეგ, პოლიცია ჩვენგან იმდენ ფულს აღარ იღებდა, რამდენსაც ადრე, თან გვეუბნებოდა: ჩვენი მფარველობის ქვეშ ხართ, ოღონდ, თვეში 2-3 ადამიანი უნდა ჩაუშვათ, ფული გაგვაკეთებინოთო... მე და ჩემმა „თანამოვაჭრემ“, თუ რა ჰქვია, დავიწყეთ ვაჭრებთან დამეგობრება. გაჭირვებულს სადმე თუ შეეხვდებოდით, ვასესხებდით ფულს, დავაწყებინებდით ერგნეთიდან სიგარეტის ჩამოტანას. როცა საქმეს ცოტათი მაინც ააწყობდნენ და ჩვენს ვალს გაისტუმრებდნენ, გულს გაიმაგრებდნენ და ბევრი საქონლის ჩამოტანას დააპირებდნენ, სწორედ მაშინ ვეხმიანებოდით პოლიციას... მოკლედ, ასეთი საქმე ბევრჯერ გამიკეთებია. ამის გამო, ხანდახან ჩემი თავი მეზიზღებოდა კიდეც, მაგრამ ფულის სიყვარული ადამიანურ გრძნობაზე ძლიერი ყოფილა, ამიტომ საქმიანობის შეცვლას არ ვაპირებ. ამ ბოლო დროს, ცოტა მეც გამიჭირდა პოლიციასთან საერთო ენის გამონახვა. თუმცა, ფული მაინც ყველგან და ყოველთვის აკეთებს თავის საქმეს. მე პოლიციას ვეხმარები, პოლიცია — მე. ჩემმა ქმარ-შვილმა ჩემი საქმიანობის შესახებ არაფერი იცის. მშვიდად ხარჯავენ ჩემ მიერ მიტანილ ფულს. ისე, ძალიან მაინტერესებს მათი რეაქცია, რომ გაიგონ, რას ვსაქმიანობ. მით უმეტეს, ჩემი უფროსი შვილის რეაქცია, რომელიც ვითომდა რაღაც ქურდულს აწვება... ადრე ვერც კი ვიფიქრებდი, რომ ასეთი საქმის ჩადენას შევძლებდი, დღეს კი, ისეთი გავხდი, რომ ვერ გამირკვევია, სულს ფულისთვის ვყიდი თუ ოჯახისთვის? ხანდახან ჩემს თავს ვეუბნები — იქნებ, დროა, ამ საქმეს შევეშვა-მეთქი? მაგრამ თქვენ წარმოიდგინეთ — ვერ ველევი. მგონი, ჩემი ახალი „პროფესია“ შემიყვარდა კიდეც. რამეს გავიგებ თუ არა, მაშინვე პოლიციას ვურეკავ და როცა მათგან მადლობას და საქებარ სიტყვებს ვისმენ, გული რაღაც სხვანაირად მიცემს...

„ნარკოტიკის სიყვარულმა „ჩაშვების ინსტიტუტი“ დამამთავრებინა“

ჟორა, *45 წლის:*

— დღეს ზონაზე ვზივარ *(მას ჩვენი საერთო ნაცნობის, ადვოკატის საშუალებით დავუკავშირდი და პასუხები წერილობით მივიღე. — ავტ.)*, თუმცა ვიცი, რომ ნებისმიერ დროს შემიძლია აქედან გასვლა, მაგრამ ამის მოთხოვნილება ჯერჯერობით არ მაქვს, იმიტომ, რომ პოლიციისგან ყოველთვის ვიღებ იმას, რაც ამქვეყნად ყველაზე და ყველაფერზე მეტად მიყვარს — ეს ნარკოტიკია. პოლიციისგან — რატომ?.. ახლავე გეტყვით: ერთ დროს, ძველი ბიჭი ვიყავი, მაგრამ ნარკოტიკზე შევჯექი, თან ისე, რომ მის გარეშე არსებობაც კი ვერ წარმომედგინა. წამლის გულისთვის ახლობლებსაც კი ვუმწარებდი სიცოცხლეს, მაგრამ რა?.. წამალს ვიშოვიდი თუ არა, მეგობრებს ვეძახდი და „თხილის გულს“ შუაზე ვიყოფდით. ფული სად მქონდა? ამისთვის მუშაობა არ მჭირდებოდა. მამაჩემის ფული ყველაფრის შესაძლებლობას მაძლევდა. პოლიცია ფაქტზე ხშირად მიჭერდა, მაგრამ ფული ხომ ჯოჯოხეთს ანთებს და ამათ რას უზამდა?! ბაირამობა დიდხანს არ გაგრძელებულა. მამა გაკოტრდა, გული გაუსკდა, გადაბრუნდა და მოკვდა. მისი სიკვდილი იმდენად არ განმიცდია, რამდენადაც უზრუნველი ცხოვრების დაკარგვა განვიცადე. წამლის საყიდელ ფულს რომ ვერ ვშოულობდი, სახლიდან გამქონდა რაღაც ნივთები, ვაბარებდი და წამალს ვიკეთებდი (რა თქმა უნდა, მეგობრებთან ერთად). გასაყიდი აღარაფერი რომ არ დაგვრჩა, ნათესავებს დავერიე. ჩემი მისვლა აღარავის უხაროდა... ვგრძნობდი — „წამლის მეგობრებს“ ნელ-ნელა ვკარგავდი: სანამ ფული მქონდა, ყველა მეძმაკაცებოდა, მაგრამ მერე პ...ბა დაიწყეს, წამალს მიმალავდნენ, ჩუმ-ჩუმად იკეთებდნენ, თან ისე, ვითომც აქ არაფერიაო. ერთხელ, პოლიციამ ფაქტზე დამიჭირა, სიმწრით მოპოვებული „უკვდავება“ ამახიეს და 4 კედელში ცხოველივით გამომაწ-

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა ღვალი
უბის წიგნაკიდან:

1. „თერძი“ და „დერეიკი“ სინონიმებია.

2. ფრიდრიხ ნიცშეს საკუთარი და უყვარდა.

3. ფინეთში არ არსებობს არც ერთი კერძო სკოლა.

4. „მე უკვე საფრანგეთშიც მიცნობენ“, — ამაყობდა ნიკო ფიროსმანი.

5. „— სინდისი?.. ეს ხომ ებრაელების მონაჩმახია!“ — ამბობდა ჰიტლერი.

6. „პაროდა იშჩო ნე პრიზნაკ უმა, ჩაშჩე — ევო მაგილა“, — ამბობენ რუსები.

7. როდოსის კოლოსი 300 ხომალდის ასაშენებლად სამყოფი თანხა დაჯდა.

8. მამალი ვირთხისთვის სულერთია, ვისთან შეწყვილდება, შემთხვევითი ცხოველი იქნება ეს თუ საკუთარი დედა.

9. ველური თაფლი განსაკუთრებული კალორიულობით გამოირჩევა. იგი კოსმონავტების კვების რაციონშია შეტანილი.

10. „ქვეყნად ორი რამ არის უკვდავი: ქალური მომხიბვლელობა და შესაძლებლობა, ბოროტად გამოვიყენოთ იგი“, — ამბობენ ფრანგი ქალები.

11. ადამიანებმა იციან საკუთარი თავის ფასი, ეს ფასი კი ყოველთვის მეტია, ვიდრე მათი ხელფასი.

12. პეტრე პირველის შვილს, ალექსეის სძულდა რუსეთის ახალი დედაქალაქი პეტერბურგი და ამბობდა — როდესაც ტახტზე ავალ, დედაქალაქს კვლავ მოსკოვში გადავიტანო.

13. ფაშისტებს ცოფის მოსპობა სურდათ და ევროპაში, სადაც კი ხელი მიუწვდებოდათ, ყველგან გაწყვიტეს მაწანწალა ძაღლები, მაგრამ მაინც ვერაფერს გახდნენ — ეს დაავადება მელიებში გავრცელდა.

14. სპილოს სულ 4 კბილი აქვს, რომელსაც სიცოცხლის განმავლობაში ექვსჯერ იცვლის. თუ სპილო სიბერისგან კვდება, ეს იმას ნიშნავს, რომ მას კბილების უკანასკნელი კომპლექტი გაუცვდა.

15. ახალ ორლეანში შეუძლებელია სახლის გაყიდვა, თუ მფლობელს არა აქვს იმის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომ სახლში არ ბინადრობენ ტერმიტები. მათ მოსასპობად საცხოვრებელ სახლს ზემოდან უზარმაზარ ფარდაგს აფარებენ, შიგნით გაზს უშვებენ და 48 საათის განმავლობაში ტოვებენ.

16. პირველი ტანკების ეკიპაჟის წევრებს, შუა საუკუნეების რაინდთა მსგავსად, აბჯარი ეცვათ, რადგან ტანკის ჯავშანი გადაბმის ადგილებში ტყვიებს ატარებდა.

ყვდიეს. თან დამცინოდნენ — აბა, თუ კარგი ბიჭი ხარ, გადმოყარე ფულებიო!... ასეთი წამება 3 დღე ვითმინე. მერე ვენების გადაჭრა (ცბილებით) განვიზრახე, მაგრამ ვინ გაცალა?! შემოცვივდნენ. წინ წამალი დამიდეს და მითხრეს: ხომ ხედავ, ძმაკაცებმა მიგატოვეს, ახლა შენი ჯერია: მათზე ჯავრი იყარე, წამლის ნაწილი შენ მოიხმარე, ნაწილი მათ მიუგდე, დანარჩენი ჩვენ ვიციითო. სიხარულისგან ლამის გავგიჟდი, პოლიციელს ლამის ხელები დავუკოცნე (ძალიან ცუდად ვიყავი)... ჩემი წყალობით, მალე ჩემი 2 ვითომდა ძმაკაცი ციხეში აღმოჩნდა. როგორც გავიგე, ისინი პოლიციამ მაგრად „გაწეწა“... ნარკომანებს სისხლში გვაქვს გამჯდარი, რომ ის სიამოვნება, რომელსაც ჩვენ ვიღებთ, სხვასაც გავასინჯოთ. ამ შემთხვევაში, ჩვენი მსხვერპლი უფრო ხშირად, ფულიანი მამიკოს ან დედიკოს შვილები ხდებიან. ცხოვრებაზე გაბოროტებულმა, სწორედ ასეთ ახალგაზრდებს დავუწყე ძებნა. პოლიციას საქმეს ვაძლევდი, ისინი კი წამალს პანტაპუნტით მესროდნენ. მეც მეტი რა მინდოდა?!. ალბათ გაინტერესებთ, პოლიციასთან შეკრული ადამიანი ციხეში რატომ ვზიავარ? ეს უბრალოდ, იმიტომ ხდება, რომ სხვებმა ვერ „მოწვან“ ჩემი ამბავი. მეც, ვითომ ვიღაცამ ჩამიშვა, ფაქტზე დამიჭირეს... ისე, ციხეშიც კარგად ვგრძნობ თავს. მოკლედ, ნარკოტიკის სიყვარულმა „ჩაშვების ინსტიტუტი“ დამამთავრებინა. თქვენ მწერთ: ამ საქციელს არ ნანობო? თქვენ როგორ ფიქრობთ?.. არ ვნანობ და იცით, რატომ? იმიტომ, რომ არავინ შემიბრალა. სანამ ფული და კარგი ცხოვრება მქონდა, მელაქუცებოდნენ, მერე კი ძაღლივით მიმაგდეს. საერთოდ, ადამიანს ყოველთვის უნდა გაუკეთო ის, რისი ღირსიცაა. მე ვფიქრობ, რომ ადამიანი საშინელი ცხოველია, რომელიც უნდა გაისრისოს...

„კეთილმა ძმაკაცმა ციხეში ამომაყოფინა თავი“

არტურა, *30 წლის:*

— 24 წლის ვიყავი, როცა ცხოვრებაში პირველად, დიდი სიყვარული მეწვია. მაგრამ საყვარელ გოგონას ამის გამხელას ვერ ვუბედავდი, რადგან კომპლექსი მქონდა. კომპლექსში ვგულისხმობ იმას, რომ მეცვა დახეული ტანსაცმელი, არ მქონდა ფული, ვერ შევთავაზებდი ოჯახის შექმნას, რადგან ამის საშუალება არ მქონდა. მას კი ბევრი მთხოვნელი ჰყავდა. მეშინოდა, არ გათხოვილიყო. ყოველი დღის გათენებას შიშით ველოდი, მაგრამ სულ ტყუილად. აღმოჩნდა, რომ მასაც ვუყვარდი, თუმცა, სანამ ამას გავიგებდი... ერთხელ, ქუჩაში 5 წლის უნახავი ძმაკაცი, თანაკლასელი შემხვდა. ბარში დამპატიჟა. იქ გამოვკითხეთ ერთმანეთს ამბები. გული გადავუშალე. გამამხნევა: ნუ გეშინია, შენ გვერდით ვარ; ფული მე მაქვს იმდენი, რომ ცოტა ხანს ორივეს გვეყოფა, მერე კი, სამსახურსაც ვიშოვითო. — ამდენი ხანი სად იყავი-მეთქი?! — ვკითხე (მან 5 წლის წინ, სახლი გაყიდა და ვეღარ ვპოულობდი, თვითონაც არ მიკავშირდებოდა). მითხრა: რუსეთში ვიყავი წასული, რაღაცებს ვჩალიჩობდი, საქმე ავაწყვე და ჩამოვედი. ცოლს რომ მოიყვან, შენი მეჯვარე ვიქნები, საწინააღმდეგო ხომ არაფერი გაქვსო?.. მისამართი ვთხოვე, მაგრამ მითხრა: ბინა ჯერ არ მიყიდია, ჩემები რუსეთში არიან, ღამეს ხან სად ვათენებ, ხან — სად; მოდი, ტელეფონის ნომერი ჩაიწერეო. ჩემთან წამოსვლა რომ შევთავაზე, იუარა: საქმეები მაქვსო. 100 დოლარი მაჩუქა და შემპირდა, სახლში დაგირეკავო. გახარებულმა ტანსაცმელი ვიყიდე, გამოვიპრანჭე და შეყვარებულს სასწავლებელში დიდი თაიგულით მივაკითხე. მისგან კომპლიმენტები მივიღე და იმ ღამეს, სიხარულისგან არ დამიძინია. ძმაკაცმა მესამე დღეს დამირეკა: ხვალ 4 საათზე, „რუსთაველის“ მეტროსთან შემხვდი, საქმე მაქვსო. როცა ვნახე, მთხოვა: ფულს მოგცემ და გადამიხურდავე, მე ვერ ვახურდავებ, რუსეთიდან ჩამოტანილ ფულს არავინ მიხურადავებს, იქნებ, შენ იღბალი გაქვსო, — და 100 დოლარი გამომიწოდა. ფულის გადასახურდავებლად ერთ-ერთ ბანკში შევედი, უპრობლემოდ მივიღე ლარები და ძმაკაცს გადავეცი. მან ფული მიწილადა. არ ვიღებდი, მაგრამ მთხოვა: შენი საქმე გააკეთე და ჩათვალე, რომ ფულს ამაში გიხდი, იღბლიანი ხარ და დანარჩენი თანხაც უნდა გადამიხურდავოო. ყოველდღე მაძლევდა ასდოლარიანებს. ახლა უკვე შემეძლო, ცოლი მომეყვანა საკუთარი თანხებით, თან სამსახურის პერსპექტივაც გამოჩნდა (ფულის გადახურდავებას არ ვგულისხმობ) და საყვარელ ქალს ცოლობა ვთხოვე. თანხმობა რომ მივიღე, სიხარულისგან ცას ვეწიე. ქორწილამდე 4 დღით ადრე, ძმაკაცმა ისევ მთხოვა დახმარება. ამჯერად, ბარში დამპატიჟა და 30.000 დოლარი მაჩვენა. ეს თანხა დამრჩა, შენ შემინახე, მეშინია, არ დამეკარგოს და ნელ-ნელა გადავახურდავოთო. ფული ავიღე. მან მითხრა: საპირფარეშოში გავალ და ახლავე დავბრუნდებიო. გავიდა თუ არა, პოლიცია დამადგა თავზე და ყალბი ფულის ტარების ბრალდებით დამაპატიმრეს. ჩემები, ჩემს ძმაკაცს ურეკავდნენ, მაგრამ მის ტელეფონზე არავინ პასუხობდა. ის სადღაც აორთქლდა... ქორწილის წინადღეს, ნათესავებმა ციხიდან ჩემს გამოსაყვანად ფული შეაგროვეს და თავდებით გამომიყვანეს... ამ ამბიდან, რამდენიმე წლის შემდეგ გავიგე, რომ ჩემი ძმაკაცი ასეთ საქმეებზე ჩალიჩობდა. მიუხედავად ყველაფრისა, მე მისი მადლიერი ვარ. რომ არა ის, ვერ გავბედავდი საყვარელი ქალისთვის სიყვარული ამეხსნა...

„მოხუცმა ქალმა ნარკოტიკით სავსე ჩანთა გადმომცა...“

ელა, *27 წლის:*

— ზაფხულში, ზღვაზე დაქალთან ერთად ვისვენებდი, როცა უცხო ნომრიდან, რომანტიკული მესიჯი მომივიდა. არ ვუპასუხე. დამირეკა და მითხრა — ძალიან

მიყვარხარ, ან ხმა ამოიღე, ან მესიჯი მომწერეო. ვიფიქრე — ნეტავ, ვინ არისმეთქი? მაგრამ არაფერი მიმიწერია, რადგან ინტუიციამ მიკარნახა, რომ ასე უნდა მოვქცეულიყავი. ამის შემდეგ, დღეში 15 მესიჯი მაინც მომდიოდა. მწერდა: მარტოსული ვარ, ძალიან მომწონხარ, შენზე ყველაფერი ვიცი — გაქვს საკუთარი ოფისი, ქმარს გაეყარე, გყავს 2 ანგელოზი, ვიცი შენი მისამართიო, — და ა.შ. ჩემი მშობლების სახელიც კი იცოდა. ამ ამბიდან დაახლოებით 2 თვის შემდეგ, მაშინ, როცა სამსახურიდან სახლში მივდიოდი, დამირეკა. ტელეფონს ცოცხალი თავით არ ვპასუხობდი. სახლის სადარბაზოში შესვლისთანავე, 2 ტიპი დამესხა თავს, ხელიდან ჩანთა გამომგლიჯეს (ტელეფონი რატომღაც არ წაურთმევიათ) და გაიქცნენ. ხმის ამოღებაც ვერ მოვახერხე. მეზობლის სახლში შეშინებული შევვარდი. ამ დროს, მესიჯი მოვიდა: „ლამაზო, როგორ ხარ? პრობლემები ხომ არ გაქვს?..“ გადავწყვიტე, მისთვის დამერეკა და მეთქვა, რომ არ მაინტერესებს მისი არსებობა, რომ პრობლემები ისედაც თავზე საყრელად მაქვს. ასეც მოვიქეცი. ვეჩხუბე. მან კი, საპასუხოდ, ანგარიში შემივსო (5 ლარით). ისევ დავურეკე და გავლანძღე. მითხრა: სხვას ვერაფერს გიკეთებ და ამით მაინც დაგეხმარებიო; მივხვდი, რომ მასთან ლაპარაკს აზრი არ ჰქონდა, ტელეფონი გამოვრთე და მეზობელს ვთხოვე: სახლში გამყევით, მეშინია-მეთქი. მან შემომთავაზა: მოდი, პატრულს დავურეკოთო, მაგრამ რა აზრი ჰქონდა?.. ბინას რომ მივუახლოვდით, მაშინ მივხვდი, გასაღები არ მქონდა... ის საღამო, მეზობელთან გავატარე... იმედი მქონდა, რომ ჩანთას სადარბაზოსთან დააგდებდნენ, რადგან შიგნით არც ფული იდო და არც ძვირფასეულობა, მასში მხოლოდ ოფისის, სახლის, მანქანის გასაღები და საბუთები ეყარა. მაგრამ ამის იმედი ტყუილად მქონდა. სასწრაფოდ გამოვცვალე ყველა საკეტი... რამდენიმე დღის შემდეგ, ბინის კარში წერილი დამხვდა, რომელიც თვალის შავი ფანქრით იყო დაწერილი. მასზე მხოლოდ ტელეფონის ნომერი (მობილურის) ეწერა. წერილში ჩადებული იყო ჩემი ერთ-ერთი საბუთი. სახლში შესვლისთანავე, ეს ნომერი ავკრიბე. ტელეფონი გამითიშეს და თვითონვე გადმომირეკეს. ჩემი პირველი კითხვა ასეთი იყო: „სად იპოვეთ ჩემი ჩანთა?“ სამგორშიო, — მიპასუხა მამაკაცის ხმამ (სამგორი ჩემი უბნიდან საკმაოდ შორსაა). რატომ არ დამელოდეთ-მეთქი? — ვკითხე. — შემეშინდა, პატრულისთვის არ დაგერეკაო... მადლობა გადავუხადე იმისთვის, რომ ტელეფონის ნომერი დამიტოვა, — სად ცხოვრობ, მშობლებთან ერთად მოგაკითხავ-მეთქი. მან იუარა: არ მინდა, რომ ჩემს ოჯახში მოხვიდე, სადმე სხვაგან შეგხვდები, ოღონდ მითხარი, რამდენს გადამიხდიო? გავოგნდი: რამდენი გინდა-მეთქი? 150 დოლარიო, — „მომიხია“. — დაგირეკავ-მეთქი, — ვუპასუხე. მაგრამ თავში რაღაც სულელური აზრები გამიჩნდა, მობილური გამოვრთე და მეორე დღეს, ყველაფერი მეგობარ ადვოკატს მოვუყევი. მან მითხრა: ტელეფონი ჩართე, ზარებს უპასუხე, მაგრამ უჩემოდ არ შეხვდეო. მობილური იმ დღესაც არ ჩავრთე. ნაცნობმა ხმამ, სახლის ტელეფონზე დამირეკა. გამიკვირდა: ეს ნომერი საიდან იცი-მეთქი? მე ყველაფერი ვიციო. დაჟინებით მთხოვდა შეხვედრას. ვუთხარი: საკეტები გამოვცვალე, საბუთები გავაკეთე და ამდენი თანხა რაში უნდა გადაგიხადო-მეთქი?.. ტელეფონი გამითიშა. ცოტა ხანში ისევ დარეკა: ფული არ მინდა, ჩანთა წაიღეო. მეგობარი ადვოკატის გაფრთხილება, რომ მის გარეშე არ შევხვედროდი, არ გავითვალისწინე და უცნობს მეორე დღესვე შევხვდი. მან კომპლიმენტებით ამავსო: მოდი, ვიმეგობროთ, თუ რამე გაგიჭირდა, მე მომმართეო. ხშირად მირეკავდა და მკითხულობდა. საჩუქრებს მიგზავნიდა... ერხელაც, შეწუხებული ხმით დამირეკა: ქალაქგარეთ ვარ, მეგობარი ციხეში მყავს, დედამისმა მთხოვა, ჩანთა ავუტანო, ვერ ვახერხებ და ხომ ვერ დამეხმარებიო? მისგან დავალებულად ჩავთვალე თავი. სად უნდა მივიდე-მეთქი? — ვკითხე. დედამისი ბაზარში ვაჭრობს, ამა და ამ ადგილას მიდი, ჩანთას მოგცემს, ციხეში აიტან და წამოხვალ, მერე პატივისცემა ჩემზე იყოსო... ბაზარში წავედი. იქ მართლაც, დამხვდა მოხუცი ქალი, მომცა ჩანთა და ლოცვა-კურთხევით გამომიშვა: შენ გაიხარე, შვილო, კეთილ საქმეს აკეთებ და ღმერთი დაგეხმარებაო. ჩანთა ციხეში მივიტანე. პოლიციამ მკითხა: რა გიდევსო? — საჭმელი-მეთქი, — ვუპასუხე. ჩანთა გახსნეს და მასში საჭმელთან ერთად, ნარკოტიკიც აღმოჩნდა.. პოლიციამ ჩემი ახსნა-განმარტებები არ მოისმინა. მომცეს უფლება, დამერეკა მეგობარ ადვოკატთან, რომელმაც საშინელი დღე მაყარა... მართალია, ციხეში მისი და, რა თქმა უნდა, ფულის წყალობით, არ გამომაწყვდიეს, მაგრამ... აღმოჩნდა, რომ ჩემი კარის მეზობლის შვილიშვილს, რომელიც ციხეში იჯდა, სთხოვდნენ „ნაკოლის“ მიცემას. მან მე გემრიელ ლუკმად ჩამთვალა, რადგან მაქვს საკუთარი ბინა, მანქანა, ოფისი და ა.შ. ციხის მეგობარს ჩემთან აგზავნინებდა რომანტიკულ მესიჯებს. ამით ცდილობდნენ ჩემთვის თავგზა აებნიათ. არაფერი რომ არ გამოუვიდათ, შეტევაზე გადმოვიდნენ — ციხის გარეთ მყოფ მეგობრებს სთხოვეს დახმარება. წამართვეს ჩანთა, ცდილობდნენ ჩემს შეშინებას, მაგრამ როცა არაფერი გამოუვიდათ, დატკბნენ, სუსტი წერტილი მომიძებნეს და მახეში გამაბეს... ამის შემდეგ, ვცდილობ, ადვოკატის გარეშე ერთი ნაბიჯიც არ გადავდგა, რადგან მოსალოდნელია, რომ ჩემზე ნადირობა ისევ დაიწყონ. მინდა ვურჩიო ყველას: გულუბრყვილოდ ნუ ენდობით ნურავის, იყავით ფრთხილად, თორემ ერთხელაც, შეიძლება, ჩემს დღეში აღმოჩნდეთ, მაგრამ ჩემსავით არ გაგიმართლოთ. ჩემი ადვოკატის სიტყვებს თუ ვენდობით, ჩემი სახით შეიძლება, კიდევ ერთი „ნასედკა“ შემატებოდა იმ დაუნდობელ სამყაროს, რომელშიც ვცხოვრობთ...

■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ქოჩა ღვალის უბის წიგნაკიდან:



17. სტალინმა 1942 წელს გამოსცა ბრძანება, ტყვედ არ აეყვანათ გერმანელთა იმ სამხედრო ნაწილის ჯარისკაცები და ოფიცრები, რომელთაც წამებით მოკლეს ზოია კოსმოდემიანსკაია.

18. „ამის შემდეგ ჩვენ აღარ გვაქვს არანაირი უფლება, ნიურნბერგში ვინმე გავასამართლოთ“, — განაცხადა ბერნარდ შოუმ, როდესაც ხიროსიმაში ატომური ბომბის ჩამოგდების ამბავი შეიტყო.

19. ლონდონში, ლანკასტერ-ჰაუზში სტუმრობისას, დედოფალმა ვიქტორიამ განაცხადა — ამ სასახლესთან შედარებით, ჩემი სასახლე ნამდვილი ქოხიაო. დღეს ლანკასტერ-ჰაუზში დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტრო მდებარეობს.

20. გერმანელი მფრინავი მატიას რუსტი, რომელმაც მოსკოვში, წითელ მოედანზე დასვა საკუთარი თვითმფრინავი, რუსეთის გარდა, გერმანიაშიც არის ციხეში ნაჯდომი. 1991 წელს მან დანით დაჭრა მედდა, 1994 წელს კი, მაღაზიაში ორი სვიტერი მოიპარა.

21. „ყველა ლენინგრადელს უნდა ჰქონდეს საკუთარი ბოსტანი“, — ასეთი გახლდათ 1942 წლის მაისის ლოზუნგი. ბლოკადით დაშინებული ლენინგრადელები ყველა გაზონზე, ქალაქის ცენტრშიც კი, თუკი სადმე მიწის ნაკვეთი მოიპოვებოდა, კარტოფილს თესავდნენ.

22. „ფაუ 1“, რომლითაც ფაშისტები ლონდონს ბომბავდნენ, უპილოტო თვითმფრინავი-ბომბა იყო. გერმანელებმა 2000 „ფაუ 1“ ჩამოაგდეს ლონდონში, რამაც 5000 ლონდონელის სიცოცხლე შეიწირა.

23. ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანს ძაღლი ჰყავდა გაწვრთნილი და როდესაც ეკითხებოდა: აბა, როგორ გაიცინებ, რუსები რომ წავლენო? — ძაღლი წკავწკავს იწყებდა.

24. ინგლისში ვატერლოოს ბრძოლის შემდეგ ბევრმა ოფიცერმა ნადავლის სახით, კბილების პროთეზები ჩაიტანა. ამ პროთეზებს დანტისტები 20 გირვანქა სტერლინგად ყიდულობდნენ.

25. ერთხელ, ვაჟა-ფშაველას ბიძაშვილმა, მწარიამ ხარი დაკლა; ვაჟა გვიან მივიდა მასთან და ხორცის აქნა დაიწყო ხანჯლით — ხვალ ხინკალი გავაკეთოთო, — მაგრამ მეორე დღეს ვეღარ ადგა: მას ციმბირის წყლული აღმოაჩნდა, რის შედეგადაც, თვალი დაუზიანდა — ვეღარ ხუჭავდა. ეხუმრებოდნენ კიდეც — აბა, დახუჭე ეგ თვალიო. — მე ყოველთვის ვფხიზლობო, — პასუხობდა ვაჟა.

როცა უშვილობის მიზეზი მამაკაცია

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

უშვილობის მიზეზად უმეტესწილად, ქალს მიიჩნევენ. სინამდვილეში, პასუხისმგებლობა ქალსა და მამაკაცზე თანაბრად ნაწილდება — ასეთია სტატისტიკა.

მამად გახდომის შესაძლებლობაზე მოწიფულობის ასაკში უამრავი რამ ახდენს გავლენას. მამაკაცის რეპროდუქციული სისტემა ქალისაზე არანაკლებ მგრძნობიარეა.



მიზეზი 1 – ინფექცია

მამაკაცი უნაყოფი შეიძლება გახდეს ინფექციურ-ანთებითი დაავადებების, მათ შორის სქესობრივი გზით გავრცელებადი პათოლოგიების ზემოქმედებით. ჩვეულებრივი გრიპი ან ანგინაც კი შეიძლება გახდეს პროსტატიტის მიზეზი. პროსტატიტი კი, უპირველეს ყოვლისა, სპერმის შემადგენლობის შეცვლას იწვევს — იგი უსარგებლო და სტერილური ხდება.

მიზეზი 2 – წამლები

სპერმატოზოიდებზე მეტისმეტად უარყოფითად მოქმედებს წამლები, კერძოდ — სულფანილამიდები და ჰორმონული პრეპარატები, ანაბოლური სტეროიდების ჩათვლით, რომელთაც სპორტსმენები და ბოდიბილდერები იღებენ. ზოგიერთ, ძალზე იშვიათ შემთხვევაში, პრეპარატის მოხსნის შემდეგ, სპერმატოზოიდები „გონს მოდიან“. მაგრამ ხშირად, შეუქცევადი წამლისმიერი უნაყოფობა ვითარდება.

მიზეზი 3 – ნერვული

სასქესო უჯრედებს ურტყამს სტრესიც: ეს უჯრედები ან აღარ გამომუშავდება, ანდა სიცოცხლისუუნარო ხდება. ცნობილია შემთხვევა, როცა მამაკაცი ძმის გარდაცვალების შემდეგ, ძლიერი განცდების გამო, 6 თვის განმავლობაში უნაყოფო იყო.

მიზეზი 4 – ტემპერატურა

რეპროდუქციულ ფუნქციას დროებითი ზიანი შეიძლება მიაყენოს ცხელმა აბაზანამაც: ინტიმური ადგილები 35 გრადუსზე დაბალ ტემპერატურას ამჯობინებენ. თუმცა, კონტრაცეპციულ საშუალებად აბანოს გამოყენება არ ღირს — ეს სარისკოა. სხვათა შორის, მაღალი ტემპერატურით მიმდინარე, გაცივებითი პათოლოგიებიც აქცევს მამაკაცს დროებით სტერილურად.

მიზეზი 5 – ეკოლოგიური

სპერმატოგენეზისთვის საშიშია ნებისმიერი გამოსხივება (მონიტორის ან ტელევიზორის ეკრანისაც კი), მავნე „ქიმია“, განსაკუთრებით — კვებითი კონსერვანტები და სტაბილიზატორები. გამონაბოლქვებსა და დიოქსინებზე უკვე ბევრი თქმულა. მავნე ფაქტორებია აგრეთვე ალკოჰოლი და ნიკოტინი. სპერმის „რეანიმაციის“ შესაძლებლობა და სიჩქარე ორგანიზმის შიდაბინძურების ხარისხზეა დამოკიდებული.

მიზეზი 6 – სეზონური

სოკოთი მსუბუქი მოწამვლაც კი, ორმაგი პრეზერვატივის ეფექტს იწვევს.

მიზეზი 7 – ძირითადი

ეს გახლავთ ვარიკოცელე — სათესლე პარკის ვენების გაგანიერება. როცა სათესლე ჯირკვლის სისხლმომარაგება დარღვეულია, იგი ნაკლებ ჟანგბადსა და საკვებ ნივთიერებებს იღებს, იწყებს ზომაში შემცირებას, გარკვეული დროის შემდეგ კი, წყვეტს სასქესო უჯრედების წარმოებას. უნაყოფობის შემთხვევაში, ვარიკოცელე პაციენტთა 40-50%-ში ვლინდება, მეორეული უნაყოფობისას კი — 80-90%-ში! ამ დროს, ტკივილსა და დისკომფორტს მხოლოდ ყოველი მეათე ავადმყოფი გრძნობს და ისიც ძირითადად — ძალოსნები და მტვირთავები.

ვარიკოცელეს მკურნალობა მხოლოდ ქირურგიული გზით ხერხდება. დღეისათვის ოპერაციის დაახლოებით 50 მეთოდიკა არსებობს. ენდოსკოპიური ოპერაცია კარგია ახალგაზრდა და ჯანმრთელი პაციენტების შემთხვევაში, შედარებით უფროსი ასაკის ავადმყოფებში კი, როცა „თითოეული სპერმატოზოიდი ძვირფასია“, უმჯობესია, ღია მიკროქირურგიული ჩარევა.

შთამომავლობისათვის

უნაყოფობის პრობლემებზე მომუშავე კლინიკების უმრავლესობა ემხრობა ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციას: სპერმის აღების წინ, მამაკაცებს სქესობრივი ცხოვრებისაგან 2-7 დღით თავშეკავებას ურჩევენ. თუმცა, სულ ახლახან, ისრაელელმა მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ასეთი მსხვერპლი საჭირო არ არის. სექსზე უარის თქმა 2 დღეზე მეტი ხნით მხოლოდ აუარესებს მდგომარეობას. ასე რომ, მამაკაცებს, რომელთაც სპერმატოზოიდთა დაბალი კონცენტრაცია აქვთ, მეცნიერები ამ უჯრედთა რაოდენობის გაზრდის მიზნით, ერთდღიან თავშეკავებას ურჩევენ.

■

მეტალის ფული	იტალიის დედაქალაქი	მედიკამენტებით გამოწვეული ხელოვნური ძილი	ნათელმხილველი	რაიმეზე (მაგ. გაზზე) დაწესებული გადასახადი	ტანსაცმლის აქსესუარი რამის შესანახად	ინდ[illegible] ნაცი[illegible]ლური
[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]	[illegible]
იმპრესიონისტი ედუარდ ...	სიმინდის ყვავილედი	შუშა	მუხის ნაყოფი	საბჭოთა წარმოების ავტომობილი	უმცროსი მედიცინის მუშაკი	კუნძულოვანი სახელმწიფო წყნარ ოკეანეში	იოსებ ...

ეს საიდუმლო ჰორმონები

ვერც ერთი კოსმეტოლოგი ვერ შეძლებს იმის გაკეთებას, რაც პატარა ჰორმონს ძალუძს. ქალურობა, გლუვი კანი, მომხიბლავი ფიგურა — ყოველივე ამაზე ჰორმონებია პასუხისმგებელი. მაგრამ სწორედ მათი გვეშინია ცეცხლივით. საფუძვლიანია თუ არა ჩვენი შიში?

სასქესო ჰორმონების ბუნების მიერ დაპროგრამებული წონასწორობა ზოგჯერ ირღვევა და ეს მაშინვე აისახება სახეზე, ფიგურაზე, ჯანმრთელობასა და ქალის ხასიათზეც კი.

უმრავლეს შემთხვევაში, წონასწორობის აღდგენა საჭიროა. საშიშია თუ არა ჰორმონოთერაპია? იმაზე მეტად არა, ვიდრე ნებისმიერი სხვა სახის მკურნალობა. ყველაფერი ჰორმონული საშუალებების სწორ შერჩევასა და გამოყენებაზეა დამოკიდებული.

ყველა ქალი ცოტათი მამაკაცია

ქალის ორგანიზმში გამომუშავდება არა მხოლოდ ქალური, არამედ მამაკაცური სასქესო ჰორმონებიც. სწორედ მათ შორის წონასწორობის დარღვევა აისახება ხოლმე ნათლად გარეგნობაზე. მშვენიერი ქალბატონების 10-20%-ს მოჭარბებული აქვს „მამაკაცური ფრაქცია“ და ეს, როგორც წესი, შეუიარაღებელი თვალითაც შესამჩნევია:

- იწყება თმის ინტენსიური ზრდა სახეზე, დვრილების ირგვლივ, მუცლის შუა ხაზზე;
- მატულობს კანის ცხიმიანობა, ჩნდება გამონაყარი სახესა და ზურგზე (ტიპური მამაკაცური პრობლემა);
- ჩნდება ჭარბი კილოგრამები, თანაც უპირატესად, მუცლის არეში (ე.წ. სიმსუქნის აბდომინური ტიპი), მნიშვნელოვნად მცირდება სხვაობა წელისა და თეძოს გარშემოწერილობებს შორის.

თუ ასეთი დისბალანსი სქესობრივი მომწიფების მომენტში ჩნდება, იგი ტანადობის თავისებურებებში ვლინდება. გოგონას უყალიბდება „მამაკაცური“ ფიგურა — ვიწრო მენჯი და ფართო მხრები. ხასიათიც კი უხეში, ხისტი უხდება. როგორც წესი, ასეთი ქალები ჰიპერსექსუალურები არიან. მენსტრუალური ციკლი კი დარღვეული აქვთ.

მამაკაცური სასქესო ჰორმონების სიჭარბე არ ითვლება განსაკუთრებულად საშიშად ჯანმრთელობისთვის და ასეთი ქალები ექიმთან მხოლოდ კოსმეტიკური პრობლემების ან ციკლის დარღვევის გამო მიდიან. მათ, როგორც წესი, უნიშნავენ კონტრაცეპტივებს, რომლებიც მხოლოდ ორსულობისგან კი არ იცავს ქალს, არამედ თრგუნავს ანდროგენების (მამაკაცური ჰორმონების) გამომუშავებასაც. სახეზე გამონაყარი მკურნალობის დაწყებიდან 3 თვეში ქრება, ჭარბთმიანობის პრობლემის მოსახსნელად კი, 6 თვეზე მეტია საჭირო.

დავთვალოთ ესტროგენები

ქალებს, რომელთაც აქვთ მთავარი ქალური ჰორმონების — ესტროგენების სიჭარბე, ახასიათებთ მაღალი ტემპერამენტი, ენერგიულობა, „ქალური“ ხმა, დიდი სარძევე ჯირკვლები, მშრალი კანი და თმა, არიან დაბლები და გამოირჩევიან ორგანიზატორული ნიჭით. კრიტიკული დღეების წინ კი, ძლიერ ნერვულ გადაძაბვას განიცდიან.

ესტროგენების სიჭარბის დროს, მნიშვნელოვანია მეორე ქალური ჰორმონის — პროგესტერონის დონე. მისი ნაკლებობა იწვევს მენსტრუალური ციკლის შემოკლებას, ენდომეტრიოზის განვითარებას და უნაყოფობას. ამგვარად, მნიშვნელოვანია ჰორმონული ბალანსი და არა ჰორმონების ფაქტობრივი რაოდენობა.

ესტროგენების ნაკლებობა ვლინდება განუვითარებელი, მცირე ზომის მკერდით, თხელი კანით, მაღალი ხმით, ლიბიდოს დაქვეითებით. ესტროგენების უკმარისობა ჰორმონულ კორექციას საჭიროებს. ამ დროს, ზარალდება ტვინიც (ჩნდება მეხსიერების პრობლემები, ქვეითდება გონებრივი აქტიურობა), მცირდება ძვლების სიმკვრივე, მატულობს ჰიპერტონიისა და ათეროსკლეროზის რისკი, ირღვევა კუჭისა და ნაწლავების მუშაობა, ქალი სწრაფად იწყებს დაბერებას.

ესტროგენების საშუალო რაოდენობა განონასწორებული ქალის ტიპს აყალიბებს. მასში ყველაფერი ზომიერადაა: ქალური გარეგნობა და ხმა, ზომიერად განვითარებული სარძევე ჯირკვლები, ხავერდოვანი კანი, ნორმალური ლიბიდო.

ზემოთ აღწერილი ჰორმონული პორტრეტები გვიჩვენებს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ქალის ცხოვრებაში ესტროგენები. ჰორმონული კონტრაცეპტივების შერჩევისას, ეს აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ.

უსაფუძვლო შიში

ჰორმონულ პრეპარატებს იმიტომ ვუფრთხით, რომ გვაშინებს გართულებები. ამბობენ, რომ ეს პრეპარატები:

1. **ხელს უწყობს წონის მატებას**. ეს ყველაზე გავრცელებული მითია. ქალების 2-12%-ში ჰორმონების მიღებისას მართლაც ხდება წონის უმნიშვნელო (2-3 კგ-ით) მატება, რაც ორგანიზმში სითხის შეკავებას უკავშირდება, მაგრამ 2-3 თვეში წონა ისევ ნორმას უბრუნდება. წონის სერიოზული მატება კი (10 კგ-მდე წელიწადში) კონტრაცეპტივებთან არ არის დაკავშირებული.

...ლაქი ...ჭაში	ქალაქი სამეგრელოში	... ფერი ..., მადლი ღმერთისა	ხის მოჭრილი ტანი	რომაელი იმპერატორი, გადაწვა რომი	მდინარე აფრიკაში	ჯუჯა ცხენი
...ანა		...ანა	...ანი		...ოკა	...ონი
...შვილი	მეტყველების ორგანო	მსახიობი ... საზერლენდი	კაზინო	რობერტ დენირო და ჟან რენო ფილმში ...	...-ანჯელესი	სრული გამარჯვება ძიუდოში

2. **აქვეითებს სქესობრივ ლტოლვას**. თეორიულად ეს შეიძლება, დაკავშირებული იყოს იმასთან, რომ ჰორმონული კონტრაცეპტივები აქვეითებს სისხლში თავისუფალი ესტროგენის რაოდენობას. თუმცა, ამის ალბათობა საკმაოდ მცირეა. ქალებს, რომელთაც ასეთი შედეგები აშინებთ, შეუძლიათ, აბების ნაცვლად, ადგილობრივი მოქმედების კონტრაცეპტივები გამოიყენონ.

3. **ზრდის სისხლის შემდედებლობას და თრომბოზის რისკს**. თანამედროვე დაბალდოზიანი საშუალებები ამ მხრივ უკვე ნაკლებად საშიშია.

4. **ხელს უწყობს საკუთარი ჰორმონების გამომუშავების დათრგუნვას**. ეს დროებითი ეფექტია, თანაც — დადებითი: საკვერცხეები თავისებურად „ისვენებენ“ და ამასთანავე, ენდომეტრიოზის პროფილაქტიკაც ხდება.

ამგვარად, ჰორმონული ფონის კორექტირება შესაძლებელი და საჭიროცაა, მაგრამ ნუ მიმართავთ თვითმკურნალობას: კონტრაცეპტივი აუცილებლად უნდა შეგირჩიოთ ექიმმა, რომელმაც იცის თქვენი „ჰორმონული საიდუმლოებანი“.

აფთიაქებში დღეს მცენარეული, ნატურალური ესტროგენების შემცველ პრეპარატებსაც შეხვდებით — ისინი დაგეხმარებათ ჰორმონული ფონის კორექტირებაში, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სიმპტომები მეტისმეტად მწვავედ არ არის გამოხატული. ასე რომ, ამ პრეპარატთა შერჩევაც უმჯობესია, ექიმთან კონსულტაციის შემდეგ მოხდეს.

■

თუ ფარდაგი ან ხალიჩა დაგილაქავდათ

● ფარდაგი და ხალიჩა დიდხანს შეინარჩუნებს პირვანდელ სახეს, თუ დიასახლისმა იცის, როგორ მოუაროს მათ. დავიწყოთ ფარდაგის მოვლით: მოაყარეთ მას რამდენიმე პეშვი წვრილი სუფრის მარილი და გამოგავეთ ცოცხით, რომელიც წინასწარ უნდა გამოხარშოთ უნივერსალურ სარეცხ საშუალებაში (შეარჩიეთ ისეთი სარეცხი ფხვნილი, რომელიც არ შეიცავს ფერმენტებს. სასურველია 1/2 ჩ/კ სარეცხი ფხვნილი 1 ლ წყალში). მარილის მაგივრად შეიძლება უკვე გამოყენებული ჩაის მშრალი ნარჩენითაც გაწმინდოთ.

● თუ ხალიჩაზე დაგესხათ მელანი, დალაქავებულ ადგილას მაშინვე მოაყარეთ პეშვით მარილი. მარილი შეისრუტავს მელანს, მაგრამ თუ ამ ხერხმა არ „გაჭრა“, მაშინ ხალიჩა ლიმონის წვენით უნდა გაწმინდოთ. ეფექტური პროცედურა გამოგივათ, თუ ამ ხერხს დალაქავებიდან უმოკლეს დროში გამოიყენებთ.

● ხელოვნური ხალიჩა არ გაწმინდოთ ბენზინით ან სხვა ორგანული გამხსნელით.

● ხალიჩა შეიძლება გარეცხოთ ნიშადურის სპირტის წყალხსნარით. ჯერ უნდა გაასუფთავოთ მტვერსასრუტით, შემდეგ კი ზემოთ ნახსენებ წყალხსნარში დასველებული ტილოთი გაწმინდოთ.

● ჭუჭყიანი ხალიჩა უნდა ჩაალბოთ ნიშადურის სპირტით ან სოდით დარბილებულ წყალში, შემდეგ გაწმინდოთ ჯაგრისით, რომელიც დასველებულია საპნის, სოდის და სკიპიდრის ნარევით (30 გ სკიპიდარი, 1 ლ საპნისა და სოდის ნარევი), ბოლოს გაავლეთ ჯერ თბილ, შემდეგ კი ცივ წყალში.

● ხალიჩაზე გახუნებული ფერების აღდგენა შეიძლება მარილიანი წყლით, რომელშიც შერეულია ლიმონის მჟავა. ნატურალური მასალით მოქსოვილი ხალიჩა ბზინვარებას დაიბრუნებს, თუ მას ძმარში დასველებული ნაჭრით გაწმენდთ.

■

გაუფრთხილდით თითებს

მიუხედავად იმისა, რომ ფრჩხილების მოვლის უამრავი კოსმეტიკური საშუალება არსებობს (კრემები, სპეციალური ლაქი და ა.შ.), ყოველთვის ლამაზი და ჯანსაღი ფრჩხილები რომ გქონდეთ, აუცილებელია კვების რაციონში ჩართოთ A ვიტამინის შემცველი პროდუქტები: ხაჭო, რძე, ძროხის ღვიძლი, კვერცხი, თევზი, კაკალი, ისპანახი, გოგრა, შტოშისა და მოცხარის წვენი, ჟელე და ა.შ.

გარდა ამისა, არსებობს თითების მოვლის ძალზე მარტივი და იოლად ხელმისაწვდომი საშუალებები:

● *1 ჩ/ჭ თბილ წყალში გახსენით 1 ს/კ მარილი. თითები მარილხსნარში 15-20 წთ-ის განმავლობაში უნდა გააჩეროთ.*

● *კვირაში 1-2-ჯერ გაიკეთეთ შემდეგნაირი აბაზანა: თითები ჩააწყვეთ თბილ მცენარეულ ზეთში, რომელსაც დამატებული ექნება A ვიტამინი, 3 წვეთი იოდი და 5 წვეთი ლიმონის წვენი.*

● *ნებისმიერ დროს, როგორც კი საშუალება მოგეცემათ, ფრჩხილების ირგვლივ შეიზილეთ ლიმონის, შტოშის ან შავი მოცხარის წვენი.*

● *კვირაში ერთხელ გაიკეთეთ მცენარეული ზეთისა და ვაშლის ძმრის (1/1) 10-წუთიანი აბაზანა.*

● *თუ ხელებზე კანი დაგისკდათ და გაგიუხეშდათ, ხელები 10 წუთით სელის თესლის ნახარშში დაილბეთ. შემდეგ შეიმშრალეთ, წაისვით მკვებავი კრემი, რბილი ქსოვილის ხელთათმანები ჩაიცვით და 1 საათის მანძილზე გაიჩერეთ.*

■

რჩევები ტანდაბალ ქალბატონებს

თურმე ევროპაში მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი XVII საუკუნეში გაჩნდა. პირველად იგი საფრანგეთის სამეფო კარის ულამაზესმა, მაგრამ ტანმორჩილმა ქალბატონმა ჩაიცვა. თუმცა მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი სულაც არ არის ერთადერთი საშუალება სიმაღლის მოსამატებლად.

სწორი პრინციპები

ჩაცმის ხელოვნებაში არსებობს უამრავი წვრილმანი, რისი დახმარებითაც შესაძლებელია შედარებით ტანადი გამოჩნდეთ.

დაბალი ქალის სამოსი არ უნდა იყოს ფართო, განიერი, განსაკუთრებით მხრებში. ასეთი ზედატანი ფიგურას თითქოს მიწისკენ „ექაჩება“. ამავე მიზეზით არ არის მიზანშეწონილი, ტანმორჩილმა ქალმა მაღალი ვარცხნილობა გაიკეთოს და დიდი ქუდი დაიხუროს.

პატარა ქუდი ან ბერეტი და ტანზე მომდგარი სამოსი გაცილებით მოხდენილს გამოგაჩენთ.

● მოკლე ჟაკეტს შეუხამეთ ვიწრო, მიდიქვედაბოლო; გრძელი ჟაკეტი მოკლე ქვედატანს ან მოკლე კაბას მოუხდება;

● უპირატესობა მიანიჭეთ ვიწრო შარვლებს;

● უნდა ჩაიცვათ ტანზე მომდგარი პიჯაკები, დიდი საყელოს, ჯიბეების, მანჟეტებისა და დიდი ღილების გარეშე;

● შეგიძლიათ ატაროთ მცირე ზომის სამშვენისები, მაგრამ არავითარ შემთხვევაში — მოსასხამები.

ფერი და ორნამენტი

● ვიზუალურად მაღალი რომ გამოჩნდეთ, სასურველია, ერთფეროვანი სამოსი ჩაიცვათ. შეეცადეთ, მოერიდოთ კონტრასტულ ფერებს (მაგალითად, თეთრი ქვედაბოლო შავ ჟაკეტთან უფრო დაგადაბლებთ).

● შეგიძლიათ გამოიყენოთ კონტრასტული აქცენტები (კანტები), მაგრამ ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა იყოს შემოვლებული ჟაკეტის, ქვედატანის ან შარვლის ბოლოში. ძალზე მოგიხდებათ ერთი და იმავე ტონალობის მოკლე პალტო და სვიტერი.

დაბოლოს...

შეგვიძლია დაგამშვიდოთ: მაღალი — ეს სულაც არ ნიშნავს ჯანმრთელს. თურმე ტანმორჩილ ადამიანებს, დაახლოებით ორჯერ უფრო იშვიათად აწუხებთ გულსისხლძარღვთა დაავადებები, ნაკლებად ცივდებიან და თითქმის არასოდეს ემართებათ ბოტკინი და დიარეა; მათში 20%-ით ნაკლებია ინსულტის რისკი. გარდა ამისა, ტანდაბალი ადამიანები კარიერაშიც უფრო წარმატებული ყოფილან. სტატისტიკური მონაცემებით, პლანეტის ხელმძღვანელ პირთა საშუალო სიმაღლე 158 სმ-ია, რაც 12 სმ-ით ნაკლებია მამაკაცის საშუალო სიმაღლეზე. ■

ვისაც ქმართან გაყრა უნდა...

მართლაც არ არსებობს მოუგვარებელი პრობლემა — მით უმეტეს, თუკი საქმეში ფსიქოლოგი ჩაერთვება. ინგლისელი ფსიქოლოგის, ენ ბრაინის რჩევები, იმ ქალბატონებს გამოადგებათ, რომლებსაც სასწრაფოდ სურთ განქორწინება. როგორ შეიძლება ამის მიღწევა ისე, რომ ნაკლები ენერგია დახარჯოთ და ნერვებიც არ დაგაწყდეთ? — თურმე, სულ იოლად! თუ ფსიქოლოგს დაუჯერებთ, რჩევების ეფექტურობაში ძალზე სწრაფად დარწმუნდებით.

1. განქორწინების დასაჩქარებლად, ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული მეთოდია, სექსის დროს რომელიმე მამაკაცის სახელის წამოყვირება;

2. დასახული მიზნის მისაღწევად, თქვენი დედიკოს (ანუ მისი სიდედრის) სახელის ხშირი ხსენებაც გამოგადგებათ. როცა ქმარი რაიმეს დაგეგმავს, მაშინვე წამოიძახეთ: „რჩევა დედას უნდა ვკითხოთ“! მას, რასაკვირველია, ეს არ ესიამოვნება და კამათს წამოიწყებს. თქვენც მეტი რა გინდათ? — ეს იდეალური პირობაა, ნაწყენმა განაცხადოთ: „...რა აზრი აქვს ისეთი მამაკაცის გვერდით ცხოვრებას, რომელიც დედაჩემს ვერ იტანს?!“

3. აქტიურად ჩართეთ დედამისიც (ანუ თქვენი დედამთილი) ამ პროცესში. მასთან საუბრისას სასხვათაშორისოდ ახსენეთ, რომ მისი შვილი ყველა პრობლემას მხოლოდ თქვენთან ერთად წყვეტს და ჩივის, — დედაჩემი ვერ მიგებსო. ბუნებრივია, დედამთილს ეს ყველაფერი არ მოეწონება, შვილს უსაყვედურებს, ქმარი კი ენის წაგრძელებისთვის სკანდალს მოგიწყობთ;

4. ქმრის მეგობრებთან შეხვედრისას ეცადეთ, სისულელეები ჩაიდინოთ. ბოლოს კი მათივე თანდასწრებით, თქვენი ყოფილი შეყვარებულის რაიმე ინტიმური თვისების შესახებ მოჰყევით;

5. ქმრის თვალწინ წამოიწყეთ ფლირტი უცნობ თუ ნაცნობ მამაკაცებთან;

6. ხშირად დანანებით აღნიშნეთ, თუ როგორ გაუმართლა თქვენს მეგობარ გოგონებს. ცუდი არ იქნება, თუკი მათ იღბლიან რჩეულებს თქვენს უიღბლო ქმარს შეადარებთ.

7. აეჭვიანეთ, გამოამეღავნეთ მთელი თქვენი არტისტული ნიჭი: ტელეფონის ზარის ხმაზე ადგილზე შეხტით; შინიდან ყოველი გასვლის წინ (თუნდაც კბილის ექიმთან მიდიოდეთ), საგულდაგულოდ გამოიპრანჭეთ. როდესაც ქმარი, ბოლოს და ბოლოს, დაკითხვას მოგიწყობთ, მიამიტური გამომეტყველება მიიღეთ, მაგრამ ნურაფერს უარყოფთ. რას იზამთ — სასტიკი მეთოდია, მაგრამ ძალზე ეფექტური;

8. წყლის წვეთი ქვას ხვრეტს, წვრილწვრილი საზიზღრობები კი სიყვარულს კლავს. თქვენ ხომ შესანიშნავად იცით, რა აღიზიანებს თქვენს ქმარს?! ჰოდა, შეუდექით „საქმეს“ — სამზარეულოში ონკანი მოშვებული დატოვეთ, ჭამის დროს აწკლაპუნეთ პირი, სალეჭი რეზინისგან უზარმაზარი ბუშტები გაბერეთ და მის ყურთან ატკაცუნეთ...

9. ყოველ მის ქმედებას, ღვარძლიანი კრიტიკა და წუწუნი მიაყოლეთ;

10. წვეულებაზე ან სტუმრად ყოფნისას ხშირად ჩასჩურჩულეთ, თუ როგორი ვნებით შეხედა მას ამა თუ იმ ქალმა; ხშირად ესაუბრეთ სხვა ქალების ღირსებებზე და გულდაწყვეტილმა „აღიარეთ“, რომ ვერასოდეს შეძლებთ, მათ დაემსგავსოთ. იგი საბოლოოდ დარწმუნდება, რომ ცოლად ნამდვილი კრეტინი ჰყავს და ეცდება, მალე მოგიშოროთ თავიდან.

11. ... დაბოლოს: თუ ოჯახის დანგრევა არ გსურთ, კარგად დაიმახსოვრეთ ზემოთ მოცემული რჩევები და ყველაფერი საწინააღმდეგოდ გააკეთეთ. ■

რა არის ცნობილი ღვთისმშობლის „მსწრაფლშემსმენელი“ ხატის შესახებ?

2005 წლის 12 მაისს საქართველოში ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის საკვირველმოქმედი ხატის — „მსწრაფლშემსმენელის“ ასლი ჩამოაბრძანეს (ხატის ორიგინალი ათონის წმინდა მთაზე არსებული დოქიარის მონასტერშია დაბრძანებული), რომელიც ათონის მთაზე შეიქმნა, დოქიარის მონასტრის ბერმონაზვნების მიერ და ქართველერს უსასყიდლოდ საჩუქრად გადმოეცა. ღვთისმშობლის „მსწრაფლშემსმენელი“ ხატის ასლმა წმინდა სამების საკათედრო ტაძარში დაივანა. ამ ხატის დღესასწაული 9 ნოემბერს აღინიშნება...

შორენა მერკვილაძე

რა არის ცნობილი ამ ხატის შესახებ და რატომ ეწოდება „მსწრაფლშემსმენელი“?

ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატი, რომელიც ამჟამად „მსწრაფლშემსმენელის“ სახელითაა ცნობილი, სავარაუდოდ, X საუკუნეში დაიწერა. დოქიარის მონასტრის მატიანეს ცნობით, მონასტრის სატრაპეზოს შესასვლელში, მის გარე კედელზე (ნიშში) უხსოვარი დროიდან დაწერილი იყო ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატი. წმინდა მამები ხატს X საუკუნეში მოღვაწე წმინდა ნიტიფორეს (დოქიარის სავანის დამაარსებლის) დროს მიაკუთვნებენ.

XVII საუკუნეში დოქიარის მონასტერში ასეთი სასწაული მოხდა: ღვთისმშობლის საკვირველმოქმედი ხატის წინ იყო დერეფანი, რომლის გავლითაც მონასტერში მოღვაწე მამები ჩვეულებრივ, სატრაპეზო ოთახში დადიოდნენ; მონასტრის მეტრაპეზეს — ნილოს ათონელს, თავისი მოვალეობის გამო; სხვებზე ხშირად უხდებოდა იქ გავლა, ზოგჯერ ღამითაც კი, ამიტომ ანთებული კვარით ჩაუვლიდა ხოლმე ღვთისმშობლის ხატს, რის გამოც ხატი იჭვარტლებოდა. ერთხელაც, როდესაც ნილოს ათონელმა ანთებული კვარით მონასტრის ნიშში დაწერილი ხატის წინ ჩაიარა, მოესმა ხმა, რომელიც აფრთხილებდა, რომ აღარ ჩაედინა ამგვარი დაუდევრობა — ხატის წინ ანთებული კვარით აღარ გაევლო; ნილოსს თავდაპირველად ამ ხმისთვის ყურადღება არ მიუქცევია, რადგან ეგონა, რომ მონასტრის რომელიმე ძმათაგანმა წარმოთქვა ეს სიტყვები. ბერი კვლავ განაგრძობდა ღამით ხატის წინ ანთებული კვარით სიარულს. მცირე ხნის შემდეგ ნილოსს კვლავ მოესმა ხმა: „ბერო, რომელიც ულირსი ხარ, ატარო ეს სახელი! კიდევ დიდხანს და ასე უდარდელად და ურცხვად უნდა ბოლავდე ჩემს ხატს?!“ ამ სიტყვების მოსმენის შემდეგ, ნილოს ათონელს მოულოდნელად თვალისჩინი წაერთვა. მხოლოდ ამის შემდეგ გაახსენდა ღვთისმშობლის პირველი გაფრთხილება, შეიგნო თავისი დანაშაულის სიმძიმე და უდიდეს სინანულში ჩავარდა. მხედველობაწართმეული და თვალის მწველი ტკივილით გატანჯული ნილოსი ხატის წინ დაეცა და იქვე დარჩა გათენებამდე. დილით იგი მონასტრის მამებმა იპოვეს პირქვე დამხობილი და მისგან მომხდარის შესახებ შეიტყვეს. შეშინებულმა ბერებმა ღვთისმშობლის ხატის წინ უქრობი კანდელი აანთეს, ახალარჩეულ მეტრაპეზეს კი წესად დაუდეს, წმინდა ხატისთვის ყოველ საღამოს საკმეველი ეკმია. ნილოს ათონელმა გადაწყვიტა, რომ იმ დრომდე არ წასულიყო იქიდან თავის სენაკში, ვიდრე არ მიიღებდა ცოდვის მიტევებას და კურნებას. მართლაც, დღედაღამ გულმხურვალედ ლოცულობდა იგი ღვთის დედის მიმართ და შენდობას და თვალისჩინის დაბრუნებას შესთხოვდა. ერთ დღესაც, როდესაც ნილოს ათონელი საკვირველმოქმედი ხატის წინაშე იდგა და ცრემლმდინარი სთხოვდა წმინდა მარიამს შემწეობას, მოულოდნელად, მოწყალე ხმა მოესმა: „ნილოს! შენი ლოცვა შესმენილია, ცოდვა მიგეტევა და შენი თვალები კვლავ იხილავს დღის ნათელს. აუწყე ძმებს, რომ მე ვარ საფარველი, მზრუნველი და მცველი მათი სავანისა, მთავარანგელოზებისადმი მიძღვნილისა. დაე, მათ და ყოველმან მართლმადიდებელმა ქრისტიანმა მე მომმართოს გასაჭირის ჟამს და არავის დავტოვებ უპასუხოდ: ყველას, თავმდაბლობითა და კრძალვით ჩემთან მოსულთ, ვექმნები შემწედ, და ჩემი მეოხებით ძე და ღმერთი ჩემი აღასრულებს მათ ლოცვებს... ამიერიდან ამ ჩემს ხატს მსწრაფლშემსმენელი ეწოდების, რამეთუ მსწრაფლ მოვუვლენ მისდამი შევრდომილთ წყალობას და მალე შევისმენ მათ ლოცვას“. ნილოსს მართლაც დაუბრუნდა თვალისჩინი...

ამ სასწაულის აღსრულების შემდეგ, დოქიარის მონასტერში უამრავი ადამიანი მიდიოდა, სადაც მოწიწებით თაყვანს სცემდნენ ღვთისმშობლის საკვირველმოქმედ ხატს. მონასტერში მოღვაწე ბერებმა, სატრაპეზოში გასასვლელი გადაკეტეს და ის ადგილი შემოღობეს, სადაც წმინდა ხატი ბრძანდებოდა, რათა სამლოცველო ოთახი გამოსულიყო. შემდეგ კი, სატრაპეზოს გვერდით ტაძარი მოაწყვეს ღვთისმშობლის საკვირველმოქმედი ხატის სახელზე...

ღვთისმშობლის „მსწრაფლშემსმენელი“ ხატის მიერ არაერთი სასწაული აღესრულა: ბევრ დაბრმავებულ ადამიანს თვალისჩინი დაუბრუნა, უძღურებაში მყოფნი განამტკიცა, სნეულნი განკურნა და ა.შ. ზეციური დედოფლის „მსწრაფლშემსმენელი“ ხატი და მისი ასლები დღემდე, მსწრაფლ შეეწევა მის მიმართ რწმენით და შემუსვრილი გულით მლოცველთ.

როგორ მიაგებენ პატივს დოქიარის მონასტერში დავანებულ ღვთისმშობლის საკვირველმოქმედ ხატს — „მსწრაფლშემსმენელს“?

მას შემდეგ, რაც დოქიარის მონასტრის კედელზე გამოსახული ღვთისმშობლის ხატი „მსწრაფლშემსმენელად“ იწოდა, ხატისთვის სამლოცველო ოთახი მოაწყვეს და მის სახელზე მცირე ეკლესია ააგეს, მონასტერში ასეთი წესჩვეულება დამკვიდრდა: ირჩევენ ყველაზე ღვთისმოშიშ და გამოცდილ მღვდელმონაზონს (მას ეწოდება პროსმონარია), რომელსაც „მსწრაფლშემსმენელი“ ხატის სამლოცველოში გამუდმებით ყოფნა და დილა-საღამოს ხატის მიმართ პარაკლისის გადახდა ევალება. გარდა ამისა, პროსმონარიას ევალება, სამლოცველოში და ხატის სახელზე აგებულ მცირე ეკლესიაში სისუფთავის დაცვა. ამასთანავე, მან თვალყური უნდა ადევნოს ხატის წინ ანთებულ კანდელებს, რათა მათი ნათელი არასოდეს დაიშრიტოს (ხატის წინ 20 კანდელია, მათგან 6 განუწყვეტლივ ანთია)...

სამშაბათობით და ხუთშაბათობით, დოქიარის მონასტერში აღვლენილი საღამოს ლოცვის შემდეგ, მორიგე ღვთისმსახური მთავარ ტაძარში აღასრულებს საწყის საგალობელს, რომლის დასრულების შემდეგაც, დოქიარის სავანეში მოღვაწე ბერები ტაძრიდან გამოდიან, „მსწრაფლშემსმენელი“ ხატისკენ მიემართებიან და მას ღვთისმშობლის კანონს უგალობენ; მღვდელმსახური კვერექსებზე მოიხსენიებს ყველა მართლმორწმუნე ქრისტიანს და ლოცულობს მთელი მსოფლიოს მშვიდობისთვის. ბოლოს, ბერები მუხლს იყრიან საკვირველმოქმედი ხატის წინაშე და ამბორს ჰყოფენ მას...

როგორ შეიქმნა ღვთისმშობლის „მსწრაფლშემსმენელი“ ხატის ასლი საქართველოსთვის?

როგორც აღვნიშნეთ, საქართველოსთვის საგანგებოდ დაწერილი ასლი შეიქმნა დოქიარის მონასტერში მოღვაწე ბერმონაზონთა მიერ, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, ილია მეორის თხოვნით (საერთოდ, ამა თუ იმ ხატის ასლი შეიძლება დამზადდეს ნებისმიერ ქვეყანაში, მაგრამ როდესაც საქმე ეხება რომელიმე საკვირველმოქმედი ხატის საგანგებო, კანონიერ ასლს, ასეთ შემთხვევაში, იგი იმ მონასტერში უნდა დაიწეროს, რომელიც სასურველი ხატის ორიგინალს ფლობს. ასეთი ასლები დედანთან ძალიან მიახლოებულია)...

როდესაც დოქიარის მონასტრის წინამძღვარმა, იუღუმენმა გიორგიმ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის თხოვნის შესახებ შეიტყო, სურვილი გაუჩნდა, ხატი უსასყიდლოდ, საჩუქრად დაემზადებინათ საქართველოს ეკლესიისთვის (წესით, ხატის ასლის დამზადებისთვის დამკვეთმა საჭიროა გადაიხადოს გარკვეული თანხა; „მსწრაფლშემსმენელი“ ხატის ასლის დასამზადებლად საჭირო იყო 3 ათასი დოლარი). გარდა ამისა, იღუმენმა გრიგოლმა ხატისთვის პერანგიც დაამზადებინა (რომლის ღირებულებაც გაცილებით მეტი აღმოჩნდა, ვიდრე დაწერილი ხატის პირის — 15-20 ათას დოლარამდე). მანვე მოძებნა სპონსორი, რომელმაც პერანგის დასამზადებლად საჭირო თანხა გადაიხადა. ხატის პერანგზე არის წარწერა: „დოქიარის მონასტერი ამ ხატს სწირავს ქართველ ხალხს“...

ღვთისმშობლის „მსწრაფლშემსმენელი“ ხატის ასლი საქართველოში ცხუმ-აფხაზეთისა და საჩხერე-ჭიათურის მიტროპოლიტმა დანიელმა (დათუაშვილმა) და ზედაზნის მონასტრის წინამძღვარმა, არქიმანდრიტმა საბამ (კუჭავამ) ჩამოაბრძანეს. აეროპორტში ხატს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი, ილია , სასულიერო პირები და მრევლი შეხვდნენ. ხატი ფეხით წამოაბრძანეს საპატრიარქოში, სადაც იგი საქართველოს ეკლესიის საჭეთმპყრობელმა აკურთხა. ამის შემდეგ, ეს უდიდესი სიწმინდე ყოვლადწმინდა სამების საკათედრო ტაძარში გადაასვენეს, სადაც საბოლოოდ დაივანა. ■



სუჯუნა-ნახევრის შედეგი

მარი ჯაფარიძე

1868 წლის 13 მაისით დათარიღებული ფრანგული ჟურნალი — „ილუსტრირებული მსოფლიო“ აქვეყნებს სამეგრელოს პრინცესას, სალომე დადიანისა და ფრანგი კეთილშობილი ლეიტენანტის, აშილ მიურატის ქორწილის ამსახველ ანგარიშს და დაწვრილებით აღწერს მთელ ცერემონიას: „ტიუილრის ბაღში, რუსულ, მართლმადიდებლურ ეკლესიაში ჩატარდა საქორწინო ცერემონია. ქორწილს ესწრებოდნენ: იმპერატორი ნაპოლეონ III, იმპერატრიცა, ნაპოლეონ პირველის დისშვილი მატილდა, სიძის მამა, პრინცი ლუსიენ მიურატი, ანა მიურატი, სამეგრელოს პრინცი ნიკოლოზ დადიანი, ანდრია დადიანი... ცერემონია გაიმართა საღამოს 9 საათზე. 8 საათიდან სტუმრებმა ეკლესიის ეზოში დაიწყეს თავმოყრა. ეკლესია გარედან განათებული იყო, ახლომახლო ქუჩები — ხალხით გადაჭედილი. ისინი ინტერესით აკვირდებოდნენ ეკლესიის ეზოში მიმდინარე მოვლენებს და ცდილობდნენ, ეკლესიაშიც შეეხედათ. პრინცი აშილი გამოწყობილი იყო ლეიტენანტის უნიფორმაში. პატარძალს თეთრი, სატინის კაბა ეცვა, სახეზე პირბადე ჰქონდა ჩამოშვებული და საუცხოო სანახავი გახლდათ. სიძე-პატარძალს გვერდით მეჯვარეები ჰყავდა. ცერემონიის მიმდინარეობისას ეკლესიაში ხალხის ტევა არ იყო, რადგან მართლმადიდებლური ეკლესია ვიწროა. სტუმრები ფეხზე იდგნენ მთელი ჯვრისწერის მანძილზე. საქართველოდან ჩამოსული სტუმრები უცნაურ ტანისამოსში იყვნენ გამოწყობილი. ამ ტანისამოსს ჩოხა-ახალუხი ჰქვია“...

ასე გამოეხმაურა მაშინდელი ფრანგული პრესა ქართულ-ფრანგულ ქორწილს. ჩემი დღევანდელი რესპონდენტები კი, სწორედ ამ წყვილის შვილთაშვილი, პრინცი ალენ მიურატი და მისი მეუღლე, ვერონიკ დე შაბო ტრანკური არიან.

ალენ მიურატი:

— ეს ქორწილი არ გახლდათ სიყვარულის შედეგი, სალომე და აშილი გარიგებით შეუღლდნენ. ამ კავშირის მიღმა პოლიტიკური ინტერესები იდგა. ეს ის პერიოდია, როცა საფრანგეთი რუსეთს ებრძვის და კავკასიაში დამკვიდრება მისთვის ძალზე მომგებიანია. პრინცი აშილი იმპერატორული ოჯახის წარმომადგენელი და ნაპოლეონ მესამის კარზე საკმაოდ მიღებული და მნიშვნელოვანი ფიგურა გახლდათ. სწორედ იმპერატორის მოწადინებით დაქორწინდა ის სალომეზე. ამ ქორწილის შემდეგ, ფრანგები დაინტერესდნენ დასავლეთ საქართველოთი. მათ ააგეს ხიდები და რკინიგზა, ამოაშრეს ჭაობები და დაიწყეს აბრეშუმის წარმოება. სკოლებში ისწავლებოდა ფრანგული ენა. გაიხსნა რამდენიმე ბანკი. ერთ-ერთი ყველაზე დიდი — როტშილდის ბანკი სწორედ სამეგრელოში გაიხსნა.

— როგორ წარიმართა აშილისა და სალომეს ოჯახური ცხოვრება?

ვერონიკა დე შაბო ტრანკური:

— აშილი გახლდათ იმპერატორის არმიის ოფიცერი. ამიტომ მოუწია ალჟირში, საომრად წასვლამ. სალომე ქმარს თან გაჰყვა. მათი პირველი შვილი, ნაპოლეონი სწორედ ალჟირში დაიბადა. მომდევნო შვილი — ანტუანეტი საფრანგეთში შეეძინათ. 1870 წელს, იმპერია გაუქმდა, ნაპოლეონ გადასახლებაში წავიდა და აშილი მას თან გაჰყვა. რამდენიმე ხნის შემდეგ კი, ცოლ-შვილთან ერთად სამეგრელოში ჩამოვიდა. აქ შეეძინათ მესამე ვაჟი — ლუსიენი. პირველ ორ შვილს შთამომავლობა არ დარჩა. ლუსიენი დაქორწინდა ფრანგ მარი დე რუან შაბოზე და შეეძინათ ვაჟი, აშილ მიურატი, რომელიც 18 წლამდე, სამეგრელოში

ალენის ბაბუა – პრინცი ლუსიენ მიურატი

იზრდებოდა. ეს გახლავთ ჩემი მამამთილი. ის დაქორწინდა მაგდალენ დე შასე ლუ ლობაზე და ეყოლათ 9 შვილი. ჩემი მეუღლე ამ ცხრიდან ერთ-ერთია. მის ორ დას ქართული სახელები — სალომე და თამარი ჰქვიათ. 1921 წელს, საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ, ოჯახმა კვლავ დატოვა სამეგრელო და საფრანგეთში გადავიდა საცხოვრებლად. ჩემი მეუღლე იქ დაიბადა.

ბ-ნი ალენი:

— ჩემი ბაბუა, ლუსიენი მაროკოში ცხოვრობდა და იქ გარდაიცვალა. მისი ძმები, ნაპოლეონი და ანტუანეტი კი, ნიცაში არიან დაკრძალულნი.

— ქალბატონო ვერონიკა, თქვენ როგორ გაიცანით პრინცი ალენი?

— ალენი ჯერ კიდევ მაშინ გავიცანი, როცა 20 წლის ვიყავი. ერთმანეთს მეჯლის-მასკარადებზე ვხვდებოდით ხოლმე. შემდეგ ჩვენი გზები გაიყარა. მე გავთხოვდი, ისიც დაოჯახდა. მაგრამ ორივეს ქორწინება უიღბლო აღმოჩნდა. ოჯახები დაგვენგრა და ამის შემდეგ, ბედი ერთმანეთს დავუკავშირეთ. შეგვეძინა საერთო შვილი, მატილდა. პირველი ქორწინებიდან ორ-ორი შვილი გვყავს. ისინი საფრანგეთში ცხოვრობენ. ალენის ქალიშვილი, ანონსიადი ხშირად ჩამოდის სტუმრად. ახლაც აქ გახლავთ.

— საქართველოში პირველად როდის ჩამოხვედით?

— 1996 წელს, მაშინდელი პრეზიდენტის, ედუარდ შევარდნაძის მოწვევით. მაშინ მატილდა 10 წლის იყო. ზუგდიდში ძალზე თბილი დახვედრა მოგვიწყვეს. გვეუბნებოდნენ — ეს თქვენი სამშობლოა, თქვენი მიწაა და დაბრუნდითო. ბევრი ვიფიქრეთ და გადავწყვიტეთ, საქართველოში დავფუძნებულიყავით. საფრანგეთში ყველაფერი გავყიდეთ და ჩამოვედით.

— თქვენი ახლობლები როგორ შეხვდნენ ამ გადაწყვეტილებას?

— მათთვის გაუგებარი იყო, რატომ მივიღეთ ასეთი გადაწყვეტილება. ვერ წარმოედგინათ, როგორ უნდა გვეცხოვრა აქ და გიჟებადაც შეგვრაცხეს, მაგრამ ჩვენ მიგვაჩნდა, რომ დახმარება სჭირდებოდა იმ ქვეყანას, სადაც ჩვენი ოჯახის ფესვები იყო და გამოვემგზავრეთ.

— დახმარებაში რას გულისხმობთ?

— საფრანგეთიდან მოვიწვიეთ პედაგოგები, რომლებიც ზუგდიდის უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობენ, ზუგდიდიდან პარიზში გავგზავნეთ დელეგაცია, რომელსაც უნდა შეესწავლა იქაური მუზეუმების მდგომარეობა. ვეხმარებით გაჭირვებულ, ქართველ ბავშვებს. ამ ცოტა ხნის წინ, ჩამოვიტანეთ შაქარი, 20 ტონა ფქვილი, წიგნები, ტანისამოსი და დავურიგეთ მათ. ზუგდიდში გავხსენით ქართულ-ფრანგული სკოლა. იქვე გვაქვს ასოციაცია, რომელიც დახმარებას უწევს ორსულ ქალებს.

ცხენზე აშილ მიურატი – ალენის მამა (გადაღებულია ზუგდიდში 1904-05 წ.)

— მოგწონთ აქ ცხოვრება?

— სიმართლეს გეტყვით — ძნელია, მაგრამ რას ვიზამთ?.. პენსიას საფრანგეთიდან ვიღებთ. მატილდა უფრო შეეჩვია აქაურ ყოფას, რადგან პატარა იყო, როცა ჩამოვედით. ქართულიც იცის და მეგრულიც. მე კი ვერ ვისწავლე. 20 წლით ახალგაზრდა რომ ვიყო, უფრო გამიადვილდებოდა. ალენი კი, ქართულად სადღეგრძელოების თქმას ახერხებს მშვენივრად. საერთოდ, ქართული ტრადიციები მომწონს, განსაკუთრებით — თამადის ინსტიტუტი. მაგრამ არ მომწონს ერთი რამ: სუფრასთან ლხინის დროს, ქართველებს უყვართ ბავშვებისა და მოხუცების დღეგრძელობა; ამავე დროს, გარშემო უამრავი გაჭირვებული, უპატრონო, მიტოვებული ბავშვი და მოხუცია, რომელზეც არავინ ზრუნავს. რაღაც კონტრასტი იქმნება ქვეყანაში არსებულ რეალურ სიტუაციასა და დახმარების სურვილს შორის. ჯობს, არ ადღეგრძელონ და დახმარება გაუწიონ...

— მატილდა რას საქმიანობს?

— მას ბევრი მეგობარი ჰყავს და მათთან ბევრ დროს ატარებს. სწავლობდა ზუგდიდის უნივერსიტეტში, მაგრამ სწავლის დონით უკმაყოფილო იყო. ხშირად უცდებოდა ლექციები და ბოლო 2 წელი საფრანგეთში სწავლობდა. ამჟამად, აპირებს, ბიზნესი წამოიწყოს და ყვავილების მოშენებას მიჰყოს ხელი.

— რატომ დაინტერესდა მაინცდამაინც ამ სფეროთი?

— მატილდა საფრანგეთში სოფელში ცხოვრობდა. აქაც ძირითადად, ზუგდიდში იყო ხოლმე. ის უფრო სოფლელი გოგოა, ვიდრე ქალაქელი და ბუნებრივია, რომ ყვავილების მოშენება გადაწყვიტა.

— როდესაც ალენს ცოლად გაჰყევით, მამამისი, აშილ მიურატი ცოცხალი იყო?

ქ-ნი ვერონიკა:

— დიახ. მას ძალიან უყვარდა სამეგრელოს გახსენება და საინტერესო ამბების მოყოლა. ისე კარგად აღწერდა ყველაფერს და ლამაზად დაგიხატავდა ამ ქვეყანას, რომ საქართველო აქ ჩამოსვლამდე მიყვარდა. ზუგდიდში ჩასვლისას კი ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ყველაფერი ჩემთვის ძალზე ნაცნობი და ახლობელი იყო. აშილმა ბოლომდე შეინარჩუნა ქართული სული. უყვარდა მეგრული კერძები. როცა მოხუცდა, ავადმყოფობდა. საავადმყოფოში დავაწვინეთ. ერთხელ, ღამის 2 საათზე, ექთანისთვის კერძი უთხოვია. უჭამია და შემდეგ სიმღერა დაუწყია. — რა ენაზე მღერითო?

პრინცი აშილ მიურატი ცოლთან ვერონიკა დე შაბო ტრანკურთან ერთად

— უკითხავს ექთანს. — მეგრულად ვმღერიო, — უთქვამს მამამთილს, სიმღერა დაუსრულებია და რამდენიმე წუთში, სულიც დაულევია...

— მისი დანარჩენი შვილები სად ცხოვრობენ?

— საფრანგეთში. სალომე და თამარი იყვნენ ჩამოსული საქართველოში, დაათვალიერეს და წავიდნენ. აქ დარჩენის სურვილი არ გამოუთქვამთ. ზუგდიდში ჩვენი წინაპრების მამული აღარ არსებობს, სასახლე ნანგრევებად არის ქცეული. აშილის საფლავის ქვაც კი მოიპარეს. როცა იქ ჩავდივართ, სტუმრად მივდივართ ხოლმე. საღამოობით, სანთლის შუქზე საუბრით ვირთობთ თავს. ისეთი შეგრძნება გვეუფლება, თითქოს რამდენიმე საუკუნით უკან დავიხიეთ...

— თქვენი შვილისთვის საქმროდ ქართველ მამაკაცს ისურვებდით?

— რა თქმა უნდა, ჩვენ საწინააღმდეგო არაფერი გვექნება, მაგრამ ეს მისი გადასაწყვეტია.

ჩვენს საუბარს პრინცის შვილი პირველი ქორწინებიდან, პრინცესა ანონსიად მიურატი შემოუერთდა. ქართულად გაჭირვებით საუბრობს, მაგრამ მაინც ცდილობს, ენა გაიტეხოს და ფრანგულს მხოლოდ „უკიდურესი გაჭირვების“ ჟამს მიმართავს. სუფთა ქართული აქცენტით კი, მხოლოდ ორ ფრაზას ამბობს — „ფეხებზე მკიდია“ და „რიჟა ბაზარია“...

— ძალიან მომწონს საქართველო და მიყვარს აქ ყოფნა. სორბონის უნივერსიტეტში ფილოსოფიის ფაკულტეტის მე-5 კურსზე ვარ. შემდეგ, ვაპირებ პარიზში, ბიზნესსკოლაში განვაგრძო სწავლა. მერე საქართველოში ჩამოვალ და რაიმე საქმეს მოვკიდებ ხელს. ქართველები თბილი, მეგობრული და მხიარული ხალხია. ზუგდიდში უფრო მეტი მეგობარი მყავს, ვიდრე თბილისში.

— რა განსხვავებაა ქართულ და ფრანგულ ყოველდღიურ ცხოვრებას შორის?

— აქ უფრო მოუწესრიგებელი ცხოვრებაა, უფრო ხალისიანი და არასოდეს იცი, რა მოხდება ხვალ. არც ერთი დღე მეორეს არ ჰგავს. აქედან გამომდინარე, აქ ცხოვრება უფრო საინტერესოა. საფრანგეთში კი ცხოვრება უფრო მდორედ მიდის.

— ქართველი თაყვანისმცემლები თუ გამოგიჩნდნენ?

— არ ვიცი. არავინ მაინტერესებს: ჯერ გათხოვებას არ ვაპირებ. საცხოვრებლად რომ ჩამოვალ, მერე ვნახოთ.

— ფრანგ მეგობრებს რას უამბობთ ხოლმე საქართველოს შესახებ?

ილუსტრაცია ფრანგული ჟურნალიდან „ილუსტრირებული მსოფლიო“, სალომე დადიანისა და აშილ მიურაგის ქორწილი

— ვუამბობ, რომ კარგად მღერიან ქართველები და მაქვს კიდევ რამდენიმე სახალისო ამბავი, რომელსაც ყველას ვუყვები. ერთხელ ზუგდიდიდან მატარებლით მოვდიოდი მეგობარ გოგონებთან ერთად. ღამე ტანისამოსი გავიხადეთ და დავიძინეთ. მატარებელში ქურდები ყოფილან, კუპეში შემოპარულან და ჩვენი ტანისამოსი და ჩანთები წაუღიათ. დავრჩით შიშვლები. სახლამდე როგორ მოვედით, ეს უკვე აღწერას აღარ ექვემდებარება... ერთხელ ბორჯომის მატარებლით ვიმგზავრე. რას ვხედავ? ერთმა ქალმა ვაგონში ვირი ამოიყვანა. თან ეშინოდა, არ გამიცივდესო. აბა, ასეთ ამბებს სხვაგან სად შეესწრებით?.. კიდევ ერთ ამბავს ვუყვები ხოლმე ჩემს ფრანგ მეგობრებს. მართალია, იქ მე არ „ვმონაწილეობ“, მაგრამ სამეგრელოს გუბერნატორია „მთავარ როლში“. ეს ამბავი 1997 წელს მოხდა. გუბერნატორთან აფრიკელი, კერძოდ, კამერუნელი კაცი ჩამოვიდა სტუმრად დათვებზე სანადიროდ. თვითონ გუბერნატორი ნადირობის მოყვარული არ გახლდათ. სტუმარმა კიდევ, გული

პრინც ალენის ბებია — მარი დე რუან მაბო

გაუწყალა — ვინადიროთ და ვინადიროთო. რომ ვერ გადაათქმევინა, გუბერნატორს ცირკის დათვი უყიდია, რომელიც გაწვრთნილი და მოშინაურებული იყო და კუს ტბის ტერიტორიაზე გაუშვია. ეს კამერუნელი კაცი კი, მოსაკლავად დასდევდა. დათვი ტყიდან გამოსულა და წყალში ჩასულა. პლაჟზე წამოწოლილ ხალხს ეს რომ დაუნახავს, წივილ-კივილით გაქცეულა აქეთ-იქით. დათვი წყლიდან ამოსულა და ძუნძულით გაუგრძელებია გზა... აქამდე რაც მოგიყევით, ყველაფერი სიმართლეა. ამბის დასასრული კი, რომელიც ხალხმა მოიგონა, უკვე „რიჟა ბაზარია“: თურმე, დათვს გზად ველოსიპედისტი შეხვედრია. შეშინებულ კაცს ველოსიპედი იქვე დაუგდია და გაქცეულა. დათვი ხომ ცირკში იყო გაზრდილი!.. ჰოდა, ამ ველოსიპედზე დასკუპებულა და წასულა... აი, ასე ვახალისებ ხოლმე ჩემს მეგობრებს და მათაც დიდი სურვილი უჩნდებათ, რომ საქართველოში ერთხელ მაინც ჩამოვიდნენ. ■



პრინცესა ანონსიად მიურატი

„ბალეტმა შრომა და მოთმინება მასწავლა. ბალეტს ჩემი ცხოვრების 10 წელი მივუძღვენი და კარგად ვიცი, რომ წარმატების მისაღწევად, თავდაუზოგავი შრომაა საჭირო. პარიზში ათი წელია, ვცხოვრობ და სხვა ქალაქში ცხოვრება ვეღარც წარმომიდგენია. ლოს-ანჯელესიც მომწონს, მაგრამ ეს გასაგებიცაა: ჰოლივუდში მოხვედრასა და ბევერლი-ჰილზზე დასახლებაზე ხომ ყველა მსახიობი ოცნებობს“.

დიანა კრიუგერი

იაფფასიანი ჯაფეს ოფიციანტი თუ ტროის ლეგენდარული ქალი?..

დიანა კრიუგერი (ნამდვილი გვარი — ჰაიდკრიუგერი) გერმანიის პროვინციულ ქალაქში დაიბადა. გოგონა სულ პატარა იყო, როდესაც მისი მშობლები ერთმანეთს გაშორდნენ. დიანა და მისი უმცროსი ძმა დედამ აღზარდა. მარია-ტერეზა ბანკში უბრალო კლერკად მუშაობდა. დიანა ცდილობდა, დედას დახმარებოდა და საბალეტო კლასის და კათოლიკური სკოლის გაკვეთილებისგან თავისუფალ დროს, პიცერიაში მუშაობდა და ხშირად, ფოსტასაც დაატარებდა.

დღეს უკვე პოპულარული მსახიობი მამის შესახებ ლაპარაკს თავს არიდებს.

დიანას მამა, ყოფილი კინომექანიკოსი ჰანს ჰაიდკრიუგერი ირწმუნება, რომ დედამ მისი შვილები მამის წინააღმდეგ განაწყო. მან ქალიშვილს რამდენჯერმე საჯაროდ მიმართა და პატიება სთხოვა, მაგრამ დიანა დუმს!

გოგონა ბავშვობიდანვე ბალერინობაზე ოცნებობდა. ცეკვა 2 წლის ასაკიდან დაიწყო და საბალეტო ხელოვნებას 10 წლის განმავლობაში დაუღალავად ეუფლებოდა. სწავლა ლონდონის სამეფო საბალეტო აკადემიაში გააგრძელა. მაგრამ მუხლის ტრავმამ მის სანუკვარ ოცნებას წერტილი დაუსვა. დიანა გერმანიაში დაბრუნდა და მოდელის კარიერის გაკეთება სცადა.

15 წლის მოდელი კონკურსის — Elite — „წლის გარეგნობა“ — ფინალისტი გახდა. ახალგაზრდა მოდელი „დოლჩე და გაბანას“ ახალ კოლექციაზე მუშაობდა, როდესაც მისი ფოტოსურათები Vogue-სა და Elle-ის გარეკანზე დაიბეჭდა.

პატივმოყვარე დედა შვილის ამბიციების გაღვივებას ყველანაირად უწყობდა ხელს. მაგრამ დიანას ინტერესმა კინემატოგრაფისაკენ გადაინაცვლა. დღეს მსახიობი ყოველ ინტერვიუში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ამერიკაში აგენტიც კი არ ჰყავდა და ჰოლივუდში სრულიად შემთხვევით მოხვდა.

ერთ-ერთ ჩვენებაზე მშვენიერმა მოდელმა ლიუკ ბესონის ყურადღება მიიქცია, რომელმაც გოგონას ურჩია, სამსახიობო კარიერაზე ეფიქრა. ლიუკ ბესონის რჩევით, დიანა კრიუგერი საცხოვრებლად პარიზში გადავიდა. სწავლა სამსახიობო სკოლაში — Ecole Elorent — განაგრძო და ამ სკოლის 2002 წლის კურსის საუკეთესო სტუდენტი გახდა. იმავე წელს, დიანას სამსახიობო დებიუტი შედგა. მან დამოუკიდებელი კინოკომპანიის სურათში — „პიანისტი“ — ერიკას როლი ითამაშა და დენის ჰოპერსა და კრისტოფერ ლამბერტს გაუწია პარტნიორობა.



მაყურებელმა დამწყები მსახიობი გიომ კანეს ფილმში — „ჩემი კერპი“ (2002) შეამჩნია. ამ როლმა დიანა კრიუგერს „სეზარის“ ნომინაცია მოუტანა. მალე მსახიობით ჰოლივუდიც დაინტერესდა. ფილმის — „უიკედ-პარკი“ (2003) — გადაღებების დროს, კრიუგერმა ვოლფგანგ პეტერსენის ისტორიული სურათისთვის — „ტროა“ — მშვენიერი ელენეს როლზე კასტინგი წარმატებით გაიარა.

ელენეს როლის კასტინგის შესახებ დასმულ შეკითხვებს მსახიობი ასე პასუხობს: „სხვების მსგავსად, თავდაპირველად, მეც მხოლოდ კასეტა გავგზავნე, შემდეგ, სტუდიიდან დამირეკეს. სინჯები ხუთჯერ გავიარე. დიდხანს ვერ ვიჯერებდი, რომ ეს როლი მივიღე. ამას ვერასდროს წარმოვიდგენდი. „ტროა“ ხომ ჩემთვის მხოლოდ მეექვსე ფილმია. წარმოდგენა არ მქონდა იმის შესახებ, თუ რას ეძებდა რეჟისორი და ვფიქრობდი, რომ დამიწუნებდნენ, რადგან მე ევროპელი ვარ და არა ამერიკელი. გადაღებების დროს, საკუთარ თავს გაოცებული ვეკითხებოდი — ამ როლში როგორ აღმოვჩნდი-მეთქი?“.

რეჟისორის მოთხოვნით, მსახიობის წონა 55 კგ უნდა ყოფილიყო, აი, 60 კგ-

მდე თუ „გაქაჩავდა“, კიდევ უფრო უკეთესი იქნებოდა, რათა ეკრანზე მშვენიერი ელენეს „მრგვალი“ ფორმები მომხიბვლელად გამოჩენილიყო. 48 კილოგრამი წონის მქონე დიანა კრიუგერს თავზარი დაეცა, მაგრამ რეჟისორის მოთხოვნას მაინც დაემორჩილა. „ეს საშინელება იყო! მთელი თვის განმავლობაში ვცდილობდი, რაც შეიძლება ნაკლებად მემოძრავა. დილიდან საღამომდე, ტკბილეულს, ცომეულსა და ცხიმიან საკვებს ვეძალებოდი, პროტეინის შემცველ კოქტეილებს ვსვამდი და ჩემს კვარტალში მდებარე ყველა საკონდიტროს ტორტებს გავუსინჯე გემო!“ გაძლიერებული კვების შედეგად, ბუნებით სიგამხდრისკენ მიდრეკილმა გოგონამ მხოლოდ 8 კგ-ის მომატება შეძლო. გადაღებების დროს, კლასიკური ბერძნული ფორმების შესანარჩუნებლად, მას საგანგებო დიეტა დაუნიშნეს. დიანას მსხვერპლმა შედეგი გამოიღო — „ტროა“ წლის კინომოვლენად აღიარეს. მართალია, კინოკრიტიკოსთა აზრით, დიანა კრიუგერი იაფფასიანი კაფეს ოფიციანტს უფრო ჰგავდა, ვიდრე ლეგენდარულ საბედისწერო ქალს, მაგრამ ამ როლმა მსახიობი ახალ, „ვარსკვლავურ“ სიმაღლეზე აიყვანა.

2004 წელს, ეკრანებზე დიანა კრიუგერის მონაწილეობით რამდენიმე ახალი სურათი ერთდროულად გამოვიდა: თრილერში — „შეპყრობილნი“ — კრიუგერმა ჯოშ ჰარტნერთან ერთად ითამაშა, სურათში — „ერის საგანძური“ კი, დიანა კრიუგერმა თავად ნიკოლას კეიჯი დაჩრდილა.

2001 წლის პირველ სექტემბერს, დიანა მსახიობ გიომ კანეს გაჰყვა ცოლად. მათ ერთმანეთი პარიზის ერთ-ერთ კლუბში გაიცნეს. „ერთმანეთს ვაღმერთებთ, დაძაბული სამუშაო გრაფიკის გამო, ერთად ძალზე იშვიათად ვართ, მაგრამ ერთმანეთს ხშირად ვურეკავთ და ჩვენი ოჯახური ბიუჯეტის ნახევარზე მეტს სატელეფონო საუბრების გადასახადებში ვხარჯავთ“... ■

კეტრინ ზეტა-ჯონსმა ხმა დაკარგა

მსახიობი კეტრინ ზეტა-ჯონსი ფილმის — „ზოროს ლეგენდა“ ე.წ. პრომო-ტურზე საჯარო გამოსვლებმა იმდენად გაიტაცა, რომ ბოლოს, ხმა დაკარგა. „ბოლო დროს ძალიან დავიღალე. ევროპაში ვმოგზაურობდი. „ზოროს ლეგენდას“ მაყურებლის წინაშე წარვადგენდი და გაუთავებლად ვლაპარაკობდი. ერთ მშვენიერ დილას გავიღვიძე... და ხმა ვეღარ ამოვიღე. ეს საშინელება იყო“ — განაცხადა მსახიობმა. საბედნიეროდ, ხმა მალე დაუბრუნდა, თუმცა, ხრინწი შეეპარა, რაც მოსწონს კიდეც: „ახლა ჩემი ხმა დედი მურისა და კეტლინ ტერნერისას წააგავს. რა გაეწყობა, თანახმა ვარ — სანამ ჩემი ხმა ბოლომდე დაიწმინდება“, — უთხრა ზეტა-ჯონსმა ჟურნალისტებს. ■

მოდის დიქტატორი

შესაძლოა, სარა ჯესიკა პარკერის გარდერობი ბევრისთვის ოდესღაც შურის ობიექტს წარმოადგენდა. მაგრამ დღეს მისი სამოსი თითქმის არავის აღაფრთოვანებს. საქმე ის გახლავთ, რომ ბოლო ხანებში, მსახიობი ჯგუფ „ბითლზის“ „ყვითელი წყალქვეშა ნავის“ პერიოდის სტილში იმოსება და ამას შვილის, ჯეიმს ბროდერიკის გასახარად აკეთებს. „ჯეიმსი „ბითლზით“ აღფრთოვანებულია და მოითხოვს, რომ ყველანი მათ დავემსგავსოთ. ყვავილებით ამოქარგული საყელოები, გიჟური ვარცხნილობა და რაც მთავარია, „კლიოში“ შარვლები — ოჯახის წევრებს ამ მსხვერპლის გაღება გვიწევს, მაგრამ ეს ნორმალურია, რადგან ჯეიმსს ჩვენს ცხოვრებაში უმთავრესი ადგილი უკავია“, — ამბობს სარა ჯესიკა.

ჯეიმსს განსაკუთრებით უცნაური, „კლიოშის“ ტიპის შარვლები აღაფრთოვანებს და მათ გამო მზადაა, უსაყვარლესი პიჟამა დათმოს. დედის ჩაცმულობის შესახებ უაპელაციო განცხადებებს ჯეიმსი ადრეც აკეთებდა. სარა ჯესიკა ხშირად, იძულებული ხდება, შვილის მოთხოვნას დაემორჩილოს, მის მიერ დაწუნებული კაბა გაიხადოს და შარვალი ჩაიცვას. რა გაეწყობა — დედა ხომ შვილის გულისთვის ყველაფერზე წავა... ■

ჯენეტ ჯექსონმა 18 წლის წინ, საიდუმლოდ იმშობიარა

იდუმალ სიყვარულს, შედეგად უფრო გასაიდუმლოებული ქორწინება მოჰყოლია და ეს კავშირი გოგონას დაბადებით დასრულებულა... ეს სკანდალური განცხადება ჯენეტ ჯექსონის მაზლმა, იანგ დებარჯმა ნიუ-იორკის რადიოსადგურ WQHT-FM-ის ეთერით გააკეთა. იანგ დებარჯი ამბობს, რომ მის 18 წლის ძმისშვილს რენე ჰქვია. გოგონა ჯენეტის უფროს დასთან, რები ჯექსონთან ერთად იზრდება. 39 წლის ჯენეტ ჯექსონი ამ სკანდალური განცხადების შესახებ კომენტარს ჯერჯერობით არ აკეთებს. მომღერალი იმ ადამიანების კატეგორიას მიეკუთვნება, რომლებიც სხვათა ეჭვების გაფანტვას არასდროს ჩქარობენ. მოარული ხმები იმის შესახებ, რომ ჯენეტ ჯექსონს ქალიშვილი ჰყავს, დიდი ხანია, გავრცელდა. 18 წლის ჯენეტი ჯგუფის — R&B — 21 წლის სოლისტს, ჯეიმს დებარჯს 1984 წელს გაჰყვა ცოლად. მათი ქორწინება 1985 წელს დაირღვა. მაგრამ იანგ დებარჯი ირწმუნება, რომ 2005 წლის ოქტომბერში, გოგონას 18 წელი შეუსრულდა. ელემენტარული გამოთვლებით, ბავშვი 1986-87 წლებში უნდა იყოს დაბადებული. ■

რუსუდან ბერიძე

(დასაწყისი იხ. გზა №42-43)

ავადმყოფის სანახავად მიმავალ ახალგაზრდა ექიმს, ლანა მესხს ნარკომანი დაესხმება თავს. ლევანი, რომელიც ამ დროს მას გამოესარჩლება, ლანას პაციენტის მეზობელი აღმოჩნდება და შინ მანქანით მიიყვანს, თან გზად გაეარშიყება კიდეც. მაგრამ ლანას ისედაც თავზე საყრელად აქვს პრობლემები: საავადმყოფოში, სადაც ის მუშაობს, ახალი მთავარი ექიმი (რომელმაც მისი გარდაცვლილი მამა შეცვალა) ავიწროებს, შინ — დედასა და ძმის ცოლს შორის დაძაბული ურთიერთობაა... მთავარი ექიმისგან განსხვავებით, ლანას საუცხოო ურთიერთობა აქვს კლინიკის წამყვან ქირურგთან, დავით არჩვაძესთან, რომელიც იმ დილას, საგანგებოდ ურეკავს შინ და მნიშვნელოვან ოპერაციაში მონაწილეობის მისაღებად უხმობს... საავადმყოფოში მისულ ლანას დავით არჩვაძე ოპერაციის დამოუკიდებლად გაკეთებას დაავალებს. ოპერაცია კარგად ჩაივლის და ლანაც კოლეგების ქებას დაიმსახურებს. შვილის წარმატებით გახარებული თამარი კი ლანას გამოუტყდება — შენთვის ცალკე ბინა მქონდა ნაყიდი და აქამდე გიმალავდიო... ამდენ კარგი სიახლით ფრთაშესხმული ლანა საქმეს მეტი მონდომებით გააგრძელებს და თითქოს მისი პროფესიონალური აღმასვლაც დაიწყება. მაგრამ მალე, დავით არჩვაძე უცხოეთში ლექციების წასაკითხად წავა და მთავარი ექიმი ლანას უწინდებურად შეავიწროებს. უფროსისა და ხელქვეითის დაპირისპირება ბოლოს და ბოლოს, სერიოზული კონფლიქტით დამთავრდება და ლანას სამსახურიდან დაითხოვენ. უსამართლო მოხსნით გაღიზიანებული ლანა დააპირებს, მთავარ ექიმს სასამართლოში უჩივილოს. მაგრამ საქმეში მისი ერთ-ერთი კოლეგა, გიზო ვაშაკიძე ჩაერევა და სიტუაციის სხვა გზით განმუხტვასაც შეეცდება...



...გიზომ კაბინეტის კარი სწრაფად გააღო და ჯერ ლანა შეუშვა, შემდეგ კიდევ ერთხელ აქეთ-იქით გაიხედ-გამოიხედა და თავადაც მიჰყვა.

— რა გჭირს?.. — ჰკითხა ლანამ კაბინეტში შესვლისთანავე. — წასვლა თუ გადაწყვიტე, ასე რაღა გაკანკალებს?!

— რა და შენსავით წინდაუხედავი კი არა ვარ: მინდა, მშვიდობიანად წავიდე აქედან. რა ვიცი, ვინ რა დროს დამჭირდეს და რაში გამომადგეს?!.

— მართალი ხარ, — დაეთანხმა ლანა, — განსაკუთრებით, ჩხიკვიშვილი გამოგადგება.

— შენ იხუმრე და ძალიანაც გამომადგება. იცი, რა „ცხენზე“ ზის?!

— ცხენზე თუ ვირზე?..

— ნუ ანგლობ! გამოთქმაა ასეთი. თან, იმის თქმა მინდოდა, რომ მაგის მფარველი სულ-სულ ზემოთ, ძალიან მაღალ ეშელონებშია გაჩითული...

— უფრო კონკრეტულად?

— შენ უფრო, ჩემმა მტერმა დაგიკონკრეტოს რამე!.. არ ვიცი, შენი ამბავი?! — ხელმეორედ შეუვარდები ჩხიკვიშვილს და ეტყვი — გავიგე, აქ ამის და ამის პროტექციით ყოფილხარ მოსულიო...

— დამშვიდდი, მაგის სათქმელად ნამდვილად აღარ შევუვარდები.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ჩხიკვიშვილმა თავად უკვე დიდი სიამაყითაც გამომიცხადა — აქ პრეზიდენტის მამამ დაანიშვნინა ჩემი თავი და რასაც მინდა, იმას ვიზამო...

— კარგი ერთი!.. — გაოცებისგან პირი დააღო გიზომ. — მართლა ასე გითხრა?

— თუ არ გჯერა, შედი და თავად ჰკითხე.

— არა, რა, ნაღდად დროზე მივდივარ აქედან, თორემ, რაც დრო გავა, ეს კაცი სულ უფრო „გაუბერავს“. მერე, ერთხელაც, მაგის ბაქიაობა იმ კაცის ყურსაც მისწვდება და მაშინვე „მოაბოლტვინებს“ მაგ უბედურს...

— რაც მალე, მით უკეთესი, — მშვიდად დაუმოწმა ლანამ. — მანამდე კი, მეც არ დავაკლებ ხელს.

— რას აპირებ? — შეცბა გიზო.

— რას და სასამართლოში ვუჩივლებ, უკანონოდ მომხსნა-მეთქი... აბა, რა გგონია, მართლა უსიტყვოდ დავიხურავ ქუდს და აქედან ისე წავალ?..

— მოიცა! — თითქოს დანებების ნიშნად, ორივე ხელი ასწია გიზომ. — ჯერ არ გინდა ეგეთები. ჯერ მე მომისმინე!

— გისმენ!.. აღარ ამოშაქრავ, რა გინდა?! — შეწუხდა ლანა.

— შენც ჩემს ფირმაში გეპატიჟები.

— რომელ შენს ფირმაში — წეღან რომ შენი ძმაკაცის იყო?..

— რას გეტყვი, იცი, გოგონი?.. ის ფირმა ჩემი ძმაკაცის სახელზე კია გაფორმებული, მაგრამ არც მე ვარ იქ მთლად „პეშკა“, დღე-დღეზე კი, ერთ-ერთი მეწილეც გავხდები.

— ეგ როგორ?

— როგორ და, ორი თვის წინ, ჩემი ძმაკაცი მაგარ მაყუთში „გადააგდეს“, საციხედ ჰქონდა საქმე. ჰოდა, მე გამოვიხსენი...

— სანაცვლოდ კი, წილი „აახიე“, ხომ?..

— ეგ შენი საქმე არ არის! — გაღიზიანდა გიზო. — შენ ის მითხარი, წამოხვალ თუ არა?

— თუ მეც წილში ჩამსვამ?!. — თვალები ეშმაკურად მოწკურა ლანამ.

— წილს დაგიხატავ... საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი იქნები. საკუთარი კაბინეტი გექნება და ფულსაც „საკაიფოს“ გადაგიხდი... მეტი რა გინდა?

— მეტი რაღა უნდა მინდოდეს, მაგრამ მე რომ მენეჯერობისა არაფერი გამეგება?..

— დანარჩენებს ხომ მენეჯერობაში გადაგვიტყავდა ზურგები... ისწავლი! ქირურგობის სწავლა მოახერხე და მენეჯერობა რაღაა?!. ჰა, რას ფიქრობ?

— ჯერ — არაფერს, — მართლა ჩაფიქრდა ლანა. — პასუხს რამდენიმე დღეში გეტყვი.

— გაგიჟდი?! რაის რამდენიმე დღე! პასუხი ახლავე უნდა მითხრა, თორემ, იცი, ამ ადგილს რამდენი უმიზნებს?!

— ღმერთმა ყველას ხელი მოუმართოს! — მშვიდად უპასუხა ლანამ. — მე კი, სანამ კარგად არ მოვიფიქრებ, არანაირ სამსახურს აღარ დავიწყებ.

— აუ, ჩემი, ეს ვინ არის!.. — შუბლში ხელი თეატრალურად იტკიცა გიზომ და შემდეგ დაუმატა: — შენი ბედი, რომ ძალიან მიყვარხარ... კარგი, იფიქრე, ოღონდ, სამ დღეზე მეტს ვერ გაცლი.

— მეტი არც მე დამჭირდება, — წასასვლელად მოემზადა ლანა. — მართლა, ხომ არ იცი, აქ ვინღა უმიზნებს ჩემს ადგილს?

— უმიზნებს კი არა, ჩათვალე, რომ უკვე შენს ადგილზეა.

— ვინ?

— ვინ და თემო.

— თემო?! — შეცბა ლანა.

— ჰო, რა იყო? აბა, დღეს რატომ დაგემალა?.. — ცეცხლზე ნავთი დაასხა გიზომ. თუმცა, მერე მაინც მოლბა: — არა, ისე, თემოს ნაღდად ძალიან მოსწონხარ, მაგრამ... კაცისთვის პირველ ადგილზე მაინც ყოველთვის კარიერა დგას...

— ჰოდა, ძალიანაც კარგი!.. — ნერვები უცბად მოთოკა ლანამ. — ახლა კი, მართლა უნდა დაგემშვიდობო, — თავი დაუკრა მან გიზოს და ოთახიდან სწრაფად გავიდა...

საავადმყოფოდან გამოსული ლანა კარგა ხანს უძრავად იდგა და სივრცეს ისე გაჰყურებდა, თითქოს ვერაფრით გადაეწყვიტა, საით წასულიყო. თუმცა შემდეგ, ერთი ღრმად ჩაისუნთქა და შინისკენ მიმავალ გზას გაუყვა.

— ლანა, შვილო, ერთი წუთით! — უცბად, თითქოს შორიდან ჩაესმა ქალის ნაცნობი ხმა, უკან უხალისოდ მოიხედა და მისკენ ქოშინით მომავალი ანიკო მღებრიშვილი დაინახა.

— რა მოხდა, ანიკო დეიდა? — რამდენიმე ნაბიჯში ქალთან გაჩნდა შეშფოთებული ლანა. — მიხო ძიას ხომ არაფერი დაემართა?

— არა, შვილო, — სულს ძლივს ითქვამდა ანიკო, — მიხოს არაფერი უჭირს. უბრალ-

ოდ, შენ გამოგეკიდე და ცოტა გული ამიჩქარდა.

— აბა, საავადმყოფოში რისთვისღა იყავით?

— ბუღალტერიაში თანხის გადარიცხვის ფურცელი მივიტანე და შენი ამბავიც იქ გავიგე... შეურცხვათ მაგათ თავი, შენს მეტი მოსახსნელი ვერავინ ნახეს?

— როგორც ჩანს, ვერ ნახეს, ანიკო დეიდა, — ბოღმა ყელში მოაწვა ლანას და საუბარი სასწრაფოდ სხვა თემაზე გადაიტანა: — ბუღალტერიაში რა გითხრეს?

— ვერაფერიც ვერ მითხრეს, — ხელები უმწეოდ გაშალა ანიკომ. — ის კი არა და, ფურცელიც კი არ დამიტოვეს: ჯერ მთავარ ექიმს აჩვენეო. ის კიდევ, ადგილზე არ დამხვდა. ველოდე, ველოდე და უკან წამოვჩანჩალდი. მერე უცბად, შენ არ დაგინახე?.. თითქოს ცა გაიხსნაო, ისე გავიხარე...

— მეც ძალიან მიხარია თქვენი ნახვა, ანიკო დეიდა, მაგრამ სამწუხაროდ, ვეღარაფრით დაგეხმარებით.

— შენ იყავი, შვილო, კარგად და რაღაცას ალბათ, მარტოც მოვიფიქრებ, — დაამშვიდა ანიკომ ქალიშვილი და თან, შინაურულად ხელკავი გამოსდო: — სადმე გეჩქარება?

— სადღა უნდა მეჩქარებოდეს?.. გიყივით თავისუფალი ვარ... — გახუმრება სცადა ლანამ.

— მაშინ თუ არ გეზარება, ჩემთან წამოდი, — შეაპარა ანიკომ. — მიხოსაც ნახავ კიდევ ერთხელ, თან დავილაპარაკებთ და ცოტა გულს გადააყოლებ... ჰა, რას იტყვი?

— რას ვიტყვი და წამოვალ, — უცბად დაყაბულდა ლანა...

ანიკომ ლანას სახელდახელო სუფრა გაუშალა, შესამჩნევად მოღონიერებულმა მიხომ კი, ღვინით სავსე ჭიქაც მიუჭახუნა და გულითადად დალოცა. თუმცა, ანიკომ ქმარი სუფრიდან მალევე ააგდო: ჯერ ისევ სუსტად ხარ და წამოწექიო. როგორც კი აბუზღუნებული მიხო თავის ოთახში გავიდა, ანიკო მაშინვე ლანას მიუბრუნდა:

— შენს ამბავს ჯერ არ გავაგებინებ, თორემ, მაგისი გულის ამბავი რომ ვიცი, ძალიან ინერვიულებს და ისევ ცუდად გახდება.

— საერთოდ ნუ ეტყვით, — პრობლემა უფრო მარტივად გადაუწყვიტა ლანამ, — ხომ იცით, რომ ავადმყოფს ექიმი მორჩენისთანავე ავიწყდება. მიხო ძია კი უკვე საკმაოდ კარგად არის, ასე რომ...

— შენ ასე ადვილად ვერ დაგივიწყებთ, შვილო, — თვალები აუწყლიანდა ანიკოს, — შენ ხომ ჩვენი გადამრჩენი ხარ...

— კარგი, რა, ანიკო დეიდა! — შეიშმუშნა ლანა. — მართლა რომ დავიჯერო, მერე?

— უნდა დაიჯერო, აბა, რა უნდა ქნა?! საავადმყოფოში ხომ მოგვხედე და გვიპატრონე და მერეც, წამლები ისე ზუსტად დაგვინიშნე, რომ პერანგივით გადმოაბრუნა კაცი... — თავისას არ იშლიდა ანიკო. — ისე, ერთი წამალი ძალიან ძვირი კი იყო... ღმერთი უშველის ლევანს, სწორედ იმ დღეებში გაგვიმართა ხელი, თორემ, ჩვენს შვილს ფულს ნამდვილად ვეღარ ვთხოვდით...

— ანიკო დეიდა... — მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ დაიწყო ლანამ. — ლევანს ცოლი გასცილდა თუ?..

— არა, შვილო, — ამოიოხრა ანიკომ, — ნეტავ, გასცილებოდა... მოკლეს ის უბედური.

— რას მეუბნებით?! — შეწუხდა ლანა. — ვინ მოკლა? რატომ?

— ზუსტად დღემდე არავინ იცის, რა მოხდა. დედამისთან იყო წასული და იქიდან რომ გამოვიდა, ეტყობა, იქვე ახლოს დახვდა ვიღაც, მეზობელი სახლის სადარბაზოში მუქარით შეიყვანა და ფული და სამკაულები წაართვა... ყოველ შემთხვევაში, როცა იმ სადარბაზოს მცხოვრებლებმა იპოვეს, აღარც სამკაულები ეკეთა და აღარც მისი ხელჩანთა ჩანდა სადმე...

— რომ იპოვეს, უკვე მკვდარი იყო?

— თავიდან, გულწასული ეგონათ, მაგრამ როგორც მერე გაირკვა, უკვე მკვდარი იყო... ექიმებს უთქვამთ, შიშით გული აქვს გახეთქილიო...

— ლევანი იმ დროს სად იყო?

— მივლინებაში იყო წასული. მეორე დღეს უნდა ჩამოსულიყო... ძმაკაცები მის დასახვედრად აეროპორტში დილიდანვე გაცვივდნენ: ცოტას მაინც შევამზადებთო. მაგრამ შუა გზაში მანქანა გაუფუჭდათ და ლევანს ასცდნენ. საწყალი ბიჭი!.. სახლამდე ისე მოვიდა, რომ არაფერი იცოდა... ჩემს დაუძინებელ მტერსაც კი არ ვუსურვებ იმის ნახვას, რაც მერე მოხდა... მკვდარი ცოლი რომ დაინახა, რაღაც არაადამიანურად აღრიალდა და სულ კედელს ურტყა თავი. ოთხმა კაცმა ძლივს გააკავა...

— მერე? — ნერწყვი ძლივს გადაყლაპა დაზაფრულმა ლანამ.

— მერე, საერთოდ დადუმდა, გაქვავდა და საწყალი ნანიკო ისე გავასვენეთ, რომ აღარც ხმა ამოუღია და აღარც ცრემლი გადმოუგდია... ცოლის დასაფლავების შემდეგ, სახლში გამოიკეტა, არავინ და აღარაფერი უნდოდა, შვილსაც კი აღარ იკარებდა... მაგრამ ეტყობა, დრო მაინც ყველაფრის მკურნალია და ნელ-ნელა ლევანს ჭრილობა მოუშუშდა... ერთი კია: ცოლის მოყვანას საერთოდ ვეღარ უხსენებ...

მღებრიშვილებისგან ლანა კიდევ უფრო გულდამძიმებული წამოვიდა. მართალია, ძალიან იუარა, მაგრამ ანიკომ ის ქუჩის კუთხემდე მაინც მიაცილა: ასე გული უფრო მშვიდად მექნებაო.

ანიკოსთან გამომშვიდობების შემდეგ, ლანამ პროსპექტის გადაკვეთა დააპირა, მაგრამ უეცრად, მის გვერდით ვიღაცამ მანქანა დაამუხრუჭა და მამაკაცის ნაცნობი ხმაც მაშინვე გაისმა:

— მაინც არ იშლი, ხომ, მარტო სიარულს?!

ლანამ მიიხედა და საჭესთან მჯდარი, მოღიმარი ლევანი დაინახა.

— ჩქარა, ჩაჯექი, თორემ, დამაჯარიმებენ! — შინაურულად დაუქნია მან ხელი და თან, კარი გაუღო. დაბნეული ლანა მანქანაში უსიტყვოდ ჩაჯდა.

— მღებრიშვილებთან იყავი? — დაჯდომისთანავე ჰკითხა მას ლევანმა.

— ჰო...

— ახლა საით მიდიხარ?

— სახლში, — უხალისოდ უპასუხა ლანამ და თავისი ახალი ბინის მისამართი დაუსახელა.

— გათხოვდი? — ალმაცერად გამოხედა ქალს ლევანმა.

— არა, უბრალოდ, ბინა გამოვიცვალე.

— მართლა?.. ძველს რაღა უყავით, გაყიდეთ?

— არა, ძველში ჩემები დარჩნენ.

— გამოდის, რომ ახლა სულ მარტო ცხოვრობ? — კვლავ ალმაცერად გამოხედა ლევანმა ქალს.

— ასე გამოდის... — თავი მხრებში ჩარგო და ბავშვივით მოიბუზა ლევანის ზედმეტი ცნობისმოყვარეობით გაღიზიანებული ლანა.

— დამპატიჟებ? — კითხვების დასმა გააგრძელა ლევანმა.

— სად?

— შენთან...

— ესე იგი, ჩემთან, ხომ?.. — წამით ჩაფიქრდა ლანა, შემდეგ ლევანის ვაჟკაცურ პროფილს აშკარა ინტერესით შეავლო თვალი და დაუმატა: — რატომაც არა? დაგპატიჟებ, სტუმარი ხომ ღვთისაა...

ლანა ლევანს სასტუმრო ოთახში შეუძღვა, ტელევიზორი ჩაურთო და თავად ცოტა ხნით სამზარეულოში შეიხედა. მაგიდაზე თამარის წერილი დახვდა: „სადილი ქურაზეა, წვენი — მაცივარში. წვენს მაცივრიდან რომ გამოიღებ, მაშინვე ნუ ეცემი — აცალე, ცოტა

შეთბეს... გკოცნი ბევრს. შენი დედიკო". ლანამ დედის წერილი ჯერ გულში ჩაიხუტა, შემდეგ — უჯრაში შეინახა და ისევ სასტუმრო ოთახში დაბრუნდა. ლევანი უკვე ტელევიზორის წინ, ტახტზე იჯდა და პულტს ჯიუტად აწვალებდა, რის გამოც ეკრანზე კადრი კადრს თავბრუდამხვევი სისწრაფით ცვლიდა.

— ცოტა ნელა! — ლევანის პირდაპირ, სავარძელში ჩაჯდა ლანა. — ასე რას გაიგებ, რომელ არხზე რა გადის?

— მერე ვინ გითხრა, რომ ამის გაგება მაინტერესებს? — პულტი ჟურნალების მაგიდაზე დადო ლევანმა და ლანას თვალი თვალში გაუყარა.

— აბა, რა გაინტერესებს?

— შენი ამბავი: ვინ ხარ, როგორი ხარ... ვისი ხარ...

— შენ თავად ვინ ხარ? — კითხვა შეუბრუნა ლანამ.

— მომკალი, თუ ვიცოდე...

— სამაგიეროდ, მე ვიცი.

— საიდან?

— ანიკო დეიდამ შენზე ყველაფერი მიამბო.

— ყველაფერს ვერ გიამბობდა.

— რატომ?

— იმიტომ, რომ ყველაფერი მარტო ღმერთმა იცის.

— მართალი ხარ, — დაეთანხმა ლანა, — თუმცა, თუ არ გსიამოვნებს, შეგვიძლია, ამ თემაზე საერთოდ არ ვილაპარაკოთ.

— მოდი, ჯერ აქ, ჩემ გვერდით დაჯექი და მერე, რაზეც გინდა, იმაზე დაგელაპარაკები, — ტახტის ზედაპირს ხელი ისე ნაზად გადაუსვა ლევანმა, თითქოს ეფერებაო.

— აქაც კარგად ვზივარ, — სავარძელში უფრო გულმოდგინედ მოკალათდა ლანა, — თანაც, მიყვარს, როცა მოსაუბრეს თვალებში ვუყურებ.

— ჰო... რა თქმა უნდა... — ქალს თვალი თვალში გამომცდელად გაუყარა ლევანმა. — თანაც, როგორც საქმეში ჩახედულები ამბობენ, თვალები ადამიანის სულის სარკეაო.

— ნამდვილად, — დაეთანხმა ლანა, — თუმცა, თვალებსაც გააჩნია.

უეცრად, ლევანი ტახტიდან წამოდგა, წამში ლანასთან გაჩნდა, თან სავარძლის სახელურებს ხელებით დაეყრდნო და ისე ჰკითხა:

— არ მოგბეზრდა ეს უაზრო ფილოსოფოსობა?..

— ვთქვათ, მომბეზრდა, მერე? — სავარძლის საზურგეს აეკრა ლანა.

— მაშინ რატომღა იბრძვი? — ახლა ქალის წინ ჩაიმუხლა ლევანმა, ხელები წელზე შემოაჭდო და მთელი ძალით მიიზიდა: — შენ ხომ იგივე გინდა, რაც მე...

— შენ საიდან იცი, მე რა მინდა? — გაიბრძოლა ლანამ.

— იქიდან! — თვალით ჭერისკენ ანიშნა ლევანმა და ლანამაც ზემოთ ინსტინქტურად აიხედა, ლევანმა ამით მაშინვე ისარგებლა და ქალს საკოცნელად ეცა.

ლანას მთელ სხეულში მაშინვე სასიამოვნო ჟრუანტელმა დაუარა და მამაკაცის მკლავებში მორჩილად გაიტრუნა. მაგრამ როცა ამით გათამამებულმა ლევანმა კაბის ღილებს შეხსნაც დაუწყო, გონს სწრაფადვე მოეგო, მთელი ძალით გაიბრძოლა და მამაკაცის მკლავებიდან თავი გაითავისუფლა. ამით კიდევ უფრო გახელებული ლევანი ისევ მოსაფერებლად წაეტანა, მაგრამ ლანამ მას მკერდზე ორივე ხელი ჰკრა და იატაკზე სასაცილოდ მოსვა, თავად კი ფეხზე გიჟივით წამოხტა:

— არ გაბედო!.. ჩემი ხელის ხლება აღარასოდეს გაბედო, თორემ, არ ვიცი, რას გიზამ! — შეხსნილი ღილები ხელის კანკალით შეიბნია მან.

— კარგი ერთი, მაინც რას მიზამ? — იატაკიდან ზლაზვნით წამოიმართა ლევანი.

— მოგკლავ! — თვალები ბოროტად დააკვესა ლანამ.

— იცი, ამ წუთში რა ლამაზი ხარ?! — არხეინად ჰკითხა ლევანმა.

— შენ კი იცი, რა საზიზღარი?! — ხელების კანკალი ვერაფრით გაიჩერა ლანამ.

— ვიცი... — უცბად სახეზე ხელები ნერვიულად ჩამოისვა ლევანმა. — მაპატიე. არ ვიცი, რა მეცა...

— სამაგიეროდ, მე ვიცი! — კბილებში ავად გამოცრა ლანამ. — შენც ისეთივე არაკაცი ხარ, როგორიც ყველა!.. ქალმა მეორე შეხვედრისთანავე სახლში შეგიშვა და აბა, მომენტით როგორ არ უნდა გესარგებლა?!.

— არ ხარ მართალი... — ოთახში გაიარ-გამოიარა ლევანმა და შემდეგ, ქალს ისევ წინ აესვეტა.

— შენ კი მართალი ხარ?! — მაინც არ დაიხია ლანამ.

— არ ვიცი... ალბათ, არა... უბრალოდ, ვთვლი, რომ როცა ქალსა და კაცს ერთმანეთი უნდათ...

— მერედა, ვინ გითხრა, რომ მინდიხარ? — გააწყვეტინა ლანამ.

— შენმა თვალებმა... — თვალი თვალში კვლავაც გამომცდელად გაუყარა ლევანმა.

ლანამ მამაკაცის მზერას გაჭირვებით გაუძლო, თქმით კი, ისეთი რამე უთხრა, თავადაც რომ გაუკვირდა:

— შეიძლება, ასეცაა, მაგრამ მე მარტო ნდომა არ მაკმაყოფილებს.

— შენ არ მაცალე, თორემ, მარტო ნდომით არც მე ვაპირებდი დაკმაყოფილებას... — თვალები ეშმაკურად მოჭუტა ლევანმა.

— ნუ ანგლობ! — ისევ იფეთქა ლანამ. — შეიძლება, ძალიან ძველმოდურად მოგეჩვენო, მაგრამ მამაკაცს, რომელსაც ჩემს სულსა და სხეულს ჩავაბარებ, ძალიან უნდა ვუყვარდე.

— ეს უბრალოდ, ძველმოდური კი არა, მთლად არქაული აზრია, — ხელები ჯიბეებში ჩაიწყო და ოთახში ახლა ისე გაიარ-გამოიარა ლევანმა; შემდეგ, ფანჯარასთან შედგა და სივრცეს გახედა: — ვატყობ, ჩემი წასვლის დროა...

— მეც ასე ვფიქრობ, — სავარძელში მოწყვეტით ჩაჯდა ლანა და თან, ჩაღილული კაბის კალთები გულმოდგინედ გაისწორა: — ასე რომ, გზა მშვიდობისა!..

ლევანი ფანჯარას უმალ მოსცილდა, თუმცა, წასვლის მაგივრად, ისევ ტახტზე, ლანას პირდაპირ დაჯდა და თვალებით ჭამა დაუწყო. ამჯერად ლანამ მის მზერას ველარ გაუძლო და იქვე, ჟურნალების მაგიდაზე მოთავსებულ ლამაზ კოლოფს მიაშტერდა. ლევანმა კოლოფი ახლაღა შენიშნა და მაშინვე დასწვდა:

— შეიძლება, გავხსნა? — ეშმაკურად ჰკითხა მან ლანას. — მაინტერესებს, შემთხვევით შიგ შენგან უარყოფილი მამაკაცების გულებს ხომ არ ინახავ.

— არა. კარგა ხანია, რაც ყველა ორგულის გულს ფანჯრიდან გადავუძახე.

— ჩემსასაც გადაუძახებ?

— შენსას — არა... იმიტომ, რომ შენისთანებს გული საერთოდ არ აქვთ.

— მართლა ასე ფიქრობ?

— მართლა.

— მაშინ, მართლა უნდა დაგემშვიდობო, — ფეხზე წამოდგა ლევანი.

— რაც მალე, მით უკეთესი! — სავარძელში ისევ უძრავად იჯდა ანა.

— კარამდეც არ მიმაცილებ?

— არა. გზას უჩემოდაც მშვენივრად გაიგნებ. კარი კი, შეგიძლია, გარედან მჭიდროდ გაიხურო.

— კარგი, ბატონო! — ოთახიდან დინჯად გავიდა ლევანი, საკიდრიდან თავისი ქურთუკი ჩამოხსნა და სახელოში ხელი უხალისოდ გაუყარა, მაგრამ უცბად შედგა, ისევ სასტუმრო ოთახისკენ შებრუნდა და ბავშვივით მობუზულ ლანას ხმადაბლა შეეხმიანა: — შეიძლება, ერთი რამე გთხოვო?

— არ შეიძლება, — კიდევ უფრო მოიბუზა ლანა.

— ძალიან, ძალიან რომ გთხოვო? — თავისას არ იშლიდა ლევანი.

— კარგი, მითხარი, რა გინდა? — ჩათრევას ისევ ჩაყოლა ამჯობინა ლანამ.

— ყავა მაინც დამალევინე, თორემ, ისე უღმერთოდ დავიღალე, რომ შეიძლება, საჭესთან ჩამომეძინოს...

— ჯანდაბას! — კარში უხერხულად გახიდულ ლევანს თვალი ბრაზიანად შეავლო ლანამ. — ერთი ფინჯანი ყავა ნამდვილად არ გამაღარიბებს...

ლანას პასუხით იმედმოცემულმა ლევანმა ქურთუკი სასწრაფოდ საკიდარზე დააბრუნა და ქალს სამზარეულოში მორჩილად შეჰყვა.

— ნალექიანი გიყვარს თუ უნალექო? — კარადის კარი გამოაღო ლანამ.

— რომელიც გაქვს, ის... — თავი მოისაწყლა ლევანმა.

— მე ორივე მაქვს. ასე რომ, სანამ კეთილი ვარ, ამოირჩიე.

— მაშინ, უნალექო იყოს.

ლანამ კარადიდან უნალექო ყავით სავსე მინის ქილა გამოიღო, შემდეგ გაზქურა აანთო და ზედ ბურთივით მრგვალი წითელი ჩაიდანი დადგა.

— ჩაიდანში წყალი ასხია? — ჩაიდნის და საკუთარი უსაფრთხოება თავიდანვე დაზღვია ლევანმა.

— ასხია, აბა, ანთებულ გაზზე ცარიელ ჩაიდანს ხომ არ დავდგამდი! — იწყინა ლანამ.

— წესით არ უნდა დაგედგა, მაგრამ ისე ხარ გაცოფებული, რომ შეიძლება, წყლის ჩასხმა საერთოდ აღარ გაგახსენდა...

— ნუ ღელავ, მახსოვს... თანაც, მსგავს რამეებს კარგა ხანია, ავტომატურ რეჟიმში ვაკეთებ, — კარადიდან ახლა ყავის ფინჯანი და საშაქრე გამოიღო ლანამ და ფინჯანში თითო-თითო კოვზი ყავა და შაქარი ჩაყარა.



— თუ არ გენანება, ერთი კოვზი შაქარი კიდევ დამიმატე! — მორჩილად სთხოვა ლევანმა.

— არ მენანება, მაგრამ მეშინია, ძალიან არ დაიშაქრო... — კვლავ ენა წაიმწარა ლანამ და დასძინა: — სამზარეულოში ინებებ ყავის მირთმევას თუ?..

— არა, ოთახში, — ქაფქაფა ყავით სავსე ფინჯანს სასწრაფოდ წამოავლო ხელი ლევანმა, — იქ ტელევიზორსაც შევხედავ, გავიგებ, ქვეყანაზე რა ხდება.

— აბა, შენ იცი, არაფერი გამოგრჩეს! — დაადევნა ლანამ, შემდეგ ყავის ქილა და საშაქრე ისევ კარადაში შეინახა და სამზარეულო დატოვა.

ლევანი ისევ ტელევიზორის წინ მოკალათებულიყო და პულტსაც ძველებურად აწვალებდა. ლანამ მას პულტი ხელიდან თითქმის ძალით წაჰგლიჯა და ერთ-ერთი ქართული არხი მოძებნა. ეკრანზე საინფორმაციო პროგრამის ახალგაზრდა წამყვანი ქალის ნაცნობი სახე გამოჩნდა.

— ამ გოგოს რა ჰქვია? — საუბრის გაბმა სცადა ლევანმა.

— ნათია, — უხალისოდ უპასუხა ლანამ და თავადაც სავარძელში, თავის ძველ ადგილს დაუბრუნდა.

— სასიამოვნო ხმა აქვს... — ყავის რამდენიმე ყლუპი მოსვა და ფინჯანი მაგიდაზე დადგა ლევანმა.

— ალბათ... თუმცა, გემოვნებაზე არ დაობენ... — ისევ უხალისოდ ჩაილაპარაკა ლანამ და პულტი თავის ადგილზე დააბრუნა.

— მაშინ, ისევ სიყვარულზე ვიდაოთ... — შეაპარა ლევანმა, თან პულტი აიღო და ტელევიზორის ხმას დაუწია.

— ძალიან გთხოვ, თავიდან არ დაიწყო! — შუბლი უკმაყოფილოდ შეიკრა ლანამ. — ხომ შევთანხმდით, რომ სიყვარული მხოლოდ ჩემნაირი ჩამორჩენილების საქმეა.

— იცი, რომ ერთ დროს მეც შენსავით „ჩამორჩენილი“ ვიყავი?

— კარგი ერთი?.. — მამაკაცს გამომცდელად ახედ-დახედა ლანამ. — ეგ როდის იყო?

— ადრე, ახალგაზრდობაში.

— ახლა ბებერი ხარ?

— ძალიან... განსაკუთრებით სული დამიბერდა.

— ახლა შენ დაიწყე უაზრო ფილოსოფოსობა? — წაკბინა ლანამ.

— არა, ამით მხოლოდ მის თქმა მინდა, რომ როცა ჩემი ცოლის უსულო სხეულს პირდაპირ მიმაყენეს...

— გეხვწები, აღარ გააგრძელო! — ხელები გაასავსავა ლანამ. — ხომ გითხარი, ეგ ამბავი უკვე ვიცი-მეთქი!.. ისიც მესმის, რომ ალბათ, სადღაც თავსაც კი იდანაშაულებ... ფიქრობ, იმ დროს თბილისში რომ ვყოფილიყავი, შეიძლება, ის უბედურება არც მომხდარიყოო...

— მერედა ვინ გითხრა, რომ თბილისში არ ვიყავი? — გააწყვეტინა ლევანმა.

— ვინ და ანიკო დეიდამ.

— დაანებე, რა, თავი ანიკოს!.. — ხმას აუწია გაღიზიანებულმა ლევანმა.

— შენ კი, მე დამანებე თავი!.. — ფეხზე წამოხტა ლანა. — არ მესმის, მე რას მემართლები!

— კარგი, კარგი, მაპატიე... — დანებების ნიშნად, ორივე ხელი ასწია ლევანმა. — შენ ნამდვილად არაფერ შუაში ხარ. უბრალოდ, რამდენჯერაც კი გამახსენდება, რომ როცა ვიღაც ახვარი ჩემს ცოლს გულს უხეთქავდა, მე მარტო თბილისში კი არა, სულაც იქვე, პარალელურ ქუჩაზე ვიყავი...

— რა თქვი?! — უცბად თვალები არაბუნებრივად გაუფართოვდა ლანას და სავარძელში მოწყვეტით დაეშვა.

— რაც გაიგონე! — სახეზე აკანკალებული ხელები ჩამოისვა ლევანმა. — ეს ამბავი ჯერ არავისთვის მითქვამს... მეგონა, საერთოდაც სამარეში ჩავიტანდი, მაგრამ...

— ძალიან გთხოვ, ნუ მაშინებ... — ხმაში მართლაც, შიში გაუკრთა ლანას. — იმ დღეს მართლა თბილისში იყავი თუ ახლა აგერია გონებაში რაღაც?..

— ასეთ საღ გონებაზე ჯერაც არ ვყოფილვარ... — უპასუხა ლევანმა, წამით ჩაფიქრდა და გააგრძელა: — მივლინებიდან იმ ავადსახსენებელ დღეს, უფრო ზუსტად — დილითვე დავბრუნდი, მაგრამ ნანას — ალბათ, იცი, რომ ჩემს ცოლს ნანა ერქვა, — აეროპორტიდანვე დავურეკე და ვუთხარი — რეისი გადაიდო და დილამდე ვერ ჩამოვალ-მეთქი...

— კი, მაგრამ რატომ მოატყუე? — გაოგნდა ლანა.

— იმიტომ, რომ აეროპორტში ჩემს პირველ სიყვარულს შევხვდი.

— მერე რაღა მოხდა? — გულუბრყვილოდ იკითხა დაბნეულმა ლანამ.

— რაც ასეთ დროს ქალსა და კაცს შორის ჩვეულებრივ ხდება: მასთან წავედით და...

— ძალიან გთხოვ, აღარ გააგრძელო! შენი და შენი საყვარლის შესახებ მოსმენა ნამდვილად არ მინდა, მით უმეტეს — იმ საშინელი ამბის ფონზე... — ასადგომად წამოიწია ლანა.

— მეც ძალიან გთხოვ... — ხელზე ხელი წაავლო და ადგომა არ დაანება ლევანმა. — შენ პირველი ხარ, ვისთვისაც სიმართლის მოყოლის სურვილი გამიჩნდა და უნდა მომისმინო!

— კარგი! — წელში დემონსტრაციულად გასწორდა ლანა. — გისმენ! გვიამბე შენი არაკაცობის ამბავი.

ლევანს ქალის გესლიანი სიტყვებისთვის ყურადღება საერთოდ არც მიუქცევია, თხრობა ისე განაგრძო:

— იმ ქალს ბავშვობიდან ვიცნობდი, ერთ კლასში ვსწავლობდით და 8 წელი ერთ მერხზეც ვისხედით. თავიდან, ჩემი პირველი და უმანკო სიყვარული იყო, მეათე კლასში კი — ჩემი პირველი ქალიც გახდა...

— ყოჩაღ, ადრე დაგიწყიათ!.. — კიდევ ერთხელ დაგესლა ლევანი ლანამ, მაგრამ პასუხი არც ამჯერად მიუღია.

— ძალიან ჯიუტი ვინმე იყო, — ისევ თავისი ამბის თხრობა განაგრძო ლევანმა, — არაფერს და არავის ეპუებოდა. ერთ შაბათ დღეს, მაგალითად, შინ დამირეკა და მითხრა: ჩემები დილით სოფელში წავიდნენ, ამაღამ მარტო ვიქნები და მოდიო. იმ საღამოს ჩემმა მშობლებმაც სოფელში, ავადმყოფ ბებიაჩემთან წასვლა გადაწყვიტეს და ჩემი 8 წლის დაიკო მისახედად მარტოს დამიტოვეს. მაგრამ და ვიღას ახსოვდა?! როგორც კი მშობლებმა კარი გაიხურეს, ისეთმა ვნებამ ამიტანა, რომ და ლოგინში თითქმის ძალით ჩავაგდე და როგორც კი ჩასთვლიმა, მაშინვე გარეთ გავვარდი... ჩემს სიყვარულთან მივიჩქაროდი და თან, გონებაში ჩვენი შეხვედრისა და ვნებიანი ღამის ულამაზეს სურათებს ვხატავდი. მაგრამ ჩემი გაოგნება მაშინ უნდა გენახა, როცა კარი მამამისმა გამიღო. შიშით ენაც კი დამება და რაღაც უაზრო ბლუკუნს მოვყევი. შემოდი, შემოდიო, — ამაჩქარა მამამისმა, — ვიცი, რომ შენ და ჩემმა შვილმა ინგლისურში ერთად უნდა იმეცადინოთო, — და თავად სახლის კარი უკანმოუხედავად გაიხურა.

— საინტერესოა, ის ქალბატონი სადღა ბრძანდებოდა? — ველარ მოითმინა ლანამ.

— საძინებელში იყო... ცოტა ხანში, კმაყოფილი სახით გამოიხედა და სიცილიც დამაყარა: ხომ მაგრად დაგაფეთეო!.. მაგრამ რომ დაინახა, როგორ გავცოფდი, მაშინვე ყელზე ჩამომეკიდა: მამაჩემი შემთხვევით მობრუნდა უკან, გზაში აღმოუჩენია, რომ მართვის მოწმობა შინ დარჩა... იმ ღამეს, თვალი არც ერთს არ მოგვიხუჭავს... შინ მხოლოდ გამთენიისას დავბრუნდი, საძინებელში ქურდულად შევიპარე და შვებით მაშინ ამოვისუნთქე, როცა დავინახე, რომ ჩემს დაიკოს კვლავაც უდრტვინველად ეძინა...

გაგრძელება შემდეგ ნომერში

მსოფლიო ჩემპიონატზე თამაშის საშუალება კოტრიკაძეს სტაროსტინმა არ მისცა

როგორ გააჯავრივა ურუგვაიელები მიშა მესხის გაცილებამ



მეკარეებს ფეხბურთში გამორჩეული ადგილი უკავიათ და მწვანე მინდორზე საკუთარი არაორდინარული საქციელით ყველასგან განსხვავდებიან. ამის მაგალითი უახლოეს წარსულში არაერთხელ გვიჩვენეს: კოლუმბიელმა იგუიტამ, მექსიკელმა კამპოსმა, პარაგვაიელმა ჩილავერტმა, რომელთაც გულშემატკივრები მინდვრის მოთამაშის მსგავსი დრიბლინგითა და გატანილი გოლებით ხშირად გაუოცებიათ. თუმცა, შესაძლოა, ფეხბურთის ბევრმა ამჟამინდელმა ქომაგმა არ იცის, რომ თავის დროზე, დაცვაში, ნახევარდაცვასა და თავდასხმაში მეკარეთა თამაშს თბილისის „დინამოს“ კარის დარაჯმა სერგო კოტრიკაძემ ჩაუყარა საფუძველი. გულშემატკივრების წრეში არცთუ ისე იშვიათად შეიძლება გაიგონოთ ფრაზა: „ყველა მეკარე ცოტა გიჟია“. — თან მისი ავტორები ამ გამონათქვამს ასე ხსნიან: აბა, ჭკვიანი კაცი მარტო ამხელა კარში დადგებაო?! ეს, რა თქმა უნდა, ხუმრობით, თორემ, მეკარეობა რომ მძიმე მისიაა, სერგო კოტრიკაძეზე უკეთ ვინ იცის...

გიორგი ლანჩავა

ჯარდაჯარგული

— მეკარე მხოლოდ საკუთარ თავზეა დამოკიდებული და თამაშის მსვლელობისას ყველა გადაწყვეტილებას თვითონ იღებს. მისი ნებისმიერი შეცდომა შესაძლოა, გოლით დასრულდეს და ამიტომ, ის ემოციებს სხვაზე მეტად გამოხატავს. ბურთის გაშვებისას, ხშირ შემთხვევაში, არავინ იცის, რა აზრი მოუვა მეკარეს თავში და ამიტომ ამბობენ — ყველა მეკარე ცოტა გიჟიაო. თბილისის „დინამოს“ დუბლშემადგენლობაში თამაშისას ერთხელ, მოედანზე მიმდინარე მოვლენების ცქერით ისე გავერთე, რომ მეტოქის შეტევისას, როდესაც უკან ვიხევდი, ორიენტირი დავკარგე და კარს მიღმა აღმოვჩნდი. კიდევ კარგი, ეს დროულად შევამჩნიე და საკუთარ პოზიციაზე უმალვე დავბრუნდი, რამაც გუნდი გოლისგან იხსნა. როსტოვის არმიის სპორტული კლუბის დუბლებთან მატჩისას, „დინამოს“ კარს რამაზ ურუშაძე იცავდა. იმ დღეს ქარიანი ამინდი იყო და ერთ-ერთ ეპიზოდში თანაგუნდელმა მას უკან დაუბრუნა ბურთი. წინ გამოსულმა რამაზმა იფიქრა — დავიცდი, სანამ ბურთი საჯარიმოში შემოგორდება და მერე დავიჭერო. მაგრამ ქარმა ისე მაგრად დაუბერა, რომ ბურთმა მეკარეს ჩაუქროლა და კარის ბადეში აღმოჩნდა. როსტოველთა რიგებში ქართველი ფეხბურთელი თამაშობდა, გვარად სალუქვაძე, რომელმაც რამაზს დაუძახა: დაიჭირე ეგ ბურთი, თორემ, ჩაჰყვები ლანჩხუთშიო!..

რიტუალი ჩოგბურთის ბურთით

— ფეხბურთელები, ისევე როგორც სპორტის სხვა სახეობათა წარმომადგენლები, გარკვეულწილად ცრუმორწმუნენი არიან. გამონაკლისი არც მე გახლდით და თამაშისთვის მზადების საკუთარი რიტუალი მქონდა. კერძოდ, თუ მატჩი თბილისში გვქონდა, დილით დიღომში ჩვენი ბაზის გვერდზე მდებარე კალათბურთის მოედანზე მივდიოდი და თან ჩოგბურთის ბურთი მიმქონდა. ადგილზე მისული ვცდილობდი, ეს ბურთი კალათში „ჩამეტენა“ და თუ ამას გავაკეთებდი, მაშინ ვრწმუნდებოდი, რომ მომავალი შეხვედრისთვის კარგად მომზადებული ვიყავი. ხანდახან ისე ხდებოდა, რომ მტკვრის პირას მარტო ჩავდიოდი, სადაც საკმაო ხნის განმავლობაში ვიჯექი და თამაშზე ვფიქრობდი.

პროვოკაციაზე წამოგებული თორაძე

— ძალიან არ მიყვარდა, როდესაც სტუმრად დონეცკის „შახტიორს“ ან კუიბიშევის „კრილია სოვეტოვს“ ვეთამაშებოდით. ამ ქალაქებში, როგორც მოედანზე, ასევე მის გარეთ არასაფეხბურთო ატმოსფერო სუფევდა და ყველა ჩვენს წინააღმდეგ იყო განწყობილი. მინდორზე მეტოქის ფეხბურთელები არ გვინდობდნენ და ფეხებში უმოწყალოდ გვირტყამდნენ, ხოლო ტრიბუნიდან ადგილობრივი გულშემატკივარი გვიყვიროდა: „Грузин, продай мандарины! продай яблоко!“ თუმცა, ხშირ შემთხვევაში, მარტო ამას არ სჯერდებოდნენ და უშვერი სიტყვებით გვაგინებდნენ. გარდა ამისა, ორივე გუნდს უხარისხო მოედანი ჰქონდა და თამაშის დროს ბურთი რომელ ბორცვზე ახტებოდა, ძნელი მისახვედრი იყო. ერთხელ, თბილისის არმიელთა კლუბი, რომელიც საბჭოთა კავშირის ჩემიონატის პირველ ლიგაში გამოდიოდა, „კრილია სოვეტოვს“ კუიბიშევში ხვდებოდა. თბილისელთა რიგებში მოთამაშე თორაძემ გულშემატკივართაგან შეურაცხყოფა ვეღარ აიტანა და ტრიბუნისკენ მიბრუნებულმა ტრუსი ჩაიხადა. თამაშს ადგილობრივ პარტიულ ელიტასთან ერთად, რამდენიმე გენერალი ესწრებოდა მეუღლითურთ და ცხადია, ამ ფაქტმა დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. თორაძე ხულიგნობის მუხლით გასამართლეს და სამწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს.

ნოკდაუნში გაშვებული დონეცკელი

— „შახტიორის“ რიგებში ერთი თავდამსხმელი გამოდიოდა, რომელმაც დონეცკში მიმდინარე მატჩის მსვლელობისას, ერთ-ერთ ეპიზოდში დაჭერილი ბურთი ხელიდან გამაგდებინა და გოლი ხელით გაიტანა, თან მოითხოვდა, რომ არბიტრს ბურთი ჩაეთვალა. „შახტიორის“ ფეხბურთელები ასეთსავე მოთხოვნით გვერდით მსაჯს მისცივდნენ, რომელმაც გადაწყვეტილება ჩვენს სასარგებლოდ მიიღო. მეორე წრეში დონეცკელებს თბილისში 2:0 ვუგებდით და მოწინააღმდეგემ ჩემს კართან, მაღალი ბურთი ჩაჰკიდა. ვიფიქრე: გამოსვლაზე თუ შევცდები, არა უშავს-მეთქი

მეკარეობა რომ მძიმე მისიაა, სერგო კოტრიკაძეზე უკეთ ვინ იცის...

და მართლაც, კარიდან გამოსულმა, ბურთს მუშტი ავაცილე და სწორედ იმ თავდამსხმელს მოვარტყი სახეში, რომელმაც დონეცკში ხელით გამიტანა გოლი. მიწაზე დაცემულმა „შახტიორის“ ფორვარდმა ტკივილისგან კი დაიძახა — **убивают, гады!**. მაგრამ ის მაშინვე გავაჩუმე და საკუთარ მოედანზე ჩადენილი საქციელი გავახსენე.

„საბჭოელები არ იყიდებიან“

— 1959 წელს, თბილისის „დინამომ“ ბრწყინვალე ტურნე ჩაატარა ლუქსემბურგში, შვედეთსა და ბელგიაში, საიდანაც საფრანგეთს მივაშურეთ. ამ პერიოდში ფრანგული ფეხბურთი აღმავლობას განიცდიდა, რადგან 1958 წელს, შვედეთში მსოფლიო ჩემპიონატზე საფრანგეთის ნაკრებმა მესამე ადგილი დაიკავა. მაშინ, „ნიმს“, „რეიმსა“ და „რასინგს“ შევეხვედით და სამივე მატჩი მოვიგეთ. თან, ასპარეზობამ ისეთი ფრანგი ვარსკვლავების წინააღმდეგ მოგვიწია, როგორებიც ფონტენი, კოპა და პიანტონი იყვნენ. აღნიშნული თამაშების შემდეგ, „დინამოს“ რამდენიმე ფეხბურთელით, რომელთა შორის მეც ვიყავი, „ნიმი“ და „რეიმსი“ დაინტერესდნენ. ჩვენთან საფრანგეთში მცხოვრები ქართველი ემიგრანტებიც კი მოვიდნენ ამ თემაზე სალაპარაკოდ, მაგრამ მაშინდელმა საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ, გიორგი სიხარულიძემ მათ განუცხადა — საბჭოთა ფეხბურთელები არ იყიდებიანო. ანალოგიური რამ ჩილეშიც შემემთხვა, როდესაც საბჭოთა კავშირის ოლიმპიურ ნაკრებთან ერთად ვიყავი ჩასული და ერთ-ერთი ადგილობრივი კლუბის ხელმძღვანელობამ დარჩენა შემომთავაზა.

უნივერსალი მეკარე

— აკლიმატიზაცია უკეთ რომ გაგვევლო, 1962 წელს, ჩილეს მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი თვით ადრე, კოსტა-რიკაში ჩავედით. პირველ დღეს, საბჭოთა კავშირის ნაკრების ძირითადი შემადგენლობა მასპინძელთა გუნდს კი ეთამაშა, მაგრამ კოსტა-რიკელებმა მეორე დღეს ისევ მოითხოვეს ამხანაგური მატჩის ჩატარება. ნაკრების მწვრთნელებმა ძირითადი შემადგენლობის ფეხბურთელები დაასვენეს და სათადარიგო შემადგენლობის წევრებს მოგვცეს თამაშის საშუალება. გუნდში 22 ფეხბურთელი ირიცხებოდა, მათ შორის, 3 მეკარე ვიყავით — მე, იაშინი და მასლაჩენკო. იმის გათვალისწინებით, რომ იმ თერთმეტ ფეხბურთელს, რომლებმაც წინადღეს ითამაშეს, მოედანზე გამოსვლა არ მოუწევდათ, მეორე შემადგენლობას მინდვრის მოთამაშე დააკლდა. ნაკრების თავკაცებმა იცოდნენ, რომ „დინამოს“ დუბლშემადგენლობაში სხვადასხვა პოზიციაზე მქონდა ნათამაშები, თან გოლიც გამეტანა და ამიტომ გავრილ კაჩალინმა გადაწყვიტა, განაპირა მცველად დავეყენებინე. საკუთარ მოვალეობას მშვენივრად გავართვი თავი და პირველ ტაიმში ჩემი გადაცემების შემდეგ, გუსაროვმა ორი გოლი გაიტანა. მატჩის მსვლელობისას, ვლადიმირ მასლაჩენკო დაშავდა და იგი საავადმყოფოში წაიყვანეს. მე ფორმა ჩავიცვი და ახლა კარში ჩავდექი. მასპინძლებს ეგონათ, რომ მეკარე არ ვიყავი და ცდილობდნენ, ჩემთვის შორეული დარტყმით გაეტანათ გოლი. მეორე დღეს, ადგილობრივ პრესაში დაწერეს კიდეც: საბჭოთა კავშირის ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონატზე ვერავინ მოუგებს, რადგან გუნდში ყველა მეკარე, ყველა მცველი და ყველა თავდამსხმელიაო.

ქართველთმოძულე სტაროსტინი

— საბჭოთა კავშირის ნაკრებში დამჩაგრეს-მეთქი, — ნამდვილად ვერ ვიტყვი, რადგან მაშინ გუნდის ღირსებას იცავდა ლევ იაშინი, რომელიც მსოფლიოში ნომერ პირველ მეკარედ ითვლებოდა. მან სამეკარეო სკოლაში სიახლე დანერგა, რაც იმაში გამოიხატებოდა, რომ თამაშში ბურთის ხელით შეყვანის გარდა, პირველმა დაიწყო კარიდან გამოსვლა და ცენტრალური მცველის ფუნქციის შესრულება. თუმცა, 1962 წელს, ჩილეს მსოფლიო პირველობაზე იყო მომენტი, როდესაც მწვრთნელებს შეეძლოთ, კარის დაცვა ჩემთვის მოენდოთ, რადგან, იაშინი საუკეთესო ფორმაში არ იმყოფებოდა. მეოთხედფინალში მასპინძლებთან მატჩის წინადღეს, გავრილ კაჩალინმა მითხრა კიდეც — მოემზადე, ხვალ შენ ითამაშებო, — რაზეც ვუპასუხე — მზად ვარ-მეთქი. თამაშის დღე რომ დადგა, და შემადგენლობა გამოაცხადეს, მე კვლავ სათადარიგოებს შორის დამასახელეს. კარგად მახსოვს, მაშინ კაჩალინმა მკლავი მკლავში გამიყარა და ოკეანის სანაპიროზე გასეირნება შემომთავაზა. სეირნობისას კი მითხრა: მინდოდა, დღეს შენ გეთამაშა, მაგრამ ნაკრებში ყველაფერს მარტო ვერ ვწყვეტო... მივხვდი, რომ საქმეში ძმები სტაროსტინები იყვნენ ჩარეული, რომელთაც ქართველები მაინცდამაინც არ უყვარდათ. სხვათა შორის, ის შეხვედრა საბჭოთა კავშირის ნაკრებმა 1:2 წააგო და ამაში საკმაო წვლილი იაშინს მიუძღოდა, რომელსაც მეორე გოლი დაახლოებით 30 მეტრიდან გაუტანეს. თუმცა, რუსებთან მარცხი გივი ჩოხელს დააბრალეს და ამის მიზეზად, მის მიერ ვითომ რუსული ენის არასათანადოდ ცოდნა დაასახელეს: ისინი ამბობდნენ — პირველი გოლი იმიტომ გავიდა, რომ იაშინმა ჩოხელს დაუძახა — **Гиви, бери!** — ხოლო გივიმ კი გაიგო — **Гиви, беру!** და ბურთი გაატარაო...

ბურახივით ღვინო იაშინისათვის

— ლევ იაშინი ქართველების მიმართ ყოველთვის კეთილგანწყობილი იყო და ამას არასოდეს მალავდა. როდესაც ლანჩხუთის „გურია“ პირველად გადავიდა უმაღლეს ლიგაში, იაშინი ლანჩხუთელებისთვის მედლების გადასაცემად ჩამოვიდა. იგი ჩემი სტუმარი გახლდათ და ცხადია, საქეიფოდ წავიყვანე. სუფრასთან როდესაც ვისხედით, ის ღვინოს სვამდა და არაყს აყოლებდა. ამის შემხედვარემ, ვკითხე — რას შვრები-მეთქი? — რაზეც მიპასუხა — **это для меня, как квас, потому водкой запиваю**. მას ძალიან უყვარდა თევზაობა და გერმანიაში შეკრებაზე ყოფნისას, სადაც კინბაუმში, ევა ბრაუნის ყოფილ აგარაკზე ვცხოვრობდით, იაშინი თავისუფალ დროს, დილიდან საღამომდე ტბის პირას იჯდა და ანკესი წყალში ჰქონდა ჩაგდებული...

ივანოვის დარტყმის გამო დაჯარგული თასი

— საერთოდ, მეკარე, ძალზე მობილიზებული უნდა იყოს, ყურადღების კონცენტრაციის დაკარგვა წამითაც არ ეპატიება. ცხადია, მეც ასე ვმოქმედებდი. მაგრამ ჩემს დროს იყვნენ ფეხბურთელები, რომლებიც ისეთი პოზიციიდან არტყამდნენ კარში, საიდანაც, წესითა და რიგით, ეს მოსალოდნელი არ იყო. მათ რიგში შედიოდა ვალერი ლობანოვსკიც, რომელმაც თბილისში გამართული ერთ-ერთი მატჩისას, საკმაოდ შორიდან გამიტანა საჯარიმო. მის გარდა, მატჩის მსვლელობისას მოულოდნელი გადაწყვეტილების მიღებით მოსკოვის „ტორპედოს“ ფეხბურთელი ვალენტინ ივანოვი გამოირჩეოდა. ამ უკანასკნელმა 1960 წელს, საბჭოთა კავშირის თასის ფინალში მეოთხე ბურთი გამიტანა, რომელიც გადამწყვეტი აღმოჩნდა. არადა, იმ ეპიზოდში საერთოდ არ ველოდი, თუ ივანოვი კარში დაარტყამდა. აღნიშნულ ფინალზე, რომელიც 3:4 წავაგეთ, დღემდე გული მწყდება, რადგან მაშინ „დინამო“ თასის აღებას იმსახურებდა.

სტრელცოვის „ზაპოი“

— 1967 წელს, საბჭოთა კავშირის ნაკრებს სამხრეთ ამერიკაში ჰქონდა ტურნე დაგეგმილი და იმ სეზონში ედუარდ სტრელცოვი „სოვეტსკი სპორტმა“ ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელა. სანამ სამხრეთ ამერიკაში გადავფრინდებოდით, რამდენიმე მატჩი სკანდინავიის ქვეყნებში ჩავატარეთ და შემდეგ, საფრანგეთში ჩავედით, სადაც ტრადიციისამებრ, საბჭოთა საელჩოში მივედით. სწორედ იქ ვნახეთ „სოვეტსკი სპორტის“ ნომერი, რომელშიც სტრელცოვის საუკეთესო მოთამაშედ დასახელების თაობაზე ეწერა. პარიზის აეროპორტში თვითმფრინავში რომ ავედით, სტრელცოვმა მე, ბანიშევსკისა და ვორონინს საკუთარი წარმატების „თითო ჭიქით“ აღნიშნა შემოგვთავაზა. უარი არ გვითქვამს. მაგრამ თვითმფრინავში დალევის შემდეგ, სტრელცოვმა ჩილეშიც გააგრძელა სმა. ადგილობრივ კლუბ „კოლო-კოლოსთან“ მატჩის წინ, როდესაც სტადიონზე წასასვლელად ვიკრიბებოდით, ის არ ჩანდა. ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა,

მიხაილ იაკუშინმა ექიმს დაავალა, გაეგო მოდიოდა თუ არა სტრელცოვი თამაშზე, მაგრამ ამ დროს, ფეხბურთელი თავად გამოჩნდა, სპორტული ჩანთით ხელში... სტადიონზე მისვლისას, იაკუშინმა გუნდის შემადგენლობა დაასახელა, რომელშიც სტრელცოვი არ ფიგურირებდა. ამ უკანასკნელმა იაკუშინს პირდაპირ ჰკითხა: „მე რა, არ მთამაშებ?" რაზეც მწვრთნელმა კითხვითვე უპასუხა: შენ რა, თამაშს აპირებო?.. სტრელცოვმა მას მოურიდებლად უპასუხა: აბა, აქ რისთვის წამოვედიო?!. იაკუშინმა კი ფეხბურთელს განუცხადა: ეს დღეები რითაც იყავი დაკავებული, კარგად ვიცი და ახლა მოედანზე დაამტკიცე, რაც შეგიძლიაო. ამ სიტყვების შემდეგ, მან ედუარდი ძირითად შემადგენლობაში დააყენა და „კოლო-კოლოსთან" თამაშში სტრელცოვმა ორი ბურთი თავად გაიტანა, ხოლო ორჯერ ქუსლით საგოლე პასი გააკეთა.

პელესთან პირისპირ

— ბედნიერი ვარ, რომ ჩემს კარიერაში ისეთი ლეგენდარული ფეხბურთელის წინააღმდეგ თამაში მომიხდა, როგორიც პელე იყო. საბჭოთა კავშირის ოლიმპიური ნაკრები ბრაზილიაში „სანტოსს" ვეთამაშეთ და მთელი მატჩის განმავლობაში თვალს არ ვაცილებდი პელეს, რომელსაც ჯადოსნური მოძრაობები ჰქონდა. ხანდახან მისი ყურებით იმდენად ვერთობოდი, რომ მავიწყდებოდა, საერთოდ თუ ვიდექი კარში... თამაშამდე ოლიმპიური გუნდის მთავარმა მწვრთნელმა სოლოვიოვმა, მწვრთნელებს — დერგაჩოვსა და შესტერნიოვს, პელეს მეურვეობა დაავალა. ისინიც ცდილობდნენ, ფეხბურთის მეფე მუდმივად მათ შორის ყოფილიყო მოქცეული, მაგრამ ერთ ეპიზოდში პელე ისე დაუსხლტა ხელიდან მეტოქეებს, რომ შესტერნიოვი დერგაჩოვს შეეჯახა, ჩემთან პირისპირ დარჩენილმა კი, ძელს მოარტყა ბურთი. მან ყოველივე ისე სწრაფად გააკეთა, რომ გაოცებული დავრჩი.

ანზორ კავაზაშვილი – „ეროვნებით არასაიმედო"

— 1964 წელს, ტაშკენტში ჩასატარებელი „ოქროს მატჩისთვის" კრწანისის რეზიდენციაში ვემზადებოდით და ჩვენთან ერთად საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარე გიორგი სიხარულიძე ცხოვრობდა, ამიტომ გვერდზე გახედვის საშუალება ფაქტობრივად, არ გვქონდა და მთელ დღეს ვარჯიშს ვანდომებდით. იმ პერიოდში ცენტრალური კომიტეტის მაღალჩინოსნები ხშირად გვსტუმრობდნენ, რათა მორალურად გვეზნევებინეთ. ტაშკენტში გამგზავრების წინ, ცეკას მდივანი გიორგი გეგეშიძე გვეწვია, რომელმაც კრება ჩაგვიტარა და თან თითოეულ ფეხბურთელს ეკითხებოდა, თუ როგორ დამთავრდებოდა მომავალი მატჩი. ვლადიმერ ბარქაია წამოდგა და მას პირდაპირ განუცხადა, რომ მოსკოვის „ტორპედოს" აუცილებლად დავამარცხებდით. მართლაც, თამაში 4:1 მოვიგეთ და იმ წელს პირველად გავხდით საბჭოთა კავშირის ჩემპიონები. სხვათა შორის, ტაშკენტურ შეხვედრაში მოსკოველთა მთავარმა მწვრთნელმა „ტორპედოს" კარში, ანზორ კავაზაშვილის ნაცვლად, შაპოვალენკო დააყენა და ილია დათუნაშვილმა სწორედ ამ უკანასკნელს ჩაუხვია ბურთი კუთხურიდან. ეტყობა, „ტორპედოელთა" თავკაცი ანზორს არ ენდო, რადგან იგი ქართველი იყო და თავის დროზე, თბილისის „დინამოში" ჰქონდა ნათამაშები... „ტორპედოს" შემადგენლობაში კავაზაშვილის არყოფნამ ჩვენს წისქვილზე დაასხა წყალი. არადა, მაშინ ის ბრწყინვალე ფორმაში იყო და რომ ეთამაშა, არავინ იცის, მატჩი როგორ დამთავრდებოდა. აქვე გეტყვით, რომ ჩემპიონატის მსვლელობისას, როდესაც „ტორპედოს" თბილისში მოვუგეთ, თამაშის შემდეგ ერთ-ერთმა ჟურნალისტმა ვალენტინ ივანოვს ჰკითხა: რატომ წააგეთო? — რაზეც მოსკოველთა ლიდერმა მას უპასუხა: ამაში თქვენი თანამემამულეა დამნაშავეო, — და კავაზაშვილზე მიუთითა. ივანოვს „ტორპედოში" დიდი წონა ჰქონდა და ალბათ, მანაც შეიტანა თავისი წვლილი გადამწყვეტ მატჩში ანზორის მოედანზე არგაყვანაში. შეხვედრის დასრულებისას კავაზაშვილი ჩვენს გასახდელში შემოვიდა და წარმატება მოგვილოცა. მართალია, იგი ნაწყენი იყო, რომ თამაშის საშუალება არ მიეცა, მაგრამ ჩვენი გამარჯვებით გახარებული გახლდათ. მინდა გითხრათ, რომ ტაშკენტური მატჩის მსაჯს, ლატვიელ რუბენისს შემდგომში, რამდენიმე წლით არბიტრობა აუკრძალეს, რადგან რუსებმა მას ჩვენი მხარდაჭერა დააბრალეს.

მსოფლიო ნაკრებში არგაშვებული მესხი

— ჩილეს მსოფლიო პირველობაზე, მაშინდელი საფეხბურთო წესების თანახმად, მატჩის მსვლელობისას ცვლილების განხორციელება არ შეიძლებოდა და ამიტომ, როგორც მწვრთნელები, ასევე სათადარიგო ფეხბურთელები ტრიბუნაზე ვისხედით. მიხეილ მესხი ნაკრების მიერ გამართულ პირველ შეხვედრაში ძირითად შემადგენლობაში იმყოფებოდა და საკმაოდ კარგადაც ითამაშა. ამიტომ კაჩალინმა ის მეორე მატჩშიც თავიდანვე გამოიყვანა. საერთოდ, მიშას თამაშის ისეთი მანერა ჰქონდა, რომ მცველებს თითქმის არ ეხმარებოდა. ამის შემხედვარე, ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელი სტაროსტინი ტრიბუნიდან მოედანთან ჩავიდა და მის გარშემო შემოვლებულ რკინის ბადეზე შემხტარი მესხს უყვიროდა: Миша, назад, Миша, назад! ერთ-ერთმა ფოტოკორესპონდენტმა გალიაში გამოწყვდეული მაიმუნის პოზაში მყოფ სტაროსტინს ფოტო გადაუღო და მეორე დღეს, გაზეთში დაბეჭდა. როგორც ჩანს, ამან სტაროსტინი გააბრაზა და მომავალ შეხვედრაში მიშას თამაშის საშუალება არ მისცეს. 1963 წელს, ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის 100 წლისთავთან დაკავშირებით, ინგლისის ნაკრები მსოფლიო ნაკრებს უნდა შეხვედროდა. მსოფლიო ნაკრებში საბჭოთა კავშირიდან ლევ იაშინი და მიშა მესხი მიიწვიეს. მაგრამ საკავშირო სპორტკომიტეტის ხელმძღვანელობამ იმ მიზეზით არ გაუშვა მესხი ლონდონში, თითქოს მიშა სათანადო სათამაშო ფორმაში არ იყო. ბუნებრივია, ეს მოგონილი მიზეზი იყო და რუსებს უბრალოდ, არ სურდათ, რომ ქართველს ასეთი დონის შეხვედრაში მიეღო მონაწილეობა. საბჭოთა კავშირის დროს, ფეხბურთელი 30 წელს რომ მიაღწევდა, რაც არ უნდა კარგ ფორმაში ყოფილიყო, მას ფეხბურთისთვის თავს ანებებინებდნენ. ასე მოხდა მესხის შემთხვევაშიც, რომელიც 1969 წელს, ურუგვაის „ნასიონალთან" მატჩში ფეხბურთიდან ფაქტობრივად, იძულებით გააცილეს. მიშა მოედანზე თვალცრემლიანი გამოვიდა და იმ შეხვედრის პირველი ტაიმი ბრწყინვალედ ითამაშა. შესვენებაზე, როდესაც იგი თანაგუნდელებმა ხელში აიყვანეს და მინდვრიდან გაჰყავდათ, ამის შემხედვარე ურგუვაიელებმა განაცხადეს: ქართველებს რა კარგი ტრადიცია გქონიათ, პირველი ტაიმის საუკეთესო ფეხბურთელი შესვენებაზე რომ მიგყავთო... როდესაც სტუმრებს აუხსნეს, რომ მესხს ფეხბურთიდან აცილებდნენ, ამით გაკვირვებულებმა იკითხეს: ამას თუ აცილებთ, აბა, ვილას ტოვებთო?!.

ნიჭიერი მეკარის ტრაგედია

— თავის დროზე, თბილისის „დინამო" იმიტომ დავტოვე, რომ გუნდის მაშინდელ მწვრთნელთან, ვიაჩესლავ სოლოვიოვთან მომივიდა კონფლიქტი, რადგან არ მათამაშებდა. ამის მიზეზად კი იმას ასახელებდა, რომ უკვე ასაკოვანი ვიყავი. სხვათა შორის, ამ პერიოდში შოთა იამანიძეც გაუშვეს გუნდიდან და მასაც საბაბად დაუდვეს — უკვე დაბერდიო... „დინამოდან" ქუთაისის „ტორპედოში" გადავედი, საიდანაც 1970 წელს ისევ თბილისში დავბრუნდი და ერთხანს, გუნდის კაპიტანიც გახლდით. მერე, ლენინგრადის „ზენიტთან" მატჩისას, ტრავმა მივიღე და ფეხბურთს თავი დავანებე. „დინამოში" მეკარეების მწვრთნელად დავიწყე მუშაობა და ნიჭიერი მეკარე, თამაზ სტეფანია მე აღმოვაჩინე. ავტოავარიაში რომ არ დაღუპულიყო, დარწმუნებული ვარ, ის მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესო კარის დარაჯი გახდებოდა. ასევე ავტოავარიას შეეწირა შოთა იამანიძე, რომელიც ვეტერანთა ვარჯიშზე მიდიოდა და მის ავტომობილს სატვირთო ავტომანქანა დაეჯახა.

ამბოხი ძმის წინააღმდეგ

— ჩემი ძმა, ალიოშა კოტრიკაძე წლების განმავლობაში „დინამოს" მეორე მწვრთნელი იყო და გარკვეული პერიოდი, მთავარ მწვრთნელადაც მუშაობდა. მიუხედავად იმისა, რომ ძმები ვიყავით, „დინამოში" მისი დახმარება არასოდეს დამჭირვებია, ამავე დროს, ალიოშას შეცდომებზე თვალი არ დამიხუჭავს. ამის მაგალითად თუნდაც ის გამოდგება, რომ „დინამოს" წარუმატებლობისას მეც გახლდით იმ პირებს შორის, ვინც მთავარი მწვრთნელის პოსტიდან ჩემი ძმის გადაყენება მოითხოვეს. ეს ინგლისის „ტოტენჰემ ჰოტსპურთან" 1:5 წაგების შემდეგ მოხდა, როდესაც გუნდში მეკარეებს ვწვრთნიდი... საერთოდ, ალიოშა კარგი მეურნე გახლდათ და საკუთარი ხელით უნიკალურ ავეჯსაც ამზადებდა. როდესაც საზღვარგარეთ დავდიოდით, ჩვენ თუ ტანსაცმელსა და სუვენირებს ვყიდულობდით, ალიოშა ხელსაწყოებს იძენდა. ერთხელ, დონეცკში ელექტროხერხი მაყიდვინა, რომელსაც შემდეგ ჩემი თითი შეეწირა... სარდაფი რომ გაუქურდეს, სადაც ხელსაწყოებს ინახავდა, ისე განიცდიდა, არა მგონია, ასე ბინის გაძარცვის შემთხვევაში ენერვიულა. ■

ტოკიოს ავტოსალონი

მიუხედავად იმისა, რომ იაპონიის დედაქალაქის ავტოსალონი ტრადიციულად, აზიელ ავტომწარმოებელთა ბენეფისს წარმოადგენს, წლეულს იქ განსაკუთრებულად მომგებიანად გამოიყურება ევროპელთა ნამუშევრები. მათ შორისაა გერმანული კომპანია „აუდის“ მიერ წარმოდგენილი წარმომადგენლობითი სედანი — S8. მანქანა V ტიპის 10-ცილინდრიანი ძრავათია აღჭურვილი, რომელიც სპორტული ავტომობილის — „ლამბორჯინი გალარდოს“ ბაზაზეა აგებული და 450 ცხ.ძ-ს სიმძლავრეს ავითარებს. აგრეგატის მოცულობა 5,2 ლ-ს შეადგენს, მისი მაქსიმალური სიჩქარე 250 კმ/სთ-ია (აღჭურვილია სისწრაფის ელექტროშემზღუდავით), 100 კმ/სთ-ს კი, 5,1 წმ-ში აღწევს. საწვავის საშუალო ხარჯი გავლილ 100 კმ-ზე 13,9 ლ-ს არ აღემატება.

Audi S8 6-საფეხურიანი ავტომატურ გადაცემათა კოლოფით — Tiptronic — არის აღჭურვილი. ამავე დროს, მექანიკურ რეჟიმზე გადასვლის შესაძლებლობაცაა გათვალისწინებული. მანქანას აგრეთვე დართული აქვს ადაპტირებადი საკიდარი, რომელიც საშუალებას აძლევს მძღოლს, შეარჩიოს 4-დან ერთ-ერთი რეჟიმი: Automatic, Comfort, Dynamic ან Lift. რაც შეეხება სალონს — ის ნატურალური ტყავითაა გაწყობილი და ალუმინისგან დამზადებული დეტალებით დამშვენებული. ევროპაში ახალი „აუდის“ გაყიდვა მომავალი წლის შუა პერიოდიდანაა დაგეგმილი. მისი მინიმალური ფასი 97.600 ევრო იქნება.

■

Volkswagen მადას იოკებს

გერმანულმა კონცერნმა ტოკიოში კონცეპტუალური მოდელი — Eco-Racer წარმოადგინა. გერმანელმა კონსტრუქტორებმა სცადეს, ერთ ავტომობილში გაეერთიანებინათ კუპე, როდსტერი და სპორტული მოდელი და ამასთანავე, რეკორდული ეკონომიურობისთვისაც მიეღწიათ. ძარა Eco-Racer ნახშირბადოვანი ბოჭკოსგანაა დამზადებული. მანქანის საერთო მასა 850 კგ-ს შეადგენს. მისი სიგრძე — 3,77 მ, სიგანე — 1,74 მ, ხოლო სიმაღლე — 1,21 მ, საბორბლე მასა — 2,48 მ-ა.

მანქანა სუპერეკონომიური დიზელის ძრავათია აღჭურვილი, რომლის სამუშაო მოცულობა 1,5 ლ, სიმძლავრე კი — 136 ცხ.ძ-ს შეადგენს. ის 230 კმ/სთ მაქსიმალურ სიჩქარეს ავითარებს, ხოლო 100 კმ/სთ სიჩქარეს 6,3 წმ-ში აღწევს, ამასთან, 100 კმ გარბენზე 3,4 ლ საწვავს ხარჯავს. მანქანა ავტომატურ გადაცემათა კოლოფითაა აღჭურვილი.

თუმცა სალონი, ერთი შეხედვით, ერთობ მოკრძალებულია, მძღოლისთვის მანქანის მართვისას, მაქსიმალური კომფორტულობაა გათვალისწინებული. მას შეუძლია შეცვალოს საჭის მუშაობის რეჟიმი, სისტემის — MIMI — წყალობით, იცვლება აგრეთვე სანავიგაციო სისტემის, აუდიოკომპლექსისა და მობილური ტელეფონის სამუშაო რეჟიმი.

ექსპერტთა ვარაუდით, Eco-Racer მხოლოდ ექსპერიმენტულ მოდელად დარჩება: სერიულ წარმოებაში მისი ჩაშვება დღეს-დღეობით, მასში გამოყენებული მასალებისა და ტექნოლოგიების გამო, არარენტაბელურია.

■

Smart-ის იაპონური გული

საქალაქო მინიავტომობილის — Smart — მომავალი თაობა (სერიული წარმოება 2007 წლისთვისაა დაგეგმილი) „მიცუბიშის“ კონსტრუქციის ძრავათი იქნება აღჭურვილი. ლაპარაკია ე.წ. „i“ სერიის აგრეგატზე, რომელიც ცოტა ხნის წინ იყო გამომზეურებული. თავდაპირველად, მას გამოცდიან „მიცუბიშის“ ახალ მოდელზე, რომელიც გაისად გამოჩნდება მსოფლიოს ავტობაზრებზე.

ამჟამად, მინიავტომობილების იაპონური ბაზრის მოცულობა 1,8 მლნ-ს შეადგენს, რაც მანქანების საერთო რაოდენობის მესამედია. იაპონური ძრავას „სმარტში“ გამოყენება იმაზე მეტყველებს, რომ „მიცუბიშისა“ და ამერიკული კორპორაცია „დაიმლერ კრაისლერის“ ურთიერთთანამშრომლობა, მიუხედავად გარკვეული უთანხმოებებისა, გრძელდება. ამასთანავე, „სმარტი“ ჯერჯერობით, კვლავაც წამგებიან პროექტად რჩება. რენტაბელობის მიღწევა 2007 წლისთვისაა დაგეგმილი. წლეულს 9 თვის შედეგების მიხედვით, სულ 105 ათასი „სმარტი“ გაიყიდა, რაც 6,6%-ით აღემატება 2004 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს.

■



ღამეული კოშმარი და ელვარე ფანტაზია... ურწმუნონი იცინიან და ამბობენ, რომ გრძნეული სიზმარი მხოლოდ ცრუმორწმუნე დედაბერთა მონაგონია და სხვა არაფერი, მაგრამ ჩვენ შორის ისეთებიც მრავლად მოიძებნებიან, რომელთაც სწამთ, რომ გრძნეული სიზმარი უთუოდ ახდება; განსაკუთრებით მაშინ, თუ სიზმარი 19 იანვარს, ნათლისღების ღამეს იხილეს.

ნათლისღების ღამის გრძნეული სიზმარი

სიზმრები, რომლებმაც სამყარო შეცვალეს

კაცობრიობის ისტორიას არაერთი მაგალითი ახსოვს იმისა, რომ ღამის ზმანებამ არა მხოლოდ ცალკეულ ადამიანთა, არამედ მთელი ხალხების ბედი შეცვალა. იქნებ, სამყარო სრულიად სხვაგვარი ყოფილიყო, ტროის ბრძოლის წინ აქილევსს წინასწარმეტყველური სიზმარი რომ არ ეხილა; რომ არა ალექსანდრე მაკედონელის, იულიუს კეისარის, ჟანა დ'არკისა თუ ნაპოლეონის გრძნეული სიზმრები...

ალექსანდრე მაკედონელმა ქალაქ ტირისათვის გამართული ბრძოლის წინ სიზმრად მოცეკვავე სატირი იხილა. სასახლის კარის სიზმრების ამხსნელმა ამ სიზმრის ასახსნელად სიტყვათა თამაში გამოიყენა. განაცხადა, რომ სიტყვები „სა" და ტირი" შესაძლოა „შენს ტირს" ნიშნავდეს და ამის საფუძველზე მაკედონელს გამარჯვება უწინასწარმეტყველა. არავინ იცის, რა გზით განვითარდებოდა ძველი სამყარო, მაკედონელი ამ ბრძოლაში რომ დამარცხებულიყო.

ნოვგოროდის მთავარმა, ვარიაგმა გოსტომისლმა (X ს.) სიზმრად ნაყოფით დახუნძლული უზარმაზარი ხე იხილა, რომელიც მისი ქალიშვილის მუცლიდან ამოზრდილიყო. მოგვებმა სიზმარი ამგვარად ახსნეს: ხე — საგვარეულოს, მუცელი — სიცოცხლეს, ნაყოფი კი იმას ნიშნავდა, რომ გოსტომისლის მემკვიდრე — შვილიშვილი უმდიდრესი სამეფოს დამაარსებელი გახდებოდა. ეს შვილიშვილი რიურიკი იყო. სწორედ ის რიურიკი, რომლის შთამომავლებმა სლავური მიწები გააერთიანეს და რუსეთის სახელმწიფოს დაუდეს სათავე.

აცტეკების უკანასკნელმა მეფემ და ქურუმმა, მონტესუმამ ქვეყანაში ესპანელების შეჭრამდე ცოტა ხნით ადრე, გრძნეული სიზმარი ნახა: თითქოს მას უცნაურ, ფაფრიან არსებაზე ამხედრებული ადამიანი უახლოვდებოდა. იმავდროულად მონტესუმას დამ, ქურუმმა ქალმა პაპანციამაც სიზმრად იხილა ხომალდები, საიდანაც ძველი ღმერთების მსგავსი აბჯარასხმული, თეთრწვეროსანი ადამიანები გადმოვიდნენ. პაპანციამ იწინასწარმეტყველა, რომ სულ მალე ოკეანის გადაღმა ქვეყნიდან აცტეკთა მიწების ახალი მფლობელები ჩამოვიდოდნენ. მონტესუმას საკუთარი ქვეყნის დასაცავად ბრძოლა არ გაუჭირდებოდა, მაგრამ გრძნეულმა სიზმარმა ხელ-ფეხი შეუბორკა და კორტესის ჯარისკაცებმა აცტეკთა მიწები იოლად დაიპყრეს. მონტესუმას სიზმარი კი უდიდესი ცივილიზაციის დასასრულის დასაწყისად იქცა.

ადოლფ შიკლგრუბერი (ჰიტლერი) პირველი მსოფლიო ომის დროს დალუპვას, გრძნეული სიზმრის წყალობით გადაურჩა

კონდრატე რილეევი

1809 წელს, **ნაპოლეონმა** კოშმარული სიზმარი ნახა. საშინელი ყვირილით დამფრთხალმა მსახურებმა, რუსტანმა და კონსტანმა იმპერატორი გააღვიძეს. გამოფხიზლებულმა ნაპოლეონმა მათ უცნაური სიზმარი უამბო: თითქოს საშინელმა დათვმა მკერდი გაუგლიჯა და მის გულს ჭამდა. ბონაპარტეს წინასწარმეტყველური სიზმრისთვის რომ დაეჯერებინა, იქნებ, რუსეთში შეჭრაზე უარი ეთქვა. დათვი ხომ დღესაც რუსეთის სიმბოლოა!

ეს ამბები დიდი ხნის წინათ მოხდა. ახლო წარსულიდან კი პირველი მსოფლიო ომისდროინდელი, ყველასთვის კარგად ცნობილი ამბავი გავიხსენოთ: ერთმა კაპრალმა, სახელად **ადოლფ შიკლგრუბერმა (ჰიტლერი)** თავზარდაცემულმა გაიღვიძა, რადგან დაესიზმრა, თითქოს თავზე ქვები ეყრებოდა. მომავალი ფიურერი წამოხტა და გარეთ გავარდა. რამდენიმე წამში კი მის სანგარს ყუმბარა მოხვდა და იქ მყოფი ყველა ჯარისკაცი გაულიტა. ეს ადამიანი ღამეულ კოშმარს აგრერიგად რომ არ დაეფრთხო, იქნებ, კაცობრიობა მეორე მსოფლიო ომის საშინელებათაგან გათავისუფლებულიყო?!

გრძნეული სიზმრები — ატავისტური გადმონაშთი

ყველა დროის ხალხთა მითოლოგია და რელიგია სიზმარს უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა, საოცარია, მაგრამ ფაქტია — ნებისმიერი კულტის მსახურნი — გა-

რილეევმა ბავშვობაში მძიმე ავადმყოფობა გადაიტანა. კონდრატეს დედას სიზმარში ხმა ჩაესმა, რომელიც ქალს ურჩევდა, ღმერთს ჩვილის გადარჩენას არ შეეწინააღმდეგებოდა, რადგან მას მომავალში უმძიმესი ხვედრი და საშინელი სიკვდილი ელოდა. უბედურმა დედამ სიზმრად შვილის სახრჩობელაზე აღსასრული იხილა, მაგრამ როგორც ყველა დედა, ისიც მხოლოდ შვილის გამოჯანმრთელებაზე ფიქრობდა. ძილისგან გამოფხიზლებულმა დედამ ნახა, რომ ბავშვს მაღალი სიცხე აღარ ჰქონდა. დეკაბრისტი რილეევის საშინელი აღსასრული ყველასთვის ცნობილია: იგი პეტროპავლოვსკის ციხეში ჩამოახრჩვეს.

ნათლებული ქრისტიანი მღვდლებიც და პირველყოფილი შამანებიც სიზმრის არსს თითქმის ერთნაირად ხსნიდნენ. ისინი თვლიან, რომ ძილის დროს სული სხეულს ტოვებს და დამოუკიდებლად მოგზაურობს. ამ მოგზაურობის დროს კი, შესაძლოა, ღვთიური ხილვაც იხილოს. ადამიანები სიზმარს უხსოვარი დროიდან ინფორმაციის წყაროდ მიიჩნევდნენ და ყველა ერს სიზმრების ახსნის მისეული მეთოდი გააჩნია. ძველად სიზმრის სიმბოლიკა საკმაოდ უნივერსალური იყო (თევზი — ორსულობის ნიშანი იყო, ტარაკნების ხილვა კი ფულის შოვნას მოასწავებდა). დროთა განმავლობაში კი ნათელი გახდა, რომ ერთი და იგივე სიმბოლო სხვადასხვა ადამიანისთვის სრულიად განსხვავებული ამბის მომასწავებელი იყო. აქ გრძნეული სიზმრების ახსნის საქმეში ფსიქოლოგებიც ჩაერთვნენ, რომ-

მიხაილ ლერმონტოვი

ლებიც ამისათვის ადამიანის ხასიათის თავისებურებისა და ცხოვრებისეული მოვლენების სიზმრებთან ურთიერთშეჯერების პრინციპს იყენებენ.

სპეციალისტთა აზრით, გრძნეული სიზმრების ბუნება შესაძლოა, სხვადასხვანაირი იყოს. ზოგი სიზმარი რომელიმე დაავადების ანარეკლია. ღამეული კოშმარის შემდეგ, დაავადებული ადამიანი ფიქრობს, რომ მისი სიზმარი წინასწარმეტყველური იყო: სინამდვილეში კი სიზმარი იმ დაავადების ერთ-ერთი სიმპტომია, რომელიც ჯერ არ გამომჟღავნებულა. მაგალითად: მაღალი ტემპერატურის დროს, ავადმყოფის სიზმრებში წითელი ფერი დომინირებს, სიზმარში გულში ხანჯლის ჩაცემა კი იმის ნიშანია, რომ შესაძლოა, ავადმყოფს გული ღალატობს.

გრძნეული სიზმარი შესაძლოა, ტვინის მუშაობის შედეგიც იყოს. ადამიანის ტვინი ძილის დროსაც აქტიურად ფიქრობს, ინფორმაციას ამუშავებს და ლოგიკური დასკვნები გამოაქვს, ამიტომ დღისით განვითარებული მოვლენები ლოგიკურ დასასრულს სიზმარში აღწევს. მართლაც, ადამიანი სიფხიზლეში მოვლენათა განვითარების შესაძლო ვარი-

მაგიანეებში ყაზანის ღვთისმშობლის ხატის მობრძანება ასეა აღწერილი: ერთხელ, ყაზანელ ღვთისმოსავ ქალწულს სიზმრად ზეციური ღედოფალი გამოეცხადა და აუწყა: „ამა და ამ ადგილზე მიწაში ჩემი ხატია ჩაფლული. დაე, გათხარონ და ამოიღონ“. ეს სიზმარი ქალწულმა კიდევ რამდენჯერმე იხილა. როდესაც მან მითითებული ადგილი გათხარა, იქ მართლაც ღვთისმშობლის ხატი ესვენა.

ყაზანის ღვთისმშობლის ხატი

ანტებს ითვლის, ტვინი კი სიზმარში ძილის დროს ამ ვარიანტთაგან საუკეთესოს არჩევს. მრავალი დიადი აღმოჩენა და ხელოვნების შედევრის თავდაპირველი ჩანაფიქრი სწორედ ამგვარი „შემოქმედებითი“ სიზმრების დროს ჩაისახა. გრიბოედოვმა პიესის „ვაი ჭკუისაგან“ სიუჟეტი სიზმარში ნახა. სტივენსონს კი რომანი „დოქტორ ჯეკილას ამბავი“

დიდ პოეტს მიხაილ ლერმონტოვს მათემატიკური ამოცანების ამოხსნა უყვარდა. ერთხელ, რთულ ამოცანას თავი ვერ გაართვა და დაიძინა. პოეტს სიზმარში უცნობი ადამიანი გამოეცხადა, რომელმაც მას მათემატიკური ამოცანის ამოხსნა ასწავლა. გაღვიძებულმა ლერმონტოვმა ამოცანის პასუხი ჩაიწერა და იმ ადამიანის პორტრეტიც დახატა, რომელიც სიზმრად იხილა. მრავალი წლის შემდეგ, სპეციალისტებმა ამ პორტრეტში ლოგარითმების შემქმნელი, XVII საუკუნეში დაბადებული მათემატიკოსი ჯონ ნეპერი ამოიცნეს. ლერმონტოვის თანამედროვენი ირწმუნებოდნენ, რომ პოეტს ნეპერის და მისი შრომების შესახებ არასოდეს არაფერი სმენოდა. კიდევ ერთი საინტერესო ფაქტი: ჯონ ნეპერი შოტლანდიელი იყო. როგორც ცნობილია, ლერმონტოვების გვარის ერთი შტოს მამამთავარი შოტლანდიელი გეორგ ლერმონტი იყო.

თავიდან ბოლომდე დაესიზმრა.

ზოგიერთი მეცნიერი ფიქრობს, რომ გრძნეული სიზმარი თავისებური ატავიზმია. ისინი თვლიან, რომ ჩვენ, ყველანი ცოტათი ცხენები ან მაიმუნები ვართ. მაგალითად, ადამიანის ორგანიზმში ფუნ-

ალექსანდრე მაკედონელმა ბრძოლის წინაღამეს გრძნეული სიზმარი იხილა

ქციონირებს წინაპართაგან მემკვიდრეობით მიღებული ჯირკვლები, რომლებიც სტრესის, სიხარულის, ტკივილის, საფრთხისა თუ სექსუალური ლტოლვის დროს გარკვეულ სუნს გამოყოფენ. ჩვენი ქვეცნობიერება ამ სუნებს შესანიშნავად ცნობს და სიზმარში მათ სახებას ქმნის. ამის მაგალითად ის ფაქტიც გამოდგება, რომ ზოგიერთი, სასიკვდილოდ განწირული ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე ბიოქიმიურ პროცესებს შეიგრძნობს და მისი გარდაცვალების რეალურ დროს სიზმარში საკმაოდ ზუსტად ხედავს. 1957 წელს **მარშალ გიორგი ჟუკოვს** დაესიზმრა, თითქოს გველისთავიანი თევზი დაიჭირა: „ის ნავიდან გამოძვრა და მკერდში მეტაკა. უხსენებელი ჩემკენ მოიწევდა, მისი ორკაპა ენა ჩემს სახესთან იკლაკნებოდა და დაგესვლას ლამობდა“. ამ სიზმრის ხილვიდან მცირე ხნის შემდეგ, ნიკიტა ხრუშჩოვმა ჟუკოვი პოსტიდან მოხსნა.

რატომ ხდება, რომ წინასწარმეტყველური სიზმრები ხშირად მართლდება? ამ კითხვაზე პასუხის გაცემა მრავალმა სცადა. მატერიალისტი მეცნიერები რეალობას არად აგდებენ და თვლიან, რომ გრძნეული სიზმრების ახდენის მიზეზი ძილისგუდა ადამიანების სიმრავლეა და სხვა არაფერი: სიზმარი ყველას ესიზმრება. ერთხელაც ისე ხდება, რომ ადამიანი სიზმრად იმ ამბავს იხილავს, რომელიც ოდესმე რეალობაშიც მოხდება. მეორე ვერსიის თანახმად, ადამიანი მხოლოდ ახდენილ სიზმარს იმახსოვრებს და ფიქრობს, რომ წინასწარმეტყველური სიზმარი იხილა, ასობით აუხდენელ სიზმარს კი სწრაფად ივიწყებს, რადგან მათი მოსმენა არავის აინტერესებს. კიდევ ერთი

მომღერალ ალექსანდრ ვერგინსკის მეუღლემ ქმრის გარდაცვალების შემდეგ, ასეთი სიზმარი იხილა: „მე მას სადგურში ვაცილებ, ალექსანდრე მომიბრუნდა და მეუბნება: „დაიმახსოვრე – მე მეხუთე ვაგონის მეექვსე ადგილი მიკავია“. მეორე დილას ლიდიამ ნოვოდევიჩის სასაფლაოს საშვი მიიღო. საშვში ეწერა: მე-5 ნაკვეთი, მე-6 ადგილი.

ამერიკის პრეზიდენტის მკვლელობა თეატრში. აბრამ ლინკოლნმა საკუთარი სიკვდილი სიზმარში იხილა.

თეორია ამტკიცებს, რომ სიზმრებს მატერიალიზაციის უნარი გააჩნია — მომავალი რეალობა სიზმარში ისახება და შემდგომ ცხოვრებაში პოვებს ხორცშესხმას. ფატალისტებს მტკიცედ სწამთ, რომ მომავალი და მომავლის შესახებ ნანახი გრძნეული სიზმრებიც წინასწარ არის განსაზღვრული.

ფუტუროლოგები ფიქრობენ, რომ სიზმარში ადამიანის ასტრალური პროექცია ცნობისმოყვარეობის გამო მომავლის დანახვას ცდილობს. და რადგან დრო მრავალგანზომილებიანი ცნებაა (მრავალრიცხოვანი საუკუნეები და წლები ერთმანეთშია გადახლართული), ამიტომ ადამიანის ცნობიერების მომავალში გასეირნება ისეთივე იოლი რამ არის, როგორიც წარსულის მოგონებები. სიზმარში სხვადასხვა დროთა შორის არსებული საზღვრები იშლება და ზოგჯერ ამის წყალობით ადამიანი მისდა უნებურად მომავალს ან წარსულს ხედავს.

მიხაილო ლომონოსოვი

მიხაილო ლომონოსოვმა სიზმარში ის კუნძული ნახა, სადაც მისი მამა დაიღუპა. შემდგომ ამ კუნძულზე საძიებო სამუშაოები ჩაატარეს და ლომონოსოვის მამის ცხედარი მართლაც იპოვეს.

გრძნეული სიზმრების ყველაზე საინტერესო და აბსოლუტურად პრაგმატული თეორია ჰოლოგრაფიის გამოგონების შემდეგ ჩაისახა. ჰოლოგრამის უნიკალური თავისებურება ის გახლავთ, რომ მისი ნებისმიერი ნაწილი ობიექტის სრულ, მაგრამ ნაკლებად დეტალურ გამოსახულებას იძლევა. თუ დავუშვებთ, რომ წარსულისა და მომავლის შესახებ არსებულ მთელ ინფორმაციას სამყაროში განფენილი ჰოლოგრამის ფორმა აქვს, ჩვენს

მან სიზმრად ნანახი რეალობად აქცია და პირველი მრავალძრავიანი თვითმფრინავი შექმნა.
ავიაკონსტრუქტორმა იგორ სიკორსკიმ ბავშვობაში სიზმრად უზარმაზარი თვითმფრინავით იფრინა: ესიზმრა, თითქოს ღერეფანში იდგა, რომელიც ირწეოდა, ღერეფნის ბოლოში ნათურა და კარი მოჩანდა. იმ დროს თვითმფრინავები არ არსებობდა. მომავალში სიკორსკიმ მრავალძრავიანი მძიმე თვითმფრინავები შექმნა და ერთ-ერთი პირველი შორეული გაფრენის დროს, ბავშვობაში ნანახი სიზმარი აუხდა: ის მართლაც ღერეფანში (ფიუზელაჟში) იდგა, ღერეფნის ბოლოს, მართლაც, ნათურა ანათებდა და პილოტის კაბინის კარი მოჩანდა. თვითმფრინავი ოდნავ ირწეოდა.

გონებას კი მოვლენათა სურათად მისი გარდაქმნის უნარი აქვს — მაშინ, შესაძლებელი უნდა იყოს, რომ სავარძელში მჯდომმა ადამიანმა ჩაიძინოს და სამყაროს ნებისმიერი წერტილიდან წარსულისა და მომავლის შესახებ არსებული ნებისმიერი ინფორმაციის მოპოვება შეძლოს. როგორც ჩანს, გარკვეულ პირობებში ჩვენი გონება თავისებურ ანტენად გადაიქცევა, რომელსაც მომავლის შესახებ ინფორმაციის მიღება ძალუძს.

დაბოლოს, თეორიიდან საქმეზე გადავიდეთ და სიზმრების ახსნას შევეცადოთ. XX საუკუნის დასაწყისში და საუკუნის ბოლოს გამოსული ე.წ. „სიზმრების ასახსნელი“ წიგნები ერთმანეთისაგან ძალიან განსხვავდება. ადრე ადამიანები სიზმრად ურმებს, თივის ზვინებს, ქალამნებს ხედავდნენ. ახლა, მათ სიზმრებში ძირითადად, ავტომობილები, აქციები და დეფოლტები ფიგურირებს. უნდა ითქვას, რომ საერთო მოხმარების „სიზმრების ასახსნელი“ წიგნების კითხვასა და გამოყენებას აზრი არა აქვს. მაგრამ სიზმრების ოჯახურ კრებულებს არსებობის სრული უფლება აქვს. მეცნიერებმა დიდი ხნის წინ დაამტკიცეს, რომ მუცლად ყოფნის პერიოდში ნაყოფი სიზმრებს ხედავს. ეს სიზმრები გენტიკური მახსოვრობის ერთ-ერთი გამოვლინებათაგანია. მათი მეშვეობით პატარა „სურათებს ათვალიერებს“ და ტვინს ივითარებს. როგორც ჩანს, სიზმრები გენების დონეზე არსებობს და თუ ეს ასეა, მაშინ შესაძლებელია, რომ ერთი ოჯახის სხვადასხვა თაობის წარმომადგენლები ერთნაირ სიზმრებს ხედავდნენ, რაც იმას ნიშნავს, რომ ოჯახური „სიზმრების კრებულის“ შედგენა და მათი გამოყენება უაზრობა სულაც არ არის. პროცესი, სამწუხაროდ, შეიძლება მრავალი ათეული წლის მანძილზე გაიწელოს, რადგან ამგვარ კრებულში რამდენიმე თაობის დაკვირვება და სიზმრების აღწერა უნდა შევიდეს.

ახლა კი გრძნეული სიზმრების გამომწვევ გზებსა და საშუალებებსაც შევეხოთ. წინასწარმეტყველური სიზმრის გამოწვევის საუკეთესო მეთოდი ასეთია:

იგორ სიკორსკი

ძილის წინ თქვენთვის საინტერესო თემაზე რაც შეიძლება ბევრი იფიქრეთ. რამდენადაც უფრო მტანჯველია თქვენი პრობლემა, მით უფრო დიდია ალბათობა იმისა, რომ ეს პრობლემა ძილშიც დაგტანჯავთ. თანაც, როგორც წესი, სრულიად მოულოდნელი რაკურსით.

მეცნიერები, რომლებმაც სიზმარის ბუნება სრულიად ემპირიული გზით შეისწავლეს, იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ ყველაზე ელვარე და გრძნეული სიზმარი ადამიანის ტვინს დილის 5 საათზე ესტუმრება ხოლმე. ასტროლოგები კი გვირჩევენ: ყველანაირ სიზმარს ყურადღება არ მივაქციოთ. საგულისხმო მხოლოდ ის სიზმარია, რომელსაც მთვარის გარკვეულ ფაზაში, განსაკუთრებით, სავსემთვარეობის დროს ვხედავთ.

ხალხური გადმოცემის თანახმად, მომავლის განჭვრეტა ხუთშაბათ და კვირა ღამეს ნანახი სიზმრებით შეიძლება, მაგრამ გრძნეული სიზმრისთვის საუკეთესო დრო 18-19 იანვრის ღამეა. ნათლისღების ღამეს ნანახი სიზმარი თითქმის ყოველთვის აგიხდებათ.

დაბოლოს, თუ თქვენ ცუდი სიზმარი იხილეთ, გაღვიძებისთანავე გამდინარე წყალს გაატანეთ და ბოლოს, სამჯერ თქვით: „განვედ ჩემგან! განვედ ჩემგან! განვედ ჩემგან!“ ■

„ცისფერთვალება ქალბატონი“, „რკინის ლედი“, „პირველი“...

დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი 1979-1990 წლებში, კონსერვატიული პარტიის ლიდერი 1975-დან 1990 წლამდე, განათლებისა და მეცნიერების მინისტრი 1970-1974 წლებში

ეს ქალბატონი ჩვენი დროის პოლიტიკური ფენომენია. ოთხ ათწლეულზე მეტი ხნის განმავლობაში, მისი თანმდევი იყო ასეთი შეფასებები: „პირველი“, „პირველად“, „მანამდე არასოდეს“... ის იყო პირველი ქალი, ვისაც ინგლისის ყველაზე ცნობილი უნივერსიტეტის — ოქსფორდის უნივერსიტეტის სტუდენტთა კონსერვატიული ასოციაციის თავმჯდომარეობა ხვდა წილად; პირველი ქალი, ვისაც კონსერვატიული პარტიის ე.წ. „ჩრდილოვანი კაბინეტის“ წევრობა ერგო, პირველი ქალი დიდი ბრიტანეთის მთელი ისტორიის მანძილზე, რომელიც მისი უდიდებულესობის ოპოზიციაში იყო, დაბოლოს, ის იყო პირველი ქალი პრემიერ-მინისტრი არა მარტო დიდი ბრიტანეთის, არამედ ევროპის ისტორიაში. და კიდევ: ეს პოსტი მანამდე არავის რგებია სამჯერ და არავის რგებია მთავრობის თავმჯდომარეობა მასავით ხანგრძლივად — 12 წლის მანძილზე.

რით იპყრობდა საყოველთაო ყურადღებას ეს უჩვეულო ქალი და არაორდინარული პოლიტიკოსი? უპირველეს ყოვლისა, თავისი მრავალმხრივობით. ის მუდამ მომხიბვლელი, თავდაჯერებული იყო; ზოგჯერ ლმობიერი, გულისხმიერი ჩანდა, „ცისფერთვალება ლედის“ იმიჯით გვევლინებოდა, რომელიც გარშემო მყოფებს თავის მიმართ კეთილად განაწყობდა. მაგრამ ამ თვალებს ფოლადის ელფერიც გადაურბენდა და მაშინ, ის სასტიკი, ხისტი ხდებოდა და სავსებით ამართლებდა მისთვის მიძღვნილ ეპითეტს „რკინის ლედი“.

ბრიტანეთის ისტორიას (და არა მარტო ბრიტანეთისას), არ შემოუნახავს იმის მაგალითი, რომ ქალს ეხელმძღვანელა უმსხვილესი საომარი ოპერაციებისთვის, როგორც ეს არგენტინასთან ომის დროს, ფოლკლენდის (მალვინის) კუნძულებისთვის ბრძოლისას მოხდა.

დაბოლოს, ტეტჩერამდე ბრიტანეთის არც ერთი პრემიერ-მინისტრის სახელი არ მიუნიჭებიათ ახალი პოლიტიკური და ეკონომიკური მიმდინარეობისთვის. „ტეტჩერიზმმა“ მრავალი წლით განსაზღვრა ქვეყნის განვითარება და ბრიტანეთის აღორძინებას შეუწყო ხელი.

გავა წლები და „რკინის ლედის“ სახე ახალ ელფერს შეიძენს, გამოიკვეთება ლეგენდის კონტურები, დეტალები გაქრება. მარგარეტ ტეტჩერი XX საუკუნის ისტორიაში ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ პოლიტიკოსად დარჩება. საინტერესოა, რომ ის არც ერთ ფემინისტურ მოძრაობას არ ემხრობოდა, მან ქალის სრულიად ახალი ტიპი წარუდგინა მსოფლიოს, თითქოს იმისთვის იყო მოწოდებული, რომ კაცობრიობისთვის თვალნათლივ ეჩვენებინა, თუ რას მიაღწია სუსტმა სქესმა მეორე ათასწლეულის დასასრულს. თავის ძალებში დარწმუნებულმა მარგარეტ ტეტჩერმა აიძულა კაცობრიობა, ახლებურად შეეხედა ქალის შესაძლებლობებისთვის თანამედროვე საზოგადოებაში.

ნელსონ მანდელასთან ერთად

ბუნებრივია, რომ მარგარეტ ტეტჩერის ცხოვრებით მთელი ქვეყანა მაშინ დაინტერესდა, როცა ის პარტიის ლიდერად აირჩიეს. ინგლისელებისთვის მნიშვნელოვანი იყო, მის შესახებ ყველაფერი სცოდნოდათ — ვინ იყვნენ მისი მშობლები, როგორ აღიზარდა იგი, როგორ სწავლობდა სკოლაში, უნივერსიტეტში, როგორ გახდა პოლიტიკოსი და როგორ მიაღწია წარმატებას.

„ბავშვობა ბავშვობის გარეშე“ — ასე შეიძლება დავახასიათოთ მისი ცხოვრების პირველი წლები. მარგარეტი დაიბადა ომის შემდგომ წლებში, როცა დიდ ბრიტანეთს რთული ეკონომიკური პერიოდი დაუდგა. პატარა პროვინციული ქალაქი გრანტემი, რომელმაც ერთ დროს სახელი გაითქვა ნიუტონისა და კრომველის წყალობით, 1920-იან წლებში თანდათან დაჩაჩანაკდა. მისი მოსახლეობის ძირითად ნაწილს წვრილი მოვაჭრეები და ხელოსნები შეადგენდნენ. ყველა, ვისაც კი რაღაცის მიღწევა სურდა ცხოვრებაში, ცდილობდა, დაეტოვებინა ეს ქალაქი, რომელიც დიდი ბრიტანეთის ყველა რუკაზეც კი არ არის აღნიშნული. მარგარეტ ტეტჩერის მამას, ალფრედ რობერტსს პატარა საბაყლო ჰქონდა, რომელშიც ბავშვობიდან უწევდა შრომა მის ორ ქალიშვილს. მარგარეტი უმცროსი გახლდათ. საბაყლო ალფრედ რობერტსმა მაშინ შეიძინა, როცა მკერავ ბეატრის სტივენსონზე დაქორწინდა. ახალგაზრდა ოჯახი მაღაზიის თავზე მდებარე ბინაში დასახლდა. სწორედ ამ პატარა ბინაში დაიბადა მარგარეტ ჰილდა რობერტსი 1925 წლის

რონალდ რეიგანთან ერთად

მარიოს პრინცთან ერთად

13 ოქტომბერს. იქვე გაატარა მან თავისი ცხოვრების პირველი 18 წელიწადი.

მარგარეტის აღზრდაში გადამწყვეტი როლი ოჯახმა ითამაშა, პირველ ყოვლისა კი — მამამ. ის ძალზე ენერგიული ადამიანი იყო. მისი შეხედულებები, რომლებიც მას სურდა, ქალიშვილებისთვის გადაეცა, სიმარტივით და კატეგორიულობით გამოირჩეოდა: „უნდა იმუშაო, რომ საარსებო ფული იშოვო“, „არასოდეს არ უნდა დაკარგო წონასწორობა, ყოველ შემთხვევაში, სხვების თანდასწრებით“, „არასოდეს არ უნდა ილაპარაკო საკუთარ წარუმატებლობაზე“, „ნურასოდეს გაჰყვები ბრბოს, ნუ შეუშინდები მისგან განცალკევებას, ხოლო თუ აუცილებელია, თვითონ გაიყოლე ეს ბრბო“.

ეს წესები მარგარეტმა ბავშვობიდანვე აითვისა. მამამისი ძლიერი ხასიათით და სიმკაცრით გამოირჩეოდა. ის, რომ ტეტჩერმა მამისგან მემკვიდრეობით მიიღო ეს თვისებები, ეჭვგარეშეა. დედამისი კი მნიშვნელოვან როლს არ თამაშობდა არც მის აღზრდაში, არც ცხოვრებაში საერთოდ. შემდგომში, მრავალრიცხოვან ინტერვიუებში, როდესაც ოჯახზე ლაპარაკობდა, ტეტჩერი მუდამ დიდი სითბოთი საუბრობდა მამაზე, დედას კი ძალზე იშვიათად ახსენებდა...

რობერტსები ცდილობდნენ, შვილებისთვის ადრეული ბავშობიდანვე ჩაენერგათ შრომისმოყვარეობა. მთელ თავისუფალ დროს მარგარეტიც და მისი და — მიურიელიც დახლთან ატარებდნენ და მშობლებს მყიდველთა მომსახურებაში ეხმარებოდნენ. არანაირი გართობა მათთვის არ არსებობდა. ერთადერთი, რაც ნებადართული იყო, ეს იმ წიგნების ხმამაღლა კითხვა გახლდათ, რომლებიც მარგარეტს ბიბლიოთეკიდან გამოჰქონდა.

ალფრედ რობერტსის ინტერესების სფერო სულაც არ ამოიწურებოდა ვაჭრობით. იგი სერიოზული ადამიანი იყო. უყვარდა განმარტოება და წიგნი. რადგან ღმერთმა მას ვაჟიშვილი არ მისცა, გოგონებს, განსაკუთრებით კი — მარგარეტს, მისი სქესისთვის სრულიად შეუფერებლად ზრდიდა. ხუთშაბათობით, როცა საბაყლო შედარებით ადრე იკეტებოდა, მამას ქალიშვილები უნივერსიტეტში მიჰყავდა, საღამოს ლექციებზე. თუ თავად ვერ ახერხებდა წასვლას, მარგარეტი მარტო უნდა წასულიყო, რადგან ვალდებული იყო, ჩაეწერა ლექციები და მამისთვის მოეყოლა. მათ ოჯახში ცხარე დისკუსიები იმართებოდა პოლიტიკაზე, რომლებშიც აქტიურად მონაწილეობდა უმცროსი ქალიშვილი, ამასთან, არად დაგიდევდათ მოკამათეთა პიროვნებებს, ასაკსა თუ წოდებას.

სახლში ცხოვრების მკაცრი წესი იყო დამყარებული: არავის ჰქონდა დასვენების უფლება სამუშაო დღეებში. ის კი არა და, ხუმრობაც კი ეკრძალებოდათ. კინო, ნაყინი, თამაში მკაცრად იყო რეგლამენტირებული. მრავალი წლის შემდეგ, პრემიერ-მინისტრი დაწვრილებით იხსენებდა იმ რამდენიმე ფილმს, რომელიც ბავშვობაში უნახავს, თითეებზე შეეძლო ჩამოეთვალა ერთობლივი ოჯახური დღესასწაულებიც... ასეთ გარემოში გოგონა სერიოზულ და მარტოსულ პიროვნებად ყალიბდებოდა. მას არ ესმოდა ხუმრობა და ისინი, ვინც კარგად იცნობენ მარგარეტ ტეტჩერს, ხშირად აღნიშნავენ, რომ მან დიდობაშიც ვერ ისწავლა სიცილი...

მისი გენერალური შტაბის უფროსი იგონებდა: თუ რომელიმე მიღების ან ბრიფინგის პროგრამაში ხუმრობა იყო გათვალისწინებული, „ჩვენ მას ვაფრთხილებდით, რომ ახლა ხუმრობაა და ვუხსნიდით მის არსს“. მისი ჩვეულებრივი რეაქცია ხუმრობაზე იყო ფიქრიანი გამოხედვა და გაკვირვების შეძახილი — „ოჰ!“ მას როგორღაც უნდა დაეძლია საკუთარი ხასიათი, რომ მისი გამოსვლები ცოტა მსუბუქი და ხალისიანი ყოფილიყო. ამასთან, მარგარეტს ახალგაზრდობიდანვე კლავდა უსაზღვრო სურვილი, მუდამ ხალხის თვალწინ ყოფილიყო, ფოტოები გადაეღო, ელაპარაკა, ეკამათა. ერთი ხანობა მსახიობობაზეც კი ფიქრობდა: იმდენად ძლიერი იყო მისწრაფება იმისა, რომ ხალხს მოსწონებოდა, რაღაცაში დაერწმუნებინა მასა.

ბორის ელცინთან ერთად

რობერტსების ოჯახი ძალზე ეკლესიური გახლდათ. კვირაობით, როცა მაღაზია დაკეტილი იყო, მთელი დღე ღვთისმსახურებას ეძღვნებოდა. ოჯახი ეკლესიაში სამჯერ — დილაობით, დღისით და საღამოობით მიდიოდა. კვირას კითხვაც კი აკრძალული ჰქონდათ და რა თქმა უნდა, იმაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო, რომ გოგონებს თავიანთი თანატოლებიდან ვინმე შინ მიეწვიათ სათამაშოდ. ამ დღის ყოველი წუთი ეკლესიას ეკუთვნოდა.

სკოლაში მარგარეტი განსაკუთრებული წარმატებით არა, მაგრამ ცუდადაც არ სწავლობდა. ის არც პირველი მოსწავლე ყოფილა და არც ერთ-ერთი პირველთაგანი, მაგრამ მიუხედავად ამისა, გამოცდებზე მას შესანიშნავი მაჩვენებლები ჰქონდა. არ შეიძლება ითქვას, რომ სკოლაში ის უყვარდათ, არა, მას პატივს სცემდნენ. ბევრ მშობელს ის მაგალითად მოჰყავდა თავისი ცელქი შვილისთვის.

მარგარეტს სკოლაში მეგობრები არ ჰყოლია. თანატოლებთან მისი ურთიერთობა ძალზე რთულად ყალიბდებოდა. შესაძლოა, ეს იმით აიხსნება, რომ თვითონ არ იყო გულღია ადამიანი. მისი ინტერესების სფეროც საკმაოდ განსხვავდებოდა თანატოლების მიდრეკილებებისგან. მარგარეტს არ აინტერესებდა მოდა, ბიჭები, ყოველდღიური ჭორები — თემების მთელი ის ნაკრები, რომელიც ასე პოპულარულია ახალგაზრდულ წრეში. მას ხალისიანად მხოლოდ პოლიტიკაზე ლაპარაკი შეეძლო და თანაც, ისეთი მაქსიმალიზმით და იმდენად უაპელაციოდ, რომ ვერავინ ბედავდა მასთან შეკამათებას. მარგარეტთან კამათი მუდამ ტემპერამენტულ მონოლოგად იქცეოდა. ტყუილად როდი აღიარებდნენ მოგვიანებით მისი სკოლის და უნივერსიტეტის დროინდელი ნაცნობები, რომ ერჩივნათ, რობერტსი თავიანთ შეკრებებზე არ მიეწვიათ. შესაძლოა, თანატოლებთან ურთიერთობისას მოუცლელობაც უშლიდა ხელს — მისგან ხომ მუდამ საქმეს მოითხოვდნენ. გარდა ამისა, ის მუდამ სადად იცვამდა და ამიტომ თავის თანატოლებზე უფროსი ჩანდა. ერთი სიტყვით, მისი აღზრდა ძალიან ჰგავდა სპარტანულს.

სხვა ყველაფერთან ერთად, მარგარაეტს თანატოლებისგან სკოლაში მისი ხასიათიც გამოარჩევდა. აი, მხოლოდ ერთი მაგალითი, რომელიც მის პირდაპირობაზე, სიმტკიცესა და მიზანდასახულობაზე მეტყველებს. როცა 9 წლის მარგარეტმა საქალაქო კონკურსში გაიმარჯვა ლექსების კითხვაში, სკოლის დირექტორმა მილოცვისას თქვა, რომ მას ძალიან გაუმართლა, მარგარეტი კი ამაყად შეეპასუხა: „არა, მე ეს დავიმსახურე“.

ყველა თამაშსა და გართობას მარგარეტი იმ ცნობილ ადამიანებთან შეხვედრებს ამჯობინებდა, რომლებსაც სკოლაში იწვევდნენ. მას აგრეთვე მოსწონდა მონაწილეობა სკოლის სადისკუსიო კლუბის მუშაობაში, უყვარდა მამის მოსმენა, როცა ის თავის საქმეებზე ელაპარაკებოდა, შეკითხვებს ყოველთვის მოურიდებლად სვამდა და მათზე მუდამ ამომწურავ პასუხებს ითხოვდა.

პოლიტიკა მარგარეტის ცხოვრებაში ძალიან ადრე შეიჭრა. ის ჯერ მხოლოდ 10 წლის იყო, როცა საყოველთაო არჩევნების დროს კონსერვატიული პარტიის დოკუმენტებს დაატარებდა. სწორედ 30-იანი წლები

იქცა მისი პოლიტიკასთან ზიარების ხანად. შემდგომში ის ამბობდა: „იმ წლებში დავიწყე გარკვევა პოლიტიკაში, საერთაშორისო ცხოვრების მთავარ მოვლენაში, ომისა და მშვიდობის საკითხებში“.

მეორე მსოფლიო ომის პერიოდიდან, რომელიც მარგარეტს სამუდამოდ დაამახსოვრდა, მას პატრიოტიზმის ამაღლებული გრძნობა შემორჩა. ომმა უფრო მეტად შეუწყო ხელი მასში კონსერვატიული მსოფლაღქმის ჩამოყალიბებას. როცა ომი დამთავრდა, მარგარეტი მხოლოდ 20 წლის იყო, მაგრამ ის უკვე მტკიცე კონსერვატორი გახლდათ.

სკოლის დამთავრების შემდეგ მომავალმა პოლიტიკოსმა, განათლების გასაგრძელებლად ოქსფორდი აირჩია. გადამწყვეტ გარემოებად მის არჩევანში, სწორედ ის იქცა, რომ ეს სასწავლებელი ახლოს იყო პოლიტიკასთან. ინგლისის პრემიერებისა და მინისტრების უმრავლესობა სწორედ ოქსფორდის კურსდამთავრებულები იყვნენ. თანაც ოქსფორდი უფრო კონსერვატიული პოლიტიკური ცენტრი იყო, ვიდრე კემბრიჯი და უფრო ფართო გზას უხსნიდა თავის კურსდამთავრებულებს კონსერვატიული პარტიის საქმიანობაში მონაწილეობის მისაღებად.

სკოლის დირექტორს, ქალბატონ ჰილს ძალიან გაუკვირდა მისი ასეთი მოულოდნელი არჩევანი. მარგარეტს ხომ სკოლაში ისეთი წარმატებები არ ჰქონია, რომ ასეთ პრესტიჟულ უნივერსიტეტში ჩარიცხვის საშუალება მისცემოდა. მით უმეტეს, რომ მარგარეტმა არ იცოდა ლათინური, ოქსფორდში ჩასარიცხად კი ეს აუცილებელია. „თანაც, სკოლა ვერ შეძლებს, უნივერსიტეტში შესასვლელი გამოცდებისთვის საჭირო შესატანის გადახდას“, — დასძინა ქალბატონმა ჰილმა.

მაგრამ მარგარეტის ხასიათი ხომ ვერანაირ წინააღმდეგობას ვერ ეგუებოდა. თუ ის რაიმეს ჩაიფიქრებდა, თუნდაც შეუძლებელს, მერე უკვე ვეღარავინ შეძლებდა მისთვის გადაწყვეტილება გადაეთქმევინებინა. სწორედ ამიტომ მარგარეტმა მონდომებით დაიწყო ლათინურის შესწავლა, დაითანხმა მამა, მისთვის შესატანი გადაეხადა და 1943 წლის შემოდგომაზე ოქსფორდში გაემგზავრა. თუმცა, საწადელი მაშინვე ვერ აისრულა: გამოცდები ისე კარგად ვერ ჩააბარა, რომ უნივერსიტეტში ჩარიცხულიყო. ის შინ დაბრუნდა, რათა სკოლაში განეგრძო სწავლა და ამ დროს, მიიღო წერილი, რომლითაც ატყობინებდნენ, რომ უნივერსიტეტში კიდევ ერთი ვაკანსია დაუშვეს და მისი მიღება შესაძლებელი გახდა. მარგარეტი ქიმიის ფაკულტეტზე ჩაირიცხა. მართალია, ის ბრწყინვალედ არ სწავლობდა, მაგრამ საკმაოდ კეთილსინდისიერი სტუდენტი გახლდათ, რადგან ძალიან კარგად ესმოდა, რომ უნივერსიტეტის დიპლომი მხოლოდ ერთი საფეხური იყო მის მომავალ კარიერაში.

ინგლისის უნივერსიტეტები იმით გამოირჩევა, რომ მათი სტუდენტები საკმაო

სიტყვა „პირველი“ არაერთხელ გამეორდა მის პოლიტიკურ ცხოვრებაში

თავისუფლებით სარგებლობენ: მათ შეუძლიათ, მოუსმინონ ლექციებს როგორც თავიანთი სპეციალობის საგნებში, ასევე იმ პრობლემებზეც, რომლებიც უბრალოდ აინტერესებთ, ან კიდევ, საერთოდ არ დაესწრონ ლექციებს. ინგლისელი სტუდენტების ცხოვრება არ შემოიფარგლება სასწავლო აუდიტორიებით, ის დუღს და გადადუღს — სასადილოებში, კაფეებში, კორიდორებში, „კლუბებში, ფინჯანი ჩაის, ყავის ან ჭიქა შერის „თანხლებით“. კლუბებში გაცხოველებული დისკუსიები იმართება. იქ სტუდენტები არა მარტო განათლებას იღებენ, არამედ პოლიტიკური ბრძოლის ჩვევებსაც იძენენ. აი, სწორედ ასეთი სკოლა გაიარა მარგარეტმა, რომელმაც საკუთრებით შეგნებულად აირჩია თავისი მომავლისთვის პოლიტიკა.

უნივერსიტეტში ჩარიცხვისთანავე, მარგარეტი კონსერვატორთა ასოციაციაში შევიდა და აქტიურად მონაწილეობდა მის მუშაობაში. სულ მალე, პირველი წარმატებაც ეწვია: ის ასოციაციის პრეზიდენტად აირჩიეს, რაც გაუგონარი რამ გახლდათ, რადგან ის იყო პირველი ქალი ოქსფორდის მთელი ისტორიის განმავლობაში, რომელმაც ასეთ წარმატებას მიაღწია.

ტონი ბლერთან ერთად

მას შემდეგ, სიტყვა „პირველი“ არაერთხელ გამეორდა მის პოლიტიკურ ცხოვრებაში.

დასასრული შემდეგ ნომერში

ერთგული მკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...

1. რას ეძახდნენ საქართველოში ძველად პარიკმახერს?

ა) მკვეცარს;
ბ) დაბაღს;
გ) წამჭრელს.

2. გველის რომელი სახეობის ახალგამოჩეკილ წიწილებს შეუძლიათ, სასიკვდილოდ დაკბინონ ადამიანს?

ა) კობრის;
ბ) გიურზის;
გ) ანკარის.

3. სოფოკლე ამბობდა: „სილამაზე დედოფალია, რომელიც...



ა) ...ყოველთვის ბატონობს“;
ბ) ...ცოტა ხანს ბატონობს“;
გ) ...ყველაზე ბატონობს“.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

ტინეიჯერული კაბები ასაკოვანი ქალებისთვის...

ცოტა ხნის წინ, მხატვარ-მოდელიერმა სოფიო ფოთიაშვილმა კოსტიუმების პერსონალური ჩვენება მოაწყო. მან ამჯერად, საშეგმოდგომო ტინეიჯერულ-ავანგარდული და კლასიკური სტილის გამოსასვლელი კაბები წარმოადგინა. უახლოეს მომავალში კი, ზამთრის კოლექციის ჩვენებას გეგმავს.

ლიკა ქაჯაია

— ხელოვნებას, ბავშვობიდანვე ვეზიარე. ჯერ ვმღეროდი, მხატვრულ კითხვაზე დავდიოდი. მე-8 კლასში ვსწავლობდი, როცა ხატვა დავიწყე და ამის გამო, სამხატვრო აკადემიაშიც, დიზაინის ფაკულტეტზე ჩავაბარე. სწავლის პერიოდში, ჩვენებების ან გამოფენის მოწყობის უფლება არ გვქონდა. დღეს კი, მგონი, ეს ნებადართულია... მერე, თოიძის სახელობის სასწავლებელში ლექციებს ვკითხულობდი, მყავდა მხატვარ-მოდელიერთა ჯგუფები, მაგრამ ლექტორობას შევეშვი. ჩემი ერთადერთი სურვილი, საკუთარი სახელოსნოს გახსნაა.

— პირველი პერსონალური ჩვენება როდის მოაწყვე?

— 2004 წლის დეკემბერში. მაშინ მხოლოდ 10 კოსტიუმი მქონდა წარმოდგენილი. პირველსავე ჩვენებამ წარმატება მომიტანა.

— წარმატებაში რას გულისხმობ?

— იმას ვგულისხმობ, რომ ჩემმა კოსტიუმებმა მოწონება დაიმსახურა, აღიარება მომიტანა და სცენაზე გამომიყვანა.

— სულ რამდენი საჩვენებელი კოსტიუმი გაქვს შექმნილი?

— სულ 6 საჩვენებელი კოსტიუმი შევქმენი და თითოეული მათგანი, ტინეიჯერულ-ავანგარდულ სტილშია გადაწყვეტილი. მუშაობას ვაგრძელებ და იმედია, წლის ბოლომდე, ჩემი ნამუშევრების რიცხვი 100-ს მიაღწევს. ნაწილს მოსკოვში წავიღებ, სადაც ჩვენების მოწყობას ვგეგმავ.

— რატომ მაინცდამაინც მოსკოვში?

— ალბათ იმიტომ, რომ მოსკოვში მოდა ძალიან განვითარდა და მაინტერესებს, როგორ მიიღებენ რუსეთში ჩემს ნამუშევრებს.

— ბოლო ჩვენებაზე, საკმაოდ თამამი კოსტიუმები გქონდა წარმოდგენილი. რამდენად მისაღებია ასეთი სტილის სამოსი ქართველებისთვის?

— ვფიქრობ, ამ ბოლო დროს, ქართველი საზოგადოება ძალიან გათამამდა. ჩემ მიერ შექმნილი სამოსი ყველას ძალიან მოსწონს, რადგან ისინი სხვებისგან საკმაოდ განსხვავებული და თვალში საცემია.

— როგორც ვიცი, შენ მიერ შექმნილი სამოსის სტილი ტინეიჯერებზეა გათვლილი...

— არა მარტო მათზე. მე ვქმნი ისეთ კაბებსაც, რომლებიც ასაკოვან ქალებსაც მოსწონთ — 2 ქსოვილით ვკერავ სამოსს, რომელსაც ვამატებ რაღაც დეტალებს, რათა კაბამ ასაკის დამალვას შეუწყოს ხელი...

— რა ფერებია წელს მოდაში?

— მოდაში შემოდის ისეთი ფერები, რომლებიც ძალიან არ „ყვირის“: შავი, თეთრი, ყავისფერი და ა.შ. საერთოდ, ქართველებს ასეთი „ჩამჯდარი“ ფერები ძალიან გვიყვარს, რადგან ისინი ფორმებს არ ადიდებს.

— რომელი ფერები უწყობს ხელს სხეულის ფორმებს გადიდებას?

— ცისფერი, ვარდისფერი და ა.შ.

— ამბობენ, რომ შავი ფერიც ხშირ შემთხვევაში, გამოკვეთს სხეულის ნაკლს.

— მეტ-ნაკლებად ვეთანხმები ამ მოსაზრებას. გააჩნია, როგორ ქმნის დიზაინერი კოსტიუმს, რა სტილისაა ის. ხშირ შემთხვევაში, ნაკლის დაფარვის მიზნით, შავ ფერსაც სჭირდება სხვა ფერის შერევა, შეხამება...

უნდა გქონდეს თანდაყოლილი ნიჭი, რომელსაც მერე, სწავლით შეავსებ. სულით ხორცამდე დიზაინერი უნდა იყო.

— ყველაზე ხშირად, სხეულის რომელი ნაწილის დაფარვას გთხოვენ ქართველი კლიენტები?

— ოო... კარგი კითხვაა *(იცინის)*. რა გიპასუხოთ, არ ვიცი. ყველას კარგად მოეხსნება ის, თუ რისი პრობლემა აქვთ ქართველ მანდილოსნებს... ხშირ შემთხვევაში, მათი პრობლემის მოგვარებას ვახერხებ, მაგრამ ვფიქრობ, რომ თითოეულმა მათგანმა საკუთარ თავს თვითონაც უნდა მიხედოს, არ უნდა მიიყვანოს საქმე იქამდე, რომ რომელიღაც კოსტიუმი ვერ ჩაიცვას...

— რამდენად რთულია კლიენტებთან ურთიერთობა?

— ურთიერთობის სირთულე კონკრეტული ადამიანის კაპრიზზეა დამოკიდებული. ხშირ შემთხვევაში, ქართველ მომხმარებელს გადაწყვეტილების მიღება უჭირს. როცა ადამიანს შევხედავ, ვიცი, რა მოუხდება. აქედან გამომდინარე, მას ვთავაზობ ჩემ მიერ შერჩეულ სტილს. იმწუთას, საოცრად პრეტენზიულები ხდებიან, მაგრამ საბოლოო ჯამში (უკვე მზა მდგომარეობაში) მოსწონთ ხოლმე, თუმცა, ისიც უნდა აღვნიშნო, რომ მათი მოწონების დამსახურება საოცრად ძნელია, რადგან ქართველები გემოვნებიანი ხალხი ვართ...

— გყავს თუ არა მუდმივი კლიენტები და არიან თუ არა მათ შორის ცნობილი სახეები?

— მუდმივი კლიენტები მყავს, მაგრამ ისინი ცნობილი სახეების რიგს არ მიეკუთვნებიან (შეიძლება იმიტომ, რომ

ჯერჯერობით სახელოსნო არ მაქვს). თუმცა, ზედმეტი თავმდაბლობის გარეშე ვიტყვი, რომ ჩემი კლიენტები ყოველთვის კმაყოფილი მიდიან ჩემგან და არ მქონია შემთხვევა, რომ ვიღაცას რაღაც არ მოსწონებოდა.

— რა სტილის კაბებია აქტუალური წელს?

— ასიმეტრიული კაბები, რომლებშიც ახალგაზრდული ელემენტებია შესული. ასეთი სამოსის ჩაცმა სხეულის ნაკლის დაფარვის მიზნითაც ძალზე ხელსაყრელია.

— მოდაში შემოვიდა კლასიკური და სპორტული სტილის შეხამება, მაგრამ ეს შენს კოსტიუმებში არ შეინიშნება...

— ძალიან რთულია, ეს ორი, საოცრად განსხვავებული სტილი შეუხამო ერთმანეთს, თუმცა, დღეს არაფერს გამორიცხავ. ძალიან მიყვარს სპორტული სტილი, რომელიც ჩემი თვალთახედვით, ავანგარდულს უახლოვდება. მაქვს სწორედ ასეთი ავანგარდულ-სპორტული ქურთუკების კოლექციაც, მაგრამ ჩვენებაზე არ გამომიტანია. სუფთა სპორტულ სამოსზე როგორც ხაზზე, არ ვმუშაობ. ასეთ სამოსზე მუშაობა იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ ვინმე შეგიკვეთს.

— ვინ ან რა განსაზღვრავს მოდას — დიზაინერი, მომხმარებელი თუ დრო?..

— საერთოდ, მოდას დიზაინერი განსაზღვრავს, რომელიც თავისთავად, დროს არ უნდა ჩამორჩეს, რომ ამა თუ იმ მომხმარებლის გემოვნება დააკმაყოფილოს. დიზაინერს უნდა შეეძლოს, ისეთი მცირე დეტალების შეტანა კაბაში, რომელიც უცნაურ კლიენტს (რომელიც ასაკით ვთქვათ, 60 წელს მიუახლოვდა, მაგრამ მოსწონს ტინეიჯერული სტილი) დააკმაყოფილებს და ამასთანავე, სასაცილოს არ გახდის მას.

— ბევრ დიზაინერს ნემსის ხმარებაც კი არ ეხერხება...

— კერვა, დიზაინერის პრობლემა არც არის. თუმცა მიმაჩნია, რომ როცა კოსტიუმზე თავიდან ბოლომდე პასუხისმგებელი ხარ, უმჯობესია, მოდელი შენ დაიწყო და შენვე დაამთავრო, რათა არაფერი გამოგეპაროს... მე კერვაც მეხერხება, ქსოვაც და ქარგვაც.

— მოდაშია თუ არა ნაქსოვი სამოსი?

— კი, როგორ არა. მაგრამ ქსოვა ძალზე შრომატევადია და მისთვის იმდენი დრო და ენერგია არ მრჩება. ძირითადად, ჟაკეტებს, შარფებს ვქსოვ... ხშირ შემთხვევაში, ჩემ მიერ შექმნილ კოსტიუმებს თუ აქსესუარებს ნაქარგებით ვალამაზებ, რომელსაც საკუთარი ხელით ვაფორმებ.

— აქსესუარებზეც მუშაობ?

— როგორ არა?! ვმუშაობ გამაშებზე, ქუდებზე, გულსაბნევებზე, ხელთათმანებზე, ქამრებზე. მათ ქსოვილისგან ვკერავ და შემდეგ ბისერებით, თვლებით, ნაქარგებით და ა.შ. ვალამაზებ.

— ქამარი წელსაც აქტუალურია?

— რა თქმა უნდა. წლევანდელი ქამარი საოცრად ჭრელი უნდა იყოს, მაგრამ არა არეული, არამედ — ჩამჯდარი, კაბის შესაფერისი ფერებით. მოდაშია ქამრის გაკეთება, როგორც თეძოზე, ასევე წელზეც.

— ჩვენებაზე წარმოდგენილი გქონდა ცილინდრის ფორმის გრძელი ქუდი...

— ეს ქუდი ყველას აოცებს. სად დავიხუროთო? — მეკითხებოდნენ. მისი გამოყენება შეიძლება დისკოთეკაზე, კარნავალზე, ახალგაზრდულ შეკრებებზე.

— როგორც ვიცი, მხატვრობაშიც სცადე ბედი.

— ხატვა ძალიან მიყვარს და ბევრი ნახატიც დამიგროვდა. ამიტომ ვაპირებ პერსონალური გამოფენის მოწყობას. რამდენჯერმე ჩემი ნამუშევრები გამოფენაზე მქონდა გატანილი და ყველას გაკვირვებას იწვევდა. — რა ხელმა გააკეთა? როგორ ხატავ, უნდა გიყუროთო...

— რით ხატავ და ყველაზე მეტად რისი ხატვა გიზიდავს?

— ფანქრით, გუაშით, აკვარელით და ა.შ. ძალიან მომწონს მოდელების ხატვა. მაქვს აბსტრაქტული ნამუშევრები, პეიზაჟები, პორტრეტები.

— სად გქონდა გატანილი შენი ნამუშევრები?

— თანამედროვე ხელოვნების გალერეაში, ქარვასლაში. ორივე შემთხვევაში, ახალგაზრდა მხატვართა გამოფენა იყო მოწყობილი...

— დღეს რამდენად მოდურია დიზაინერის პროფესია?

— დიზაინერობა დღესდღეობით ძალიან პოპულარულია. ბევრმა მცოდნემ და არამცოდნემ დაიწყო ამ სფეროში მუშაობა. უმეტესობა მალევე გაიყინა...

— რა არის საჭირო იმისთვის, რომ კარგი დიზაინერი იყო?

ძალიან მომწონს მოდელების ხატვა. მაქვს აბსტრაქტული ნამუშევრები

— ჯერ ერთი, უნდა გქონდეს თანდაყოლილი ნიჭი, რომელსაც მერე, სწავლით შეავსებ. სულით ხორცამდე დიზაინერი უნდა იყო. ეს პროფესია მარტო ესკიზის შექმნით ხომ არ შემოიფარგლება — ამასთან ერთად, ქსოვილის სწორად შერჩევა, ფერებისა და ფორმების შერჩევა-შეხამება და სხვა ათასგვარი ელემენტის გამოყენება უნდა შეგეძლოს. და კიდევ, ჩვენს პროფესიაში მთავარია, პრაქტიკა. ყოველ გავლილ წელს დიდი მნიშვნელობა აქვს...

— დაბოლოს, შენი უახლოესი გეგმები?

— უახლოეს პერიოდში, გავემგზავრები მოსკოვში, სადაც მოვაწყობ კოსტიუმების ჩვენებას. მანამდე კი, ვეცდები, ხალხს შევთავაზო ზამთრის კოლექცია, სადაც წარმოდგენილი მექნება შარვალ-პიჯაკები, პალტოები...

ანრი ჯოხაძეს კიევში ნაუბნის ღია მიაქვს:

წინასწარ ვიცი, ვის უნდა დავურეკო...

ახალგაზრდა მომღერალი ანრი ჯოხაძე რამდენიმე დღეში, ფესტივალზე კიევში მიემგზავრება, რის გამოც ხმის ჩამწერი სტუდიიდან თითქმის არ გამოდის და ახალ სიმღერებს წერს. მეც შემთხვევით ვისარგებლე და ვიდრე მომღერალი კიევიდან პრიზით ხელდამშვენებული ჩამოვა, ინტერვიუსთვის სტუდიაში ვეწვიე.

როგორი ქალები მოსწონს ანრის, ვისთან ერთად მიემგზავრება ის კიევში და რა მდგომარეობაშია დღევანდელი შოუბიზნესი, — ამ ყველაფერზე თავად ანრი გვესაუბრება.

ნათია ქივიძე

— ანრი, რა არის შენკენ ახალი?

— ყველაზე ახალი ის არის, რომ უკრაინაში კონკურსზე წასასვლელად ვემზადები. იქ ტარდება საერთაშორისო კონკურსი — „მორე დრუზეი“, რომელიც 6 ნოემბერს იხსნება. სხვათა შორის, ექვსში ჩემი დაბადების დღეა...

— ამ ფესტივალზე რომელ სიმღერებს შეასრულებ?

— სულ 5 სიმღერას შევასრულებ. მათი მოთხოვნის მიხედვით, პირველ ტურში უკრაინული სიმღერა უნდა შევასრულო, რომელიც უკვე ჩავწერე. ამ სიმღერას სოფია როტარუ 30 წლის წინ მღეროდა. ასევე ვიმღერებ ეთერ ჭელიძის სიმღერას — „მე მაინც მოვალ“. მერე, „უფლებას“, „იუმორესკას“ და კიდევ ერთ ინგლისურ სიმღერას, რომელზეც ახლა ვმუშაობ.

— გამარჯვების იმედი თუ გაქვს?

— რა თქმა უნდა. როგორ შეიძლება, რომ ამის იმედი არ მქონდეს?!

— მე ვიგულისხმე — შენი აზრით, ჩინეთის ამბავი ხომ არ გამეორდება? როგორც წინა ინტერვიუში აღნიშნე, ჩინეთის ფესტივალზე არაობიექტური ჟიური იყო და არც ფულადი პრემია გადმოგცეს, რომელიც გეკუთვნოდა...

— არა, ჩინეთის ამბავი არავითარ შემთხვევაში არ გამეორდება. იქ ისეთი ამბავი მოხდა, რომელიც აქამდე, არც არასოდეს გამიგია და არც მე შემმთხვევია.

— კიევში რომელიმე პროდიუსერული კომპანიის დახმარებით მიდიხარ?

— არა. არავინ მეხმარება. კიევში წასასვლელად რეკომენდაცია კულტურის მინისტრმა, გოკა გაბაშვილმა გამიწია, რისთვისაც მას დიდ მადლობას ვუხდი.

— გასამგზავრებელი თანხებიც კულტურის სამინისტრო უზრუნველგყოფს?

— არა. იმისთვისაც მადლობელი ვარ, რომ მინისტრმა თავი შეიწუხა და რეკომენდაცია გამიწია. კიევში გასამგზავრებლად მაინცდამაინც დიდი თანხა არ არის საჭირო, ეს ამბავი უკვე მოვაგვარე და საწუწუნო არაფერი მაქვს. იქ რომ ჩავალ, სასტუმროში დავბინავდები და ცხოვრებისა და კვების ფულს ისინი გადაიხდიან. რა თქმა უნდა, გამარჯვების შემთხვევაში, ფულად პრემიასაც გადმომცემენ. უკრაინელებს შესანიშნავი საპრიზო ფონდი აქვთ. ისიც მინდა დავძინო, რომ კონცერტზე სტუმრის სტატუსით მიწვეულია ქართველი მომღერალი, მარი ნაცვლიშვილი, რომელიც ჩემთან ერთად წამოვა კიევში. ფესტივალის გახსნაზე ისიც უკრაინულ სიმღერას შეასრულებს. სხვათა შორის, მკითხველისთვის ალბათ, საინტერესო იქნება: ვისი ტელევიზორიც კიევის პირველ არხს უჩვენებს, 6-იდან 9 ნოემბრამდე, ფესტივალის პირდაპირ ეთერში ყურება შეეძლება და მეც და მარისაც გვიხილავენ.



მე და მარი ერთმანეთს ბავშვობიდან ვიცნობთ

— როგორც ვიცი, ფესტივალის გარეშეც წერ ახალ სიმღერას...

— მართალია. ერთი კი არა, რამდენიმე ახალი სიმღერა ჩავწერე. კიევიდან რომ ჩამოვალ,

კლიპზეც ვიფიქრებ. იქ ყველა სიმღერაზე ვიდეორგოლს გადაიღებენ, როგორც აქამდე ხდებოდა ხოლმე. ერთი ძალიან ლამაზი, მსუბუქი, საცეკვაო სიმღერა მაქვს, რომელზეც რაღაც „კლიპურ ჩანახატს“ გადავიღებ, როგორც ეს „უფლების“ შემთხვევაში გავაკეთე. მაგრამ დაბრუნებისთანავე, აუცილებლად სერიოზულ კლიპსაც გადავიღებ.

— აქამდე, სიმღერას მხოლოდ საკუთარი თავისთვის წერდი, ახლა სხვა მომღერლებსაც უწერ. რამ გაიძულა ამის გაკეთება?

— არაფერმა არ მაიძულა. უბრალოდ, საჭიროდ ჩავთვალე, რომ სხვებისთვისაც დამეწერა სიმღერები.

— მერე, ამ სიმღერებს საჩუქრად გადასცემ თუ ყიდი?

— საჩუქრადაც. მაგალითად, ნინი შერმადინს ვაჩუქე.

— ხომ არ არის მოსალოდნელი, რომ შენ და ნინომ დუეტი ჩაწეროთ?

— რატომაც არა! ჩვენი ალიანსი გაგრძელდება. დუეტი ჩაფიქრებული გვაქვს და როცა დრო იქნება, აუცილებლად ჩავწერთ კიდეც. ასევე გეგმაში მაქვს ეკა კვალიაშვილთან დუეტის ჩაწერა...

— ჰოლივუდში არ გაგასწროს...

— არა, არ გამასწრებს. ამ საკითხზე უკვე ვილაპარაკეთ და კიევიდან დავბრუნდები თუ არა, დუეტს აუცილებლად ჩავწერთ. სხვათა შორის, ძალზე მიხარია, რომ უნდა ვიმღერო ისეთი დონის მომღერალთან, როგორიც ეკა კვალიაშვილია. შეიძლება ითქვას, რომ ერთ-ერთი ჩემი ოცნება ახდა, რადგან ეკა ჩემთვის მომღერლის ეტალონია. შეძლებისდაგვარად, ამ დუეტზე კლიპსაც გადავიღებთ. ვნახოთ, ავარჩევთ საზოგადოებისთვის მისაღებ სიმღერას.

— კომერციულს?

— კომერციული რას ჰქვია?

— ჩემი აზრით, შენ კომერციული მომღერალი არ ხარ...

— მაგაში ვერ დაგეთანხმები. აბა, მაშინ რატომ გაჰიტდა ჩემი „უფლება“? ეს ხომ ჯაგიჯუგი არ არის, აბსოლუტურად კლასიკურია. მაგრამ ხალხს მაინც მოსწონს. თუმცა, მე კომერციულობაზე არც მიფიქრია, ეს ჩემი შემოქმედებითი მხარეა. სხვათა შორის, ჟურნალისტი ხარ და ჩახედული იქნები ამ საქმეში: ტენდენცია შეიცვალა, აღარ ჰიტდება ის „ჯაგაჯუგები“ და მარტივი სიმღერები. ამით ძალიან ბედნიერი ვარ. საზოგადოების და ჩემი თაობის გემოვნება შეიცვალა და აღარ უსმენენ იმ საშინელებებს. ბევრი მომღერალიც მიხვდა იმას, რომ სიმღერაში ვოკალია საჭირო და არა ჩურჩული და ლაპარაკი... საერთოდ, მიმაჩნია, რომ ჩვენი შოუბიზნესი საკმაოზე მეტადაც კი იწმინდება. ისეთი შთაბეჭდილებაც კი მრჩება, რომ სცენაზე საცერი დევს და მომღერლები „იცრებიან“. ეს ამბავი ცუდია მათთვის, ვისაც სიმღერა არ შეუძლია და კარგია მათთვის, ვისაც ამ კრიზისული პერიოდის გადალახვა შეუძლია.

— მოდი, ახლა პირად ცხოვრებაზე ვისაუბროთ. რაიმე სიახლე თუ არის?

— არა, არანაირი სიახლე არ არის. ჯერჯერობით, არავინ არ მიყვარს. პირადი ცხოვრებისთვის ჯერ არ მცალია.

— მარი ნაცვლიშვილთან ერთად კიევში რომ მიემგზავრები, ეს მხოლოდ კოლეგების ერთობლივი მოგზაურობა იქნება?..

— რასაკვირველია. მე და მარი ერთმანეთს ბავშვობიდან ვიცნობთ. მარის დეიდა დედაჩემის მოსწავლე იყო, სიმღერაზე დადიოდა დედასთან და იქ გავიცანით ერთმანეთი. ასე რომ, ჩვენ შორის არაფერი მოხდება. თუმცა, ცხოვრებაში არაფერი არ უნდა გამორიცხო...

როცა დრო იქნება ნინი შერმადინთან (მარჯვნივ) დუეტს აუცილებლად ჩავწერ

— მაშინ მითხარი, როგორი ქალები იპყრობენ შენს ყურადღებას?

— კარგი ქალები მომწონს.

— კარგში რას გულისხმობ?

— კონკრეტულად ვერ დაგიხასიათებ. ქალი, თუ ის ქალურია, შეიძლება, თმადაუვარცხნელიც მომეწონოს... ქალი მამაკაცისთვის სასურველი უნდა იყოს. ვერ ვიტან უნიჭო ქალებს და არა მხოლოდ ქალებს — ზოგადად, ადამიანებს ვერ ვიტან. რაც შეეხება ქალს — მამაკაცის შებმის ნიჭი ყოველთვის უნდა ჰქონდეს.

— დარწმუნებული ვარ, შენს შებმას ბევრი ქალი ცდილობს. როგორ იგერიებ მათ?

— კი, ჩემ მიმართ სიმპათიებს ნამდვილად გამოხატავენ. მაგრამ ისეთი ხასიათი მაქვს, რომ ნებისმიერი ქალი გრძნობს მისადმი ჩემს დამოკიდებულებას: როცა ქალი მომწონს, პირდაპირ ვეუბნები — მომწონხარ, როგორც ქალიმეთქი. თუ სამეგობროდ მომწონს, ამასაც გახსნილად ვეუბნები. არასოდეს მივმართავ რაღაც ხრიკებს — ვთქვათ, თვალები მოვუჭუტო და მკერდი შევუთვალიერო... ქალთან ურთიერთობისას, ყოველთვის გახსნილი კარტით ვთამაშობ. კაცი ელემენტარული კომპლიმენტის თქმის დროსაც იყიდები...

— ამწუთას თუ არსებობს ქალი, რომელიც მოგწონს, როგორც ქალი?

— არსებობს. მისი ვინაობა ცნობილი არ არის.

— იცის, რომ მოგწონს?

— არა.

— რატომ? გახსნილი რატომ არ ხარ?

— ჯერ არ გვაქვს ისეთი ურთიერთობა, რომ ასეთი რამ ვუთხრა. ურთიერთობისას ყველაფერი ეტაპობრივად ხდება. თუ ამ შემთხვევაში, რაიმე საინტერესო მოხდება, სიამოვნებით გაგიზიარებ ამ ამბავს — შენც და ყველა ნაცნობ ადამიანსაც.

— მახსოვს, ჩინეთიდან რომ ჩამოხვედი, მითხარი — საშინელი ქალები ჰყავთ, გული არც კი მიმივიდა მათზეო. უკრაინელი ქალები მსოფლიოში ცნობილები არიან თავისი მომხიბვლელობით. მათთან დაახლოებას ხომ არ აპირებ?..

— კიევში უკვე მეოთხედ მივდივარ და მათი გემო კარგად ვიცი. ახლა ტელეფონების სია მაქვს მომარჯვებული და უკვე წინასწარ ვიცი, ვის უნდა დავურეკო. იქ რომ ჩავალ, რა თქმა უნდა, გავერთობი კიდეც...

— როგორ ფიქრობ — არაქართველ ქალს მოიყვან ცოლად?

— რა ვიცი. თუ კარგი ქალი იქნება, მომეწონება და მასში იმ თვისებებს აღმოვაჩენ, რომლებიც ქალში მხიბლავს, რატომაც არა?! თუმცა, ქართველი ქალების ფონზე, ეს ცოტა ძნელი წარმოსადგენია...

■

ნდობის ტელეფონი
ფსიქოლოგიური
კონსულტაციები
☎822 009 005
822-009-099
ზარი ფასიანია, 18 წლიდან

დაკავშირება შესაძლებელია
ტელეკომ-პარათებითაც

ქალი, მამაკაცი და ზოდიაქო

„გზის“ წინა ნომერში შემოგთავაზეთ სხვადასხვა თვეში დაბადებულ მამაკაცთა ხასიათის ნიშან-თვისებების ჩამონათვალი, რომელიც უძველეს ჩინურ ასტროლოგიურ ტრაქტატში — „ციან-ძინშია“ მოცემული და ჩვ.წ.აღ-მდე IV საუკუნეში ვარსკვლავთმრიცხველმა — ში შენმა შეადგინა. ამჯერად, საკუთარი ხასიათის ახალი კუთხით განხილვას ქალბატონებს ვთავაზობთ.

ქალი, რომელიც დაიბადა...



იანვარში (ხარის თვე)

თავმდაბალია და ცდილობს, ყველასთან ნორმალური ურთიერთობა შეინარჩუნოს. თუ ახალგაზრდობაში მაინცდამაინც ლამაზად არ გამოიყურება, ასაკში შესვლისას იფურჩქნება და ახალგაზრდულ შეხედულებას ღრმა სიბერემდე ინარჩუნებს. იშვიათად გამოდის წონასწორობიდან, ისიც — იმ დროს, როდესაც მის ოჯახს საფრთხე ემუქრება. მისი ჯანმრთელობისთვის სახიფათო თვეებია მარტი და აგვისტო. **კრიზისულია 3, 8 და 80 წლის ასაკი.**

თებერვალში (ვეფხვის თვე)

გამოირჩევა კეთილსინდისიერებით, აქვს მშვიდი ხასიათი, ყოველთვის გულწრფელია და სხვებისგანც ამას ითხოვს. მზადაა, ახლობლისთვის მსხვერპლი გაიღოს. მიზანსწრაფულია და თუ მიზანი დაისახა, ყველანაირად ცდილობს მის მიღწევას. ის ცხოვრების მანძილზე ბევრ ადამიანს ხვდება და ბევრი მეგობარიც ჰყავს. შესაძლოა, პირადი ცხოვრება ღარიბ ადამიანს დაუკავშიროს. **კრიზისულია 40, 59 და 73 წლები.**

მარტში (კურდღლის თვე)

ძალზე გულისხმიერია, ყოველთვის ცდილობს, ყველას დაეხმაროს, ზოგჯერ ამით დათვურ სამსახურს უწევს საკუთარ თავს, რადგან მის დახმარებას ცუდად იყენებენ. ხშირად, ის ცნობილი და მდიდარი ადამიანის ცოლი ხდება. თუმცა, მაინც ვერ გრძნობს თავს ბედნიერად. **კრიზისულია 5, 17 და 73 წლები.**

აპრილში (დრაკონის თვე)

საკმაოდ ბობოქარი და ჯიუტია. ხშირ შემთხვევაში, არავის უჯერებს, რის გამოც პრობლემებს იმრავლებს. ცხრა წელიწადში ერთხელ, მას ცხოვრება გარკვეულ გამოცდას უწყობს, რაც ხშირად, არასასიამოვნო ამბით მთავრდება, რომელიც არა მარტო მას, არამედ მის ახლობლებსაც ვნებს. 47 წლის შემდეგ მისი ცხოვრება წყნარ კალაპოტში შედის. **კრიზისულია 67 და 68 წლები.**

მაისში (გველის თვე)

„ბედის ნებიერია“ — მასზე თითქმის ყველა მისი ახლობელი ზრუნავს. ის თვითონ ირჩევს პარტნიორს და თავის გრძნობებს სრულად მხოლოდ მასთან ავლენს. ზოგჯერ ის რამდენჯერმე ქორწინდება. უყვარს მოგზაურობა და ამის შესაძლებლობის შემთხვევაში, საცხოვრებელ სახლსაც იცვლის. 30 წლის ასაკში ფასეულობათა გადაფასებას ახდენს და ამის გამო, შეიძლება, ოჯახიც დაენგრეს. **კრიზისულია 35, 60, 68 და 79 წლები.**

ივნისში (ცხენის თვე)

პრეტენზიული და მომთხოვნია. ხშირად, ზედმეტი მომთხოვნელობის გამო, ოჯახის წევრებთან კონფლიქტში შედის. სხვათა შენიშვნებს არ ითვალისწინებს და ცდილობს, მხოლოდ საკუთარი პრინციპებით იხელმძღვანელოს. მამაკაცებს იყენებს საკუთარი მიზნების მისაღწევად და არც მათ ცდუნებაზე ამბობს უარს. ხანდახან, ზედაპირული ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებს. ადვილად შეუძლია ქონების გაფლანგვა. **კრიზისულია 8, 21, 42 და 69 წლები.**

ივლისში (ცხვრის თვე)

ადამიანებზე დიდი ზემოქმედების უნარით გამოირჩევა და ცდილობს, ეს უნარი მაქსიმალურად გამოიყენოს. ულევი სასიცოცხლო პოტენციალი აქვს. თუ პირად ცხოვრებაში ხელი მოეცარა, მაშინ ცდილობს, პროფესიონალურ საქმიანობაში მიაღწიოს წარმატებებს. ხანდახან ზედმეტ პატივმოყვარეობას იჩენს, მაგრამ თუ ეს თვისება დათრგუნა, მაშინ უფრო სწრაფად ახერხებს წინსვლას. არ ივიწყებს წყენას და შეუძლია, დიდი ხნის შემდეგ გაგახსენოთ. **კრიზისულია 47, 50, 61 და 88 წლები.**

აგვისტოში (მაიმუნის თვე)

ახასიათებს ღრმა განცდები. მამაკაცის თითოეული სიტყვა და მოქმედება მასზე პირდაპირ მოქმედებს, ამიტომ თითქმის ყოველთვის შეყვარებულია. ცხოვრების მანძილზე ბევრ პარტნიორს იცვლის, თუმცა ცდილობს, ერთხელ იქორწინოს, რადგან ქორწინების საკითხში ის ჩამოყალიბებული კონსერვატორია. ნაკლებად უმართლებს შვილებში. 53 წლის ასაკში, დიდი დარდი გაუჩნდება. **კრიზისულია 28, 32, 52 და 89 წლები.**

სექტემბერში (მამლის თვე)

საკმაოდ კრიტიკულია, როგორც გარშემომყოფების, ისე საკუთარი თავის მიმართ. ცდილობს, შეუმჩნევლად იმოქმედოს. განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს დეტალებს. უყვარს მოვლენების გაანალიზება. კრიტიკულობის გამო, კონფლიქტი მოსდის ასაკით უფროს ადამიანებთან. თუ გონიერებას მოუხმო, მისგან კარგი მეუღლე და მრჩეველი დგება. **კრიზისულია 19, 29, 39 და 90 წლები.**

ოქტომბერში (ძაღლის თვე)

საკმარისზე მეტად მაცდუნებელია. ამას ძირითადად, მისი სილამაზე და შარმი განაპირობებს. რელიგიურია და ცდილობს, პატიოსანი ცხოვრების წესის ერთგული იყოს. წარმატებულია ხელოვნებაში, განსაკუთრებით — მხატვრობასა და მუსიკაში. შეუძლია შუამავლის როლის შესრულება. 18 წლის ასაკში შესაძლოა, სერიოზული ავადმყოფობა გადაიტანოს. **კრიზისულია 42 და 44 წლები.**

ნოემბერში (ღორის თვე)

შინაგანი სილამაზე და ძლიერი სენსორული ენერგია აქვს, რომელიც შესაფერის პირობებში, სექსუალურ ენერგიად გადაიქცევა. შეუძლია, არა მარტო მოხიბლოს მამაკაცი, არამედ დაინტრიგოს კიდეც. თუ მოინდომა, უდიდესი წარმატების მიღწევა შეუძლია როგორც პირად ცხოვრებაში, ისე პროფესიონალურ საქმიანობაში. თუმცა, არცთუ ისე იშვიათად, ახლობელი ადამიანების სიკვდილის გამო, უარს ამბობს ბევრ სიამოვნებაზე. **კრიზისულია 33, 53, 62 და 73 წლები.**

დეკემბერში (ვირთხის თვე)

საკმაოდ ჭკვიანია, მაგრამ გულით ნამდვილი ბავშვია და გარშემო მყოფთაგან ბევრი ამით სარგებლობს. არ შეუძლია ტყუილი და ღალატი. ზოგჯერ სუსტი ხასიათითაც გამოირჩევა — ეს მაშინ ხდება, როცა მისი პარტნიორი მასზე ფიზიკურ ზემოქმედებას ახდენს. ვერ იტანს ვერანაირ შეზღუდვას. **კრიზისულია 30, 41, 68 და 70 წლები.**



55-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ა; 2-ა; 3-ბ.

ანეკდოტები

***

მსუქან ქალს აეროპორტში მიეჩქარება და ტაქსის აჩერებს. მეგრელი მძღოლი ცდილობს, მგზავრს გამოელაპარაკოს და ეუბნება:

— იცით... თქვენ დღეს მესამე ორსულ ქალბატონი ბრძანდებით, პატივცემულო, აეროპორტში რომ მიმყავს.

— მე საერთოდ არ ვარ ორსულად, — არ მიიღო კომპლიმენტი ქალმა.

— მერე, ჯერ ხომ არ მივსულვართ... მაგალითად!.. — აღშფოთდა მეგრელი.

***

ორი „ბუხოი“, ტაქსისტთან მივიდა და ეუბნება:

— ძმაო, სამ კაცს ვაგზლამდე გაგვიყვან?

— თქვენ რომ ორნი ხართ?!

— შენ რა, არ მოდიხარ, ტო?!

***

მიხო შვილს უწყრება:

— რამდენჯერ გითხარი, შე ვერანა, შენა, თავში ჩაქუჩს ნუ ირტყამ-მეთქი.

— რათა, მამი?.. ძალიან ვხმაურობ?

***

— საყვარელო, შენ მალე მამა გახდები!

— ეეე, ჩემი ბედი რა ვთქვი, მე კიდე, კოსმონავტობა მინდოდა.

***

მდივანი ბიზნესმენთან შედის:

— გარეთ ვიღაც ბატონი გელოდებათ. ამბობს, რომ მისი 100 ათასი გმართებთ!

— როგორ გამოიყურება?

— ისე გამოიყურება, რომ ჯობია, გადაუხადოთ.

***

ნაბახუსევზე უფროსი ქვეშევრდომებს მოძღვრავს:

— ნუ აღვიძებთ ჩემში მხეცს! ისედაც გამოუძინებელია!

***

იურიდიული კონსულტაცია.

— მეზობელმა სქელი და უტვინო მიწოდა. რას მირჩევთ, როგორ მოვიქცე?

— წონაში უნდა დაიკლოთ, ქალბატონო.

***

ბიზნესმენის ფოე-ფოე ცოლის დღიურიდან:

ხვალის საქმეები:

დილით — ისტერიკა. საპარიკმახეროში;

მერე საყიდლებზე;

საღამოს — თაკუნასთან საჭორაოდ;

მაკუნასთან გასავლელი;

სახლში მოსვლა;

ისტერიკა...

***

— რატომ არავის უყვარს ვალის დაბრუნება? — კითხულობს ჭიჭიკია.

— იმიტომ, დაგენაცვლე, რომ სესხულობ სხვისას და დროებით, ხოლო აბრუნებ საკუთარს და სამუდამოდ, — პასუხობს მოშე.

***

მიხო:

— ჭამე, პური, შვილო.

— პური რო არ მიყვარს?!

— ჭამე, ჯოო და დიდი და ღონიერი გაიზრდები.

— რაში მჭირდება?

— პური ფული რო იშოვო.

— მამი... ხომ გითხარი, პური არ მიყვარს-მეთქი.

***

მმაჩის ბიუროს კართან წყვილებს ეკითხებიან — ანგარებით ქორწინდებიან თუ სიყვარულით? ყველა პასუხობს: სიყვარულით! სიყვარულით!.. ბოლოს გამოვიდა ზორბა ქალი ჩია მამაკაცთან ერთად და თქვა:

— მიმიფურთხებია სიყვარულისთვის, მიმიფურთხებია ფულისთვის, ვიცი, რომ ყველა მამაკაცი ნეხვია და პატარა გროვა ავარჩიე.

***

— რად გინდათ კაბინეტში აკვარიუმი? — ჰკითხეს წარმატებულ ბიზნესმენს.

— მიყვარს არსება, რომელიც პირს აღებს და ფულს არ მთხოვს.

***

სვანი სიცრუის დეტექტორზე უნდა შეამოწმონ. უხსნიან:

— გისვამთ კითხვას, თქვენ პასუხობთ. თუ მართალს ამბობთ, მწვანე ნათურა აინთება, თუ მოიტყუებით — წითელი. გასაგებია?

— გასაგებია! — უთხრა სვანმა და წითელი ნათურა აინთო.

***

— გოგონა, დაბრძანდით, მანქანით გაგიყვანთ...

— იცით, არ მცალია... მეჩქარება.

***

ახალგაზრდა მხატვარმა მენატურე ქალს აკოცა. იმას ვითომ ეწყინა:

— შენ რა, ყველა ნატურას კოცნი?!

— არა... შენ პირველი ხარ.

— ბევრი გყავდა?!

— თევზი, ხახვი, თეფში... მოკლედ, მეოთხე ხარ.

***

მიხო ცოლს ეკითხება:

— რა გაჩუქო დაბადების დღეზედა?

— უი, მიხო, არც კი ვიცი...

— კარგი, მოსაფიქრებლად ერთ წელიწადს გაძლევ.

***

პროგრამისტი ცოლს ეუბნება:

— გაიგე, თურმე 10-15 წლის შემდეგ, კომპიუტერთანაც იქნება სექსი შესაძლებელი.

— მერე რა?.. შენთვის მაინც არაფერი შეიცვლება...

***

ბიჭიკიას სახლში თავისი ძაღლი გაავებული ყეფით შეხვდა.

— რა უთხარი, ნაზიკია, ამფერი?.. რავა, გოუმხილე ქუჩიდან აყვანილი რომ მყავს?!.

***

ქუთაისელს მამა გარდაეცვალა. გააგზავნინეს სურათი.

— რა არის, ჭიჭიკია, რამხელა ყურები ჰქონია მამაშენს?! — შეეხმიანა ვიღაცა.

— ბუჯო, რაია, იცი... ფოტოგრაფი გამოგვადგა უბედური: მარტო ყურები გოუდიდა.

***

ორი ქართველი ბიზნესმენი პარლამენტარი სხდომაზე ლაპარაკობს:

— ბიჭო, შენ დაცვაში რამდენი კაცი გყავს?

— 11... შენ?

— ვაა, მეც 11. მოდი, გინდა, მაზიანზე ფეხბურთი ვათამაშოთ.

***

ორი ცისფერის დიალოგი:

— კოწიკო, შე ფინთო, ქალის ტანგა აღგაგზნებს?

— კი, ზვიკო... განსაკუთრებით მაშინ, თუ მე მაცვია.

რამდენად კომუნიკაბელური ადამიანი ბრძანდებით?

ტესტის შეკითხვებს უნდა უპასუხოთ: „დიახ, „არა“, ზოგჯერ“.

1. როცა წინ ორდინარული საქმიანი შეხვედრა გელით, მისი მოლოდინი ცხოვრების ჩვეული კალაპოტიდან ხომ არ გაგდებთ?

2. ექიმთან წასვლამდე, მანამ ხომ არ ითრევთ ფეხს, ვიდრე ჯანმრთელობის მდგომარეობა არ გაგიუარესდებათ?

3. უკმაყოფილების გრძნობა ხომ არ გეუფლებათ ან ხომ არ ფორიაქდებით, როცა თათბირზე მოხსენებით გამოსვლას გავალებენ?

4. მივლინებით ისეთ ქალაქში გგზავნიან, სადაც მანამდე არასდროს ყოფილხართ. იქ გამგზავრების თავიდან ასაცილებლად, ხომ არ გააკეთებთ შესაძლებლობის მაქსიმუმს?

5. გიყვართ თუ არა, როცა საკუთარ განცდებს ვინმეს უზიარებთ?

6. ღიზიანდებით თუ არა, როცა სრულიად უცხო ადამიანი ქუჩაში თხოვნით მოგმართავთ?

7. გჯერათ თუ არა „მამათა და შვილთა“ პრობლემის არსებობის, რომ სხვადასხვა თაობის ადამიანებს უჭირთ ერთმანეთის გაგება?

8. მოგერიდებათ თუ არა, შეახსენოთ ნაცნობს ის, რომ მას თქვენგან ნასესხები მცირედი თანხის დაბრუნება დაავიწყდა?

9. შეამჩნიეთ, რომ რესტორანში აშკარად უხარისხო კერძი მოგართვეს. პროტესტის ნიშნად, გაბრაზებული გვერდზე ხომ არ გასწევთ თეფშს?

10. უცნობ ადამიანთან მარტო დარჩენის შემთხვევაში, პირველი თქვენ თვითონ გაუბამდით მას საუბარს?

11. დიდი რიგის დანახვისას, მტანჯველი მოლოდინის შიშით, უარს ხომ არ იტყოდით განზრახული ნივთის შეძენაზე?

12. შიშის გამო, რაღაც კონფლიქტის განმხილველი კომისიის წევრობას თავს ხომ არ აარიდებდით?

13. მუსიკის, მხატვრობისა და ლიტერატურის ნიმუშების შეფასების საკუთარი კრიტერიუმი გაქვთ გამომუშავებული და ანგარიშს არ უწევთ არავის აზრს?

14. თუკი თქვენ მოისმენთ სრულიად მცდარ მოსაზრებას თქვენთვის კარგად ცნობილ საკითხთან დაკავშირებით, კამათში ჩაბმას, დუმილს ხომ არ ამჯობინებდით?

15. ხომ არ ღიზიანდებით, როცა სამსახურში ამა თუ იმ საკითხის გარკვევაში ვინმე დახმარებას გთხოვთ?

16. ამა თუ იმ საკითხზე საკუთარი მოსაზრების ჩამოყალიბება წერილობითი ფორმით უფრო გიადვილდებათ, ვიდრე ზეპირი ფორმით?

დაანგამეთ ქულები:

ტესტის პასუხებში „დიახ“ შეაფასეთ 2 ქულით, „ზოგჯერ“ — 1 ქულით, „არა“ — 0 ქულით.

ტესტის შედეგები

30-32 ქულა: აშკარად არაკომუნიკაბელური ადამიანი ბრძანდებით და ამას ყველაზე მეტად თავადვე განიცდით, რადგან ამის გამო თქვენ თვითონ ზარალდებით ხოლმე. თუმცა, არც თქვენი ახლობლები იმყოფებიან უკეთეს მდგომარეობაში. ძნელია, ვინმემ თქვენი იმედი იქონიოს ისეთ საქმეში, რომლის კეთებაც ერთობლივ ძალისხმევას საჭიროებს. შეეცადეთ, დასძლიოთ კომპლექსები და უფრო კომუნიკაბელური გახდეთ.

25-29 ქულა: თქვენ სიტყვაძუნწი, საკუთარ თავში ჩაკეტილი ადამიანი ბრძანდებით და მარტოობას ამჯობინებთ. ალბათ ამის ბრალია, რომ ცოტა მეგობარი გყავთ. ახალ სამუშაოსა და ახალი კონტაქტების ძიებას წინასწორობიდან გამოგყვანართ. თქვენი თავით უკმაყოფილო ხართ, რადგან საკუთარი ხასიათის ამ თავისებურებების შესახებ თქვენთვის ყველაზე კარგადაა ცნობილი. შეგწევთ იმის უნარი, რომ სიტუაცია თქვენდა სასარგებლოდ შეცვალოთ: როცა რაიმე გაგიტაცებთ ხოლმე, „მოულოდნელად“ აღმოაჩენთ, რომ საოცრად კომუნიკაბელური ხდებით. შეუცხეთ საკუთარ თავს და ყველაფერი გამოგივათ!

19-24 ქულა: სხვებთან ურთიერთობისას და უცხო გარემოში ყოფნის დროს, საკმაოდ თავდაჯერებულად გრძნობთ თავს. არც ახალი პრობლემები გაშინებთ. თუმცა, ახალ ნაცნობებთან დახლოება მაინც გიჭირთ და მათთან კამათსა თუ დისკუსიაში უხალისოდ მონაწილეობთ. თქვენ გამოსვლები კი უხვადაა გაჯერებული სარკაზმით, რომელიც ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. ერთი რამ ცხადია — ამ ნაკლის გამოსწორება თქვენ ნამდვილად შეგიძლიათ.

14-18 ქულა: საკმარისად კომუნიკაბელური ადამიანი ბრძანდებით. ცნობისმოყვარეობით გამოირჩევით და ხალისით უგდებთ ყურს საინტერესო მოსაუბრეს. სხვებთან ურთიერთობისას მოთმინებასაც იჩენთ და საკუთარი მოსაზრების დაფიქსირებასაც ყოველგვარი განწმატების გარეშე ახერხებთ. მაგრამ არ გიყვართ ხალხმრავალი, ხმაურიანი თავყრილობები, ექსტრავაგანტური გამოხდომები; უხვსიტყვაობა კი, უბრალოდ, გაღიზიანებთ.

9-13 ქულა: კომუნიკაბელური (ზოგჯერ ზედმეტად) ადამიანი ბრძანდებით. ცნობისმოყვარე და ენაწყლიანი ხართ და გიყვართ სხვადასხვა საკითხზე საუბარი, აზრის გამოთქმა, რითიც ზოგჯერ აღიზიანებთ კიდეც ირგვლივ მყოფებს. ხალისით იძენთ ახალ ნაცნობებს. გიყვართ ყურადღების ცენტრში ყოფნა. არასოდეს არავის არაფერზე ეუბნებით უარს, მიუხედავად იმისა, რომ თხოვნის შესრულება ყოველთვის არ შეგიძლიათ. ზოგჯერ სიფიცხესაც იჩენთ, მაგრამ მალევე მშვიდდებით. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ გულმოდგინებით და მოთმინებით დიდად არ გამოირჩევით, რაც სერიოზული პრობლემების გადაჭრისას აშკარად ხელს გიშლით.

4-8 ქულა: ზედმიწევნით კომუნიკაბელური ადამიანი ბრძანდებით და ამიტომ ყოველთვის ყველაფრის საქმის კურსში ხართ. გიყვართ დისკუსიებში მონაწილეობა, მიუხედავად იმისა, რომ სერიოზულ თემებზე კამათისას შეიძლება, შაკიკიც კი დაგეწყოთ. მართალია, ზოგჯერ საკმაოდ ზედაპირული წარმოდგენა გაქვთ ამა თუ იმ საკითხზე, მაგრამ სიტყვით გამოსვლის შანს ხელიდან არასოდეს უშვებთ, ხელს ჰკიდებთ ნებისმიერ საქმეს, თუმცა, ყოველთვის ბოლომდე ვერ მიგყავთ იგი. ამის გამო, ხელმძღვანელები და კოლეგები ცოტა არ იყოს, ეჭვის თვალით გიყურებენ.

3 ქულა: შეიძლება ითქვას, რომ ავადმყოფურად კომუნიკაბელური ბრძანდებით. ენაჭარტალა ხართ და სხვების საქმეებში ჩარევაც გიყვართ. ყველას პრობლემებს უქმნით თქვენი ხასიათის გამო და ნებსით თუ უნებლიეთ, ირგვლივ მყოფებს შორის კონფლიქტის მიზეზი ხდებით. აუცილებლად იმუშავეთ საკუთარ თავზე: თავშეკავება და სხვების პატივცემა გმართებთ. გაუფრთხილდით საკუთარ ჯანმრთელობას — ცხოვრების ამგვარი სტილი ხომ უკვალოდ არ ჩაივლის.

ლიბიელი ტარზანი ლტოლვილის სტატუსს ელოდება

მაროკოში არალეგალურად მოხვედრილი ლიბიელი უმრ ალი აბუ ბაკრი, დიდი ხანია, რაც პოლიტიკური ლტოლვილის სტატუსს ელოდება.

„1998 წელს, ქალაქ რას-ლანუფის საავტო დარბაზში მომხდარი აფეთქების შემდეგ დამატიმრეს. ციხეში 5 წელი გავატარე — ისე, რომ ჩემი საქმის ირგვლივ არც გამოძიება დაწყებულა და არც სასამართლო ჩატარებულა. როცა ბოლოს და ბოლოს, გავთავისუფლდი, თავზარდამცემი ამბავი შევიტყვე: ჩემი ცოლი ლიბიელ სპეცსამსახურების აგენტებს გაუუპატიურებიათ, ჩემი ოჯახის 8 წევრი კი, ხელისუფლების ბრძანებით მოუკლავთ“, — ჰყვება აბუ ბაკრი.

ამ ტრაგიკული მოვლენების შემდეგ, მან ლიბიიდან გაქცევა გადაწყვიტა — როგორღაც გემზე დამალვა მოახერხა და მაროკოს საპორტო ქალაქ კასაბლანკაში ამოყო თავი.

მაროკოს დედაქალაქ რაბატში მოხვედრის პირველსავე დღიდან, აბუ ბაკრი მეჩეთის ქუჩაზე — აშშ-ის საელჩოს შენობასა და გაეროს უმაღლესი კომისარიატის შენობებს შორის მდგარ ერთ-ერთ მაღალ, ფიკუსის ხეზე ცხოვრობს და ლტოლვილის სტატუსს ელოდება. ეს უცნაური მამაკაცი, რომელსაც მეჩეთის ქუჩის მცხოვრებლებმა მეტსახელად „ლიბიელი ტარზანი“ შეარქვეს, სიამოვნებით ურთიერთობს ჟურნალისტებთან და ინტერვიუზე უარს არავის ეუბნება. ქუჩის მცხოვრებლებს ესმით თავიანთი „მეზობლის“ მდგომარეობა, ყველანაირად თანაუგრძნობენ და მის დახმარებას ცდილობენ.

გაეროს კომისარიატის თანამშრომლები ადასტურებენ, რომ ლიბიელი დევნილი, პოლიტიკური ლტოლვილის სტატუსს ითხოვს. „ჩვენ აბუ ბაკრის სახელზე სპეციალური მოწმობა გავეცით, რომლის საშუალებითაც მას ქვეყანაში დარჩენა სამი თვის მანძილზე შეუძლია. ამ პერიოდში, გასაუბრებას ჩაუტარებენ და ამის საფუძველზე, კომისია გადაწყვეტს, ეკუთვნის თუ არა მას, პოლიტიკური თავშესაფარი“, — ამბობს გაეროს კომისარიატის წარმომადგენელი. თუკი აბუ ბაკრის მოთხოვნას არ დააკმაყოფილებენ, მას უფლება ექნება, 30 დღის განმავლობაში ხელახალი განცხადი შეიტანოს. ამის შემდეგ კი, გასაუბრების ახალი პროცედურა დაიწყება.

მთელი ამ ხნის მანძილზე, ადამიანი, რომელმაც კომისარიატისგან მოწმობა მიიღო, გაეროს დაცვის ქვეშ მყოფ პირად ითვლება და არავის შეუძლია, საშშობლოში მისი ექსტრადიცია მოახდინოს. ■

ინდურ მოსკოვში ლენგატები შეიკრიბებიან

ინდოელები, რომლებსაც საბჭოთა საზოგადოებრივ თუ პოლიტიკურ მოღვაწეთა პატივსაცემად, მათივე სახელები ჰქვიათ, შეკრებას და ამ მოვლენასთან დაკავშირებით, სპეციალური ღონისძიების ჩატარებას გეგმავენ. ღონისძიება კერალეს შტატში, პატარა დასახლებულ პუნქტში ჩატარდება, რომელსაც თავის დროზე, ადგილობრივი კომუნისტების ინიციატივით, სახელწოდება გადაარქვეს და მოსკოვი უწოდეს.

ამ შეხვედრაზე, დანარჩენ დელეგატებს შორის, იქნებიან: ექვსი ლენინი, ორი გაგარინი, ორი პუშკინი და ერთი ტერეშკოვა. დელეგატები იხსენებენ, რომ ადრე ინდოელ ბავშვებს საკმაოდ ხშირად არქმევდნენ — სტალინის, ხრუშჩოვისა და ბრეჟნევის სახელებს და დანანებით აღნიშნავენ, — უკვე რამდენიმე წელია, მსგავსი აღარაფერი ხდებაო. ■

სახალისო სტატისტიკა

● ათასი ტონა სიგარეტის ნამწვავი, რაც 500 ათას გავსებულ საფერფლეს უდრის, ყოველწლიურად ხვდება მანჩესტერის ქუჩებზე, რაც ძალზე აწუხებს მუნიციპალურ ხელისუფლებას. ამიტომ მან გადაწყვიტა, სისუფთავისთვის საბრძოლველად, სოლიდური ჯარიმები დააწესოს. ახლა, დაუდევარ მწეველს თითოეული ნამწვავის ქუჩაზე დაგდებისთვის 50 გირვანქა სტერლინგის გადახდა მოუწევს. მუნიციპალიტეტმა ურჩ მწეველებზე კონტროლი ქალაქის ინსპექტორებს დაავალა. საინტერესოა, რომ დაწყებული კამპანიის პროგრამით, მწეველთათვის საფერფლეების უფასოდ დარიგებაცაა გათვალისწინებული.

● 2,5 მლნ ტურისტი ყოველდღიურად სტუმრობს ტოკიოს ტელესამაუწყებლო ანძის თავზე მდებარე სამეთვალყურეო მოედანს, რომელიც 333 მ სიმაღლეზე მდებარეობს. მაგრამ როგორც ჩანს, ქალაქის ხელისუფლებას ეს სიმაღლე აღარ აკმაყოფილებს, რადგან დაგეგმილი აქვს ახალი ანძის აგება, რომელიც ამავე დროს, ციფრული ფორმატის ტრანსლაციის გაუმჯობესებასაც შეუწყობს ხელს. 2011 წლიდან, ტოკიოში 600-მეტრიანი ანძის მშენებლობა დაიწყება. ის 47 მეტრით დაჯაბნის მსოფლიოში ყველაზე მაღალ კოშკურა — CN-ს, რომელიც კანადის ქალაქ ტორონტოს ამშვენებს.

● კვირაში 40,9 საათს ატარებენ ევროკავშირის წევრი ქვეყნების მცხოვრებნი სამსახურში. სტატისტიკური სამსახურის — „ევროსტატის“ მონაცემებით, ევროპელთაგან ყველაზე შრომისმოყვარენი, საბერძნეთის მოქალაქეები არიან: ისინი საშუალოდ, 44,1 სთ-ს ატარებენ სამუშაოზე. მათზე ერთი სთ-ით ნაკლებს შრომობენ ჩეხები, მესამე ადგილზე (42,9 სთ) არიან ავსტრიელები, შემდეგზე — პოლონელები (42,7 სთ). ხუთეულს აგვირგვინებენ კვიპროსელები — 42,6 სთ. ■

ჩეკოჩდსშენებში

● ლონდონის გარეუბან სტივენეიჯის მცხოვრი, 68 წლის იზობელ ვარლი მსოფლიოში ყველაზე ტატუირებული ბებიაა: მთელი მისი სხეული ათასგვარი სვირინგითაა დაფარული.

● 33 წლის ამერიკელ დონალდ გორსკეს „ბიგ-მაკის მეფე“ უწოდებენ: საქმე ის გახლავთ, რომ მან ცხოვრების მანძილზე, 20,5 ათასი ე.წ. „კალორიების ბომბი“ შეჭამა.

● 64 ქირურგიული ოპერაცია აქვს გადატანილი პერუელ ტრანსსექსუალს, ფულვია სელიკა სიგუას სანდოვალს, რომელიც უძღვება სატელევიზიო პროგრამას მისნობის საკითხებზე. მიუხედავად ამისა, მას საკმარისი ძალა შემორჩა საიმისოდ, რომ ლიმის მერობისთვის ბრძოლაში ჩაებას.

● სიყვარული კუბოს კარამდე: სწორედ ამით შეუძლიათ, იტრაბახონ დიდი ბრიტანეთის მოქალაქეებმა — პერსი ერიოუსმისმა და მისმა მეუღლემ ფლორენსმა, რომელებიც გინესის რეკორდების წიგნში იმასთან დაკავშირებით მოხვდნენ, რომ ამ ცოტა ხნის წინ, შეუღლების 80 წლისთავი აღნიშნეს. ქმარი 105 წლისაა, ცოლი კი — 100-ის.

● ყველაზე ხანგრძლივი კოცნა: 19 წლის ამერიკელ გოგონას, ლუიზა ალმედოვარსა და მის 22 წლის ბოიფრენდს, რიჩ ლენგლს 30 საათის, 59 წუთისა და 27 წამის მანძილზე არ შეუწყვეტიათ ამბორი. ■

ფოტოკოლაჟები





უკვე იყიდება

ყოველთვიური სამხედრო-ანალიტიკური ჟურნალი

არსენალი

№11 (16). ნოემბერი, 2005. „კვირის პალ... ანალიტიკური ჟურნალი. ფასი 1,5 ლარი

ნოემბრის ნომერში იხილეთ:

4 პოსტერი

უხმაურო იარაღის წარმოშობის ისტორია



პილოტის უკანასკნელი შანსი — კატაპულტირება

„საგამოფენო ძალი“ რომელიც გლადიატორად იქცა

HUMMER H3

ევროპული საჭურვლის ქართველი ოსტატი

გაწვევა — პასუხები პრობლემატურ კითხვებზე

სპეცოპერაცია „გედეონის მახვილი“

სამხედრო დესანტი — რეალური შანსი თუ თავის მოტყუება

ტანკები თბილისისათვის ბრძოლებში

ერაყში გაგზავნილი მშვიდობისმყოფელის აღსარება

ჩეხური „კატიუშა“ ქართულ მთებში

ქველაზე კაცური ჟურნალი არა მარტო ჭამაკაცებისთვის